საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
3 - 9 ოქტომბერი, 2012
№37 (175)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«ნაცმოძრაობა» «ალორძინების» და «მოქკავშირის» ბედს გაიზიარებს 7

## უგულავამ იგულავა

4



და ნეტარებდა იმ ღამეს მერი



«შემოიტანეთ ფლუგენგეგენჰოლენი!»

«ზარალასგან» დაზარალებული ბიზნესმენი ზარალს ვეღარ ითვლის 13

არჩევნების შემდეგ ინფლაცია მკვეთრად გაიზრდება 15

«გალსტუკიან ხვლიკს» კუდით ქვა ასროლინეს 16

უნეტარესი ვლადიმირი:

პრობლემა ისაა, ცხოვრებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება ეკლესიის გალავანშიც რომ აღწევს 19

2




საქართველოში ცხრაწლიანი ტირანია დასრულდა

## გაიტანეს!

ახია შენზე!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საზოგადოების უპირველესი მოლოდინი დღეს არის არა სასწრაფო და უპირობო თანამშრომლობა „ოცნებასა“ და „ნაცებს“ შორის, როგორც უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, არამედ იმ პირების (უკლებლივ ყველას!) მკაცრი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რომლებიც ციხეებში ცოცხით სოდომიასა და ტანჯვა-წამებას ატრიალებდა.**

# გაიტანეს!

**როცა შეთქმულთაგან ერთ-ერთმა იულიუს კეისარს მეტელოს ციმბელის ძმის შეწყალება დაჟინებით მოსთხოვა, კეისარმა შესძახა: „იქით! ოლიმპს უზედავ შეძვრას“!**
**ამ სცენის უსუსურ გამეორებას ჰგავდა მიხეილ სააკაშვილის კომიკური თავდაჯერებული განცხადება თავისი მომხრეების ერთ-ერთ მიტინგზე: „ეგღა მაკლია, ამათ დავუტოვო ჩვენი აშენებული ქვეყანა“!**
**აკლდა. დაატოვებინეს! დაატოვებინა ხალხმა, რომელიც ფარშევანგის კუდივით გაფხორილმა მმართველმა 9 წელიწადს ჯოჯოხეთის ცხრა რკალში წინ და უკან ატარა.**

არ უნდოდა წასვლა. არც ეგონა, რომ ადგილიდან დაძრავდა ვინმე და თავისი, იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, პირით არჩევნების წინ მიმართა ძალოვანი სტრუქტურების კარგად დაფინანსებულ ზონდერებს, მანქურთებს, ჩინოსნებსა და უჩინოთ:

**— ჩვენი გამარჯვებისთვის აკვანში ბავშვის მოკვლა რომ დაგჭირდეთ, მოკალით!**

**არც აპირებდა წასვლას, მაგრამ, გაიტანეს!**

დასანანია, ძალიან სამწუხაროა, რომ ერთგულად შესრულდა ბელადის მითითება: **გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში კოალიცია „ქართული ოცნების“ კოორდინატორის ოჯახიდან 9 თვის ბავშვი გაიტაცეს... დამხრჩვალი ბავშვი მიტოვებულ ქვევრში იპოვეს.**

**„ჩვენ არა მარტო უნდა გავიმარჯვოთ, არამედ ძალიან მაგრად უნდა გავიმარჯვოთ“,** — ყელყელაობდა სააკაშვილი სტუდენტების წინაშე, ანუ სხვაგვარად, — ტლინკაობდა.

გაიტანეთ ასე „მაგრად გამარჯვებული“ გრენლანდია, რომლის სახელია მიხეილ სააკაშვილი, გაიტანეთ, სანამ მთელი საქართველო ოსვენციმში გამოცდილი გაზით არ დაუწამლია: **2 ოქტომბერს, არჩევნების ღამეს, ხაშურში, მესამე საარჩევნო უბანზე, სპეცრაზმის მიერ ხალხის წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზის გამოყენებით სახალხო გმირებმა და სამშობლოს დამცველებმა შეკრეს 2007 წლის 7 ნოემბერს დაწყებული და 2011 წელს გაგრძელებული ციკლი ადამიანების დაწამლვის.**

ასე „მაგრად“ უნდოდა გაემარჯვა.

**გაცოფდა „გრენლანდია“ — და გამოასვენეს პალატა №6 თვითმფრინავიდან, რომელიც ღრუბელ-ღრუბელ დამალვაში იყო დაოსტატებული.**

„დღევანდელი დღე უდიდესი ზეიმის დღეა! ესპანეთში არის მეფე... ეს მეფე მე ვარ“, — გოგოლის „შეშლილის ჩანაწერების“ გმირის მონოლოგის ციტირებას იწყებს იმიუოჭპნძლ ყრვეინმკ მიხეილ სააკაშვილი.

„ესპანეთის მეფის“ კვალს მიჰყვნენ და **გაქრნენ ქართული პოლიტიკიდან „კუდზე შემართული ხვლიკები“, ანუ პოლიტიკური ქამელეონები, ნაციონალ-ბოლშევიკების თანამგზავრი პარტიები, ცრუოპოზიცია სხვადასხვა ფერისა და ერთი მრწამსის — გაყიდული „კონსტრუქციული“ პოლიტფენა კლონირებული ისკარიოტელის, იუდასი.**

გაიკრიფა შუაშისტების ჯეჯილი, მიშას ნიადაგში ფესვებგადგმული პარაზიტების.

**ამერიკამ თავისი „შობელძაღლი“ საქართველოდან გაათრია!**

ამოვისუნთქეთ ჩვენც და ამერიკამაც. ჩვენ — თუნდაც იმიტომ, რომ... თუმცა სანამ ამ მიზეზს ვიტყოდე, რობერტ სტურუა უნდა მოვიშველიო – მისი „სომეხია!“ გავიხსენო... სომხებს არაფერს ვერჩი, არც რობიკო ერჩოდა, უბრალოდ, ხაზი გაუსვა ფაქტს. ცნობისათვის, ამ ფაქტის უარყოფა არც ერთხელ არ უცდია არც გათრეულს და არც მის ხროვას! ისე ძალიან საინტერესო ფორმაა ოკუპაციის თანამედროვე ფორმა: სულ არაფერში




## ამერიკამ თავისი «შობელძაღლი» საქართველოდან გაათრია!

გჭირდება ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომები, ტერიტორიის საჯარისო ნაწილებით დაკავება, ადგილობრივ მოსახლეობაში ამბოხის ჟინის ჩასაკლავად ყველა დაბა-ქალაქში გარნიზონის ჩაყენება, ტყესა და ღრეში პარტიზანების დევნა – საკმარისია, ქვეყნის პირველი პირი იყოს შენი სისხლისა და ხორცის, შენი სასიცოცხლო ინტერესების გამტარებელი და ის ქვეყანა ოკუპირებული გაქვს.

**ცხრა წელიწადს გრძელდებოდა საქართველოს ოკუპაცია; ცხრა წელიწადს გრძელდებოდა საქართველოში ტირანია და, როგორც იქნა, დასრულდა, როგორც იქნა, გაათრიეს...**

**ახლა მთავარია, ერთი დიქტატურიდან ახალ შარში არ ამოვყოთ თავი და ძალიან, ძალიან ფრთხილად ვიყოთ.**

მადლობა ნორლანდს, რომ გაგვატანინა გრენლანდია, მაგრამ ნორლანდიც ადამიანია, თანაც ამერიკელი და თანაც დიპლომატი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თავისი ქვეყნის, აშშ-ის, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს და, მისი ეს დახმარება უანგარო ფილანტროპიად რომ ჩავთვალოთ, ძალიან მიამიტები უნდა ვიყოთ.

**არ ეგების, არ ივარგებს, კიდევ ერთხელ რომ ვუის შევეყაროთ და, როგორც მამათი მოგვანატრა სააკაშვილმა, ისე მოგვანატროს ახალმა ცოცხმა ძაღლივით გათრეული „გრენლანდია“...**

რადგან ცოცხი ვახსენე და თანაც ახალი, აქვე ვიტყვი, რომ **საზოგადოების უპირველესი მოლოდინი დღეს არის არა სასწრაფო და უპირობო თანამშრომლობა „ოცნებასა“ და „ნაცებს“ შორის, როგორც უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, არამედ იმ პირების** (უკლებლივ ყველას!) **მკაცრი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რომლებიც ციხეებში ცოცხით სოდომიასა და ტანჯვა-წამებას ატრიალებდა.**

ვისაც სანდრო გირგვლიანის, ბუტა რონბაქიძის და (არ მიწყინონ სხვა ჭირისუფლებმა) უამრავი ჩვენი თანამემამულის სისხლში აქვს ხელი გასვრილი, ყველამ პასუხი უნდა აგოს. ეს არის საზოგადოების უპირველესი მოთხოვნა და შეკვეთა ქართული ოცნებისადმი. **საზოგადოების უპირობო მოთხოვნაა, დაინგრეს, ამოიშანთოს ტოტალიტარიზმის ყველა ნიშანი და დაისაჯოს ყველა ის ადამიანი, რომლებმაც ტოტალიტარული სისტემისთვის, მისი სახელით, მისი ბრძანებით დანაშაული ჩაიდინეს.**

წერილის სათაურში კი დავწერე გაიტანეს-მეთქი, მაგრამ სააკაშვილი გატანილი მანამდე არ იქნება, სანამ „ქართული ოცნება“ და ბატონი ბიძინა არ გასცემენ მკაფიო და ერთმნიშვნელოვან პასუხს კითხვაზე:

**აღიარებს თუ არა „ქართული ოცნება“ სააკაშვილის მმართველობას, როგორც ტოტალიტარულ რეჟიმს და მზად არის თუ არა, მოექცეს ამ რეჟიმის ნარჩენებს ისე, როგორც მათ ცივილიზებულ სამყაროში ექცევიან?**

კითხვა ძალიან მარტივია და, ინტერპრეტაციისთვის ადგილი რომ აღარ დარჩეს, უფრო გასაგებად გავიმეორებ: **გაასამართლებს თუ არა ახალი პოლიტიკური ძალა მიხეილ სააკაშვილს და მის რეჟიმს?**

ამ კითხვას მოკლე პასუხი აქვს: ***ჰო ან არა!***

**სწორედ ამ პასუხზე ბევრადაა დამოკიდებული, ვისგან იქნება ახალი ხელისუფლება ლეგიტიმირებული, ხელდასმული – ქართველი ხალხისგან თუ აშშ-ისა და ბატონ ნორლანდისგან, რომელიც ასე დროულად დაგვეხმარა ძაღლთაპირი ტირანის გატანაში.**

ლეგიტიმაციის წარმომავლობა ამ შემთხვევაში უკიდურესად მნიშვნელოვანიაო... თუნდაც იმიტომ, რომ თავის დროზე შევარდნაძეც და შემდეგ სააკაშვილიც აშშ-ს მიერ იყვნენ ლეგიტიმირებულნი, მაგრამ, როგორც კი მათ თავიანთი რესურსი, ასე ვთქვათ, გამოიმუშავეს, ამერიკელებმა ერთიც და მეორეც გაიტანეს. ეს იმიტომ მოხდა ასე, რომ **ერთიც და მეორეც ხელდასმული იყო არა ქართველი ხალხის მიერ, არამედ იმისგან, ვინც, საბოლოო ჯამში, გაიტანა კიდეც...**

არავითარი ნიშნის მოგება, არავითარი ჩასაფრებული პოზიცია, მსურს და **დარწუნებული ვარ, „ქართული ოცნების“ მრავალფეროვანი შემადგენლობა თუ არა, ბატონი ბიძინა მაინც, აუცილებლად გაითვალისწინებს, რომ მისი ლეგიტიმაცია, მისი ხელდასმა არავითარ შემთხვევაში არ გასცდეს ქართველ ხალხს,** რადგანაც ყველა გარეშე ხელდამსმელი ისეთივე გაწაფულია ხელდასმულის „ჩამოწერაში“, როგორც ჟონგლიორი — ბურთულების ბზრიალში...

**ქართველ ხალხს კი დღეს უპირობოდ სურს, განსასჯელის სკამზე იხილოს რეჟიმის ყველა შემოქმედი — დაწყებული მიხეილ სააკაშვილით, დამთავრებული გურგენ დონაძით, რომელმაც ლამის პირდაპირ ეთერში გააყალბა სისხლის სამართლის საქმის ნივთმტკიცება. ქართველ ხალხს უპირობოდ სურს განსასჯელის სკამზე იხილოს არჩევნების პერმანენტული გამყალბებლები.**

და ამ, უკაცრავად და, „ყოფით მანკიერებებს“ რომ თავი დავანებოთ, **ადრე თუ გვიან ჩვენს ქვეყანაში უნდა დადგეს დრო, როდესაც ქვეყნის პირველი პირი, უმაღლესი მთავარსარდალი, პასუხს აგებს წაგებული ომისთვის, დაკარგული ტერიტორიებისთვის და ათიათასობით უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანისა და ბრიყვული ავანტიურისათვის შეწირული ასეულობით ადამიანის სიცოცხლისთვის.**

**გიორგი მეძმარიაშვილი**

## გაასამართლებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს და მის რეჟიმს? ამოიღებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილის და მისი რეჟიმისგან ნაძარცვს?!

**შეუძლებელია იმის ზუსტი დადგენა, თუ რამდენი ხმა მოუტანა სახელისუფლო პარტიას ყოველივე იმან, რასაც მთლიანობაში შეიძლება პირობითად „ძალმომრეობის ბონუსი“ ეწოდოს, თუმცა აშკარაა, რომ მის გარეშე „ნაცმოძრაობის“ შედეგი გაცილებით მოკრძალებული იქნებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალურად სააკაშვილის ჯგუფმა, მისმა პოლიტიკამ და იდეოლოგიამ კრახი განიცადა.**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველომ სააკაშვილის რეჟიმი დაამარცხა

**როდესაც 1 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ეგზიტპოლების შედეგები გამოქვეყნდა, ცხადი გახდა, რომ მიუხედავად იმისა, საბოლოოდ თუ როგორ გადანაწილდება ადგილები პარლამენტში, სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟისთვის შესანიშნავი წინაპირობები შეიქმნა. ეს არ ნიშნავს, რომ რეჟიმი ავტომატურად, „თავისით“ დაინგრევა, ამას საკმაოდ დაძაბული და, შესაძლოა, ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდეს, მაგრამ, თუ ვითარების აღწერისთვის ისტორიული მეტაფორის მოძებნას შევეცდებით, ალბათ, შემდეგ ფორმულამდე მივალთ: ბერლინი ჯერ არ აუღიათ, მაგრამ კენიგსბერგი უკვე დაეცა.**



**ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური სასწაული მოახდინა; ასეთი წარმატების მიღწევა ამ რეჟიმის პირობებში წარმოუდგენელი ჩანდა. ხელისუფლებამ ათას არაკონვენციურ, მარტივად რომ ვთქვათ, ბინძურ ხერხს მიმართა, როგორც არჩევნებამდე, ისე 1 ოქტომბერს, მაგრამ მისთვის სასურველი შედეგის „დადება“ მაინც ვერ მოახერხა. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სააკაშვილი ძალიან ცუდად იცნობს ქვეყანას და ერს, რომლის მართვის პრეტენზია აქვს.**

რა თქმა უნდა, ეიფორიაში ჩავარდნა ნაადრევია, ოპოზიციურ საზოგადოებას (უპირველესად, იურისტებს) წინ აქვს მომქანცველი ბრძოლა თითოეული ხმის დაცვისთვის, მაგრამ პრინციპული გარდატეხა (როგორც პოლიტიკური, ისე ფსიქოლოგიური) უკვე მოხდა; „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა საბოლოო, ტრიუმფალური გამარჯვების გემო იგრძნეს. **რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“ და ხელისუფლებას ზოგადად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას დღევანდელი სახით შეუძლია იარსებოს მხოლოდ ფაქტობრივი ერთპარტიულობის პირობებში, შეცვლილ გარემოში კი მისი „ჩამოშლა“** (ალბათ, ამ შემთხვევაში მართებული იქნება გამოვიყენოთ ეს სიტყვა მიხეილ სააკაშვილის ლექსიკონიდან) **პრაქტიკულად გარდაუვალი ჩანს, ნაკლებად სავარაუდოა, მან ახალ რეალობასთან ადაპტირება მოახერხოს. ეტაპობრივი იქნება რღვევის პროცესი თუ მომენტალური, ტექნოლოგიური ნიუანსია, მთავარია, ამ პერიოდში ქვეყანას ე.წ. კუდის მოქნევა და მასშტაბური დესტაბილიზაცია ავარიდოთ.**

დარღვევები და გაყალბება, რასაკვირველია, იყო და თითოეული საეჭვო ფაქტი სერიოზულ გამოძიებას საჭიროებს, თუმცა ხელისუფლებამ საბედისწერო ზღვარს არ გადააბიჯა. ეს, სავარაუდოდ, არ გამომდინარეობდა მისი კეთილშობილებიდან ან დემოკრატიის ერთგულებიდან; **გადამწყვეტ მომენტში სააკაშვილს, როგორც ჩანს, უბრალოდ, შეეშინდა. თუ ხელისუფლება ტოტალურ, ცინიკურ გაყალბებას მიმართავდა** (და არა შენიღბულს და, ასე თუ ისე, „ზომიერს“)**, საქართველოში, 99% ალბათობით, 1 ოქტომბერსვე რევოლუცია დაიწყებოდა.** მაგრამ იმის თქმა, რომ არჩევნები სანიმუშო იყო, ნამდვილად არ შეიძლება, ისევე, როგორც საუბარი იმაზე, რომ „ევროპას დავემსგავსეთ“ და „საოცრად დემოკრატიული არჩევნები ჩავატარეთ“. **სამწუხაროდ, საქართველოში გაყალბებად, უსამართლობად და უკანონობად, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ იმას თვლიან, რაც საარჩევნო უბანს, კომისიას, ბიულეტენებსა და ოქმებს უკავშირდება. არადა, ყოველივე ამის ხელოვნური გამიჯვნა წინარე პერიოდისგან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან ცუდი გარემო ნორმალურ არჩევნებს გამორიცხავს.** საკმაოდ ზუსტად წინასაარჩევნო სიტუაცია აღწერილი იყო „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „სამართლიანი არჩევნების“ და „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველოს“ ერთობლივ განცხადებაში, რომელიც 29 სექტემბერს გავრცელდა: **„წინასაარჩევნო გარემო მკვეთრად უთანასწორო იყო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კონკურენცია მიმდინარეობდა არა პოლიტიკურ პარტიებს შორის, არამედ სახელმწიფოსა და ოპოზიციას შორის, რაც განპირობებულია მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ფუნქციას შორის ზღვარის არარსებობით. აღნიშნული საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს“. ზრუნვა იმაზე, რომ არჩევნები საქართველოში აღარასოდეს ჩატარდეს, ასეთ კოშმარულ გარემოში დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს.**

ძნელი წარმოსადგენი არაა, რა შედეგებით დასრულდებოდა არჩევნები, თუ არ იქნებოდა „ბიუჯეტნიკების“ და რეგიონების მოსახლეობის დაშინება, ზეწოლა, შანტაჟი და ათასი სხვა მამაძაღლობა. **შეუძლებელია იმის ზუსტი დადგენა, თუ რამდენი ხმა მოუტანა სახელისუფლო პარტიას ყოველივე იმან, რასაც მთლიანობაში შეიძლება პირობითად „ძალმომრეობის ბონუსი“ ეწოდოს, თუმცა აშკარაა, რომ მის გარეშე „ნაცმოძრაობის“ შედეგი გაცილებით მოკრძალებული იქნებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალურად სააკაშვილის ჯგუფმა, მისმა პოლიტიკამ და იდეოლოგიამ კრახი განიცადა.**

1 ოქტომბერს გვიან საღამოს დედაქალაქში დიდი ზეიმი დაიწყო; თბილისელები აღნიშნავდნენ გამარჯვებას რეჟიმზე, რომელმაც 7 ნოემბერის და 26 მაისის დარბევები და უამრავი სხვა უბედურება მოუწყო. დრამატურგიის კანონები, იდეაში, მოითხოვს იმას, რომ აქვე აღვწეროთ, თუ როგორ უყურებდა გაფითრებული სააკაშვილი ავლაბრის რეზიდენციის გამჭვირვალე გუმბათიდან მოზეიმე, ბედნიერ ქალაქს, რომლის დამორჩილება ვერაფრით მოახერხა, მაგრამ ამ სცენას, ძალიან დიდი ალბათობით, ადგილი არ ჰქონია, რადგან **„ნაცმოძრაობის“ ლიდერის მთელი პოლიტიკური ბიოგრაფია მიანიშნებს იმაზე, რომ მას არ აქვს საკმარისი გამბედაობა, საკუთარ მარცხს თვალი გაუსწოროს.** თუმცა რა მნიშვნელობა აქვს იმას, რას გრძნობდა ამ დაუვიწყარ საათებში სააკაშვილი და სად იმყოფებოდა ფიზიკურად, მთავარია, რომ თბილისმა თავისი სათქმელი თქვა. ცხადია, იგივე გააკეთა მთელმა საქართველომაც, თუმცა ეს ეპიზოდი, ალბათ, მაინც ცალკე უნდა გამოვყოთ, რადგან დედაქალაქის დამოკიდებულებაზე მიხეილ სააკაშვილის მიმართ (და პირიქით) ეპიკური პოემებისა და ძველბერძნული ტრაგედიების დაწერა შეიძლება.

**უახლოეს დღეებში ოპოზიციური საზოგადოება, სავარაუდოდ, აჩვენებს, რომ ხელისუფლების ზონდერებზე გაცილებით მაღლა დგას და წაქცეულებს არ ურტყამს,** თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მის ინტერესებში არ შედის მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური იზოლაცია და მისთვის საოპერაციო სივრცის მიზანმიმართული შეზღუდვა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ავლაბრის რეზიდენცია შეიძლება „ერთიან ნაციონალურ გადატრიალებაზე“ ორიენტირებული ძალების ბუდედ გადაიქცეს. **ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომ „დაფის ამოყირავება“ ფიქრადაც არავინ გაივლოს.**

გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთ თვეში შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. მართალია, ჯერჯერობით ბარაკ ობამას პოზიციები უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ მიტ რომნის გამარჯვების შანსი მაინც არსებობს. რესპუბლიკელების კანდიდატის წარმატებამ კი შეიძლება შეაგულიანოს (რეალიზმთან ამას საერთო არაფერი ექნება, თუმცა ეს სხვა, ცალკე საუბრის თემაა) სააკაშვილის ჯგუფი და მკვეთრი, რევანშზე ორიენტირებული ნაბიჯები გადაადგმევინოს. ასე იქნება თუ ისე, **ოპოზიციური საზოგადოება, ალბათ, წამითაც არ უნდა მოდუნდეს, ვიდრე პროცესს ლოგიკურ დასასრულამდე არ მიიყვანს.**

როდესაც 2 ოქტომბერს, ცესკოში დათვლის პარალელურად, „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი პროპაგანდისტული მანქანა, ერთის მხრივ, აღიარებდა ოპოზიციის გამარჯვებას პროპორციულ არჩევნებში და ამავე დროს მაჟორიტარებს და წარმოსახვით „უმრავლესობას“ ებღაუჭებოდა, ამის მიღმა შეიძლებოდა იმ როლური მოდელის კონტურების დანახვა, რომელიც საზოგადოების აღქმაში უახლოეს მომავალში დამკვიდრდება. მის ფარგლებში **სააკაშვილის პარტია აუდიტორიის წინაშე წარდგება, როგორც ძველი, მიმავალი ძალა, რომელიც ცდილობს ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს პოზიციები, თუმცა იძულებულია მათი ნაწილი, ერთი მეორის მიყოლებით დათმოს.**

ეს ძალზე წამგებიანი როლია, როგორც პოლიტიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. „ნაციონალური მოძრაობის“ არაერთ ფუნქციონერსა და ჩინოვნიკს, სავარაუდოდ, მალე გაუჩნდება დაუოკებელი სურვილი, ყოფილი თანაგუნდელებისგან რაც შეიძლება შორს გაიწიოს. ალბათ, უახლოეს მომავალში ჩვენ ვიხილავთ სცენას, რომელიც „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებზე ჯერ კიდევ თებერვალში აღვწერეთ: **„ორ სკამზე ჯდომა და ათას წინაღობაზე ხტომა პოლიტიკური სპორტის ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა. გამორიცხული არაა, რომ მალე ამ დისციპლინებში ერთმანეთს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები შეეჯიბრებიან, რადგან სულ უფრო მეტი ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნება მომავალში ვერ მოხერხდება. შესაბამისად, მათ თავი უნდა დაიზღვიონ და საკუთარ მომავალზე წინდაწინ იზრუნონ, რასაც, დაუზუსტებელი ინფორმაციით, აქტიურად აკეთებენ კიდეც და ბიძინა ივანიშვილთან საიმედო კონტაქტების დამყარებას ცდილობენ“.** თუმცა ახლა, პროცესი, რომელიც ადრე გარე თვალისთვის შეუმჩნეველი იყო (და ბუნდოვანი ფორმულის „დაუზუსტებელი ინფორმაციით“ მოშველიებას მოითხოვდა), ყველასათვის ხილული გახდება. ის, სავარაუდოდ, სპორტის ახალ, ჯერაც არნახულ სახეობას დაემსგავსება: „სირბილი ბარიერების გადალახვით, კომპრომატით კბილებში“; პრინციპში, შეგვიძლია პატარა ტოტალიზატორი გავხსნათ და მომავალი ჩემპიონის წინმსწრები ამოცნობა ვცადოთ.

**1 ოქტომბერს ახალი, გარდამავალი ეტაპი დაიწყო. მას დაუკავშირდება არა მხოლოდ განუმეორებელი განცდა, რომელიც შეიძლება შევადაროთ იმ ადამიანის შეგრძნებებს, რომელიც პატიმრობიდან გათავისუფლდა და ნაბიჯ-ნაბიჯ შორდება ციხეს, არამედ უამრავი საფრთხე, თუმცა მათი ჩამოთვლა და შეფასება დღეს, ალბათ, არ ღირს.** საზოგადოების უმრავლესობა ზეიმობს და, აქედან გამომდინარე, დეტალური საუბარი პრობლემებზე, უმჯობესია, მომავალი კვირისთვის გადავდოთ. ახლა კი, ალბათ, ურიგო არ იქნება, უბრალოდ, გავიდეთ ქუჩაში და შევეცადოთ, დავაფიქსიროთ, თუ როგორ იცვლება ყველაფერი ჩვენ გარშემო; **ერთი რამ შემიძლია გადაჭრით ვთქვა: ამდენი გაღიმებული ადამიანი თბილისის ქუჩებში, წლებია, არ მინახავს.**

23 აგვისტოს გამოქვეყნებულ წერილში შესანიშნავი მწერლის, **ჰარი ჰარისონის,** ციტატა მოვიყვანე, რომელიც მინდა გავიმეორო: **„ნებისმიერი ტოტალიტარული რეჟიმი განწირულია, ადრე თუ გვიან დაემხობა და ყველაზე მძიმე პრობლემები დადებითად გადაწყდება. კაცობრიობას თვითრეგულაციის მაშველი მექანიზმი აქვს — ცუდი დრო არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. გწამდეთ და იმედი გქონდეთ!“**. მიუხედავად იმისა, რომ დღეს სააკაშვილის ხელისუფლება ცდილობს, თავი დემოკრატიის მედროშედ წარმოაჩინოს, რომელმაც უპრეცედენტოდ დემოკრატიული არჩევნები ჩაატარა, ჩვენ, უცხოელი მეგობრებისგან განსხვავებით, კარგად ვიცით, რას წარმოადგენდა (და სხვათა შორის, ჯერ კიდევ წარმოადგენს) ეს რეჟიმი სინამდვილეში. თუმცა **მთავარი ეს კი არაა, არამედ ჰარისონის მიერ ნახსენები რწმენა და იმედი, რომელიც „შორეულ“ 2003-05 წლებში რეჟიმის თითზე ჩამოსათვლელ ოპონენტებს გვასულდგმულებდა, 2007-2011 წლებში უამრავ მომიტინგეს სიმტკიცეს უათმაგებდა, 2012-ში კი ქართული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მთავარი წინაპირობა გახდა; რწმენის, იმედის და, ცხადია, სიყვარულის გარეშე, არაფერი გამოვიდოდა და არც მომავალში გამოვა.**

მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგებს გამოაქვეყნებს საბოლოოდ ცესკო და რა პოლიტიკური პროცესების მომსწრენი გავხდებით უახლოეს დღეებში, მთავარია, რომ „ცუდი დრო“, სავარაუდოდ, მალე დასრულდება; არჩევანმა, რომელიც ერმა 1 ოქტომბერს გააკეთა, ამისთვის ყველა წინაპირობა შექმნა.

მეტი სარგებელი ხალხს

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთადერთი ლეგიტიმური შეკითხვა, რომელიც ამ ფოტოების ნახვის შემდეგ შეიძლება ჯანსალი გონების ადამიანს, ჯანსაღ საზოგადოებას, არამომაკვდავ ერს გაუჩნდეს, არის ის, თუ როდის გასამართლდებიან, როდის ვიხილავთ განსასჯელის სკამზე ამ რეჟიმის ბელადს და მის გარყვნილ ხელის გოგო-ბიჭებს!**

# უგულავამ იგულავა

**აი, საწოლზე მოსვენებულია თბილისის მერის, გიგი უგულავას, „გაურკვეველი საშუალებით“ დაუძლურებული ზონზროხა სხეული ნეტარი სახით. დედაქალაქის თავკაცის სასთუმალთან მისი მეუღლეა — ლელა კილაძე. ოჯახური იდილია? მაგრამ მას უხეშად „ამსხვრევს“ წინა პლანზე ლამის „მურმანის ეკალივით“ ჩაჩხერილი გაურკვეველი სქესის არსება, გამოწყობილი სადომაზოხისტური ზიზილ-პიპილოებით დახუნძლულ სამოსში. აი, კიდევ მეორე ნიმუში კომპრომატული „ნივთმტკიცებისა“ — „ჩანასახის პოზაში“ მოკუნტული ბატონი გიგი, მასზე, ვითარცა ვარდი მიწისკენ, დახრილია დედაკაცი. ამ პერსონაჟის „უნიფორმა“ ეჭვს არ ბადებს მის პროფესიაზე. და, ერთი ნიუანსი, რომელსაც ეს ფოტოსურათი ფერწერული შედევრის დონემდე ამაღლებს, დოლარის კუპიურით დამშვენებული გაწვდენილი ხელია... მოკლედ, გადაშენების, დეგენერაციის გზაზე მყარად დამდგარი ნაცელიტის ეპიზოდები.**

ალბათ, გახსოვთ, 2008 წლის აგვისტოში ქართულ ჯარს ბრძანებებს რატომღაც გიგი უგულავა აძლევდა, კეზერაშვილიც აძლევდა, მაგრამ ვისთვის რა უნდა მიეცათ ამ სამხედრო თვალსაზრისით საჭურისებს? და რაც მისცეს, ისეც ვიომეთ... გიგის და კეზერას რას ვჩივით, როდესაც თვით უმაღლესმა მთავარსარდალმა მხოლოდ ჰალსტუხის ღეჭვითა და ცხვირით მიწაზე ფორთხვით დაგვამახსოვრა თავი...

**არა, ცოლთან ერთად გარყვნილების ბუდეში ორგიების გამო უგულავას დასჯას ნამდვილად არ ვითხოვ, ცოლი მისია და, სადაც უნდა, იმ ბუდეში დაადებინოს კვერცხი, მაგრამ ეს ქვეყანა ჩემიცაა და მისი ტერიტორიების დაკარგვისთვის ამ მორალური საჭურისების დასჯის მოთხოვნა ლოგიკური და სამართლიანია...**

ამ სურათების მნახველმა უნებლიეთ ერთი რამ აღმოაჩინე: **სააკაშვილი, უგულავა, ბოკერია, ადეიშვილი ძალზე ჰგვანან ერთმანეთს, მიუხედავად მათი მკვეთრი ფიზიკური განსხვავებულობისა. მაინც რით ჰგვანან? ისინი იმდენად ცარიელნი არიან და სულიერად მკვდარნი, რომ... მექმნება შთაბეჭდილება, ფუი ეშმაკს, კოპროფილები მახსენდება, კამოც მახსენდება, საკუთარი... რომ მიირთვა.** უსაზღვრო თავისუფლების გრძნობა მათთვის ტუსაღის ბორკილებივითაა. მათ მხოლოდ „დოზის“ მომატება რჩებათ. სადისტური მკვლელობებიც ნაცებისთვის რუტინული ხდება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მათ სხვისი სიცოცხლე ჩირადაც არ უღირთ, გინდ კოღო მოუკლავთ და გინდ ადამიანი. **ნაცელიტის უბედურება ისაა, რომ ვერ გაუგია, გარყვნილი სურვილების დაკმაყოფილების უსაზღვრო შესაძლებლობა თავად სურვილს და თავად კმაყოფილებას კლავს. ცხოვრების ამ ბატონ-პატრონებს ცხრა წლის მანძილზე ყველაფერი მოყირჭდათ და ახლა იმასღა ნატრობენ, „რაღაც უნდოდეთ“, აუტანელ ტკივილამდე, რათა დაიკმაყოფილონ ეს სურვილი, რამეთუ ლეშადქცეულნი მხოლოდ მაშინღა იგრძნობენ, რომ ცოცხლები არიან.**

**მაშ, საიდან მოდის ყველაფერი ეს? საიდან მოდის მერვე საპყრობილის „ცოცხი“? ჩემი აზრით, ეს იმ მოძღვრებიდან მოდის, რომელიც ქადაგებს აბსოლუტურ თავისუფლებას ზნეობისგან, და რომელსაც წლებია მისდევს „ნაცმოძრაობის“ ელიტა, რა თქმა უნდა, ბიუჯეტის — თქვენი და ჩემი ჯიბიდან აღებული სახსრების ხარჯზე. ამ ფილოსოფიას, ანუ ხალხის და ბიუჯეტის ხარჯზე ზღვარგადასულ ფუფუნებაში ცხოვრებისა და გაუმაძღარი ღრეობის ჟინს ჯიუტად მიყავხარ აზრამდე, რომ დანაშაული მხოლოდ მაშინაა საამო, როცა იგი დაუსჯელია!**

კარგად დავაკვირდეთ ამ სურათებს და შევიგნოთ, რომ თავზეხელაღებულობა, ძალაუფლებით ტკბობა შერწყმული გარყვნილ გონებასთან დაღუპვამდე მიგვიყვანს. ნურავინ ინუგეშებს თავს იმით, რომ ეს მას არ დაემართება, რამეთუ ბოროტება, მანკიერება, უსაზღვრო ქაოტური თავისუფლება და ყველა სურვილის დაკმაყოფილება მარტო პოლიტიკოსთა სულებში არაა დაბუდებული...

**ერთადერთი ლეგიტიმური შეკითხვა, რომელიც ამ ფოტოების ნახვის შემდეგ შეიძლება ჯანსალი გონების ადამიანს, ჯანსაღ საზოგადოებას, არამომაკვდავ ერს გაუჩნდეს, არის ის, თუ როდის გასამართლდებიან, როდის ვიხილავთ განსასჯელის სკამზე ამ რეჟიმის ბელადს და მის გარყვნილ ხელის გოგო-ბიჭებს, რომლებმაც დედაქალაქისა და ქვეყნის ბიუჯეტი საკუთარი სიამოვნებისა და პირადი კეთილდღეობისათვის გამოხრეს!**

არა, ეს არ არის მხოლოდ ლეგიტიმური შეკითხვა, **ეს ქართველი ერის უპირობო მოთხოვნაა!**

**გიორგი კორძაძე**


და ნეტარებდა იმ ღამეს მერი


BDSM


თბილისის პირველი ლედი გარკვეული პროფესიის მუშაკთან




თბილისის პირველი ლედი


თავდაცვის „მაჩო“ მინისტრი, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში გორიდან საკუთარ ჯიპს გამოასწრო

# «შემოიტანეთ ფლუგენგეგენჰოლენი!»

**„დღესდღეობით ვინც არიან ივანიშვილთან, მათი უმეტესობა იქ მისულია ფულის გამო. კი, არიან სუფთა და პატიოსანი ადამიანებიც, მაგრამ, ვიმეორებ, უფრო მეტი ანგარებით მისული ხალხია. ეს ყველამ ვიცით და თვალს ვხუჭავთ ამაზე იმიტომ, რომ საზოგადოებამ ივანიშვილის ხათრით ყველა ნაძირალა მიიღო, ამის ასე დატოვება, ცხადია, არ შეიძლება, ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს ამ ბინძური მასის დიფერენცირება ძირითადი ბირთვისგან, თუ არ უნდა ბიძინას, რომ ხალხმა დროთა განმავლობაში შეიძულოს."**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# თემურ ჩალაბაშვილი: კაცს რომ მთელი ერი გამყიდველსა და იუდას გეძახის, მეტი იარლიყი რაღა გინდა?!

მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" თავის მოსაზრებებს უზიარებს პოეტი **თემურ ჩალაბაშვილი.**

**— ბატონო თემურ, გლდანის №8 დაწესებულებაში მომხდარი შემზარავი ფაქტის შემდეგ მოსახლეობაში მთავარ საკითხად ხელისუფლების პასუხისმგებლობის დაყენება იქცა. დასაწყისში მეც ამაზე გკითხავთ: როგორ ფიქრობთ, რა ფორმით უნდა დასაჯონ დამნაშავეები?**

— იმ დღესვე, როცა გავრცელდა ეს შემზარავი კადრები, გავედი ქუჩაში და ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია დავაფიქსირე. რა თქმა უნდა, მანამდეც ვიცოდით, რომ ციხეებში მსგავსი რამ ხდებოდა, მაგრამ სულ სხვა მომენტია, როცა საკუთარი თვალით ხედავ. ამას სახელი არ აქვს, ამის შემდეგ ეს ნაძირალები კიდევ როგორ უნდა ბედავდნენ იმის თქმას, ხმა მოგვეცითო! რაც შეეხება პასუხისმგებლობის დაყენებას, რა შეიძლება იყოს სასჯელი, მე არ ვარ ამათი მტარვალი და არ შემიძლია ადამიანის დასჯაზე ოდნავი ჩქამიც კი გავილო, მაგრამ **ეს არაკაცები, რომლებიც ამ საშინელებას სიამოვნებით სჩადიოდნენ, თვითონვე უნდა ჩასვა იმ საპყრობილეში, რათა საკუთარ თავზე გამოსცადონ ასეთი რამ. ხომ ამბობს ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტი, არ ვიცოდი, ეს თუ ხდებოდაო. ჰოდა, თუ არ იცოდა, იქ უნდა მოხვდეს და დაინახოს, რა ტრაგედიაც ტრიალებდა მის მიერ აშენებულ ციხეებში, მთლიანად სისტემაში...**

**— ხალხის რეაქცია რამდენად ადეკვატური იყო? ხელისუფლება ამბობს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, მან შეძლო საზოგადოების კეთილგანწყობის შენარჩუნება.**

— ხელისუფლება რას ამბობს და რას არა, ამაზე ნუ ვისაუბრებთ, ამათი ბინძური გონება უკვე იქამდე მივიდა, რომ ყველაფერს იკადრებენ. საზოგადოების რეაქციას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, არ იყო მთლად ადეკვატური, მაგრამ ჩემთვის ეს აბსოლუტურად გასაგებია — თითქმის ოჯახი არ არის დღეს საქართველოში, პატიმარი რომ არ ჰყავდეს. აი, ზუსტად ეს შიში მომენტია, ხალხს რომ ბოჭავს და აბრკოლებს, თორემ **აქ რომ მართლა ისეთი რეაქცია იყოს, როგორიც საჭიროა, მაშინ უნდა გადაწვან მთელი პარლამენტი. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიტყვი: მოსახლეობამ ეს შიშის ფაქტორი თუ არ დაძლია, არაფერს აზრი არ აქვს. ხელისუფლება ყოველთვის შეძლებს იმას, რომ გადამწყვეტ მომენტში საზოგადოების მუხტი გაანეიტრალოს და ჩვენ ეს უკვე ვნახეთ არაერთხელ.**

**— იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილის ოპონენტები ბოლო ხმაზე გაჰყვირიან, ხელისუფლებას პოლიტიკური კრიზისი აქვსო, ფაქტია, გასულ კვირას სააკაშვილმა ეროვნული სტადიონი თითქმის გაავსო. არჩევნების შედეგებზე არაფერს ვამბობ... თქვენი აზრით, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული ხომ არაა ოპოზიციის შეფასებები „ნაცმოძრაობის" გაკოტრებასთან დაკავშირებით?**

— ნაწილობრივ გეთანხმებით, მაგრამ იმ შეხვედრაზე შეშინებულ სახეებსაც ბევრს ვხედავდი. ხომ დაინახეთ, როგორ ვარდებოდა ტანისამოსიდან ჩვენი პრეზიდენტი? კი არ იდგა კაცი, ალბათ, ორ მეტრზე ხტოდა, ისე საუბრობდა. ეს მისი ჩვეული ფორმაა, ეს ჰიტლერისეული ამბებია და მე მზარავს ეგეთი რაღაცები, მაგრამ მაინც მაკვირვებს ჩვენი ხალხის რეაქცია. იმის თქმა მინდა, რომ **ამდენი უბედურების შემდეგ, იმ პატივის აყრის შემდეგ, ხალხის მიმართ, რაც ამათმა ჩაიდინეს, თუ კიდევ თუნდაც სამოცი ათასი ადამიანი უჭერს მხარს ამ რეჟიმს, მაშინ ჩვენი საშველი მართლა არ ყოფილა; ღმერთსაც კი, მაპატიოს უფალმა, როგორც უბედურ ერზე, ხელი ჩაუქნევია ჩვენზე და ეგაა.** ასეთ ქვეყანაში, ასეთ ხალხში, ასეთ საზოგადოებაში ნამდვილად არ ღირს ცხოვრება და, თუ კი ვინმეს ღირსების ნატამალი შერჩენია, უნდა გაიქცეს აქედან...

**— არჩევნებამდე ხელისუფლება, ძირითადად, „ქართულ ოცნებაზე" შემავალი სუბიექტებით მანიპულირებდა. როგორ ფიქრობთ, რეალურად ამან იმოქმედა ამომრჩეველზე?**

— სწორად გამიგეთ, რასაც ახლა ვიტყვი, **მე პირადად იმ ჩანაწერების დიდი ნაწილი, რომელიც ხელისუფლებამ გაავრცელა, მართალი მგონია.** ამათ მხარდამჭერობას ვერავინ დამწამებს, მაგრამ ამაში დარწმუნებული ვარ, ვინაიდან **დღესდღეობით ვინც არიან ივანიშვილთან, მათი უმეტესობა იქ მისულია ფულის გამო. კი, არიან სუფთა და პატიოსანი ადამიანებიც, მაგრამ, ვიმეორებ, უფრო მეტი ანგარებით მისული ხალხია. ეს ყველამ ვიცით და თვალს ვხუჭავთ ამაზე იმიტომ, რომ საზოგადოებამ ივანიშვილის ხათრით ყველა ნაძირალა მიიღო, ამის ასე დატოვება, ცხადია, არ შეიძლება, ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს ამ ბინძური მასის დიფერენცირება ძირითადი ბირთვისგან, თუ არ უნდა ბიძინას, რომ ხალხმა დროთა განმავლობაში შეიძულოს.**



**«სააკაშვილისთვის იდეალური სასჯელია, ჩასვა ციხეში, რათა გამოსცადოს ის, რა დღეშიც პატიმრები იმყოფებიან...»**

**— დიფერენცირებაში კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ლაპარაკია იმაზე, რომ გამიჯვნა უნდა მოხდეს და ყველას თავთავისი ადგილი უნდა მიეჩინოს. არ შეიძლება, შავი და თეთრი, ავი და კარგი ერთ რანგში გადიოდეს. ხალხი ამას არ მიიღებს. მე არაერთხელ მივმართე ივანიშვილს, მათ შორის რამდენიმეჯერ თქვენი გაზეთის ფურცლებიდანაც, ბატონო ბიძინა, გარემოცვა არ გივარგა-მეთქი. ამას შემთხვევით არ ვამბობდი, ვიცი, რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ადამიანს გარშემო მყოფმა ხალხმა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ამის ნათელი მაგალითია. **ვერავინ დამარწმუნებს, რომ ზვიადზე და მერაბზე მეტად ბიძინას უყვარს სამშობლო, მაგრამ ზვიადი დაღუპა გარემოცვამ. აი, ზუსტად ასეთი გარემოცვა ჰყავს დღეს ივანიშვილს და ანალოგიური საფრთხე მასაც მოელის.** ბევრი მამტყუნებს ჩემი ამ პოზიციის გამო და მეუბნებიან, მოითმინე, ყველაფერს დაალაგებსო, მაგრამ, დალოცვილო, ერთ პატარა გოგონას ვერ მოიშორებ, თუ გადაგეკიდა, რა უნდა დაალაგოს, ამდენი ხალხის უცებ მოცილებას შეძლებს მერე?!

**— დასაწყისში დამნაშავეების დასჯაზე ვსაუბრობდით. პატიმართა წამების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ, თანამდებობიდან გადადგა ორი მინისტრი, ათზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს და პრეზიდენტი პირობას დებს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ძირეული რეფორმები გატარდება. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ის, რომ ხელისუფლების მხრიდან ამგვარი რეაგირება საზოგადოებას ნაწილობრივ მაინც დააშოშმინებს?**

— ამის არანაირი შანსი არ არსებობს. რაც უნდა გააკეთოს სააკაშვილმა, სულ მთლად ყურით რომ ჩამოკიდოს კალმახელიძე, საზოგადოებას ვეღარ შემოაბრუნებს, იმიტომ, რომ მთავარი დამნაშავე თვითონაა. რაც შეეხება ახალაიას, ის, რომ ესენი არაფერს ნაწობენ და რეალურად არაფრის გამკეთებლები არიან, ამაზე ერთი ფაქტიც მეტყველებს: **მიუხედავად საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნისა, მიუხედავად იმისა, რომ ამას შეიძლებოდა „ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი მნიშვნელოვნად აეწია, ახალაია და კალმახელიძე ფორმალურადაც კი არ დაკითხეს, ანუ გაგონებაც არ უნდათ იმის, რომ ეს ორი ადამიანი რამეშია გასვრილი.** მეტიც, თანამდებობიდან გაათავისუფლეს შინაგან საქმეთა მინისტრი და კოლოსალური თანხა გამოუწერეს პრემიის სახით. იქით კიდევ ცალკე მამამისი რა დღეში იყო სამეგრელოდან, ნახეთ, ალბათ, — მომშორდით, დამაძინეთო, ყვიროდა... ხალხი გაუბედურებულია, ამ არაკაცებს რომ ერთხელ ძილი დაუფრთხეს, თურმე ქვეყანა დაქცეულა... ეშინოდეთ, საბოლოოდ სალათას ძილით არ ჩააძინოს საზოგადოებამ ეს ადამიანები...

**— მუდმივად არის ხოლმე საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლებას ოპოზიციაში დასაყრდენი არ ჰყავს, რომ ამ მხრივ ხელისუფლება განძარცვულია და ა.შ. რეალობა სხვა რამეზე მეტყველებს: არიან გარკვეული სუბიექტები, რომლებიც, ყველაფრის მიუხედავად, არჩევნების შედეგებს ცნობენ. თქვენი აზრით, რამდენად აძლიერებს ეს ყველაფერი მმართველი გუნდის პოზიციას?**

— გააჩნია, დასაყრდენში ვის და რა ძალებს ვიგულისხმებთ, „ქრისტიან-დემოკრატები" თუ გყავთ მხედველობაში, ეგენი სპეციალურად იმისთვის შეიქმნენ, რომ მიშა „ეპრავებინათ", მაგრამ რეალურად ეს არაფრის ნიშნავს. **პოლიტიკოსს მაშინ აქვს ძალა, როცა ხალხი მიჰყვება და მოსახლეობაში პოპულარულია. აბა, თარგამაძეს ვინმე გაჰყვება, მითხარით? სამი წლის ბავშვმაც კი იცის, რომ ეს კაცი გაყიდულია ფულზე.** ახლა რამდენიც უნდა კოცნოს პირში სააკაშვილი ამ იუდამ და რამდენიც უნდა მიულოცოს გამარჯვება ხელისუფლებას, რამე იცვლება ამით?

**— ისე, „ქრისტიან-დემოკრატები" არ არიან ხელისუფლების ერთადერთი „გამპრავებლები"...**

— პირადად გიორგი თარგამაძე არის ამ საქმის მედროშე. ასე რომ, როგორ გამოსდის, სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, ამ კაცს აქვს თავისი ფუნქცია ხელისუფლების სამსახურში. სხვათა შორის, თვითონ სააკაშვილსაც ყველაზე მეტად სწორედ ასეთი ხალხის უნდა ეშინოდეს, იმიტომ, რომ რეალურად ეს არის ფარული ბომბი შენს საძირკველში, რომელიც, არავინ იცის, როდის აფეთქდება და გამოგითხრის ძირს. რა, ბადრი თუ გაწირა, მანამდე კიდევ ასლანი და სხვები, ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ მიშას ჩაჰყვება სამარეში?!

**— იქნებ გარკვეულწილად საჭიროცაა ასეთი ხალხი პოლიტიკაში, ბოლოსდაბოლოს ჩასაძირი ვინმემ ხომ უნდა ჩაძიროს?**

— ბევრი რომ არ გავაგრძელო, თქვენი ნებართვით, ერთი სტროფით გეტყვით ჩემს აზრს ამ ადამიანზე, ვფიქრობ, მკითხველისთვის ასე უფრო ნათელი იქნება, რისი თქმაც მინდა:

**„შენ ვერვინ გკადრებს
კრეტინოს,
ჟურნალისტადაც
ვარგიხარ.
ასლანის გამოჭყლეტილო,
ახლა ამათი თარგი ხარ..."**

ცხადია, უფრო მწვავედაც შეიძლებოდა თქმა, მაგრამ ხალხს ვერ ვკადრებ. მაგას საზოგადოებამ უკვე მიუჩინა საკადრისი ადგილი, კაცს მთელი ერი გამყიდველსა და იუდას გეძახის, მეტი იარლიყი რაღა გინდა?!

**— რაც შეეხება ისევ ხელისუფლების შეცვლა-არშეცვლის საკითხს. თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს, თუკი დღეს არსებული პოლიტიკური კურსი შენარჩუნდება? არაფერს ვამბობ სისტემაზე.**

— ღმერთმა ნუ ქნას, მაგის გაფიქრებაც არ მინდა. ეგ თუ მოხდება, ამით დამთავრდება ჩვენი ცხოვრების ეპოქა.

ხშირად გვსმენია პოლიტიკოსებისგან, ხელოვანებისგან, რომ დღეს წყდება ჩვენი ბედი, რომ დღეს არის ის მომენტი, როცა ყველა ერთად უნდა დავდგეთ და ა.შ. ამას გვეუბნებოდნენ ყოველი არჩევნების წინ და შემდეგაც, რომ გამოვეყვანეთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ახლა მართლა სულ სხვა ვითარებაა; **ახლა ნამდვილად ბოლო მომენტია და რეალურად ეს მომენტი ამთავრებს ყველაფერს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვგრძნობ (და ყველა გრძნობს), როგორ დაიღალა ხალხი. ამიტომ, კვლავ ვიმეორებ, მით უფრო ახლა თითოეული ჩვენგანი უნდა აცნობიერებდეს იმას, რომ ეს არის ბოლო შანსი, — ან გავიმარჯვოთ, ან გადავვარდეთ უსასრულო უბედურებაში...** გულის სიღრმეში მაინც მჯერა, რომ საზოგადოებას ეყოფა ძალა, პრინციპულობა და გამბედაობა, არ შედრკეს და არ შეარჩინოს მოძალადე ხელისუფლებას დანაშაული. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი შეიძლება იყოს იმდენად მძიმე, რომ ის, რაც დღეს ხდება (თუნდაც რაც გლდანის ციხეში ვიხილეთ), არაფრად მოგვეჩვენოს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ახლახან ლოპოტას ხეობაში რომ შეტაკება მოხდა, ყველამ იცის. იმ ინციდენტის შედეგად დაღუპული სოლომონ წიკლაურის დეიდა იყო რამდენიმე დღის წინ ჩემთან და ისეთი რამეები მომიყვა, რასაც საჯაროდ ჯერჯერობით ვერ ლაპარაკობენ. დაღუპულს უკან, ყურისძირში ჰქონდა თურმე ჭრილობა და ქალი თავს იკლავს, იქიდან არც ერთი ტყვია არ ყოფილა ნასროლიო. თვითონ ამათი მოკლულიაო, დარწმუნებულები არიან. გარდაცვლილის ძმა სააკაშვილის პირად დაცვაშია და მანაც იცის, სინამდვილეში რაც მოხდა, მაგრამ თურმე ისეთი პირობები შეუქმნეს, ხმას ვერ იღებს“

# იურა ვაზაგაშვილი: ლოპოტას ხეობაში დაღუპული სპეცრაზმელის ოჯახი მის მკვლელობაში ხელისუფლებას ადანაშაულებს...

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მოძრაობის „გადაარჩინე სიცოცხლე“ ხელმძღვანელი და დამფუძნებელი იურა ვაზაგაშვილი.**

**— ბატონო იურა, დღესდღეობით საზოგადოების უდიდესი ნაწილი ერთმნიშვნელოვნად თანხმდება იმაზე, რომ ქვეყანაში სამართლიანობის მისაღწევად საკმარისი მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა არ არის. დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება ბევრს ძირეული ცვლილებების მთავარ წინაპირობად მიაჩნია. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— ის, რაც ამ რეჟიმის წყალობით ჩვენს ციხეებში ხდება, ყველა მაგ კითხვაზე პასუხს ცალსახად იძლევა. ეს არ არის ჩვეულებრივი დანაშაული, ეს არის რაღაც ისტორიული ტრაგედია, რომელსაც გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე ერთის შეხედვით ჩანს. მე მგონი, ერთადერთი ცოცხალი არსება მაიმუნის რომელიღაც სახეობაა, შიმპანზე თუ გორილა, ზუსტად არ მახსოვს, რომელიც მამრი მამრს ახტება. სხვა ცხოველი კი ამას არ აკეთებს. მიხეილ სააკაშვილმა კი თავისი ავადმყოფური გონებით ამას კანონი დაარქვა. **ესენი არიან სადისტები და სისხლში იხრჩობიან. კაცისკვლა, წამება, გაუპატიურება ამათი ცხოვრების წესია და როგორც კუზიანს ვერ გაასწორებს ვერაფერი, სამარის გარდა, ადეიშვილის, მერაბიშვილის, ბოკერიასა და მათ გვერდით მყოფი სხვა ნაძირალების გამოსწორება შეუძლებელია. ამათ ერთადერთი განაჩენი მოუხდებათ: უნდა მიუსაჯო უვადო პატიმრობა და ისეთ დღეში ჩააგდო ეს ვირთხები, რომ სიკვდილი ენატრებოდეთ.**

მე არ ვიცი, ვინ იქნება ხელისუფლებაში, მაგრამ, თუ ჩვენ ეს არ გავაკეთეთ, თუ ქართველმა ხალხმა დამნაშავეებს პასუხი არ ვაგებინეთ, მაშინ მართლა მიმიფურთხებია ასეთი საზოგადოებისთვის, ასეთი პრინციპებისთვის და მონური აზროვნებისთვის.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რა გარანტია არსებობს, რომ მომავალი ხელისუფლება სააკაშვილის მსგავსად წინამორბედის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე თავს არ შეიკავებს?**

— ამის პირობას ვერავინ მოგვცემს, გარანტი უნდა ვიყოთ ჩვენ. ვიქნებით ფხიზლად? ყველაფერი დალაგდება, თუ არა და ყოველი მომდევნო ხელისუფლება ერთიმეორეზე უარესი შეიძლება აღმოჩნდეს. ფხიზლად ყოფნაში საზოგადოების სოლიდარობას ვგულისხმობ, რისი დეფიციტიც დღეს ნამდვილად არსებობს. ეს უნდა გადაილახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სანამ სხვისი ჭირი ღობის ჩხირი გვგონია და ყველაფერი ფეხებზე გვკიდია, საკუთარი თავის გარდა, ყოველთვის გამოჩნდება ვინმე სააკაშვილისნაირი მანიაკი, რომელიც ისე წამოგაჯდება თავზე, რომ ვერც კი გაიგებ, საიდან გაჩნდა. მერე მაგას გულზე მჯილისცემა არ შველის...

**— დღემდე ხელისუფლების უძლეველობას ოპოზიციის ნაწილი საზოგადოების სისუსტით ხსნიდა, რაც, ალბათ, გარკვეულწილად სინამდვილესაც შეესაბამება. ახლა რამდენად ძლიერია ჩვენი საზოგადოება არსებული გამოწვევების წინაშე, როგორ ფიქრობთ?**

— არაერთხელ მითქვამს, რომ ოპოზიციას არ უნდა, საზოგადოება იყოს ძლიერი და ერთიანი. მეტიც, როგორც ხელისუფლება მუშაობდა და მუშაობს ხალხის გასახლეჩად, წლების მანძილზე ოპოზიციაც არანაკლები მონდომებით იღწვოდა იმისთვის, რომ ეს მომხდარიყო.

**— და რაში სჭირდებოდა ეს ყველაფერი ოპოზიციას?**

— რაში სჭირდებოდა და ვინც მეტ-ნაკლებად ჩახედულია მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, კარგად იცის, **ოპოზიციას ძლიერი საზოგადოება ხელს აძლევს არჩევნების დროს, მერე კი ეს მისთვისაც ისეთივე თავსატეხია, როგორც ხელისუფლებისთვის.** მე არ ვგულისხმობ ყველას, მხედველობაში მყავს ოპოზიცის ოთხმოცდაათი პროცენტი, რომელიც ქმნის ფონს. ამათი პოლიტიკა არის ის, რომ მოდიან ცალ-ცალი კალოშით და ხდებიან მილიონერები. საიდან შოულობენ ერთი ამდენ ფულს, გაგვაგებინონ! ხელფასი, ანაზღაურება მათი ყველამ ვიცით... ახლა მე თქვენ გეკითხებით: უნდათ ასეთ ადამიანებს ძლიერი საზოგადოება?!




«პირადად სააკაშვილს, როგორც მეთაურს ამ კრიმინალური დაჯგუფების, გამზადებული აქვს შემზარავი განაჩენი. ვგულისხმობ სამართლებრივ განაჩენს, რასაკვირველია, მაგრამ, ვინაიდან მსაჯულის ფუნქციას ხალხი შეასრულებს, ეს განაჩენი იქნება უსასტიკესი და შემაძრწუნებელი»

**— დასასრულს, ისევ დამნაშავეების დასჯაზე გკითხავთ: არჩევნების შედეგები გასაგებია, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში პრეზიდენტად მაინც სააკაშვილი რჩება. ასეთ პირობებში ცოტა გადაჭარბებულად ხომ არ გეჩვენებათ საზოგადოების მოლოდინი, თითქოს „ნაცმოძრაობის“ ბედი ამ არჩევნებზე წყდება?**

— დიდი ხანია, „ნაცმოძრაობის“ ბედი ისედაც გადაწყვეტილია. ხალხმა ხელისუფლებას რეჟიმი რომ დაარქვა, ჯერ კიდევ მაშინ გამოუტანა სააკაშვილს განაჩენი. მერწმუნეთ, ახლა რაც უნდა ეცადონ და რამდენიც უნდა იფართხალონ, საბოლოოდ კარგი დასასრული არ ექნებათ. ახალაიათი დაწყებული, დამთავრებული კალმახელიძით, რომელსაც რეალურად არავინ არაფერს ეკითხებოდა და ჩვარივით იყო მაგ უწყებაში, საბრალდებო სკამი არ ასცდებათ. **პირადად სააკაშვილს, როგორც მეთაურს ამ კრიმინალური დაჯგუფების, გამზადებული აქვს შემზარავი განაჩენი. ვგულისხმობ სამართლებრივ განაჩენს, რასაკვირველია, მაგრამ, ვინაიდან მსაჯულის ფუნქციას ხალხი შეასრულებს, ეს განაჩენი იქნება უსასტიკესი და შემაძრწუნებელი.** ბოლოს ამ ადამიანს ან გული გაუსკდება, ან აღმოჩნდება საგიჟეში, ვინაიდან, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მისთვის იმდენად დაჟინებული, ამოჩემებული, მანიაკალური აკვიატებაა პრეზიდენტობა, თუ კი ეს ბედნიერება არ ექნება, დარწმუნებული ვარ, ცხოვრების ხალისსაც დაკარგავს.

**— ალბათ, დამეთანხმებით, რომ საზოგადოების მხრიდან მუდმივად საჭიროა გარკვეული წნეხი, რათა მომდევნო ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული იყოს დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.**

— ცხადია, ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხი კარნახობს მმართველ გუნდს, თუ რა არის პრიორიტეტული, ამიტომ, ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, მას მიმართულება ჩვენ უნდა მივცეთ. ამათზე არ მაქვს საუბარი, იმიტომ, რომ ესენი თვითონვე არიან დამნაშავეები და კრიმინალები, მხედველობაში მყავს ჭეშმარიტად დემოკრატიული ძალა, რომელიც აქამდე არ გვყოლია. **მე პირადად, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, როგორც ვერაგულად მოკლული შვილის მამა, ვაცხადებ, რომ არ გავჩერდები, სანამ ცოცხალი ვარ. სანამ ამ სისხლისმსმელების დასჯას არ მოვესწრები, არ გავჩუმდები... არ შევეგუები ამ მკვლელების, ჯალათების პარპაშს ქვეყანაში. მაშინ მე საკუთარი შვილის საფლავს უნდა გადავაბიჯო...**

**— იქნებ წნეხისა და ზეწოლის შემდეგ, რაც ამ დღეებში განიცადა ხელისუფლებამ, მიგვეცა შანსი სააკაშვილისთვის? გამორიცხავთ, რომ ასეთმა მძლავრმა ზემოქმედებამ, შესაძლოა, გარკვეულწილად შეარბილოს მმართველი გუნდის რიტორიკა?**

— თქვენ ხედავთ მაგის ნიშნებს? ჭეშმარიტად დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება მართლა შეცდომებზე სწავლობს და იწრთობა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ასე არ ხდება — ჯერ ერთი ესენი ვერასოდეს ვერაფერს ისწავლიან და მეორეც, აქ შეცდომებზე კი არა, უმძიმეს დანაშაულებზეა საუბარი. არ მინდოდა, ჯერ ამ თემას შევხებოდი, მაგრამ, რადგან დანაშაულებზე ვსაუბრობთ, აქვე, პირველად თქვენი გაზეთის საშუალებით, მკითხველს ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციასაც მივაწვდი: **ახლახან ლოპოტას ხეობაში რომ შეტაკება მოხდა, ყველამ იცის. იმ ინციდენტის შედეგად დაღუპული სოლომონ წიკლაურის დეიდა იყო რამდენიმე დღის წინ ჩემთან და ისეთი რამეები მომიყვა, რასაც საჯაროდ ჯერჯერობით ვერ ლაპარაკობენ. დაღუპულს უკან, ყურისძირში ჰქონდა თურმე ჭრილობა და ქალი თავს იკლავს, იქიდან არც ერთი ტყვია არ ყოფილა ნასროლიო. თვითონ ამათი მოკლულიაო, დარწმუნებულები არიან გარდაცვლილის ძმა სააკაშვილის პირად დაცვაშია და მანაც იცის, სინამდვილეში რაც მოხდა, მაგრამ თურმე ისეთი პირობები შეუქმნეს, ხმას ვერ იღებს:** კრედიტი გაუუქმეს, ბინა უყიდეს, ალბათ, ხელფასიც გაუზარდეს... ერთი სიტყვით, კაცი იყიდეს. მაპატიოს იმ ქალბატონმა, რომ ვარღვევ პირობას და ამაზე ხმამაღლა ვსაუბრობ, შეიძლება, არასწორად ვიქცევი, მაგრამ ახლა სიჩუმის დრო არ არის. თუ მე არ ამოვიღე ხმა, შენ არ ამოიღე ხმა, მაშინ საერთოდ რა აზრი აქვს სიმართლის ცოდნას?! მითუმეტეს ასეთი ფაქტები, იცით, რამდენია? **უამრავი ოჯახი ჰყავთ გაუბედურებული და იმის გამო, რომ ზოგი გაიყიდა, ზოგიც დაშინებულია, ბევრი რამ საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია.** ეს უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ, ეს უნდა მორჩეს, თორემ რეჟიმი კი არ დასუსტდება თავისთავად, რეჟიმი მუტაციას განიცდის. ხალხმა შეიძლება კიდევ არ იცის, სანამდე შეიძლება ამ ყველაფერმა მიგვიყვანოს. არადა, მერწმუნეთ, შესაძლოა, ბევრად უფრო დიდ სიმახინჯესა და უბედურებაში გადაიზარდოს არსებული სისტემა, თუმცა ამაზე დიდი სიმახინჯე ძნელი წარმოსადგენია...

«ესენი არიან სადისტები და სისხლში იხრჩობიან. კაცისკვლა, წამება, გაუპატიურება ამათი ცხოვრების წესია და, როგორც კუზიანს ვერ გაასწორებს ვერაფერი, სამარის გარდა, ადეიშვილის, მერაბიშვილის, ბოკერიასა და მათ გვერდით მყოფი სხვა ნაძირალების გამოსწორება შეუძლებელია»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„იმედს ვიტოვებ, რომ „ქართული ოცნება“ აღარ გაიმეორებს იმ შეცდომებს, რომლებიც საქართველოს ყველა წინა ხელისუფლებამ დაუშვა. როცა მმართველი პარტია ხელისუფლებაში მოდის, ის უკვე მთელი ქვეყნის ხელისუფლება ხდება. ეს საქართველოში ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გააცნობიერა.“**

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კახა კუკავა: «ნაცმოძრაობა» «აღორძინების» და «მოქალაქეთა კავშირის» ბედს გაიზიარებს

**„ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა და უპირობო გამარჯვება მოიპოვა. საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, დამარცხება აღიარა და „ნაციონალური მოძრაობის“ ოპოზიციაში გადასვლა ოფიციალურად გამოაცხადა. ხოლო, ცესკოს წინასწარი მონაცემებით, ქვეყანაში არსებულმა დანარჩენმა ოპოზიციურმა პარტიებმა საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს.**

**სამომავლო გეგმებისა და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ „თავისუფლი საქართველოს“ ლიდერს, კახა კუკავას, ესაუბრა, რომელიც უახლოეს მომავალში ქართული პოლიტიკიდან წასვლასაც არ გამორიცხავს.**



**«არა მგონია, 0,5%-იანი მხარდაჭერის ფონზე პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას აზრი ჰქონდეს»**

— „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მოიპოვა, მიხეილ სააკაშვილმა კი დამარცხება აღიარა. ალბათ, ხელისუფლებისგან მსგავს დემოკრატიულ ნაბიჯს საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილი თუ ელოდა...

— ასეთ შედეგს, ალბათ, არავინ ელოდა. **პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ ამ შედეგების მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი ციხეში პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოკადრების გამოქვეყნება გახდა.** მართალია, ხელისუფლებამ აღიარა დამარცხება, მაგრამ ეს ქვეყანაში არსებული დემოკრატიის შედეგი კი არ არის, არამედ უკვე სააკაშვილიც მიხვდა, რომ ხელისუფლების შენარჩუნება შეუძლებელია. ჯერ კიდევ 1 ოქტომბრის საღამოს ხელისუფლება საუბრობდა, რომ მყარ უმრავლესობას მოიპოვებდა, მაგრამ თავად „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებმა დაყარეს ფარ-ხმალი და სააკაშვილმა გადაწყვიტა, უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, ვიქტორ იუშჩენკოს, მსგავსად, ქართული საზოგადოების თვალში კეთილშობილურად გამოჩენილიყო.

**— ციხეებში პატიმრების წამების ამსახველმა ვიდეოკადრებმა განაპირობა „ქართული ოცნების“ უპირობო გამარჯვება თუ ამ ყველაფრის შემდეგ ხელისუფლებამ, უბრალოდ, უკან დაიხია?**

— სააკაშვილს საქართველოში მხარდამჭერები არ ჰყავდა. ხელისუფლების მიერ არჩევნებში მიღწეული წარმატება ყოველთვის ეფუძნებოდა ადმინისტრაციულ რესურსს და, როგორც კი ადმინისტრაციული რესურსი მოიშალა, ხელისუფლებამ წააგო. **რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ არჩევნებში მაინც ბევრ ხმას მოიპოვებდა, მაგრამ არა უმრავლესობას. ვინაიდან „ნაციონალური მოძრაობა“ ადმინისტრაციულ რესურსზე დაყრდნობით 50%-იანი ბარიერის გადალახვას, ალბათ, მაინც მოახერხებდა და იმის ლეგიტიმაციაც ექნებოდა, რომ არჩევნები გაეყალბებინა. დღეს კი ხელისუფლებამ არჩევნები ვერ გააყალბა, რადგან ციხის კადრების შემდეგ ხელისუფლებას სხვა გზა აღარ დარჩა.** ამას გარდა, სიტუაციაზე არანაკლებად იმოქმედა ბაჩო ახალაიას გადადგომამ. ხელისუფლებას, ადმინისტრაციული რესურსის გარდა, ჰქონდა კიდევ ერთი დასაყრდენი — დაუსჯელობის სინდრომი. მას თავის სამსახურში ჰყავდა ჩვეულებრივი კრიმინალები, რომლებმაც იცოდნენ, რაც არ უნდა ჩაედინათ, არ დაისჯებოდნენ. როდესაც ნახეს, რომ კრიმინალური ბანდის მეთაური ახალაია გადააყენეს, ბუნებრივია, ვითარება შეიცვალა.

— **აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამიერიდან** ქვეყანაში **დაუსჯელობის სინდრომი აღარ იარსებებს?**

— ჯერ ვერაფერს ვიტყვი. მინიმუმ, ერთი თვეა საჭირო, რათა გავიგოთ როგორი ხელისუფლება ჰყავს საქართველოს, რათა ვიცოდეთ, როგორი იქნება ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება ოპოზიციისადმი, ბიზნესისადმი, მედიისადმი, საზოგადოებისადმი. რამდენად მოხდება პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია. ეს ყველაფერი, ალბათ, ახალი პარლამენტისა და მთავრობის ფორმირების პროცესში გამოჩნდება.

**— იყო თუ არა სააკაშვილის საქციელი საერთაშორისო საზოგადოების ჩარევის შედეგი?**

— ნაწილობრივ შეიძლება იყო, მაგრამ, ძირითადად, მაინც ქვეყნის შიგნით გადაწყდა ყველაფერი. **უცხოელებს მიხეილ სააკაშვილის მიმართ სერიოზული კრიტიკული დამოკიდებულება არ ჰქონიათ. უბრალოდ, სააკაშვილს ძალის გამოყენების რესურსი აღარ დარჩა.** როცა ხელისუფლების მეხოტბეებიც, რომლებიც ლოიალობით გამოირჩეოდნენ, დედას აგინებდნენ პირდაპირ ეთერში, რა გარანტია ჰქონდა ხელისუფლებას, რომ, როცა სპეცრაზმს ოპოზიციის მიტინგის დარბევას დაავალებდა, ეს სისასტიკე უკან არ მიუბრუნდებოდა? **ციხეებში პატიმრების წამების ამსახველი კადრების შემდეგ, სააკაშვილის, როგორც რეფორმატორისა და დასავლური კურსის მიმდევარის, მითიც დაიმსხვრა.**

სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ძალაუფლებით ტკბობას მიეცა. როცა გამოაცხადა, რომ ჩარეცხილები ხართ და ყიყინებთ, ვისაც განსხვავებული აზრი გაქვთო, უკვე გასაგები იყო, რომ ეს რეჟიმი თავის არსებობას ასე დაამთავრებდა. **ივანიშვილსაც დაემართება თუ არა იგივე ეიფორია, არ ვიცი. ვნახოთ, როგორ მოექცევა ოპონენტებს, განსხვავებულ აზრს, მედიას. უახლოეს მომავალში დასკვნების გაკეთება უკვე შეგვეძლება.**

**— მიუხედავად იმისა, რომ „თავისუფალი საქართველოს“ 40-მდე მაჟორიტარობის კანდიდატმა, „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, ცოტა ხნის წინათ ბიძინა ივანიშვილმა მაინც ხელისუფლებასთან კავშირში დაგადანაშაულათ. როგორ წარმოგიდგენიათ ახალ საპარლამენტო უმრავლესობასთან ურთიერთობა?**

— ჩვენ გავმართეთ ბრიფინგი და არჩევნებში დამარცხება ვაღიარეთ. საზოგადოებამ არჩევანი გააკეთა ერთადერთ პოლიტიკურ ძალაზე, რამაც დანარჩენი პოლიტიკური ოპოზიციის სრული გაკოტრება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, **ჩვენზე არ არის დამოკიდებული, როგორი ურთიერთობა გვექნება მომავალში. ეს დამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილზე: რა ტიპის პოლიტიკურ სისტემას ჩამოაყალიბებს — ღია პოლიტიკურ სისტემას, სადაც პლურალიზმი იქნება ნებადართული, თუ დახურულ პოლიტიკურ სისტემას, სადაც ხელოვნურად შერჩეული რამდენიმე მოთამაშე იქნება და სხვა დანარჩენების მარგინალიზაცია მოხდება.** დღეს ეს მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, უახლოეს მომავალში ყველაფერი გამოჩნდება.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენ მიმართ ივანიშვილის კრიტიკული დამოკიდებულება რამ განაპირობა?**

— ალბათ, იმან, რომ მან ერთი პოლიტიკური ძალა ჩამოაყალიბა. თავად განსაზღვრა მისი შემადგენლობა და საარჩევნო კამპანიის პირველ ეტაპზე ყველა დანარჩენის — „შუა უნდა გაიკრიფოს“ პრინციპი აირჩია.

**— უმცირესობაში მყოფ „ნაციონალებთან“ როგორი ურთიერთობა გექნებათ?**

— ვფიქრობ, „ნაციონალური მოძრაობა“ ამ სახელწოდებით არსებობას შეწყვეტს და, ალბათ, „აღორძინების“ და „მოქალაქეთა კავშირის“ ბედს გაიზიარებს. „ნაციონალების“ ნაწილი, ალბათ, „ქართულ ოცნებას“ შეუერთდება, ხოლო ნაწილი უპარტიო დეპუტატად გააგრძელებს საქმიანობას. ვილაცებმა კი, შესაძლოა, საერთოდ დატოვონ პარლამენტი. მაგალითად, არა მგონია, აკაკი ბობოხიძე ახალ პარლამენტში შევიდეს და თავისი საქმიანობა იქ გააგრძელოს.

**— აღნიშნეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დაიშლება, მიხეილ სააკაშვილის როლი მომავალ პოლიტიკურ პროცესებში როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ალბათ, იგივე იქნება, რაც ედუარდ შევარდნაძის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სააკაშვილი საზღვარგარეთ რომელიმე ფეშენებელურ რეზიდენციაში იცხოვრებს. **მიხეილ სააკაშვილმა დაასრულა თავისი პოლიტიკური არსებობა და ახლა ცდილობს უსაფრთხოებისა და ფინანსური ხელშეუხებლობის გარანტიების მიღებას.**

**— მიიღებს ამ გარანტიებს?**

— ვფიქრობ, მიიღებს და, სავარაუდოდ, ის პრეზიდენტის პოსტს ვადაზე ადრე დატოვებს.

**— რაც შეეხება დანაშაულში ეჭვმიტანილ ხელისუფლების წევრებს, მათ რა ბედი ელით?**

— არა მგონია, მასობრივი ანგარიშსწორება მოხდეს, თუმცა რაღაც საჩვენებელი პროცესები, ალბათ, გაიმართება.

**— პირველ რიგში, რა პრობლემები უნდა გადაწყვიტოს „ქართულმა ოცნებამ“?**

— პირველ რიგში, უნდა მოხდეს პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია. ეროვნული თანხმობის პროცესი უნდა დაიწყოს, რადგან სამოქალაქო დაპირისპირება ჩვენს ქვეყანას თრგუნავს. **ვინაიდან გამარჯვებით ტკბობა დიდ ეიფორიასთანაა ხოლმე დაკავშირებული, არ ვიცი, „ქართული ოცნება“ აცნობიერებს თუ არა, მაგრამ დღეს გაიმარჯვა არა „ქართულმა ოცნებამ“, არამედ ქართველმა ხალხმა.**

თუ „ქართული ოცნება“ ეროვნული თანხმობის პროცესს დაიწყებს, ეს ერთი გზა იქნება, მაგრამ, თუ ჩათვლიან, რომ ეს გამარჯვება ქართული ოცნების, ანუ ერთი პოლიტიკური გუნდის რეიტინგმა განაპირობა, მაშინ, ალბათ, მოვლენები ისევე განვითარდება, როგორც 2004 წელს. ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. ამიტომ უახლოესი ერთი თვე ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა პროცესები განვითარდება ქვეყანაში. **იმედს ვიტოვებ, რომ „ქართული ოცნება“ აღარ გაიმეორებს იმ შეცდომებს, რომლებიც საქართველოს ყველა წინა ხელისუფლებამ დაუშვა. როცა მმართველი პარტია ხელისუფლებაში მოდის, ის უკვე მთელი ქვეყნის ხელისუფლება ხდება, ეს საქართველოში ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გააცნობიერა.**

**— თქვენმა პარტიამ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა. მეტიც, ამომრჩეველთა ხმების ძალიან დაბალი პროცენტი მოიპოვა. ელოდით ასეთ შედეგს?**

— ასეთ შედეგს არ ველოდით. ერთადერთი, რაც გვანუგეშებს, ისაა, რომ სხვა ოპოზიციურმა პარტიებმაც დაბალი პროცენტი მოიპოვეს. გამოდის, რომ ქართულმა საზოგადოებამ ერთ პოლიტიკურ ძალაზე შეაჩერა არჩევანი. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები — როგორც ბიძინა ივანიშვილის პირადი რეიტინგი, ასევე მიხეილ სააკაშვილის ანტირეიტინგი, ფინანსები და ა.შ.

**— „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა განაცხადა, რომ მისი გუნდის დამარცხების შემთხვევაში პოლიტიკიდან წავიდოდა. რას აპირებს კახა კუკავა?**

— ჩვენი პარტიის „თავისუფალი საქართველო“ არც ერთი წევრის და მათ შორის არც კახა კუკავას თვითმიზანი და იდეაფიქსი არ არის ქართულ პოლიტიკაში ყოფნა. მე არ ვარ ისეთი პოლიტიკოსი, ზოგიერთივით თავი გავიმარგინალო. **ჩვენ ახლა მიზეზების ძებნას არ დავიწყებთ, თუ რატომ არ დაგვიჭირეს მხარი. ფაქტია, რომ ქართულმა საზოგადოებამ უნდობლობა გამოგვიცხადა. ეს დღესავით ნათელია.** ჩვენ ცოტახანს კიდევ დავაკვირდებით პოლიტიკურ პროცესებს და, თუ დავინახავთ, რომ ქართულ საზოგადოებას არ ვჭირდებით, ნამდვილად არ ვაპირებთ, ჩვენი თავი საზოგადოებას ძალით თავს მოვახვიოთ.

ჩვენ ხმების 0,5% მოვიპოვეთ და 0,5%-იანი პარტია არ შეიძლება პოლიტიკაში არსებობდეს. არა მგონია, 0,5%-იანი მხარდაჭერის ფონზე პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას აზრი ჰქონდეს. თუ დავინახეთ, რომ ვითარება შეიცვალა, შევეცდებით, მომავალ პოლიტიკურ პროცესში ჯანსაღი ფუნქცია ვიტვირთოთ.

**«ჩვენზე არ არის დამოკიდებული, როგორი ურთიერთობა გვექნება მომავალში. ეს დამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილზე: რა ტიპის პოლიტიკურ სისტემას ჩამოაყალიბებს — ღია პოლიტიკურ სისტემას, სადაც პლურალიზმი იქნება ნებადართული, თუ დახურულ პოლიტიკურ სისტემას, სადაც ხელოვნურად შერჩეული რამდენიმე მოთამაშე იქნება და სხვა დანარჩენების მარგინალიზაცია მოხდება»**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

საქართველო და მსოფლიო

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში კი იმთავითვე აშკარა იყო, რომ ასპარეზობა ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგაც გაგრძელდება. მთლიანობაში ეს საინტერესო სურათს ქმნიდა, ყველაფერი თითქოსდა სრულდებოდა, თუმცა საზოგადოების 99% დარწმუნებული იყო, რომ „ყველაფერი" სწორედ ახლა იწყება.**

# არჩევნების ნაციონალური თავისებურებანი



## ადამ მიხნიკი: იმას, რაც თბილისის ქუჩებში ვნახე, მსოფლიოს კაპიტალითაც კი ვერ იყიდი

**დასავლეთში არსებობდა სტერეოტიპი – საქართველოს საშინაო საკითხებს დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რადგან სააკაშვილი და მისი გუნდი პროდასავლურ ძალას წარმოადგენს , მაგრამ გუშინ ეს სტერეოტიპი დაიმსხვრა, - ამის შესახებ ცნობილმა პოლონელმა უფლებადამცველმა, გაზეთ „ვიბორჩას" რედაქტორმა, ადამ მიხნიკმა რადიო „პალიტრის" ეთერში, გადაცემაში — „აქ და ახლა" განაცხადა.**

მისივე თქმით, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილი ყველაფერს ყიდულობდა, თუმცა, რაც თბილისის ქუჩებში ნახა, მიხნიკის შეფასებით, მსოფლიო კაპიტალიც ვერ იყიდის იმას.

**„დასავლეთის შეხედულებებში შესაძლებელია ცვლილებები. ივანიშვილის გუშინდელი განცხადება იყო ნათელი სიგნალი დასავლეთისთვის, რომ საქართველო მიდის ევროკავშირისკენ და მისი საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეიცვლება. ასევე, მნიშვნელოვანი იყო, რომ ივანიშვილის გამოსვლაში გაიჟღერა ფრაზამ — არ იქნება რევანშიზმის განწყობები, იგი ორიენტირებული იქნება თანამშრომლობაზე და მნიშვნელოვანია ის სიტყვებიც, რომ ყველა მოქალაქისთვის საქართველო ერთია. ის, რაც ვნახე, 100%-ით ნიშნავს იმის გამოხატულებას, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება არსებობს. ძალაუფლებას ხშირად ნარკოტიკის მსგავსი ზემოქმედების ეფექტი აქვს და მასთან ბრძოლის ერთადერთი წამალია სამოქალაქო საზოგადოება",** — განაცხადა ადამ მიხნიკმა.

ცნობილი პოლონელი უფლებადამცველი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივებსაც შეეხო. მისი შეფასებით, ემოციები პოლიტიკურ ურთიერთობას ხელს უშლის.

**„რა თქმა უნდა, რუსეთი პასუხისმგებელია იმ მოვლენებზე, რაც მოხდა, რადგან ის არის დიდი ქვეყანა. რასაც მე საქართველოში ვხედავ, ეს არის ახალი დერეფანი, რომელიც ხელს შეუწყობს ახალ პარტნიორულ ურთიერთობებს და პრობლემების მოგვარების დასაწყისს. თუნდაც ის, რომ ივანიშვილმა კაპიტალი რუსეთში დააგროვა, არ ნიშნავს, რომ იგი პუტინის კაცია. ხადარკოვსკიმ, რომელიც დღეს რუსეთში პატიმარია, კაპიტალი აშშ-ში დააგროვა",** — აღნიშნა ადამ მიხნიკმა.

**1-2 ოქტომბრის მოვლენებმა უკანა პლანზე გადაწია ყველაფერი, რაც საქართველოში არჩევნებამდე ხდებოდა. არადა, წინასაარჩევნო ბოლო კვირა ანალიზისთვის საკმაოდ საინტერესოა. ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, ამ მეტად დაძაბულ დღეებზეც ვისაუბროთ, მითუმეტეს, რომ იმას, რაც ბოლო 48 საათის განმავლობაში მოხდა, „საქართველო და მსოფლიოს" დღევანდელ ნომერში არაერთი წერილი მიეძღვნა.**



### ჰა ბურთი, ჰა სტადიონი

როდესაც ხუთი თვის წინ (30.05.12) ერთად ვმსჯელობდით იმაზე, თუ რით შეიძლება უპასუხოს სააკაშვილმა „ქართული ოცნების" ხალხმრავალ აქციებს, „საქართველო და მსოფლიო" წერდა: **„საბიუჯეტო ორგანიზაციებში სრული მობილიზაციის ჩატარებით და რეგიონებიდან პარტაქტივისტების ჩამოყვანით მან, იდეაში, შეიძლება ხალხმრავალი მიტინგი მოაწყოს (არის ინფორმაცია, რომ წინასაარჩევნოდ სტადიონის გავსებას გეგმავენ), მაგრამ ამ „ნაცმობილიზაციას" იმდენი მამხილებელი სკანდალური ვიდეოჩანაწერი და „მხარდამჭერების" აღიარება მოჰყვება, რომ სიტუაცია ანეგდოტური გახდება და სააკაშვილს კიდევ ერთხელ მოუწევს იმის მტკიცება, რომ „ეს ხალხი ძალით არავის მოუყვანია". საზოგადოების განხილვის საგნად ისევ გადაიქცევა არა საკუთრივ ღონისძიება, არამედ „იძულება მხარდაჭერისადმი"** (ციტატის დასასრული).

ინფორმაცია სტადიონზე თავყრილობის გამართვის თაობაზე 100%-ით დადასტურდა, მაგრამ აქ სხვა რამ არის საინტერესო: **სააკაშვილმა ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ სცადა, ივანიშვილისთვის სიმეტრიული პასუხი გაეცა, მიუხედავად იმისა, რომ აპრიორი ცხადი იყო, რომ ამდენ მხარდამჭერს თავს ერთად ვერ მოუყრიდა, ხოლო იძულებითი „ნაცმობილიზაცია" საყოველთაო დაცინვის საგანი გახდებოდა.**

აქ, ალბათ, ერთი ნიუანსი უნდა გავითვალისწინოთ — **ნაცოდვილარი „სტადიონის აქცია"** (ისევე, როგორც „ნაციონალების" სასწრაფო წესით დაგეგმილი თავყრილობა ზუგდიდში) **არა იმდენად ქართულ, რამდენადაც უცხოურ აუდიტორიაზე იყო გათვლილი.** მარტივად, რომ ვთქვათ, სააკაშვილს, უპირველეს ყოვლისა, სჭირდებოდა „კარტინკა", რომელიც დაადასტურებდა, რომ მას საკმაო რაოდენობის მხარდამჭერი ჰყავს, რათა ცესკოს მიერ გახმოვანებული ციფრები, ქვეყნის ფარგლებს გარეთ, „სავსებით ლოგიკურად" წარმოეჩინა. **ის, თუ როგორ აღიქვამდა „იძულებას მხარდაჭერისადმი" ქართული საზოგადოება, მისთვის, სავარაუდოდ, მეორეხარისხოვანი იყო.**

**რაც შეეხება „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო ბოლო შეხვედრას თბილისში, ის ძალიან მასშტაბური გამოდგა და მის ანალოგს ეროვნული მოძრაობის პერიოდში თუ მოვძებნით.** ორგანიზატორებმა, ალბათ, დაუშვეს შეცდომა, როდესაც აქციის ჩატარების სტანდარტული შაბლონი გამოიყენეს; კამპანიის კულმინაცია, იდეაში, განსხვავებული, განსაკუთრებული ფორმების მოძებნას მოითხოვდა. თუმცა, ამ ხარვეზის მიუხედავად, მომიტინგეთა შემართებამ და მართლაც რომ ეპიკურმა რაოდენობამ ბიძინა ივანიშვილს შესაძლებლობა მისცა, წინასაარჩევნო პერიოდი წარმატებით დაესრულებინა.

**ზოგიერთი კომენტატორი ივანიშვილის შტაბს შეცდომად უთვლის იმას, რომ „გლდანიგეიტის" შემდეგ მოწინააღმდეგის „ფეხზე წამოდგომის" შესაძლებლობა მისცა, პოლიტიკური ტემპერატურა მაქსიმუმამდე არ აწია, უწყვეტი, ხალხმრავალი საპროტესტო აქციების ტალღა არ ააგორა და ხელისუფლება** (კერძოდ, მისი დაბალი და საშუალო რგოლი, რომელსაც „გლდანიგეიტის" პირველ დღეებში სრულ რღვევამდე ძალიან ცოტა აკლდა) **„ქუჩიდან" მუდმივი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არ მოაქცია.** წინაპირობები ამისთვის, საზოგადოების განწყობის გათვალისწინებით, ნამდვილად არსებობდა და ამ სტრატეგიას, ერთი შეხედვით, არაერთი ბონუსის მოტანა შეეძლო, თუმცა ის მნიშვნელოვნად ზრდიდა იმის ალბათობას, რომ არჩევნებამდე დიდი შეხლა-შემოხლა და არეულობა მოხდებოდა, სრულმასშტაბიანი ესკალაცია კი შეიცვლიდა ივანიშვილის პირვანდელ, ძირითად გეგმას, რომელიც ნებისმიერ ფასად არჩევნებამდე მისვლას ითვალისწინებდა, და „ქართული ოცნების" ლიდერი გამწვავებაზე არ წავიდა.

**სექტემბრის ბოლო რიცხვებში იგრძნობოდა, რომ მხარეები ძალებს პოსტსაარჩევნო კრიზისისთვის ზოგავდნენ.** განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც არჩევნები არ ყალბდება, ამ პერიოდში პარტიები ისე იქცევიან, როგორც სპორტსმენები ფინიშის სწორზე და მთელ დარჩენილ ენერგიას დისტანციის ბოლო მონაკვეთზე ხარჯავენ. **საქართველოში კი იმთავითვე აშკარა იყო, რომ ასპარეზობა ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგაც გაგრძელდება. მთლიანობაში ეს საინტერესო სურათს ქმნიდა, ყველაფერი თითქოსდა სრულდებოდა, თუმცა საზოგადოების 99% დარწმუნებული იყო, რომ „ყველაფერი" სწორედ ახლა იწყება.** სახეზე იყო უცნაური, ტრანზიტული ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა უკიდურესი დაღლილობა და მზადება ბრძოლისთვის, რომელიც გაცილებით მეტი ენერგიის დახარჯვას მოითხოვს.

### არა არს დაფარული, რაიც არ გაცხადდების

**ბოლო წინასაარჩევნო კვირამ ე.წ. კომპრომატების ომის ნიშნით ჩაიარა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ჩანაწერები, რომლებიც ბადრი პატარკაციშვილისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრებს ასახავდა და ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა.**

ჩანაწერს, რომელშიც ასახულია ხელისუფლების წარმომადგენელთა აშკარა ჩარევა ორი, ფორმალური თვალსაზრისით დამოუკიდებელი, ტელეკომპანიის მფლობელების ურთიერთობაში ან **მათი მცდელობა, შეფარული მუქარით მიუთითონ მსხვილ ბიზნესმენს, როგორ მოიქცეს** (უგულავას ეპიზოდი), **ბევრ სხვა ქვეყანაში მათ გადადგომას** (ან იმპიჩმენტს) **ავტომატურ რეჟიმში გამოიწვევდა. თანამედროვე საქართველოში ასეთი რამ აშკა-** ▶

**სააკაშვილმა ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ სცადა, ივანიშვილისთვის სიმეტრიული პასუხი გაეცა, მიუხედავად იმისა, რომ აპრიორი ცხადი იყო, რომ ამდენ მხარდამჭერს თავს ერთად ვერ მოუყრიდა, ხოლო იძულებითი «ნაცმობილიზაცია» საყოველთაო დაცინვის საგანი გახდებოდა**

## დიმიტრი მედვედევი: საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვებამ აჩვენა, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას ცვლილებები სჭირდება

საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვებამ აჩვენა, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას ცვლილებები სჭირდება. „რია ნოვოსტის" ცნობით, ამის შესახებ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა. მისივე შეფასებით, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი ბევრად მრავალფეროვანი გახდება. „არჩევნების შედეგები მოწმობს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას ცვლილებები სჭირდება. თუ ეს შედეგები რეალური გახდება, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი ბევრად მრავალფეროვანი იქნება. **ეს მხოლოდ მისასალმებელია და იმას ნიშნავს, რომ პარლამენტში გაცილებით კონსტრუქციული და პასუხისმგებლობის მქონე ძალები შევლენ",** — განაცხადა მედვედევმა. მისივე განმარტებით, „ედინაია რასია", როგორც რუსეთის წამყვანი პოლიტიკური ძალა, რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებზე დიალოგისთვის მზად არის.

**„ედინაია რასიას" მუდმივად ჰქონდა კონტაქტი საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან",** — აღნიშნა მედვედევმა.

პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მალე შეიძლება გავრცელდეს ჩანაწერი, რომელიც პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის ოფიციალურ ვერსიას გააცამტვერებს.

◀ რა კრიმინალად არ ითვლება. **ჩვენ, როგორც ჩანს, მაინც და მაინც იმის დანახვა გვჭირდება, თუ როგორ კლავს ხელისუფალი თავის მსხვერპლს ნაჯახით, თუმცა ამ შემთხვევაში ეს მთავარი არ არის.** აშკარა იყო, რომ ჩანაწერები, რომლებიც საერთო შეხვედრებს ასახავს (სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ჟვანიას მონაწილეობით) საზოგადოებას მხოლოდ ნაწილობრივ უჩვენეს. იქ, „უგულავას ეპიზოდისგან" განსხვავებით, არც შეხვედრის დასაწყისი და არც მისი დასასრული ჩანდა. **ბუნებრივად გაჩნდა და ფართოდ გავრცელდა ეჭვი, რომ მონაკვეთები, რომლებიც ეთერში არ გავიდა, ხელისუფლებისთვის გაცილებით უსიამოვნოა და მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე პირდაპირ მიუთითებს.**

ამას დაემატა ხმები იმის თაობაზე, რომ **მალე შეიძლება გავრცელდეს ჩანაწერი, რომელიც პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის ოფიციალურ ვერსიას გააცამტვერებს.**

შესაბამისად, საზოგადოების დიდ ნაწილში გაჩნდა მოლოდინი, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ამ ჩანაწერებსაც იხილავდა, თუმცა ეს არ მოხდა.

ეს სკანდალური ფირები ძალიან დიდი ალბათობით მართლაც არსებობს და ამას კომპეტენტური წყაროებიც ადასტურებენ (თუ ვინმეს ეჭვი ეპარება „საქართველო და მსოფლიოს" ინფორმირებულობაში, შეუძლია ოდნავ ზემოთ დააკვირდეს ცნობას „ნაციონალების" „სტადიონის აქციის" შესახებ, რომელიც მის ჩატარებამდე 5 თვით ადრე გამოქვეყნდა). მაგრამ აქ, ალბათ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ **მამხილებელი ჩანაწერი, რომელიც გასაჯაროებული არ არის, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ერთგვარი გარანტია, რომ მასზე დაფიქსირებული თანამდებობის პირი მოიქცევა ისე, როგორც სურს მას, ვინც ჩანაწერს ფლობს.** ზოგიერთ სიტუაციაში პაუზის გაკეთება უფრო მომგებიანია, ვიდრე მომენტალური მხილება ან მუხტის აწევა; ამ აზრმა შეიძლება ოდნავ ცინიკურად გაიჟღეროს, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ, ეს ქართული პოლიტიკაა.

აქ ჩვენ საინტერესო დილემას მივუახლოვდებით: **ერთის მხრივ,** ჩვენ გვაქვს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი და ყველა ჩანაწერის დაუყოვნებლივი ხილვის სურვილი; **მეორე მხრივ** კი — პოლიტიკური მიზანშეწონილობა, რომელიც პაუზის გახანგრძლივებას მოითხოვს. წამით წარმოვიდგინოთ, რომ (თუნდაც) 28 სექტემბერს საღამოს ეთერში გავიდოდა კადრები, რომლებიც ხელისუფლების უმაღლესი პირების დანაშაულებრივ ქმედებას ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებდა. ამას, დიდი ალბათობით, საპროტესტო დემონსტრაციების მეცხრე ტალღა, შეტაკებები და, სავარაუდოდ, არჩევნების ჩაშლა მოჰყვებოდა. **ცხადია, ვერაფერი გაამართლებს ამ ჰიპოთეტური ჩანაწერების სამუდამო მიჩქმალვას** (დანაშაულის დაფარვა დანაშაულია), თუმცა **დროის კონკრეტულ მონაკვეთში მათი არგამომზეურების უკან გარკვეული ლოგიკა ნამდვილად იდგა.** ამასთანავე, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბრძოლა ხელისუფლებისათვის 1 ოქტომბერს არ დასრულებულა.

**არის კიდევ ერთი, ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ მნიშვნელოვანი ასპექტი; „ვარდების რევოლუცია" სააკაშვილის გუნდიანად ამერიკული პროექტი იყო. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი** (ყველა ნამდვილად არა) **მამხილებელი მასალა ქართველი მაღალჩინოსნების შესახებ ძია სემმა შეიძლება აღიქვას ისე, თითქოს მას მთელი პლანეტის დასანახად სახეში შეაფურთხეს. მიუხედავად იმისა, თბილი ურთიერთობა ექნება საქართველოს და აშშ-ს მომავალში თუ ცივი, ამის გაკეთება ნების მიერ შემთხვევაში არასასურველია.**

გამოუქვეყნებელი „ბომბი"-კომპრომატი შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან რესურსად საიდუმლო დიპლომატიური ვაჭრობის დროს, მისი სასწრაფო გასაჯაროების შემთხვევაში კი ეს შესაძლებლობა დაიკარგება.

ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საზოგადოებამ არ უნდა მოითხოვოს სააკაშვილის მმართველობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საეჭვო ეპიზოდის გამოძიება და მამხილებელი ინფორმაციის გასაჯაროება, მაგრამ **ის, რომ სკანდალური ჩანაწერების დარჩენილი ნაწილის სავარაუდო მფლობელმა არჩევნებამდე დარჩენილ რამდენიმე დღეში არაფერი გამოაქვეყნა, მის პოლიტიკურ ალღოსა და წინდახედულებაზე მიუთითებს.** ეს ძალზე პარადოქსული და საინტერესო ვითარებაა, რომელიც დემოკრატიისა და ეროვნული უსაფრთხოების (სწორედ უსაფრთხოების და არა პოლიტიკის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს) ძირითადი პრინციპების მიჯნაზე შეიქმნა.

## აუდიოჩაწერის ნაციონალური თავისებურებები

ხელისუფლების მოქმედება „კომპრომატების ომში" ე.წ. სურმავას ჩანაწერების ფართო ტირაჟირებით განსაკუთრებულ ყურადღებას, ალბათ, არ იმსახურებს: მათი ნამდვილობა (პატარკაციშვილის ფარული ჩანაწერებისგან განსხვავებით) სერიოზული ეჭვის ქვეშ დგას, თანაც არანაირი კრიმინალი ამ საუბრებში არ არის, ისინი, მაქსიმუმ, ზოგიერთი პოლიტიკოსის ცუდ აღზრდაზე მიუთითებს. **სახელისუფლო პროპაგანდა ამ ფირების გავრცელებით, სავარაუდოდ, ორი ძირითადი მიზნის მიღწევას ცდილობდა: საზოგადოების ყურადღების გაფანტვას, რომელიც პატიმრების წამების სკანდალურ კადრებზე და პატარკაციშვილის ჩანაწერებზე იყო კონცენტრირებული, და ნიჰილიზმის დათესვას პრინციპით: „ჩვენ ცუდები ვართ, მაგრამ ისინიც ცუდები არიან".**

ერთადერთი, მეტ-ნაკლებად საინტერესო ნიუანსი, რომელიც „სურმავას ჩანაწერებს" უკავშირდება, ისაა, რომ კოალიციური პარტნიორების ლანძღვაში მონაწილეობს ყველა, რესპუბლიკური პარტიის საკვანძო ფიგურების გარდა. აქედან გამომდინარე, **ან ის უნდა დავუშვათ, რომ ისინი არასოდეს ლანძღავენ პოლიტიკურ პარტნიორებს** (მათ, ვისაც „რესპების" ელიტასთან შეხება ჰქონია, ეს ვარაუდი, ალბათ, დიდად გააკვირვებს), **ან კიდევ უნდა ვიფიქროთ, რომ ის, ვინც ამ ფირებს ავრცელებდა** („ქართული ოცნების" ვერსიით, ეს ხელისუფლება იყო)**, თავისი ჭკუით, რესპუბლიკელების ავტორიტეტს უფრთხილდებოდა ან, სულაც, ოპოზიციურ კოალიციაში მათ თავის ბუნებრივ მოკავშირედ აღიქვამდა.** ამ ფუნდამენტზე ძალიან ბევრი კონსპიროლოგიური სპეკულაციის დაფუძნება შეიძლება, მაგრამ, რადგან ეს ჩანაწერები განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახურებს, ამჯერად დროის ეკონომიის მიზნით ჩავთვალოთ, რომ რესპუბლიკელების ლიდერები ციით მოვლენილი ანგელოზების თვისებებს ავლენენ და შესაბამის ლექსიკას იყენებენ.

**კითხვა — „თუ ფაბრიკაციას მიმართავდნენ, რატომ არ შექმნეს რაიმე უფრო წონადი?"** — უპასუხოდ დარჩა. ამის მიზეზი შეიძლებოდა ზოგადი უნიჭობა ყოფილიყო ან კიდევ ის, რომ ოპონენტის ხელთარსებული უსერიოზულესი კომპრომატი (რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ) სახელისუფლო ბანაკის მკვეთრ მოძრაობებს ბლოკავდა. არსებითი მნიშვნელობა ამას უკვე აღარ აქვს, თუმცა **მხარეს, რომელიც სახელმწიფო მანქანას სრულად აკონტროლებდა, ბოლო დღეებში, არჩევნების წინ, იდეაში, გაცილებით ძლიერი სვლის გაკეთება შეეძლო.**

წინასაარჩევნო ბოლო კვირა მეტად დაძაბული გამოდგა, თუმცა 1 ოქტომბერს საარჩევნო უბნების გახსნისთანავე ის პრაქტიკულად სრულ დავიწყებას მიეცა, რადგან საზოგადოებას აღარაფერი აინტერესებდა არჩევნების შედეგებისა და იმ პროცესების გარდა, რომელთაც ისინი დასაბამს მისცემდნენ. **სავარაუდოდ, ძალიან ბევრი დრო გავა, ვიდრე ჩვენ სრულ ინფორმაციას მივიღებთ საიდუმლო პარტიაზე, რომელიც სექტემბრის ბოლო დღეებში, უშუალოდ არჩევნების წინ გათამაშდა,** თუმცა ვიდრე წარსულის რეკონსტრუირებას დავიწყებთ (ამას გარკვეული დროის შემდეგ აუცილებლად გავაკეთებთ), ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, ყველა ის პრობლემა მოვაგვაროთ, რომლებიც პოსტსაარჩევნო აწმყოში გვაქვს.

**დიმიტრი მონიავა**



**ხარვეზის მიუხედავად, მომიტინგეთა შემართებამ და მართლაც რომ ეპიკურმა რაოდენობამ ბიძინა ივანიშვილს შესაძლებლობა მისცა, წინასაარჩევნო პერიოდი წარმატებით დაესრულებინა**

**ერთადერთი, მეტ-ნაკლებად საინტერესო ნიუანსი, რომელიც «სურმავას ჩანაწერებს» უკავშირდება, ისაა, რომ კოალიციური პარტნიორების ლანძღვაში მონაწილეობს ყველა, რესპუბლიკური პარტიის საკვანძო ფიგურების გარდა**



## რიჩარდ ნორლანდი: აშშ მოუთმენლად ელოდება თანამშრომლობას ახალ პარლამენტსა და ახალ მთავრობასთან

**ჩვენ მიგვაჩნია, რომ გუშინდელი არჩევნები ქართველი ხალხის გამარჯვება იყო, — ამის შესახებ ჟურნალისტებს აშშ-ის ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა განუცხადა. მისივე განმარტებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს სჯერა, რომ ეს არჩევნები ქართველი ხალხის ნებას გამოხატავს.**

როგორც ნორლანდმა აღნიშნა, მისთვის ცნობილია, რომ ხმების დათვლა და აპელაციების განხილვა ისევ მიმდინარეობს და იმის მიხედვით, თუ როგორ წარიმართება პროცესები, ეს აისახება საბოლოო შეფასებებში.

**„ჩვენ გვინდა მივულოცოთ ქართველ ხალხს წარმატებით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, რადგან ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე. მიგვაჩნია, რომ გუშინდელი არჩევნები ქართველი ხალხის გამარჯვება იყო. არჩევნები იყო ნამდვილად თანაბარი ძალის პოლიტიკური აქტორების მონაწილეობით და შედეგად ჩვენ ვიხილავთ ახალი კონფიგურაციის პარლამენტს, ახალი კონფიგურაციის ძალთა გადანაწილებას საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში",** — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

მისივე თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები მოუთმენლად ელოდება მჭიდრო თანამშრომლობას ახალ პარლამენტსა და ახალ მთავრობასთან, რომელიც საარჩევნო პროცედურების დასრულების შემდეგ დაკომპლექტდება.

**„დარწმუნებული ვართ, თანამშრომლობა ახალ პარლამენტთან კიდევ უფრო გააღრმავებს ისედაც ძლიერ, ორმხრივ ურთიერთობებს საქართველო-ამერიკას შორის. ჩვენ ვულოცავთ პრეზიდენტ სააკაშვილს, რომ მისი ხელმძღვანელობით საქართველომ დემოკრატიული განვითარების გზაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ასევე ვულოცავთ ბიძინა ივანიშვილს, საპარლამენტო არჩევნებში მისი პოლიტიკური კოალიციის, „ქართული ოცნების" წარმატებას. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს პოლიტიკური პროცესის ორივე მხარეს იმისთვის, რომ ითანამშრომლონ, რათა ქართველი ერის უკეთესი მომავალი ერთობლივი ძალისხმევით ააშენონ",** — აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

მოკლედ

## კენეტ ვოლაკი: ამომრჩევლის არჩევანზე დიდი გავლენა ციხის სკანდალმა მოახდინა

**საპარლამენტო არჩევნების დროს ამომრჩევლის არჩევანზე დიდი გავლენა მოახდინა ციხის სკანდალმა, — ამის შესახებ NDI-ის პრეზიდენტმა, კენეტ ვოლაკმა სასტუმრო „რედისონში" გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.** ასე უპასუხა ვოლაკმა ჟურნალისტების კითხვას, რატომ ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობასთან" შედარებით დაბალი შედეგები „ქართულ ოცნებას" NDI-ის კვლევებში. როგორც კენეტ ვოლაკმა განმარტა, NDI-ის კვლევები გარკვეულწილად ფოტოა და ერთ კონკრეტულ პერიოდში ამომრჩევლის განწყობას ასახავს.

**„გარდა ამისა, ბოლო პერიოდის კვლევებში ძალიან მაღალი იყო იმ მერყევი ამომრჩევლის პროცენტული მაჩვენებელი, რომელსაც ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა, ვის მიანიჭებდა უპირატესობას. გარდა ამისა, ყველა დამეთანხმება, რომ ამომრჩეველზე დიდი გავლენა ციხის სკანდალმა მოახდინა. კვლევისა და არჩევნების შედეგებს შორის სხვაობის განმარტება გარკვეულწილად შეიძლება ეს იყოს",** — აღნიშნა კენეტ ვოლაკმა.

NDI-ს სადამკვირვებლო დელეგაციამ საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა. ორგანიზაციამ 1-ლი ოქტომბრის არჩევნები ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე კონკურენტულად და პლურალისტური საკანონმდებლო ორგანოს ჩამოყალიბების მიმართულებით წინ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა.

რეპორტაჟი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„28 სექტემბერს თბილისში სტადიონის შესავსებად ხალხი რომ ჩამოიყვანეს, ვიცი და პირადად დაგიმოწმებთ, რომ ბევრი „მეოცნებე“ ფრიად მადლობელი დარჩა, იმიტომ, რომ... უფასოდ ჩამოიყვანეს „ქართული ოცნების“ აქციაზე დასასწრებად, რომელიც მეორე დღეს, 29 სექტემბერს, უნდა გამართულიყო.“**

# სამი დღე, რომელმაც დაძრა მიხეილი

**ეს დღე 2012 წლის პირველი ოქტომბერი იყო, რომელსაც სამი ადამიანის, მაჟორიტარობის სამი კანდიდატის: თემურ ჭკუასელის (ჩოხატაური), ეკა ბესელიას (ფოთი) და გურამ ოდიშარიას (სენაკი) სამი დღის განწყობის ჭრილში წარმოგიდგენთ.**





## წინა დღით

**თემურ ჭკუასელი:**

**— სააკაშვილმა გურიაში ჩასვლას რომ მოუხშირა, ფაქტია. ეტყობა, იმედი არა აქვს, რომ გურულებს თავისკენ შეაბრუნებს. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, როცა ორი დღის წინათ ოზურგეთში მასთან შესახვედრად მობილიზებული მოსახლეობის „მიშა, მიშას!“ არცთუ გულიანი შეძახილების ფონზე გარკვევით გამოიკვეთა: „მიშა, წასული ხარ!“.**

**რა იყო ეს: სპონტანური წამოძახება თუ იმ განწყობილების გამოხატვა, რომელიც გურიაში არჩევნების წინა დღეს შეიმჩნეოდა?**

— ორივე ერთად — სპონტანური შეძახილიც და საერთო განწყობილების გამოხატვაც. იმ შეკრებაზე რამდენიმე ადამიანი „ქართული ოცნების“ მაისურებითაც კი იყო მისული.

**— მიშას ეკალივით ჩაესობოდა... მაგრამ, მაინც რომ მივიდნენ, ამას რა ახსნა მოეძებნება?**

— ასეთია გურულების ტრადიციული ცნობისმოყვარეობა და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილს უჭერენ მხარს „ქართული ოცნების“ მაისურებით მისული ადამიანები.

**სააკაშვილის მხარდაჭერაზე რომ ლაპარაკობენ, მეცინება. კაცი ქვეყნის პრეზიდენტად ითვლება და, წესით, ყველა პარტიას თანაბრად უნდა უჭერდეს მხარს. ასეთია დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპი. მაგრამ ეს კაცი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზეა“ დაციკლული და ამათი პრეზიდენტი გამოდის პრაქტიკულად...** მაგრამ ეს ცალკე თემაა.

28 სექტემბერს თბილისში სტადიონის შესავსებად ხალხი რომ ჩამოიყვანეს, ვიცი და პირადად დაგიმოწმებთ, რომ ბევრი „მეოცნებე“ ფრიად მადლობელი დარჩა, იმიტომ, რომ... უფასოდ ჩამოიყვანეს „ქართული ოცნების“ აქციაზე დასასწრებად, რომელიც მეორე დღეს, 29 სექტემბერს, უნდა გამართულიყო.

*(ვიცინით).*

გურიიდან საღამოსკენ ჩამოვედი თბილისში, იმ დროს, როცა ხალხი გამოდიოდა სტადიონიდან და ფეხით რომ მიუყვებოდა ქუჩას, როგორც ფეხბურთის მატჩის შემდეგ ხდებოდა ხოლმე.

**— მახსოვს.**

— გადმოვედი მანქანიდან და ჩემს სამგზავრო ნივთებთან ერთად ჩემი წინასაარჩევნო გაზეთიც გადმოვიტანე. 41 დიდად იყო დაბეჭდილი პირველ გვერდზე. ერთმა ქალბატონმა შენიშნა. შეჩერდა. შემომხედა და მითხრა:

— თქვენ ჭკუასელი ბრძანდებით, თემური?

— დიახ-მეთქი, — ვუპასუხე.

— 41 დავინახე გაზეთზე. ახლა სტადიონიდან მოვდივარ, მიშას შეკრებიდან, და წარმატებას კი თქვენ გისურვებთო.

ასეთი განწყობაა გურიაშიც და თბილისშიც.

**— 29-ში თქვენ, „ქართულმა ხმებმა“, საქართველოს ჰიმნი იმღერეთ და საზეიმოდ გახსენით „ქართული ოცნების“ დასკვნითი აქცია. თქვენი ნამღერი ჰიმნით გაიხსნა ფილარმონიის დიდ დარბაზში „ქართული ოცნების“ პირველი „გამოსვლა ხალხში“. იყო რაიმე განსხვავება ამ ორ ნამღერს შორის?**

— ემოციის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არა. მაშინ იყო თოხის პირველი დაკვრის განწყობილება, 29-ში — სვრელის გატანის. ხვალ ველოდებით მოსავალს.

**— ვინაა თქვენი კონკურენტი ჩოხატაურში?**

**— ქალბატონი მანანა ჯინჭარაძე. მადლობა მინდა გადავუხადო მას იმიტომ, რომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: მე ხალხს ველაპარაკები, ჩემი კონკურენტი მღერის და უნდა აღვნიშნო, რომ ეს ძალიან კარგად გამოსდისო. გმადლობთ, ქალბატონო მანანა!**

ჩვენი კოლეგაა.

*(პაუზა).*

ეგაა და ეგ... დანარჩენი ხალხმა გადაწყვიტოს. განწყობა თუ მაქინაციებით არ გააყალბეს არჩევნები, გამარჯვება გარანტირებული გვაქვს.

**— მაქინაციებით?!**

— თუნდაც მოსყიდვებით. ღამ-ღამობით ფულს ურიგებდნენ ამომრჩევლებს. ამის დამადასტურებელი ვიდეოკადრები დამკვირვებლებს გადავეცი. 150 ლარი წინასწარ მისცეს, ერთი ამდენს არჩევნების შემდეგ დაჰპირდნენ. სასამართლოშიც ვიჩივლეთ, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ კანდიდატს ჩვენი სასამართლო არჩევნებიდან რას მოხსნიდა...

**— გაიყიდნენ გურულები?**

**— არა! ხალხს ვეუბნებოდი, მიშა თქვენ ფულს გირიგებთ, ამიტომ სინდისმა არ შეგაწუხოთ, აიღეთ, ხმა კი ჩვენ მოგვეცით. ამაზე გურულებს ულვაშებში ეღიმებოდათ.**

**— რაც თანხმობას ნიშნავს?**

— მე მგონი, ასეა.

**— გაიმარჯვებთ? ამას გეკითხებით არჩევნების წინა დღეს.**

— რომ გითხრათ, ცუდი განწყობილება მაქვს-მეთქი, არ ვიქნები მართალი.

**აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ.**

**რუბიკონი გადალახულია!**

უშუალოდ საარჩევნო უბნებზე გაყალბება გურიაში ნაკლებად მომხდარა. აქ სხვა სიტუაციაა, განსაკუთრებით, ჩოხატაურის რაიონში, სადაც პატარა სოფლებია და სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. მათი ნების გამოხატვას ვერავინ ხელს ვერ შეუშლის. მით უფრო, რომ ძალიან ბევრი დამკვირვებელია, დამფიქსირებელი და გადამღები. თუმცა სად და როგორ უნდა გადაიღონ, როცა საარჩევნო უბნები ისეთ პატარა ოთახებშია მოთავსებული, რომ სამი კაცი ერთად ვერ დაეტევა. აი, ფანჯრებს თუ გახსნიან და ქუჩიდან თუ გადაიღებენ, მაშინ — ჰო *(ეღიმება).*

**არჩევნები უნდა მოვიგოთ. ოზურგეთში სააკაშვილის შემაჯამებელი მიტინგისთვის სამივე რაიონიდან 2500-მდე ადამიანი შეკრიბეს. ამაზე მეტი ჩემთან შეხვედრაზე მოვიდა.**

**— მიშას ედრებით?**

— როგორ გავბედავ! *(იცინის)* მიშა პრეზიდენტია!

**— როგორი დღე იქნება ხვალ — მშვიდი თუ დაძაბული?**

— ერთია სურვილი — გვინდა, რომ მშვიდი დღე იყოს და ყველაფერი აქეთკენ მიდის. მაგრამ... აი გუშინ, 29-ში, მშვიდი დღე იყო ქუთაისში, მაგრამ ვიღაც გადარეული მიტინგის შემდეგ მანქანით შევარდა ხალხში.

ასეთი გადარეულები, როგორც ჩანს, მოიძებნებიან „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში. ასეთი ექსცესები, მე, მაგალითად, ვთვლი, რომ იქნება, მთავარია, ბევრი არ იყოს.

**— ვითომ დაუპირისპირდებიან გურულები ერთმანეთს მიშას გამო?**

— ძალიან საინტერესო ხალხია გურულები, პოლიციაშიც კი. ჩემი ერთი მხარდამჭერი 20 აგვისტოს დააპატიმრეს. მიზეზად დაუდეს ბახმაროში 19 აგვისტოს, დოლის დროს მომხდარი ინციდენტი.

ჩვენ რომ არ დაგვასწრეს, ხომ გახსოვთ?

**— „ნაცმოძრაობის“ დღესასწაულიაო.**

— დიახ. მიუსაჯეს 90 დღე.

**— აუჰ!**

— ასე იყო. ოზურგეთის სასამართლოდან, სადაც პროცესი გაიმართა, ჩოხატაურში ჩამოიყვანეს და იქ ჰყავთ ახლა, პოლიციაში. ჰოდა, მოვიდნენ ჩვენთან პოლიციელები, მოვიდნენ და გვითხრეს, გვეყოლებაო ძალიან კარგად. შეგიძლიათ ნებისმიერ დღეს მობრძანდეთ სანახავად, მოუტანოთ მოსაკითხი და ასე შემდეგ.

**ის პოლიციელები აქ ცხოვრობენ და ისეთი დაპირისპირებები სამეზობლოში, რომლებიც სხვაგან ხდება, გურიაში გამორიცხულია.**

**— ჰოდა, გაიმარჯვეთ. რას იმღერებენ გურულები გამარჯვების დღეს?**

— რას იმღერებენ, არ ვიცი, მაგრამ მე მინდა, რომ იმღერონ „ბურთის გამარჯვება“. არის ასეთი სიმღერა, ლელობურთში გამარჯვებული სოფელი რომ მღერის.

**მე ვუსურვებ ყველა გურულს, „ბურთის გამარჯვება“ გვემღეროს.**

**— სიტყვები თუ გახსოვთ?**

— გურულ სიმღერებს, პრაქტიკულად, ტექსტი არ აქვს. რაც მოუნდებათ, იმას იმღერებენ, ოღონდ იუმორის დიდი დოზით.

ის ბიჭი რომ დაიჭირეს, ვისზეც გელაპარაკეთ, თავი ვალდებულად ჩავთვალე, მივსულიყავი მის დედასთან, დამემშვიდებინა, გამემხნევებინა.

შეხვედრა რომ მქონდა გორაბერეჟოულში, სადაც ეს ოჯახი ცხოვრობს, იმ ქალბატონის შეკითხვას ვუპასუხე და ასე დავამთავრე: ყველაფერი ძალიან კარგად იქნება, ქალბატონო!

ჰოდა, მივედი დაჭერილი ბიჭის დედასთან და პირველი, რაც ვუთხარი, ეს იყო:

— ხომ გითხარით, ქალბატონო, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

*(ვიცინით)*

დედამაც აიტაცა ეს მწარე იუმორი:

— აბა, აბაო...

იუმორი ყველა გაჭირვებას გადაატანინებს ადამიანს.



**სატელეფონო ხაზზეა ეკა ბესელია:**

**— როგორ აფასებთ, ქალბატონო ეკა, მიხეილ სააკაშვილის მიერ „ტაძრის ექსკურსიამძღოლობის“ შეთავსებას?**

— მისი ეს ბოლო ვიზიტი ფოთში, რიგით მეხუთე, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო სამარცხვინო იყო. ხალხი მოტყუებით მიიყვანეს მოედანზე, უთხრეს, რომ პატრიარქი აპირებდა ჩამობრძანებას ტაძრის კურთხევაზე.

**სააკაშვილმა გადაწყვიტა, არჩევნებამდე ორი დღის ადრე უშუალო მონაწილეობითა და მკრეხელური მცდელობით გადაერჩინა მაჟორიტარობის თავისი კანდიდატი — რომელი ქარხანა და ფაბრიკა იყო ფოთის ტაძარი, სააკაშვილმა რომ მისი გახსნა მოინდომა?! სამარცხვინო იყო, როცა „მიშა მაგარია“ სიმ-** ▶

# „ხალხს მოზეზრდა წლების მანძილზე უცვლელი რაიონის ხელმძღვანელობა. დაიღალა. ცვლილებებისკენ ისწრაფვის ხალხი. ყველაზე მეტად უძრაობის სიტუაცია სამეგრელოს რეგიონში მაინც და მაინც სენაკის რაიონშია. არსად და არაფერში ეტყობა რაიმე ცვლილება. სრულიად გაჩანაგებულია ეკონომიკა, უწინ სახელგანთქმული საწარმოებიდან არაფერი მუშაობს.“

რეპორტაჟი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ღერის ფონზე ტაძარში შეუძლვა თავის მცირერიცხოვან მომხრეებს?!**

ასეთი აქცია, რომლითაც სააკაშვილი თავისი შერყეული პოზიციის გამყარებას ცდილობდა, შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა ჩვენი ქალაქის მოსახლეობისთვის.

ფოთელებზე, რომლებიც გამოირჩევიან განათლებულობითა და შინაგანი კულტურით, ტრადიციების ერთგულებითა და მართლმადიდებლური რწმენით, ასეთი იაფფასიანი ტრიუკები და მეთოდები არ მოქმედებს.

**დარწმუნებული ვარ, რომ ფოთის მოქალაქენი ხვალ გააკეთებენ სწორ არჩევანს და მთელ საქართველოს მისცემენ მაგალითს, თუ როგორ უნდა დაუჭირონ მხარი პროგრესს, დემოკრატიას, სიკეთეს და თავიანთ ღირსეულ კანდიდატს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებაში.**

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ხელისუფალის მცდელობა, შეეცვალა ვითარება ფოთში თავის სასარგებლოდ, წარუმატებელი აღმოჩნდა.

**— თქვენი კონკურენტი, თენგიზ სარიშვილი, როგორც ცნობილია, არაერთხელ შეეცადა ამომრჩევლების მოსყიდვას. ცესკო დუმს. ფოთიც დუმს?**

— გუშინ განიხილა სწორედ ეს საკითხი სასამართლომ და, მიუხედავად იმისა, რომ იურისტებმა უტყუარად დაადასტურეს ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტები „ნაცმოძრაობის“ მხრიდან, რაც ვიდეოფირზეცაა ჩაწერილი, 3 საათის განხილვის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება — უარი თქვა ჩვენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გუშინ **კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საქართველოში დამკვიდრებული უსამართლობის ჯაჭვში სასამართლო არის ერთ-ერთი მთავარი რგოლი.**

მე ვფიქრობ, რომ ფოთში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს ჰქონდა არაჩვეულებრივი შანსი, გამოსულიყო იმ ფრიად უარყოფითი სიტუაციიდან, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ირგვლივ შეიქმნა, არ ყოფილიყო იდენტიფიცირებული იმ ძალასთან, რომელიც ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო სასტიკი და კრიმინალური ძალა, მაგრამ რახან ეს არ გააკეთა და მასთან ერთად დარჩა ბოლომდე, ალბათ, მასთან ერთად დაასრულებს პოლიტიკურ კარიერას.

**— როგორ ატყობთ, გაყალბდება ფოთში არჩევნები?**

— აპირებენ. გაყალბების სხვადასხვა სქემა აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“, მაგრამ ჩვენც დამუშავებული გვაქვს შხამსაწინააღმდეგო საშუალებები. ხვალ ყველა უბანზე იმუშავებს ტელეკამერები, რაც საშუალებას მოგვცემს, დავაკვირდეთ მთელ პროცესს, იქ იქნებიან ჩვენი წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოელი მეთვალყურეები. **ვფიქრობ, რომ გაყალბების ყველა მცდელობა კრახით დასრულდება, გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“ და ამით გაიმარჯვებს, კერძოდ, ფოთიც და სრულიად საქართველო.**




**— მოსალოდნელია დაპირისპირება ფოთში?**

— არაფერი არ უნდა გამოვრიცხოთ. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. მაგრამ **უკვე იგრძნობა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დასრულებულია.**



**გურამ ოდიშარია. სენაკი.**

**— სააკაშვილის მიერ სენაკის იგნორირება ხომ არ ნიშნავს, რომ იგი დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში ამ რეგიონში?**

— არა მგონია, რომ გაიმარჯვოს, თუმცა მას აქ აქვს თავისი რეზერვი — ოთხ ათასამდე ჯარისკაცი და სამხედრო მოსამსახურე არის განლაგებული სენაკის ბაზაზე. ამის იმედი აქვს.

მაგრამ შიდა გამოკითხვებმა გვაჩვენა, რომ სენაკში „ქართული ოცნება“ და მისი მაჟორიტარი კანდიდატი ლიდერობს. ბოლო გამოკვლევა ორი-სამი დღის წინათ ჩატარდა. ხალხის განწყობა შესანიშნავია, ყველანაირად ჩვენთან არიან. **ხალხს მოზეზრდა წლების მანძილზე უცვლელი რაიონის ხელმძღვანელობა. დაიღალა. ცვლილებებისკენ ისწრაფვის ხალხი.**

**ყველაზე მეტად უძრაობის სიტუაცია სამეგრელოს რეგიონში მაინც და მაინც სენაკის რაიონშია. არსად და არაფერში ეტყობა რაიმე ცვლილება. სრულიად გაჩანაგებულია ეკონომიკა, უწინ სახელგანთქმული საწარმოებიდან არაფერი მუშაობს.**

**— გაყალბებას შეძლებენ?**

— ეს არის მათი ბოლო იმედი — როგორმე მასობრივად გააყალბონ არჩევნების შედეგები. სამი დახურული უბანია სენაკის რაიონში. ერთი, როგორც გითხარით, ჯარია, სადაც არავინ შეგვიშვა და, მაშასადამე, ჯარისკაცებთან შეხვედრის არავითარი საშუალება არ გვქონდა. და არც ჩვენი დამკვირვებლები გვეყოლება იქ. ამიტომ ვერავინ შეედავება, „ნაცმოძრაობის“ თუნდაც ასპროცენტიანი მხარდაჭერა რომ აჩვენონ.

**— ქუთაისში იქნებოდით გუშინ აქციაზე...**

— ვიყავი, როგორ არა.

**— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ძალიან ამაღლებული და საზეიმო განწყობილება ჰქონდა ხალხს, რომელიც უამრავი ოდენობით იყო წარმოდგენილი. ბატონ ბიძინას სიტყვას, რომელიც მან თბილისში წარმოთქვა, ყველამ ყურადღებით მოუსმინა. ჩვენ, მაჟორიტარობის კანდიდატები, სცენაზე ვიდექით. მოლოდინი, იმედი ძალიან დიდია.

**— რახან მომავალი მაჟორიტარები ახსენეთ, შეგეკითხებით: გუბაზ სანიკიძე, რომელიც თქვენთან ერთად იდგა, ხომ არ დაითრგუნა იმ პროვოკაციული, შეთითხნილი, ბინძური ჩანაწერის პუბლიკაციით, რომლებიც ე. წ. კომპრომატად შემოაგდო ხელისუფლებამ?**

— არა. არავითარი გულგატეხილობა. შემართული იყო გუშინაც ისე, როგორც ყოველთვის. „ნაციონალური“ ტელეარხების ეს პროვოკაცია არავითარი დიდი დატვირთვის მატარებელი არ არის და ვერც სერიოზულ გავლენას მოახდენს ვინმეზე.

## პირველი ოქტომბერი

**სატელეფონო ხაზზეა თემურ ჭკუასელი.**

**ნაშუადღევია.**

**— როგორ მიმდინარეობს არჩევნები, ბატონო თემურ?**

მშვიდობიანად. იმდენად მშვიდობიანად, რომ ხალხი ნერვიულობს, რატომ არაფერი ხდებაო ***(იცინის).*** ჩოხატაურში შუალედური გამოკითხვით 67 პროცენტით „ქართული ოცნება“ იგებს.

**— მაჟორიტარები?**

— ხვალ გეტყვით.

**— დარღვევები არ არის?**

— სერიოზული დარღვევა არ მომხდარა, შედარებით უმნიშვნელო — იყო, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა. მაგალითად, დაფიქსირდა ისეთი კალმისტრების არსებობა, რომლებითაც შემოხაზული წრეები ქრება.

**— ჭორი მეგონა.**

— მართალი აღმოჩნდა.

**— ამომრჩევლების აქტიურობა როგორია?**

— როგორც ამბობენ, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი აქტიურობაა საქართველოში.

**— ვემზადებით, „ბურთის გამარჯვების“ სამღერლად?**

— ის დროა!..

**სატელეფონო ხაზზეა ეკა ბესელია.**

**საღამო ხანია.**

**— როგორ ხასიათზე ხართ, ქალბატონო ეკა?**

— ძალიან კარგ, ძალიან კარგ განწყობაზე ვარ.

**— ესე იგი, ტაძრის ექსკურსიამძღოლმა სააკაშვილმა სიტუაცია სათავისოდ ვერ შეაბრუნა?**

— ვერა, ვერა. **ფოთი ძალიან ღირსეულად იცავს თავის პოზიციას. 3 საათისთვის ყველაზე მაღალი მხარდაჭერა ჩვენ გვქონდა.**

(აქ წყდება ჩვენი საუბარი, ქალბატონი ეკა ამბობს, რომ რაღაც აცნობეს და ცოტა ხანში დამიკავშირდება... ათი წუთის შემდეგ ზარია ფოთიდან).

— იყო მცდელობა, რომ ყალბი პირადობის მოწმობებით შეეყვანათ უბანზე ამომრჩევლები, — **მაცნობებს ქალბატონი ეკა,** — აღვკვეთეთ.

**— დაპირისპირება ხომ არ არის მოსახლეობაში?**

— არა, არავითარი დაპირისპირება, არავითარი. მაგრამ დარღვევების ძალიან ბევრი ფაქტია. ასზე მეტი საჩივარი დაწერეს ჩვენმა წარმომადგენლებმა.

**— ეს შეცვლის საერთო სურათს?**

— ახლა მთავარია, დარჩენილ 2 საათში აღვკვეთოთ გაყალბების ახალი მცდელობები. მაგრამ **ვითარება ისეთია, რომ შეუძლებელია რაიმემ შეცვალოს საერთო სურათი.**

**სატელეფონო ხაზზეა გურამ ოდიშარია**

— არნახული დარღვევები სენაკში, — **შენიშნავს ბატონი გურამი,** — ძალიან დიდი. ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ დაშინების გზით მიაღწიონ მათთვის სასურველ შედეგს. **მთელი ღამის განმავლობაში პოლიციიდან ურეკავდნენ ჩვენს დამკვირვებლებს აშინებდნენ: ფული გაქვთ აღებული და 2 ოქტომბერს, ე.ი. ხვალ გამოცხადდით პოლიციაში დასაკითხადო.**

**ეს ამ ხელისუფლების ხელწერაა.**

ამასთან ერთად ცესკომ, რომელსაც ჩვენი დამკვირვებლების 270-კაციანი სია დროულად გავუგზავნეთ, 113 დაგვაკლეს — მანდატი არ მისცეს მოვალეობის შესასრულებლად. ზუგდიდსაც დააკლეს, სხვა რაიონებსაც.

**მთელი დასტა გვაქვს მასალების, როგორ ყრიდნენ ყალბ ბიულეტენებს ურნებში. დაფიქსირებული გვაქვს ამომრჩევლებისთვის ფულის დარიგების ფაქტებიც.**

და, რაც მთავარია: ჩვენთან განლაგებული ჯარის ნაწილები ხმას აძლევდნენ მხოლოდ პარტიულ სიებს. ახლა ნება დაურთავთ მაჟორიტარებისთვის ხმის მიცემის. გასაგებია, რომ ამით ხმების დიდ „მოსავალს მოიმკიან“. იმდენ ათასს დაუმატებენ, რამდენსაც მოისურვებენ. ვინმე შეამოწმებს, თუ რა?

**— ფიქრობთ, რომ ზოგიერთ უბანზე დარღვევების გამო შეიძლება გაუქმდეს შედეგები?**

— ზოგიერთ უბანზე შეიძლება გაბათილდეს. უამრავი დარღვევაა. უბნების დახურვამდე კი ორი საათია დარჩენილი.

**ჩვენს ხმებს ახლა დაცვა სჭირდება.**

ეგზიტპოლების წარმომადგენლებს სენაკში „ნაციონალები“ მასპინძლობდნენ. მაჟორიტარობის კანდიდატი მისაბიშვილი, მისი ოჯახის წევრები დახვდნენ ზოგიერთ უბანში. ეს ფაქტი ჩვენმა დამკვირვებლებმა დააფიქსირეს.

## დღე მესამე

**ბატონ თემურ ჭკუასელს უკვე შეიძლება მივულოცოთ გამარჯვება**

**— იღებთ მოლოცვებს?**

— ვიღებ, ვიღებ. ბევრი მირეკავს, მადლობას ვეუბნები ყველას. **მადლობელი ვარ თქვენი გაზეთის, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ვაჟკაცურად მხარში ამომიდგა.**

**— ახლა საით? ანუ რას მეტყვის გამარჯვებული თემურ ჭკუასელი?**

**ბატონმა თემურმა ნოდარ დუმბაძის აღმოჩენილი „მარადისობის კანონის“ ციტირებით მიპასუხა:**

„ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული... რამეთუ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ქვეყანაზე...“

* * *

**საოცარ გამარჯვებას ვულოცავ ქალბატონ ეკა ბესელიას ჩვენი რედაქციის სახელით:**

— ფოთელების მხარდაჭერა არნახულია! საქართველოს საზღვაო კარიბჭემ კარი გაუღო ახალ ეტაპს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

გმადლობთ, გმადლობთ! **მადლობა „საქართველო და მსოფლიოს“ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი.**

* * *

**ბატონი გურამ ოდიშარია ამბობს, რომ არჩევნების მეორე დღეს თავს ისე გრძნობს, როგორც ფრონტის წინა ხაზზე მყოფი მებრძოლი:**

— ვებრძვით ტოტალურ გაყალბებას მთელ სამეგრელოში: მხოლოდ ფოთში ვერ მოახერხეს ამის გაკეთება და ქალბატონმა ეკამ უპირობოდ გაიმარჯვა.

**— ეგზიტპოლების მიხედვით, თქვენ 13 პუნქტით უსწრებდით კონკურენტს: 53 პროცენტი 40 პროცენტზე, ასეთი იყო შეფარდება.**

— სააკაშვილმა რომ განაცხადა მაჟორიტარებში ვუგებთო „ქართულ ოცნებასო“, ამის შემდეგ დატრიალდა გაყალბების მანქანა. **წარმოუდგენელ სიყალბეს ჩადიან სააკაშვილის ერთგული ჩინოვნიკები.**

**— ხომ არ ეგუებით?**

— არა, რასაკვირველია. შევაგროვეთ ყველა დამადასტურებელი ფაქტი, დოკუმენტი, ვიზუალური მასალა და გადავცემთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. **ვიბრძოლებთ ბოლომდე!**

P.S.
მესამედ მოსვლა

**„მესამე ანგელოზმა დაუკრა ბუკი და ციდან ჩამოვარდა დიდი ვარსკვლავი, გახურებული ჩირაღდანივით იწვოდა, და დავარდა მდინარეების მესამედ ნაწილზე და წყალთა წყაროებზე. ამ ვარსკვლავის სახელი იყო აბზინდა“.** (გამოცხ. 8, 10-11)

**ნაცების აბზინდა ჩამოვარდა ხელისუფლების კაბადონიდან.**

**არმაზ სანებლიძე**



საქართველო და მსოფლიო

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„90 წლის კაცი ვარ და ამ ბოლო დროს ერთი ბედნიერი სახე არ მინახავს ქუჩაში! არ ვერევი პოლიტიკაში, არ მინდა ეს პოლიტიკა! ერთი ბერიკაცი ვარ, რომელსაც ცხოვრებაში უამრავი ქარტეხილი დაატყდა თავს, მარა, რომ არ მეშვება ეს პოლიტიკა? დაუპატიჟებელი სტუმარივით შემომივარდება სახლში და სიბერეს მიმწარებს! არის ჩემი საშველი?!“**



# დავით გოგობერიშვილი: ასეთი სისასტიკე გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკშიც არ მინახავს

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ფაშისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვედნამყოფი ვეტერანების მიმართვა, რომელშიც მათ მკაცრად დაგმეს „ნაცხელისუფლების“ მიერ გლდანის მერვე საპყრობილეში ჩადენილი სასტიკი დანაშაული. რამდენიმე დღის შემდეგ დავუკავშირდი ერთ-ერთ მათგანს, დავით გოგობერიშვილს, და შეხვედრაზე შევუთანხმდი.**
**ახლა ბატონი დავითი 90 წლისაა. ვზივართ ძველი ავეჯით გაწყობილ მყუდრო ოთახში და აუჩქარებლად ვბაასობთ. ჩემი მოსაუბრე იხსენებს ტყვეობაში გატარებულ წლებს და ყოველი ეპიზოდის თავსა და ბოლოში იმეორებს:**
**„თუ გატყუებდე, დედას გეფიცები!“.**
**მართლაც ურთულესი ცხოვრება განვლო ბატონმა დავითმა. როგორია, სამჯერ მოგისაჯონ დახვრეტა და სამივეჯერ სასწაულებრივად გადარჩე!..**



— ტყვედ ჩავვარდი სტალინგრადთან, უფრო ზუსტად, პატარა ქალაქ მილეროვთან 1942 წლის 7 სექტემბერს. ჩვენი ბატალიონი ალყაში მოექცა. თავგანწირულმა ბრძოლამ შედეგი ვერ მოგვიტანა. აბა, რას გახდებოდი, როცა მოწინააღმდეგის 7 ტანკი გადმოდის იერიშზე, შენ კი ხელში მხოლოდ შაშხანა გიჭირავს.

**ტყვედჩავარდნილ საბჭოთა მეომრებს გერმანელებმა გვარიანად სცემეს და ფეხით გარეკეს უცნობი მიმართულებით.**

— თუ გატყუებდე, დედას გეფიცები, 35 დღის განმავლობაში პური არ გამისინჯავს. ბევრი ტყვე შიმშილისგან დაიხოცა!

როგორც იქნა, მივაღწიეთ ბელორუსიის ქალაქ ბორისოვოს. 21 კაცი შეგვყარეს ფინურ ბარაკში. აქედან ცხრა ქართველი ვიყავით, 12 კი — უზბეკი. მეორე დილას აგვაყენეს და გამოგვიცხადეს, რომ დასახვრეტად უნდა წავეყვანეთ. იმდენი გაჭირვება მქონდა გადატანილი, რომ ამ ამბავს გულგრილად შევხვდი. თუ გატყუებდე, დედას გეფიცები!

**მაგრამ დავით გოგობერიშვილს ბედმა გაუღიმა. ღმერთმა უწყის საიდან, იქ აღმოჩნდა გერმანელი პოლკოვნიკი ვიღაც სამოქალაქო პირის თანხლებით.**

— აი, მაგ სამოქალაქოში გამოწყობილმა კაცმა რაღაც უთხრა სამხედროებს. გვყავდა ასეთი — გუგუ ბედია, რომელმაც გერმანული იცოდა. უცებ სახე გაებადრა და გვითხრა: ბიჭებო, გადავრჩითო! ამ სამოქალაქო პირმა თქვა, რატომ უნდა დახვრიტოთ, არ ჯობია, სამუშაოებზე წავიყვანოთ, ისედაც არ გვყოფნის მუშახელიო.

**ტყვეებს დაურიგეს ნიჩბები, წერაქვები და დაავალეს სანგრების გათხრა.**

— 1943 წლის იანვარში გერმანელებმა გადაწყვიტეს ჩვენი გადაყვანა პოლონეთში, კერძოდ, ქალაქ სედლიცაში. გაგვახდევინეს საბჭოთა სამხედრო ფორმა და ჩეხური ჩაგვაცვეს. ფეხებზე ხის ხუნდები დაგვადეს, შორს რომ ვერ გავქცეულიყავით. მიგვიყვანეს რკინიგზის სადგურში და შეგვყარეს სატვირთო ვაგონში. მისი კედლები თეთრად იყო შეღებილი, ხოლო იატაკზე სველი ნახერხი ეყარა. დაიძრა მატარებელი. ისე შეგვცივდა, რომ ველარ ვჩერდებით. ხის ხუნდები ვაგონის კარის სახელურებზე დავამტვრიეთ და ცეცხლი წავუკიდეთ.

**— ასანთი გქონდათ? ეს ხომ დეფიციტი იყო!**

— არა, ერთმა უზბეკმა სათბუნებლის ბამბა გახეხა და ასე მივიღეთ ცეცხლი. მაგრამ ერთ უბედურებას — სიცივეს, მეორე — კვამლი დაემატა. ლამის დავიხრჩვით! როგორც იქნა, ჩავედით.

**პოლონეთიდან ტყვეები დასავლეთ გერმანიაში გადაიყვანეს.**

— ქალაქ ზიგენთან არის ადგილი, რომელსაც აიროსბერგერი ერქვა. იქ რკინის საბადოები იყო. ყოველ ღამით ჩავდიოდით მაღაროში, 900 მეტრის სიღრმეში და იქიდან რკინის მადანი გამოგვქონდა. დღეღამეში გვაჭმევდნენ კარტოფილის ნათალის ნახარშს; ამას ემატებოდა 300 გრამი პური და 25 გრამი შაქარი. 80 კაციდან 40 დაუძლურებისგან დაიღუპა. მათ შორის იყვნენ ჩემი მეგობრები: გუგუ ბედია, შოთა სამხარაძე და თეოფილე ბერიკაშვილი. ალბათ, მეც დავიღუპებოდი, მაგრამ 1944 წლის სექტემბერში ამერიკელებმა გადაჭრეს მდინარე ამრაინი და გერმანელები მაღაროს ნახშირს უკვე ველარ აწვდიდნენ. მაღარო დაიკეტა. 88 კილოგრამიდან 62 კილოგრამამდე „დავეშვი“...

**დავით გოგობერიშვილი ამერიკელებმა 1945 წლის აპრილში გაათავისუფლეს.**

— საბჭოთა ტყვეებს ნორმალური პირობები შეგვიქმნეს, საჭმელიც გვქონდა. ზიგენში პატარა ბაზარი იყო. ვდგავარ ერთხელ იქ, ხელზე პატარა საათი მიკეთია, რომელიც გერმანელებს ყავა „ბონეში“ გავუცვალე. ჩემთან ამერიკელი სამხედრო მოვიდა და ჟესტებით გამაგებინა, რა მოგცე მაგ საათშიო. 4 კილოგრამ „ბონეში“ გავუცვალე. მერე მიმიყვანა თავის შტაბში, მკითხეს, რა ეროვნების ხარო და, **რომ გაიგეს ქართველი ვიყავი, სტალინის სამშობლოდან, ძალიან გაუხარდათ და შემომთავაზეს, მათ გავყოლოდი ამერიკაში. ენას გასწავლით, დაგაოჯახებთ და ყველა პირობას შეგიქმნითო.** უარი ვუთხარი, მხოლოდ დედ-მამაზე ვფიქრობდი, რაფერ არიან ახლა-თქო.

**— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ ამერიკელებს სმენიათ საქართველოზე.**

— **ისინი იცნობდნენ სტალინს, რომელსაც „ძია ჯოს“ ეძახდნენ და ისიც იცოდნენ, რომ წარმოშობით ქართველი იყო. მას უდიდეს პატივს სცემდნენ!** მართალია, შევარდნაძეც იმით ამაყობდა, რომ ჩემით იცნობენო ამერიკელები საქართველოსო. ახლა ამ „დიდ პატივს“ დღევანდელი პრეზიდენტი იჩემებს, გინდა თუ არა, ჩემით გაიცნესო. სისულელეა ეს! ან ერთი, ან მეორე სტალინთან შედარებით რას წარმოადგენენ?! ის ბუმბერაზი იყო, ამხელა ქვეყანა ფეხზე დააყენა, უძლიერესი და უმდიდრესი გახადა მსოფლიოში. ამათ კი პატარა საქართველოს ვერ მოუარეს, ტერიტორიები დაკარგეს და ხალხი გაალატაკეს. **ეს სააკაშვილი ახლაც გაიძახის, დღევანდელი ჩვენი მიღწევები დავით აღმაშენებელს არც კი დაესიზმრებოდაო... ვის ატყუებ, ერთი! დავითმა 16 წლისამ გაპარტახებული ქვეყანა ჩაიბარა, 36 წელიწადში კი მთელ აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია!**

**— ვაცადოთ სააკაშვილს კიდევ 27 წელი, ბატონო დავით!**

— კი, ბატონო, ვაცადოთ, ოღონდ, როდემდე? ცხრა წლის განმავლობაში უკანუკან მივდივართ! ცხრა წელს ეხუმრები?! **90 წლის კაცი ვარ და ამ ბოლო დროს ერთი ბედნიერი სახე არ მინახავს ქუჩაში! არ ვერევი პოლიტიკაში, არ მინდა ეს პოლიტიკა! ერთი ბერიკაცი ვარ, რომელსაც ცხოვრებაში უამრავი ქარტეხილი დაატყდა თავს, მარა, რომ არ მეშვება ეს პოლიტიკა? დაუპატიჟებელი სტუმარივით შემომივარდება სახლში და სიბერეს მიმწარებს! არის ჩემი საშველი?!**

**— ბატონო დავით, თქვენ თითქმის სამი წელი გერმანელი ფაშისტების ტყვე იყავით. მაინტერესებს, როგორ გექცეოდნენ ისინი? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ შევადარო თქვენი ტყვეობა იმ პატიმრების მდგომარეობას, რომლებსაც აწამებდნენ გლდანის მერვე საპყრობილეში.**

— **ასეთი სისასტიკე მე ტყვეობაში არ მინახავს! გერმანელი ფაშისტებიც ღირსებას არ გილახავდნენ. უმკაცრესი დისციპლინა ჰქონდათ და, თუ მას დაარღვევდი, გსჯიდნენ, მაგრამ არა მასეთი საშინელი ფორმებით. თუ წესრიგს არ არღვევდი, არავინ გერჩოდა.** დახვრეტა იყო მხოლოდ გაქცევასა და ქურდობაზე. იქ ერთი ხანშიშესული ფელდფებელი გვყავდა, აცხონოს ღმერთმა, კარგი კაცი იყო! ჰოდა, ერთხელ მისმა მოადგილემ უსამართლოდ დამსაჯა — 25 როზგი დამარტყა. მოვიდა ფელდფებელი, საქმის ვითარება რომ გაიგო, აჰკიდა თავის მოადგილეს ტყვიებით სავსე ზურგჩანთა და მთელი ღამე არბენინა! როგორ გაბედე და არ გაერკვიე და ადამიანი უსამართლოდ დასაჯეო! იმ საღამოს ფელდფებელმა თეთრი პური და ტკბილი ჩაი შემომიტანა, მერე ხელი თავზე გადამისვა, თითქოს ბოდიშს მიხდიდა...

**90 წლის მოხუცმა თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**



**— XX საუკუნის 30-იან წლებში, „დიდი დეპრესიის“ პერიოდში, ამერიკის შეერთებულ შტატებში შიმშილისგან დაიხოცა 5 მილიონი ადამიანი.**

— მსოფლიოს ისტორიაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა პირველად განახორციელა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნიკარაგუაში, XX საუკუნის 20-იან წლებში. შემდგომ კი მათმა პროტეჟემ დიქტატორმა სამოსამ თავისი მმართველობის წლებში სამასი ათასი თანამემამულე დახოცა, ანუ ყოველი მეათე ნიკარაგუელი.

**— ერაში ამერიკული აგრესიის წლებში დაიღუპა 4,5 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და 1,5 მილიონამდე მშვიდობიანი მცხოვრები. მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯებმა შეადგინა 750 მილიარდი დოლარი.**

— სადამ ჰუსეინის დროს ერაყში ცხოვრობდა 1,8 მილიონი ქრისტიანი, დღესდღეობით დარჩენილია მხოლოდ 500 ათასი, დანარჩენები მოკლულ იქნა ან ემიგრაციაში წავიდა.

**— ამერიკის შეერთებულ შტატებში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან არის აშშ-ის პრეზიდენტის, გრანტის, მუმიის მავზოლეუმი.**

— მსოფლიოში ყოველდღიურად 35 ათასი ბავშვი იღუპება შიმშილით.

**— 1818 წელს მთელ საქართველოში იყო დაახლოებით 700 ეკლესია, ხოლო 1900 წელს მათი რაოდენობა 1515-მდე გაიზარდა, ფუნქციონირებდა თბილისისა და ქუთაისის სასულიერო სემინარიები, 6 ვაჟთა და 2 ქალთა სასულიერო სასწავლებელი.**

— ირლანდიაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იწყება 7 წლის ასაკიდან. აშშ-ის ზოგიერთ შტატში სიკვდილით დასჯას კანონმდებლობა 10 წლიდან ითვალისწინებს.

„ხალხს რა გაუკეთეს? ფაქტობრივად, მთავრობამ ხალხი „გადააგდო“. „მეტი სარგებელი ხალხსო“, რომ ამბობენ, ვის სჯერა? — არავის! ეს ლოზუნგი წინასაარჩევნო სატყუარაა, ადამიანებს აღარ სჯერათ მთავრობის, მთავრობის ნდობის რესურსი ამოწურულია. ამ მთავრობამ მარტო მოსმენა, თვალთვალი იცის.“

ნაც-რეალობა

# ბიზნესი ზარალობს, «ზარალა» იგებს?!

**საკუთარი ხარჯებით რომ ავილო ეს ნაგავი და გადავიტანო სადმე პერიფერიაში, ვთქვათ გლდანში, თუ გამოეპარება ვინმეს?! იმ წუთასვე მოვლენ და სოლიდურ ჯარიმასაც დამაკისრებენ, მაგრამ «ზარალასთან» დაკავშირებით საქმე სხვაგვარადაა: «ზარალას ნაგავი» თურმე არ აზარალებს ქალაქს და იერ-სახეს არ უფუჭებს**

## «ზარალასგან» დაზარალებული ბიზნესმენი ზარალს ველარ ითვლის

**ყველას კარგად ახსოვს 2005-2007 წლები, პერიოდი, როცა ბანკები გლამურული და საოცნებო რეკლამებით პრობლემის მოგვარებას ჰპირდებოდნენ ხალხს. ერთი სიტყვით, იმ წლებში სესხი აიღო ყველამ, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებმა, რომლებსაც მცირე ან საშუალო ბიზნესი ჰქონდათ. სესხის პროცენტი საკმაოდ მაღალი იყო, გაცილებით მაღალი, ვიდრე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებშია, მაგრამ მთავრობის განცხადებებმა — მცირე და საშუალო ბიზნესი სახელმწიფოსგან წახალისებული იქნებაო, ხალხი დააიმედა და გაათამამა. ძალიან მალე საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი „ვარდოსანი“ მთავრობის ბანკების მევალეები გახდნენ და კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ — თითქმის მთლიანად მოისპო მცირე და საშუალო ბიზნესი და დაზარალებულთა სია საგრძნობლად გაიზარდა. ბანკებისგან დაზარალებულთა სიაში აღმოჩნდა ბატონი ნოდარ მოსულიშვილი, პროფესიით ეკონომისტი, რომელსაც...თავისი პატარა რესტორანი ჰქონდა ე. წ. ანდროპოვის ყურების უკან. დღეს, ეს „ანდროპოვის ყურები“ თბილისელებს და თბილისის სტუმრებს თვალს აღარ „სჭრის“, ხოლო ფეშენებელური სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერია“ ამაყად დგას ვარდების მოედანზე და ირგვლივ ერთ-ერთი საუკეთესო ხედი იშლება, მაგრამ ეს, ერთი შეხედვით, — „ანდროპოვის ყურები“ ისევ იქ არის და „უსმენს“...**

**— ბატონო ნოდარ, როდიდან დაიწყო თქვენი ბიზნესის დაღმასვლა?**

— როცა ამ მთავრობამ ე.წ. „ანდროპოვის ყურების“ დემონტაჟი დაიწყო. 2005-06 წლებში, მახსოვს, მოვიდნენ და მითხრეს, რომ ამ „კომუნისტური გადმონაშთის“ დემონტაჟს აპირებდნენ.

**— ვინ აწარმოებდა დემონტაჟს?**

— „სილქროუდ ჯგუფი“. მთავრობასთან დაახლოებული, მონოპოლიური კომპანიაა, გეცოდინებათ, ალბათ. დღეს „სილქნეტი“ ჰქვია. თავიდან ნორმალურად მუშაობდნენ, სუფთად, ნარჩენები გაჰქონდათ ტერიტორიიდან და ნაგავს თავზე არ გვაყრიდნენ. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სამუშაოები შეწყდა, მაგრამ, სააკაშვილის დავალებით, დაახლოებით 15 სექტემბერს „სილქროუდმა“ კვლავ განაახლა სამუშაოები. დაიწყეს ნგრევა, მტვრის ბული იდგა, არც ნანგრევების ნარჩენების გატანაზე იზრუნა ვინმემ. ჩემი რესტორანი ველარ მუშაობდა, კარს ვერ ვაღებდით, სუნთქვა გვიჭირდა. აქ მოსვლა მსურველისთვის მარტო უსიამოვნო კი არ იყო ნაგვისა და ბულის გამო, არამედ სახიფათოც, რადგან მტვრევის დროს ქვის ნამსხვრევები კარს ხვდებოდა და ადვილად შესაძლებელი იყო, ადამიანი დაშავებულიყო კიდეც.

**— ამ ხნის მანძილზე კომპანიიდან ვინმე თუ მოვიდა თქვენთან და რაიმე სახით ზარალის ანაზღაურება თუ შემოგთავაზათ?**

— ამ კომპანიის წარმომადგენლებიც მოდიოდნენ და მუშებიც მუშაობდნენ, საშენი მასალის ნარჩენები ნაწილობრივ გაჰქონდათ კიდეც, მაგრამ, როცა კომპანიამ ხელფასები აღარ გადაუხადა, შეწყდა მუშაობა. მუშები ეხვეწებოდნენ, ამის მომსწრე ვარ, გზის ფული მაინც მოგვეცითო. არ უხდიდნენ ფულს და გაიქცნენ მუშები, ნაგავი კი შუა ეზოში დამიტოვეს... **კონკრეტულად გიორგი რამიშვილისგან კი, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის მეტსახელ „ზარალათია“ ცნობილი, ვისაც პირდაპირ ევალებოდა ჩემთვის ზარალის ანაზღაურება, არა თუ ანაზღაურება, ელემენტალური ადამიანური წუხილიც კი არ გამოუთქვამს, ასეთ მდგომარეობაში რომ ჩამაყენა. მინდა გითხრათ, რომ თავის მეტსახელს ნამდვილად ამართლებს ეს ადამიანი, ნამდვილად ზარალია.**




**— დახმარებისთვის არავის მიმართეთ?**

— რა თქმა უნდა, მივმართე, პირველ რიგში, მერიას. მას ხომ ქალაქში მსგავსი კერების აღმოფხრა ევალება?! არანაირ რეაგირებას არ აკეთებდნენ, ყურადღებასაც არავინ მაქცევდა. **საკუთარი ხარჯებით რომ ავიღო ეს ნაგავი და გადავიტანო სადმე პერიფერიაში, ვთქვათ გლდანში, თუ გამოეპარება ვინმეს?! იმ წუთასვე მოვლენ და სოლიდურ ჯარიმასაც დამაკისრებენ, მაგრამ „ზარალასთან“ დაკავშირებით საქმე სხვაგვარადაა: „ზარალას ნაგავი“ თურმე არ აზარალებს ქალაქს და იერ-სახეს არ უფუჭებს.**

ჩვენი ქვეყანა ისეა მოწყობილი, რომ მსხვილი კომპანიები იგივე „სილქროუდი“, „ვისოლი“, „სოკარი“, თუ გნებავთ, ბანკებიც — ყველანი წარმოადგენენ სახელმწიფო კომპანიებს, ანუ ისინი პირდაპირ მთავრობაზე მუშაობენ და პირადად სააკაშვილისა და მასთან დაახლოებული პირების პირად სარგებელსა და მოგებას ემსახურებიან და აი, ეს არის სწორედ კორუფცია. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი პრეზიდენტისგან მოდის. ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურიც ერთ-ერთი სამთავრობო ბერკეტია, რომელსაც სწორედ ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებაში იყენებენ აქტიურად. მოგეხსენებათ, რომ რიგით მოქალაქეებს მერიიდან ნებართვა გჭირდება ყველაფერზე, მთავრობას კი ყველაფრის უფლება აქვს.

**— ისევ ბანკებს დავუბრუნდეთ, თქვენ თუ გქონდათ აღებული სესხი?**

— მაქსიმალურად მაღალი კრედიტი მქონდა აღებული, სწორედ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა, მსოფლიო კრიზისმა და „ზარალასგან“ მოყენებულმა ზარალმა გამოიწვია ჩემი გაკოტრება... **გამიყიდეს ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა, მათ შორის ჩემი ბიზნესიც. ვისაც კი მცირე და საშუალო ბიზნესი ჰქონდა, ან გაკოტრდა, ან სულს ღაფავს.**

**— ნორმალური ხელისუფლების პირობებში, შესაძლებელი იყო თუ არა მასობრივი გაკოტრებების თავიდან აცილება?**

— რასაკვირველია, თუ სახელმწიფო და პირადად პრეზიდენტი იზრუნებდა საკუთარ ხალხზე. 2008 წლის მდგომარეობა იყო ფორსმაჟორული, მაგრამ არც ბანკებმა და არც ხელისუფლებამ ეს არ გაითვალისწინა. არც არის გასაკვირი, რადგან პრეზიდენტს, გარდა თავისი ინტერესებისა, არაფერი აინტერესებს, ამიტომაც გაკოტრდა ყველა.

**— დღეს მთავრობას ახალი სლოგანი აქვს: „მეტი სარგებელი ხალხს!“; იმედი აღარ გაქვთ?**

— რასაკვირველია, არა. წინა სლოგანი გვახსოვს: „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია!“, გააკეთეს ბევრი, ოღონდ — თავისთვის. **ხალხს რა გაუკეთეს? ფაქტობრივად, მთავრობამ ხალხი „გადააგდო“. „მეტი სარგებელი ხალხსო“, რომ ამბობენ, ვის სჯერა? — არავის! ეს ლოზუნგი წინასაარჩევნო სატყუარაა, ადამიანებს აღარ სჯერათ მთავრობის, მთავრობის ნდობის რესურსი ამოწურულია. ამ მთავრობამ მარტო მოსმენა, თვალთვალი იცის.** ე.წ. ანდროპოვის ყურები რატომ დაერქვა იმ ნაგებობას? — იმიტომ, რომ ტოტალური მოსმენები იყო კომუნისტების დროს, მოსმენები და დასმენები. დღეს კიდევ უფრო უარესია — მთავრობა მარტო ამითაა დაკავებული. სიმბოლურია, ალბათ, რომ ვერა და ვერ გაიტანეს აქამდე ეს „ანდროპოვის ყურები“.

ესაუბრა **ეკა კახიანი**

### ობამა და რომნი დებატებისთვის ემზადებიან

**აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მისი მეტოქე რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი მიტ რომნი 2012 წლის არჩევნების ერთ-ერთ კრიტიკულ ფაზას მიუახლოვდნენ.** ეს არის საპრეზიდენტო დებატები, რომლის პირველი რაუნდიც დენვერში შედგება. დებატები ეკონიმიკის, ჯანდაცვის, სახელმწიფოს როლის შესახებ გაიმართება. ექსპერტების აზრით, რომნის უფრო მეტად მოუწევს საკუთარი პოზიციების დამტკიცება, ვიდრე — ობამას. დებატებამდე რამდენიმე დღით ადრე თავისი ტრადიციული, ყოველკვირეული მიმართვა პრეზიდენტმა ობამამ ეკონომიკის თემას დაუთმო.



### ერაყში ტერაქტებს 17 ადამიანი ემსხვერპლა

**ერაყის ტერიტორიაზე მომხდარ, ტერაქტების სერიას 17 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ტერორისტების ძირითადი სამიზნე პოლიციის განყოფილებები და ბლოკ-საგუშაგოები გახდა.** აფეთქებების განსახორციელებლად ტერორისტებმა დანაღმული ავტომობილები გამოიყენეს. ყველაზე ძლიერი ტერაქტი ქალაქ ტაჯიში მოხდა, რომელიც ბაღდადიდან 20 კილომეტრში მდებარეობს. ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომლებიც სამ ავტომანქანაში იყო მოთავსებული, რიგრიგობით ამოქმედდა. აფეთქების შედეგად რვა ადამიანი დაიღუპა.

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თურქეთი ჩვენ არა მხოლოდ საფუარით, არამედ ფქვილითაც გვამარაგებს. ანკარასა და სტამბოლში „ფათოღლის" ფქვილის გაყიდვა აკრძალულია... იტალიურ „პრინცესაში", ყაზახურ, ჰოლანდიურ და ამერიკულ ფქვილში თუთიის შემცველობა დასაშვებ ნორმას, 250%-ს, აჭარბებს, ხოლო ბრომოფოსის პესტიციდისა და ამინომარილების შემცველობა — 150%-ს, ფქვილის ნიმუშები კი გაჯერებული იყო ხარისხის გამაუმჯობესებლებით (ბრომატებით), რომელთა გამოყენება აკრძალულია, რადგან ისინი ორგანიზმში კანცეროგენული თვისებების პროგრესირებას იწვევს."

# აყვავებულა ლავაშზე დეკა... რატომ გვაჭმევენ ცუდ პურს?

**თუ გახსოვთ, ბოლო დროს როდის გაცდუნათ პურის სურნელმა? როდის წაგძლიათ სულმა, გეყიდათ ხრაშუნა ოქროსფერი პური ან ლავაში? ვერ იხსენებთ, ხომ? ბევრია ასეთ მდგომარეობაში. ახლა გაიხსენეთ, მომჟავო ან მოტკბო პური რამდენჯერ დაგფშვენიათ დაჭრისას...**



სამწუხაროდ, პურპროდუქციის წარმოების სფეროში არსებული მდგომარეობა სახუმარო სულაც არ არის. მომხმარებელი ხშირად უკმაყოფილოა პურის ხარისხით, წონით და გემოთი. ზოგადად კი იმით, რომ ფასი მაღალია, კვებითი ღირებულება კი — დაბალი. ამ სასწორის დაბალანსებას მოსახლეობა მრავალი წელი ელოდება და, როგორც ჩანს, ამაოდ. მეტიც, ბოლო პერიოდში ზოგჯერ პური უცნაურად „იქცევა" ხოლმე: სველდება, წებოვანდება, ყარს და ყიდვიდან მეორე დღეს ლორწოვან მონსტრს ემსგავსება, პოლიეთილენის პარკში შეფუთული კი — მწვანე გაზონს...

**საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ვერიკო გულუა:**

**— ბოლო პერიოდში ჩვენს უწყებაში მართლაც შემოვიდა რამდენიმე საჩივარი პურის ხარისხთან დაკავშირებით. ეს, ძირითადად, პურის წებოვნებას ეხებოდა, რაც კარტოფილის ჩხირით დაავადებული ფქვილისგან დამზადებულ ნაწარმს ემართება,** რომელიც ცხელი კლიმატის პირობებში იჩენს თავს. ეს ჩხირი ადამიანისთვის საშიში არ არის, **ყველაზე მეტი ზიანი, რაც მან შეიძლება მიაყენოს ჩვენს ჯანმრთელობას, კუჭის ლორწოვანი გარსის დაზიანებაა,** თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთი პურის მიღება მიზანშეწონილი და სასიამოვნო არ არის. გარდა საჩივრებზე რეაგირებისა, ჩვენ ვატარებთ მონიტორინგს საწარმოებში. აღმოჩენილი იყო რამდენიმე დარღვევა (პურში ტენიანობის მომატება და სხვ.), როდესაც გამომცხვარ პურს გაცივებას არ აცლიან და ისე ფუთავენ, მაშინ ხდება ობის სოკოსა და კარტოფილის ჩხირის გააქტიურება. სრული ინფორმაცია კარტოფილის ჩხირის შესახებ დევს ჩვენი სააგენტოს საიტზე. რაც შეეხება სტანდარტებს, დღესდღეობით საქართველოში მოქმედებს როგორც საბჭოთა პერიოდის ე. წ. გოსტები, ასევე ევროსტანდარტები. გარდა ამისა, მეწარმე რეგისტრაციისას აპატენტებს თავის რეცეპტურას, ჩვენი უწყება კი პროდუქციის სტანდარტებისადმი შესაბამისობაზე ახორციელებს მონიტორინგს.

მიუხედავად ჩვენი მრავალი მცდელობისა, ვერც „გოსტებსა" და ვერც ევროსტანდარტებს ვერ მივაკვლიეთ. მეტიც, როგორც მომხმარებელთა უფლებების სფეროში მომუშავე ექსპერტებმა გვითხრეს, მათაც უჭირთ ზემოხსენებული გასაიდუმლოებული სტანდარტების ხელში ჩაგდება, რომლებსაც რატომღაც საგულდაგულოდ მალავენ. არადა, კანონის თანახმად, ინფორმაცია პროდუქციის შესახებ ეტიკეტზეც უნდა იყოს დატანილი, მაგრამ იქ, „გოსტი"კი არა, ხშირად ვადაც არ არის მითითებული.

**ეთერ სარჯველაძე, ექსპერტი:**

— კარტოფილის ჩხირით დაავადებული ფქვილისგან გამომცხვარი პური მეორე დღეს იძენს არასასიამოვნო სუნს, რბილობი სველი და წებოვანი ხდება. რა თქმა უნდა, ეს წუნი არც სიცხის და არც შენახვის არასწორი პირობების ბრალია, იგი გამოწვეულია დაავადებული ხორბლის გამოყენებით და ადამიანის მოხმარებისთვის გამოუსადეგარია. ჯანსაღი ფქვილის პროდუქციას ასეთი რამ არ ემართება, საწარმოშიც მაინც და მაინც არ იცავენ პირობებს – პურს გაგრილება უნდა აცალო და მერე მიაწოდო მომხმარებელს, ცხელ-ცხელის შეფუთვა არასწორია. **კანონში „სურსათის უვნებლობის შესახებ" პირდაპირ წერია, რომ არასათანადო ხარისხის პროდუქცია, რომელსაც არაჯანსაღი შედეგის გამოწვევა შეუძლია, მომხმარებელს არ უნდა მიეწოდოს. ჩვენ კი ისეთ პურს ვჭამთ, რომელიც ჯანმრთელობას აყენებს ზიანს და სიცოცხლეს გვიმოკლებს. ასეთი პურის სისტემატური მოხმარება ახალგაზრდებს, რომელთა ჯანმრთელობა მათ შვილებსაც გადაეცემა, მომავალი თაობის ჯანმრთელობასაც უქმნის საფრთხეს.** მეწარმე ვალდებულია, ეტიკეტზე მიუთითოს პროდუქტის შემადგენლობა — რა ფქვილისგან არის დამზადებული და რა დანამატებს შეიცავს, რათა მომხმარებელმა იცოდეს, რას მიირთმევს. უამრავ ადამიანს აწუხებს შაქრის დიაბეტი, ალერგია, კუჭ-ნაწლავთა დაავადებები, რის გამოც ზოგიერთი კომპონენტი მისი ჯანმრთელობისთვის, შესაძლოა, მიუღებელი იყოს.

**ჭვავის პურს ძირითადად დიაბეტით დაავადებული ადამიანები ყიდულობენ. მათთვის სასარგებლო ჭვავის პურის ნაცვლად კი ისინი იღებენ ხორბლის პურს შაქრის მაღალი შემცველობით**

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში არ შემოდის სათანადო ხარისხის ნედლეული. ხორბალი და ფქვილი ხშირად მინდვრიდანვე არის დაავადებული კარტოფილის ჩხირით, რომელიც თავს გამოცხობის პროცესში იჩენს. საფურაჟე ხორბლის გამოყენების შემთხვევებიც ყოფილა. ასევე იყენებენ არაკონდიცირებულ ხორბალს, რომელიც შენახვის არასწორი პირობების გამო კარგავს სასარგებლო და საჭირო თვისებებს. **პურპროდუქტების ხარისხისა და გემოს გამოსასწორებლად მეწარმეებს რეცეპტურაში სხვადასხვა ქიმიური დანამატის შერევა უწევთ. დიდი პრობლემაა ჭვავის პურის საიმედოობა. ბოლო პერიოდში კი მასზე მოთხოვნა იზრდება.**

საქმე ისაა, რომ საქართველოში ჭვავი მცირე რაოდენობით შემოდის, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მეწარმეები ხორბლის ფქვილს დამწვარი შაქრის კოლერით, უფრო ხშირად კი საღებავებით, აძლევენ საჭირო ფერს და „ჭვავის" პურად ასაღებენ. ასეთი ხერხი იყო დაშვებული საბჭოთა სტანდარტებში, მაშინ შავი პურის ტექნოლოგიაში შედიოდა კოლერის (დამწვარი შაქარი) ან მელასის (შაქრის წარმოების ნარჩენი) დამატება, ისიც გამონაკლის შემთხვევაში, ნედლეულის ნაწილობრივად ჩანაცვლებისთვის. ახლა კი ეს მეთოდი მასობრივად გამოიყენება. **ჭვავის პურს კი, როგორც მოგეხსენებათ, ძირითადად დიაბეტით დაავადებული ადამიანები ყიდულობენ. გამოდის, რომ მათთვის სასარგებლო ჭვავის პურის ნაცვლად ისინი იღებენ ხორბლის პურს შაქრის მაღალი შემცველობით.** კიდევ ერთი პრობლემა მშრალი საფუარია, რომლის დამზადებაც მაღალ ტემპერატურაზე ხდება. გამოშრობის მიუხედავად, ასეთი საფუარი თავის აქტივობას არ კარგავს და ადამიანის ორგანიზმის ტემპერატურაზე ის ჯანმრთელობისთვის არასასურველ პროცესებს იწვევს. დღეს კი ჩვენი მოსახლეობის უმეტესობის რაციონში პურპროდუქტები პირველ ადგილს იკავებს. ამიტომაცაა, რომ არაბუნებრივად, ასე ვთქვათ, არასტანდარტულად ვიმატებთ წონაში.

**თურქეთი ჩვენ არა მხოლოდ საფუარით, არამედ ფქვილითაც გვამარაგებს. ანკარასა და სტამბოლში „ფათოღლის" ფქვილის გაყიდვა აკრძალულია, ანუ თურქეთიდან საქართველოში რა ფქვილიც შემოდის, იმ ფქვილისაგან გამომცხვარ პურს თურქეთში არ ჭამენ, იმიტომ, რომ საჭმელად უვარგისია.** თავის დროზე, 1997 წელს საქართველოში თურქეთის საელჩოს წარუდგინეს საბუთი, რომლის თანახმად ფქვილი „ფათოღლი" არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. **ასევე შემოწმდა იტალიური „პრინცესა", ყაზახეთის, ჰოლანდიისა და ამერიკული ფქვილის ნიმუშები. მათში თუთიის შემცველობა დასაშვებ ნორმას, 250%-ს, აჭარბებდა, ხოლო ბრომოფოსის პესტიციდისა და ამინომარილების შემცველობა — 150%-ს, ფქვილის ნიმუშები კი გაჯერებული იყო ხარისხის გამაუმჯობესებლებით** (ბრომატებით), **რომელთა გამოყენება აკრძალულია, რადგან ისინი ორგანიზმში კანცეროგენული თვისებების პროგრესირებას იწვევს.** როცა შევარდნაძის დროს 5-10 თეთრით გაძვირდა პური, საკაშვილი აღშფოთებული იყო — ეს როგორ გააკეთესო! დღეს კი, **სააკაშვილის მმართველობის დროს, პურის ფასი გასამმაგდა კი არა, ლამის გაასმაგდა, ხოლო ხარისხი საგრძნობლად გაუარესდა.** მეპურეების განცხადებით, მთავრობამ ისინი ისეთ საგადასახადო წნეხში მოაქცია, რომ, თუ რაღაც უკანონობაზე არ წავიდნენ, არსებობას ვერ შეძლებენ. მეწარმეები ამბობენ, რომ პურის თვითღირებულებაში საწვავის მაღალი ფასი, პერსონალის სახელფასო და სხვა ხარჯებია ჩადებული. მიუხედავად ფქვილის პერიოდული გაიაფება-გაძვირებისა, იძულებულნი არიან, საცალო ფასი უცვლელად დატოვონ.

**პეტრე ნასყიდაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი:**

— ჩვენ შეგვიძლია საკმარისი ხორბლის მოყვანა, რათა ჯანსაღი და იაფი პურით ვიკვებოთ. საქართველოს საამისოდ ბუნებრივი რესურსი ნამდვილად გააჩნია. გასაბჭოებამდე საქართველოს მოსახლეობას საკმარისი რაოდენობის ხორბალი და ჭვავი მოჰყავდა. **თამარ მეფის დროს კი საქართველოს საექსპორტოდ 12 მილიონი ტონა ხორბალი გაჰქონდა. ეს მაშინ, როდესაც მოსახლეობა ასევე 12 მილიონს შეადგენდა!**

**დღესდღეობით ქვეყნის მოსახლეობის გამოსაკვებად საკმარისია, მოვიყვანოთ 600 ათასი ტონა ხორბალი და 600 ათასი ტონა სიმინდი.** ნარჩენები კი შინაური ფრინველისთვისაც გამოდგება. შედეგის მისაღწევად საჭიროა 900 ათასი ჰექტარი სახნავი მიწის დამუშავება. ასეთი პოტენციალი საქართველოს გააჩნია. თუ მიწათმოქმედების ამაღლებაზე ვიზრუნებთ, მოსავალი უფრო მაღალი იქნება. პური ხომ სტრატეგიული პროდუქციაა. ხორბალი საქართველოში უძველესი დროიდან იყო ცნობილი. **ჩვენს ქვეყანას ხორბლის აკვანს უწოდებენ, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ხორბლის 27 ჯიშიდან 14 საქართველოშია აღმოჩენილი.** ქართული ხორბლის ჯიშების გენოტიპში ცილის მაღალი შემცველობის განმაპირობებელი გენებია, რომლებიც ხორბალს დაფქვის, ცხობისა და მზა პროდუქციის შენახვის მაღალ თვისებებს ანიჭებს.

დღეს ბევრს არ აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად იკვებოს, ამიტომ კალორიების მარაგს პურის მოხმარების გაზრდის ხარჯზე ავსებს. დაბალი კვების ღირებულების პური მომხმარებლის ბიუჯეტს თითქმის ანახევრებს, შიმშილი კი არსად ქრება. დაბალანსებულ კვებაზე მოსახლეობის გადაყვანა პურფუნთუშეულზე მოთხოვნას შეამცირებს, მაგრამ მანამდე ჯერ გემრიელი, არომატული პური სრულფასოვანი, ქართული ხორბლისგან უნდა ვაწარმოოთ.



**პურპროდუქტების ხარისხისა და გემოს გამოსასწორებლად მეწარმეებს რეცეპტურაში სხვადასხვა ქიმიური დანამატის შერევა უწევთ... ასეთი პურის სისტემატური მოხმარება ახალგაზრდებს, რომელთა ჯანმრთელობა მათ შვილებსაც გადაეცემა, მომავალი თაობის ჯანმრთელობასაც უქმნის საფრთხეს**

**ასმათ ჯალმაიძე**

**2003 წლიდან 2011 წლამდე შინამეურნეობის ხარჯები სათბობსა და ელექტროენერგიაზე დაახლოებით 137%-ით გაიზარდა. მაგალითად, 2003 წლიდან დღემდე წყლის ტარიფი თითქმის 162%-ით გაიზარდა. ბუნებრივი აირი 2-ჯერ გაძვირდა, ხოლო დასუფთავების გადასახადი 2011 წლამდე 5,2-ჯერ გაიზარდა. გასული წლის ბოლოს კი ის დენის გადასახადს მიება, რის გამოც თბილისელების დიდ ნაწილს დასუფთავების გადასახადი თითქმის გაუათმაგდა.**

ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ექსპერტები უკიდურესად მძიმე ზამთარს წინასწარმეტყველებენ

## არჩევნების შემდეგ ინფლაცია მკვეთრად გაიზრდება

**ექსპერტების აზრით, მსოფლიოს სასურსათო კრიზისი ჩვენს ქვეყანაზეც მოახდენს გავლენას. გარე ფაქტორს რეგიონებში მომხდარი სტიქიური უბედურებები და საპარლამენტო არჩევნებიც ემატება. სპეციალისტების ნაწილი საარსებო მინიმუმის შემცირებას ხელისუფლებას უკავშირებს. გარდა ამისა, ქვეყნის ბიუჯეტს საგარეო ვალის მომსახურებაც უწევს. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გათვალისწინებით იბადება კითხვები: როგორი ზამთარი ელის მოსახლეობას? გაძვირდება თუ არა სურსათი და პირველადი მოხმარების საგნები?**





**დასაქმებული ადამიანების 22 პროცენტს, რომელსაც ხელისუფლება ბედნიერად მიიჩნევს, დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლები ხელფასი აქვს**

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ხუთჯერ აღინიშნა წლიური უარყოფითი ინფლაცია. 2012 წლის ივლისში შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, წლიური ინფლაციის დონემ 0,6% შეადგინა. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, **შემოდგომიდან საქართველოში დეფლაციური პროცესები დასრულდება და ინფლაცია „შემოგვიტევს“.** 2012 წლის აგვისტოში კი წინა წლის აგვისტოსთან შედარებით ინფლაციამ 0,4% შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლების ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე. აღნიშნულ პროდუქციაზე ფასები 2,8%-ით შემცირდა.

**მსოფლიოში მთელი რიგი კვების პროდუქტებისა ძვირდება, რადგან საქართველო იმპორტზე ორიენტირებული ქვეყანაა, მსოფლიო ფასები ადგილობრივ სამომხმარებლო ფასებზე პირდაპირ ახდენს გავლენას. ეკონომიკის ექსპერტის, იოსებ არჩვაძის, განმარტებით, რადგან საქართველოში წლის პირველ ნახევარში დეფლაციური პროცესები მიმდინარეობდა, პროდუქტის გაიაფებისა და ფასების შემცირების ყოველგვარი რესურსი ამოწურულია. მისი თქმით, ინფლაციის ზრდის ტენდენციაზე არჩევნებიც ახდენს გავლენას.**

**იოსებ არჩვაძე,** ეკონომიკის ექსპერტი:

— მსოფლიო ბაზარზე კვების პროდუქტების ფასების ზრდა შეინიშნება, ამიტომ საკმაოდ მაღალი ალბათობით შეიძლება ვისაუბროთ, რომ წლის მეორე ნახევარი **განსაკუთრებით ინფლაციური კვების პროდუქტებზე იქნება. არჩევნების დროს ბიზნესი ელოდება ბაზრის ხელახლა გადანაწილებას.** ბიზნესკომპანიები ფიქრობენ, გააფართოონ თუ შეამცირონ წარმოება. ბიზნესი მოლოდინის რეჟიმშია და, შესაბამისად, არჩევნების პერიოდში ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა დაბალია. ამის გამო დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენთან **ინფლაციის ზრდის ტენდენცია შეინიშნება.**

**2006 წელს, როდესაც საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, ინფლაცია 2,7-დან 10,5%-მდე გაიზარდა. ინფლაცია 2-დან 6%-მდე გაიზარდა 2008 წელსაც, როდესაც ქვეყანაში ჯერ საპრეზიდენტო, შემდეგ კი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. ბოლოს არჩევნები საქართველოში 2010 წელს ჩატარდა, იმ დროს ინფლაციამ 2,7-დან 11,2%-მდე მიაღწია.**

**ლევან კალანდაძე,** ეკონომიკის ექსპერტი:

— არჩევნები ბიუჯეტიდან დიდი დანახარჯებით ხასიათდება. ხელისუფლება სოციალურ პროექტებს ააქტიურებს და ამით ცდილობს ამომრჩევლის კეთილგანწყობის მოპოვებას. ფულის დიდი მასის გამოსვლა ინფლაციურ პროცესებზე აისახება. ეროვნული ბანკის მკაცრი მონეტარული პოლიტიკის პირობებში, **არჩევნების პერიოდში ინფლაცია მოსალოდნელი არ არის. ის არჩევნების შემდგომ პერიოდში გახდება თვალშისაცემი.**

ზემოთ დასახელებული პრობლემის გარდა, მოსახლეობისთვის კომუნალური გადასახადებიც მძიმე ტვირთია. სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, **2003 წლიდან 2011 წლამდე შინამეურნეობის ხარჯები სათბობსა და ელექტროენერგიაზე დაახლოებით 137%-ით გაიზარდა.**

მაგალითად, **2003 წლიდან დღემდე წყლის ტარიფი თითქმის 162%-ით გაიზარდა. ბუნებრივი აირი 2-ჯერ გაძვირდა, ხოლო დასუფთავების გადასახადი 2011 წლამდე 5,2-ჯერ გაიზარდა.** გასული წლის ბოლოს კი ის დენის გადასახადს მიება, რის გამოც **თბილისელების დიდ ნაწილს დასუფთავების გადასახადი თითქმის გაუათმაგდა.** ელექტროენერგიაზე ზრდის მაჩვენებელი კი შედარებით ნაკლებია. აღნიშნული გადასახადი მთავრობამ 2006 წელს ენერგოობიექტების პრივატიზების წინ გააძვირა და ე. წ. საფეხურებად დაყო. ის აბონენტი, რომელიც კანონით დადგენილ მაქსიმუმზე, 301 კვტ.სთ-ზე, მეტ ენერგიას ხარჯავს, ერთი კილოვატი ელექტროენერგია 17,7 თეთრი უჯდება. მანამდე 1 კვ.სთ ელექტროენერგიის ფასი 10,15 თეთრი იყო.

**პაატა შეშელიძე, „ახალი ეკონომიკური სკოლის — საქართველოს“ პრეზიდენტი:**

— ბოლო ერთი წლის განმავლობაში კომუნალური გადასახადები არ გაზრდილა. რაც შეეხება შუქზე დასუფთავების გადასახადის მიბმას, ეს არასწორი გადაწყვეტილება იყო. მიმაჩნია, რომ ტარიფების დადგენაში სახელმწიფო არ უნდა მონაწილეობდეს. ამ საკითხებზე მომხმარებელი და კომპანია უშუალოდ უნდა შეთანხმდნენ.

**სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, იანვარში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 157,2 ლარს შეადგენდა, ხოლო აგვისტოში ეს ციფრი 145,5 ლარამდე შემცირდა. ასევე შემცირდა ექვსსულიანი ოჯახისთვის დადგენილი საარსებო მინიმუმიც. საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი ხელისუფლების დაკვეთით ადგენს საარსებო მინიმუმს, რაც რეალობისგან შორსაა.**

**ირაკლი პეტრიაშვილი,** საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე:

— საქართველოში საჯარო სექტორში ხელფასის მინიმალური ოდენობა 114 ლარიდან იწყება. არადა, ანაზღაურების მინიმალური ოდენობა სულზე 240 ლარი მაინც უნდა იყოს. **დასაქმებული ადამიანების 22 პროცენტს, რომელსაც ხელისუფლება ბედნიერად მიიჩნევს, აქვს მათივე დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლები ხელფასი.**

**ბოლო პერიოდში ხელისუფლება სასურსათო კალათას ხელოვნურად ამცირებს. სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტების სიიდან ამოღებით ინფლაციისა და სიღარიბის დონის, უმეტესად კი საკუთარი სიძუნწის შენიღბვას ცდილობს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქართველო პენსიისა და საარსებო მინიმუმის ოდენობის მიხედვით ბოლო ადგილზეა. მთავრობა კი ყოველდღიურად პენსიის მომატებასა და სადაზღვევო პაკეტის ჩუქებას გვამადლის. ეკონომიკური კვლევის ცენტრის ექსპერტის დავით ნარმანიას განმარტებით, ბოლო პერიოდში ხელისუფლება სასურსათო კალათის ხელოვნურად შეცვლას ცდილობს.**

**დავით ნარმანია:**

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ბოლო პერიოდში ხელისუფლება ცდილობდა სასურსათო კალათის ხელოვნურად შემცირებას. 2008 წელს რამდენიმე პროდუქტი საერთოდ ამოიღო სიიდან, შემდეგში წონა შეცვალეს...** აქედან გამომდინარე, ყოველთვის ეჭვს ბადებს ის მაჩვენებლები, რომელთაც აქვეყნებენ.

პენსიებისა და სხვა სოციალური გადასახადების გარდა, სახელმწიფო ბიუჯეტს მძიმე ულლად საგარეო ვალიც აწვება. დაბალანსებული ბიუჯეტი, რომელშიც ხარჯები შემოსავლების ტოლია, შეიძლება ყველასთვის იყოს სასურველი, მაგრამ რეალურად ამის მიღწევა სახელმწიფოსთვის შეუძლებელია. თუკი ხარჯები შემოსავლებს აჭარბებს, იქმნება ბიუჯეტის დეფიციტი, თუ პირიქით — ბიუჯეტის პროფიციტი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტს ხშირად დეფიციტი ახასიათებდა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ბიუჯეტის პროფიციტის ფაქტი საქართველოს ისტორიაშიც არსებობდა. **მთავრობამ პროფიციტული ბიუჯეტის შესახებ 2008 წელს განაცხადა, რაც დიდ მიღწევად ჩაითვალა. სამაგიეროდ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკურ გუნდს სინგაპურის მაგალითი ხიბლავდა, რადგან 2008 წელს შემუშავებული და 2012 წლამდე გათვლილი მთავრობის პროგრამა „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ ითვალისწინებდა ქვეყნის ეკონომიკის საშუალოდ 8-პროცენტიან ზრდასა და ბიუჯეტის პროფიციტს, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმუმ 0,5 პროცენტის ტოლი უნდა ყოფილიყო, თუმცა 2008 წლის ომმა და მსოფლიო კრიზისმა ყველა გეგმა შეცვალა.**

2009 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და შემდგომ მიიღო „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონში ცვლილებები. ამ კანონის თანახმად, 2013 წლამდე გადავადდა ბიუჯეტის აუცილებელი დადებითი პროფიციტის დაგეგმვა. ასევე 2013 წლამდე გადავადდა ბიუჯეტის საპროგნოზო თავისუფალი ნაშთის არანაკლებ 26 პროცენტისა და არაუმეტეს 33 პროცენტის სტრატეგიულ ფონდებში მიმართვის ვალდებულება. შეუძლებელია, არ აღინიშნოს ისიც, რომ **2008 წლის ბიუჯეტი, ექსპერტების შეფასებით, მხოლოდ ფორმალურად იყო პროფიციტური.**

**ნოდარ ჭიჭინაძე,** ეკონომიკის ექსპერტი:

— დღეისათვის **საქართველოს საგარეო ვალი 4,2 მილიარდი დოლარია. აქედან დაახლოებით 600 მილიონი ეროვნული ბანკის, დანარჩენი კი სახელმწიფოს ვალია. ამ მაჩვენებლის მიხედვით, საგარეო ვალი არის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 30%.** ასევე არსებობს მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს საგარეო ვალის დანახარჯების თანაფარდობას ექსპორტთან და საგარეო ვალის დანახარჯების თანაფარდობას ექსპორტთან. **საქართველოს საგარეო ვალი ექსპორტთან მიმართებაში დაახლოებით 200%-ია. ამ შემთხვევაში საქართველოს საგარეო ვალი ორჯერ აღემატება ჩვენს საექსპლოატაციო შესაძლებლობებს.** ამ მხრივ ძალიან არასახარბიელო სიტუაციაა. წლეულს საგარეო ვალის მომსახურებაზე ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 8% იხარჯება. არადა, ორპროცენტიანი ზღვარის შემდეგ ითვლება, რომ საგარეო ვალის მომსახურებაზე დიდი თანხები იხარჯება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომლითაც საგარეო ვალის შემოწმება ხდება, ესაა ქვეყნის რეზერვების თანაფარდობა საგარეო ვალთან. **ჩვენი ეროვნული ბანკის ოქროსა და უცხოური ვალუტის რეზერვები ვალთან მიმართებაში ორჯერ ნაკლებია,** მაშინ, როდესაც მდგრად ქვეყანაში ეს მაჩვენებლები პირიქითაა.

**ირაკლი ლექვინაძე,** ეკონომიკის ექსპერტი:

— წინასწარ რთულია პროგნოზის გაკეთება, თუ რა მოხდება სურსათის მწარმოებელ ქვეყნებში. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება სურსათის მსოფლიო ფასები. გაერო აფრთხილებს იმპორტიორ ქვეყნებს, მზად იყვნენ ამ პროცესისთვის. სურსათის ფასების ზრდის ტენდენცია არასასურველია იმპორტიორი ქვეყნებისთვის, რადგან სასურსათო კრიზისი მათზე მტკივნეულად აისახება.

ესაუბრა
**ანა ქევხიშვილი**

საქართველო და მსოფლიო
ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რომ არა პატიმართა წამების ის შემაძრწუნებელი, გაუგონარი კადრები, რომლის გამომზეურებასთანაც, დამერწმუნეთ, ბიძინა ივანიშვილს არანაირი კავშირი არ აქვს და ეს მთლიანად „წინააღმდეგობის მოძრაობისა" და პირადად ირმა ინაშვილის გმირობის „ბრალია", „ქართულ ოცნებას" იქნებ მაშინაც გაემარჯვა, მაგრამ ასეთ ტოტალურად გამანადგურებელ შედეგს ვერ დადებდა! სხვათა შორის, ამასვე უსვამენ ხაზს უცხოური საინფორმაციო სააგენტოები თუ კომენტატორები, რომ სააკაშვილის შუადღის მზე სწორედ ამ კადრების შემდეგ გადაიხარა დაისისაკენ და რაოდენ სამწუხაროა, რომ „წინააღმდეგობის მოძრაობა" და მისი ლიდერები გამარჯვებულთაგან არავის გახსენებია!**

# «გალსტუკიან ხვლიკს» კუდით ქვა ასროლინეს

**2007 წლის 7 ნოემბრიდან მოყოლებული, როდესაც პირველად შეირყა „ნაცმოძრაობის" მონოლითი და დემოკრატიის შუქურამ მყრალი ჭრაქივით ხრჩოლვა დაიწყო, არა ერთხელ ვიწვნიეთ იმედგაცრუება... პრეზიდენტის „სპონტომ" გადადგომა, დაბლიუ-კრეტინი ბუშის, მთელი „გოსდეპის" და „თავისუფლების ინსტიტუტის" ერთობლივი მზაკვრული შეთქმულება აღმოჩნდა ქართველი ერის წინააღმდეგ!**



იმ ყინვა-ყიამეთში ასიათასობით ქუჩაში გამოსული ადამიანის შემხედვარე ვფიქრობდით, გვეიმედებოდა, აგერ სულ ცოტაც და... მაგრამ, „აბა, ჩემს შვილს ხომ არ მოვჭრი თავსო" და აკი არც მოსჭრეს!..

სამაგიეროდ იმან, ვისაც თავი არ მოსჭრეს, მთელ ქართველ ხალხს მოგვჭრა თავი, როდესაც ჯერ საკუთარი ჰალსტუხი „ჩალოღნა" თბილისში და შემდეგ გორში ცხვირით მიწა მოხნა, რაც საბოლოოდ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დე იურედ დაკარგვადაც დაგვიჯდა!

მაშინაც ვიფიქრეთ: აგერ ახლა, სულ ცოტაც და ამან მაინც უნდა გადაიყოლოს მიშნაცების პრეზიდენტი-თქო, მაგრამ ახლების ლიდერმა პირველმა გადაუგდო მაშველი რგოლი მორატორიუმის სახით, რაც მთელმა ოპოზიციამ აიტაცა!

მერე იყო და პატარა გრეჩიხამ ითავა ის, რაც დიდმა ვერ შეძლო და საკანი №5-ით 2009 წლის 9 აპრილს მთელი საქართველო ფეხზე დააყენა. მოდით, ნუ დავუკარგავთ — ბოლო-ბოლო, ის მაინც დავუფასოთ, ბავშვებს აუპატიურებენო რომ უთხრეს, „კაპეზეს" ეზოში გადახტა და, რომ იტყვიან, ნახევარი სიცოცხლე წაართვეს ცემაში!

და მერე რა მივიღეთ? „მეგობარმა" დასავლეთმა საკნებით მოფენილ ქალაქს, 26 მაისს გადავსებულ სტადიონსაც და ა. შ. **დემოკრატიის შეურაცხყოფა** უწოდა...

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და ზემოთ ჩამოთვლილი უშედეგო გაპროტესტებიდან გამომდინარე, დიახაც ვერ ვიჯერებდი, რაც ჩვენ თვალწინ 1 ოქტომბერს ხდებოდა და, როდესაც გვიან ღამით ვირწმუნე, რომ გველი თავგაჭეჭყილია და მისი მოძრაობები მხოლოდ სასიკვდილო კონვულსიებია, აღმოვაჩინე, რომ სიხარულის გამოხატვის ემოციები არ მქონდა — მარათონის ფინიშზე მისული სტაერივით არაქათგამოცლილი აღმოვჩნდი და ამიტომ ქუჩაშიც კი ვერ გავედი...

რაც მოხდა, იმის მთავარი შემოქმედი რომ ბიძინა ივანიშვილია, ამაზე მხოლოდ, ქიზიყურად თუ ვიტყვით, აჯამი თუ დაიწყებს დავას, მაგრამ, რომ არა ზემოთ თქმული, ანუ ის, რომ ამ საშინელი 8-9 წლის მანძილზე, როდესაც ხელკეტი, მომწამვლელი გაზი, დამცირება, შეურაცხყოფა არ დაგვკლებია და ბოლოს, 2011 წლის 26 მაისი, რითაც ქართველი ერის საუკეთესო ნაწილმა, სულ ცოტა, „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", მაგრამ ასეთი სიცოცხლის დედაცო... კიდევ შეახსენა მსოფლიოს, რომ ბიძინა ივანიშვილი ცარიელ ადგილზე ვერაფერს იზამდა!

**უფრო მეტიც, რომ არა პატიმართა წამების ის შემაძრწუნებელი, გაუგონარი კადრები, რომლის გამომზეურებასთანაც, დამერწმუნეთ, ბიძინა ივანიშვილს არანაირი კავშირი არ აქვს და ეს მთლიანად „წინააღმდეგობის მოძრაობისა" და პირადად ირმა ინაშვილის გმირობის „ბრალია", „ქართულ ოცნებას" იქნებ მაშინაც გაემარჯვა, მაგრამ ასეთ ტოტალურად გამანადგურებელ შედეგს ვერ დადებდა!**

სხვათა შორის, ამასვე უსვამენ ხაზს უცხოური საინფორმაციო სააგენტოები თუ კომენტატორები, რომ სააკაშვილის შუადღის მზე სწორედ ამ კადრების შემდეგ გადაიხარა დაისისაკენ და რაოდენ სამწუხაროა, რომ „წინააღმდეგობის მოძრაობა" და მისი ლიდერები გამარჯვებულთაგან არავის გახსენებია!

ეგ არაფერი, ისტორია, დრო იტყვის თავის სათქმელს...

მანამდე კი ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი: მეამაყება, რომ ამ ხალხთან ახლო შეხების წერტილები გამაჩნია, ისევე, როგორც „საქართველო და მსოფლიოს" კოლექტივთან; გაზეთთან, რომელიც სერიოზული, მაღალი დონის გამოცემაა, რომლის ფურცლებიდანაც ერთი-ორი კენჭი მეცა მაქვს ნასროლი საძულველი რეჟიმის ბოსტანში; გაზეთი, რომელმაც დღიდან ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში მოსვლისა, ისე, რომ, „ქართული ოცნების" ჭრელი „სასტავიდან" გამომდინარე, არც საკუთარი ეროვნულ-მართლმადიდებლური მრწამსისთვის უღალატნია და ამავე დროს მთელი წლის განმავლობაში ფეხი აუწყო მის ნაბიჯებს, ანუ ხბოს აღტაცების გარეშე, ქებასთან ერთად ბატონ ბიძინას არც ზომიერი, კეთილმოსურნე კრიტიკა დაჰკლებია...

(უმორჩილესად ვთხოვ გაზეთის რედაქტორს, რომ ეს პასაჟი თავმდაბლობისა თუ სხვა რამის გამო არ ამოიღოს).

მკითხველს ვთხოვ, მომიტევოს ეს, არც თუ მცირე ლირიულ-სენტიმენტალური პროლოგი და ახლა — იმაზე, რაც გახდა კიდეც მთავარი მიზეზი წინამდებარე წერილისა...

**სიძულვილი და ზიზღი!**

დიახ, თვალი არ გატყუებთ და ნურავინ დამიწყებს ახლა ჰუმანურ, კაცთმოყვარე შეგონებებს — **ამ წლების მანძილზე დიახაც შემძულდა და მეზიზღება ყველა და ყველაფერი, რაც კი ამ ქართველთმოძულე რეჟიმთან ასოცირდება!**

გაგიკვირდებათ და თავად ხელისუფლების „ნათელ სახეებზე" უფრო მეტად ის ხალხი მაღიზიანებდა, რომელიც ფარულ თუ აშკარა ალიანსში იყო მიშნაცებთან!

რა ბედნიერებაა, რომ ხელისუფლების ცინიკურ „როჟებთან" ერთად ვეღარ დავინახავთ ყოველდღე **„ახლების"** ძველ სიაფანდებს: **დავით გამყრელიძესა და მამუკა კაციტაძეს** (რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ „სასტავში" ფიქრიაც გაიფიქრება).

ანდა, ის რად ღირს, რომ დასრულდა **„გალსტუკიანი ხვლიკის", იმავე შადიმანას, გიორგი თარგამაძისა და მისი „ქდმ"-ს** თავხედური აპლომბი. მერაბიშვილის მიერ ბადრის მიოცდაათვერცხლების სანაცვლოდ გიორგი თარგამაძისათვის სახელდახელოდ შექმნილი პარტია, რომელიც არა თუ შარშანდელი თოვლივით გაქრება, არამედ ისიც კი საეჭვოა, რომ მისმა წევრებმა ჟურნალისტიკაში დაბრუნება შეძლონ;

ან ის, რომ ვეღარ მოვისმენთ **პადოშას** „პატრიოტულ" შეგონებებს ანტი-რუსული ისტერიის თანხლებით. ანდა მისი პარტიის მშვენება, **ქალბატონი მაია (სერგო) ორჯონიკიძე** რომ აღარ მოგვიშლის ნერვებს „მაღალი ინტელექტის" ფრქვევით;

**ბაჩუკი ქარდავა და მისი „ედპ"-ს სახე, ბლანჟეცანცარა გურამ ჩახვაძე,** რომელიც ქუჩაში ვერ გამოდის იმის შიშით, რომ „რედიკული" მოხვდება გოგრაში;

ცნობილი თავხედები, **ლევან ჩოლოყაშვილი და მიშა თავხელიძე,** რომელთა სმენისას ერთხელ ტელევიზორიც დავამტვრიე;

ღმერთო, ვინმე ხომ არ გამომრჩა?

თუ ასეა, თქვენ დაამატეთ, ჩემო მკითხველებო. მე კი ერთ რამეს დავძენ — შურისძიება ქვენა გრძნობააო, გამიგონია, მაგრამ ამავე დროს, ტკბილიც არის ეს ოხერი! მიუხედავად ამისა, არ ვაპირებ შურისძიებას და არც სხვას მოვუწოდებ, რადგან ასეთებზე დრომ და მისმა უეჭველმა სამართალმა იძია შური, მაგრამ ვერც იმას შევპირდები ზემოთ ჩამოთვლილ თუ გამორჩენილ ნაძირლებს, რომ, თუ სადმე შემხვდნენ, ისე უბრალოდ ჩავუვლი — ერთ-ორ ალიყურს უეჭველად ვაჭმევ, თუნდაც ამისთვის ახალმა, ობიექტურმა სასამართლომ გლდანის ციხეში მიკრას თავი...

დასასრულს, მინდა მივულოცო ჩემს საყვარელ ქართველ ხალხს თავისუფლება, დიახ თავისუფლება, რადგანაც ამ ოციოდე წლის წინ დამოუკიდებლობა კი მოვიპოვეთ, მაგრამ არა — თავისუფლება. აქედან გამომდინარე კი, ცოცხების ჯანყი არანაკლები მნიშვნელობის (იქნებ მეტისაც) მგონია, ვიდრე ის — ეროვნული მოძრაობის მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობა, რადგან დამოუკიდებლობა ადამიანის თავისუფლების გარეშე ისეთივე აბსურდია, როგორც თევზი — წყლის, დილა — მზის და ღამე მთვარის გარეშე!

**დავით მხეიძე**

**P.S. „ცხარე ცრემლით დავტირი ბებია ელპიტეს ცხედარს" — ასეთი შინაარსის SMS გავუგზავნე ჩემს რამდენიმე ახლობელ ადამიანს, რომლებიც ნაცებთან ყოფნას იმით ამართლებდნენ, „რა მექნა, სამსახური, ცოლ-შვილი და ა.შ.". ეს იყო ჩემი მათდამი შურისძიება! ცოლ-შვილი ჩვენც გვყავდა, პატივცემულებო...**

# «შიში შეიქმს სიყვარულსა»?

**საქართველოს საპარლამენტო არჩევნებმა ზუგდიდში დაბალი აქტიურობით და რატომღაც როლანდ ახლაიას სასარგებლოდ ჩაიარა. ეტყობა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსახლეობის შიშსა და ძრწოლაში ყოლამ, საინფორმაციო ვაკუუმმა თავისი შედეგი გამოიღო. შიშდაუძლეველმა ამომრჩეველმა არჩევნებში მონაწილეობას სახლში ჯდომა არჩია, რამაც ხმები დააკლო ირაკლი ალასანიას, რადგან როლანდ ახალაიას მომხრეებს შინ არავინ აჩერებდა და ორგანიზებულად მიჰყავდათ საარჩევნო ყუთებთან. განაკუთრებული აქტიურობით „ცნობილი" მეგის ქარდავა გამოირჩეოდა, რომელიც ხან შანტაჟით, ხან მუქარით აიძულებდა მოსახლეობას, ხმა მიეცა როლანდ ახალაიასთვის.**

**როლანდ ახალაიას ე.წ. გამარჯვებაში ლომის წილი მიუძღვით ზუგდიდში მყოფ დევნილებს.** ზუგდიდში მოქმედი ე. წ. აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა აქტიურად ეწეოდა აგიტაციასა და პროპაგანდას დევნილებში, რათა მათ „ნაცმოძრაობისთვის" და როლანდ ახალაიასთვის დაეჭირათ მხარი. **ზუგდიდის „ენგურქაღალდკომბინატის" დასახლებაში სპეციალურად დევნილებისთვის გახსნილ საარჩევნო უბანში დარეგისტრირებული 1300 ამომრჩევლიდან ხმა მისცა მხოლოდ 120 დევნილმა და აქედან თითქმის ყველამ „ნაცმოძრაობას" და როლანდ ახლაიას დაუჭირა მხარი.**

ასე რომ, საქართველოს რატომღაც დაებედა, რომელიმე ახალაია ჰყავდეს ან აღმასრულებელ, ან საკანონმდებლო ხელისუფლებაში, თუმცა დეპუტატი როლანდ ახალაია ვერაფერი ბედენაა დამარცხებული „ნაცმოძრაობისთვის".

**არჩევნებმა, ძირითადად, მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, რაიმე განსაკუთრებულ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ „ნაცმოძრაობა" თავის ზონდერ ბრიგადებს აუცილებლად გამოიყენებდა, თუ ამის საჭიროება შეიქნებოდა.** ამომრჩეველთა დაბალმა აქტიურობამ, ანუ „ქართული ოცნების" მომხრეთა პასიურობამ მათ ხელფეხი გაუხსნა და არ დასჭირვებიათ ძალის გამოყენება.

**ერთ-ერთი ვერსიით, როლანდ ახალაიას გამარჯვება ზუგდიდში უზრუნველყო ხელისუფლების მიერ გატარებულმა პროპაგანდამ და აგიტაციამ ქურდული ცხოვრების შესაძლო დაბრუნების შესახებ.**

როლანდ ახალაია კი კრიმინალებთან მებრძოლ პიროვნებად აღიქმეოდა, რომელიც არ დაუშვებდა კრიმინალების პარპაშს. თვით როლანდ ახალაია ამომრჩეველთან შეხვედრისას სწორედ ამ საკითხებზე აკეთებდა აქცენტს.

ასეთ შედეგს და გამარჯვებას, ალბათ, არ მოელოდა თვით როლანდ ახალაია, რომელსაც, გავრცელებული ვერსიით, კანდიდატურის მოხსნაც კი სურდა, რადგან მან კარგად იცოდა, თუ რა შიში დათესა ზუგდიდში, თუმცა გამოთქმა „შიში შეიქმს სიყვარულსა" როლანდ ახალაიას მიმართ გამართლდა. ერთ-ერთ შეხვედრაზე მოსახლეობის რაოდენობით აღფრთოვანებულმა როლანდ ახალაიამ მათ გაკვირვებულმა განუცხადა: **„არ ვიფიქრებდი, თუ ზუგდიდში ამდენს ვუყვარდიო".**

**ასე რომ, ძვირფასო ზუგდიდელებო, 4 წლის განმავლობაში თქვენი ინტერესების დამცველი საქართველოს პარლამენტში შიშის მთესველი როლანდ ახალაია იქნება, რომელიც თქვენ ასე შეიყვარეთ. რა გაეწყობა, ეს ხომ თქვენი არჩევანია!**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ამომრჩეველთა ლიგის" ერთ-ერთი დამფუძნებლის, კახა მიქაიას, განცხადებით, ისინი, ვინც როლანდ ახალაიას მისცეს ხმა, არიან ავადმყოფები. **„ის, რომ ადამიანს სჯერა, რომ როლანდ ახალაია არის კრიმინალებთან მებრძოლი, რომ ის არ დააბრუნებს საქართველოს წარსულში, არიან ავადმყოფები. აბა, სხვა რა შეიძლება მაგათ უწოდო. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩემი თანაქალაქელები აღმოჩნდნენ ასეთი ავადმყოფები",** — აღნიშნა კახა მიქაიამ.

ირაკლი ალასანია კი თავს არ თვლის დამარცხებულად და მან მის მხარდამჭერებს აღუთქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს სიმართლის დასადგენად. მისი თქმით, აღმოჩენილია მთელი რიგი დარღვევებისა, რომლებიც საეჭვოს ხდის როლანდ ახალაიას გამარჯვებას და რომ ორ-სამ დღეში ყველაფერს ნათელი მოეფინება.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

**თუკი განსაცდელი კარს მოგადგებათ, ნაღველი გულზე დაგედებათ, სასოწარკვეთილების განცდა დაგეუფლებათ და დარდს მიეცემით, ამ შემთხვევაში სოციალურ ქსელს კი ნუ ჩაებღაუჭებით საშველად, არამედ მიმართეთ გამოცდილ მოძღვარს და დაეკითხეთ საჭირო რჩევა, რამეთუ ტკივილის დასაამებლად და სულის განკურნებისთვის FACEBOOK-ი არ წარმოადგენს მშველელ პანაცეას.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

f Share

# გაზიარება

## ვირტუალური რწმენა facebook-ზე

### სოციალურ ქსელებზე «მოღვაწე» დაღვრემილსახიანი და სექტანტური ელფერის «ურა-მორწმუნეთა» გასაგონად

**ძვირფასო მეგობრებო, მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება საზოგადოებაში გავრცელებულ ერთ მეტად მავნე ტენდენციაზე, აწ უკვე დამკვიდრებულ „ინტერნეტ ზნე-ჩვეულებასა“ და სოციალური ქსელის მომხმარებელთა „მრუდე ადათ-წესზე“, რომელიც, ჩემი აზრით, მოკლებულია ზომიერებას, შეიცავს თავსმოხვევისა და ძალდატანების არაეთიკურ ელემენტებს, ატარებს პროზელიტიზმის ფანატიკურ მახასიათებლებს, ძალუმად ფარავს „დიდსულოვნებასა“ და ფსევდორწმენაში შეფუთულ ეგოიზმს, ფატალისტური ბოლმითა და აპოკალიპტური ისტერიით უსწორდება არაეკლესიურსა თუ პოტენციურ მრევლს, ტრაგიკულად აღიქვამს არამართლმადიდებლურ მოსაზრებებს და ყოველგვარი საღვთისმეტყველო დისკუსიებისა და კვალიფიციური დისპუტის გარეშე ანათემირებულად აცხადებს თვით ოპონენტსა და მის შეხედულებებს, რაც თავისთავად მდარე კომპეტენციის, მწირი ერუდიციისა და ინტელექტუალური სიბნელის ყველაზე უფრო „რაინდული“ გამოვლინებაა.**

შეგნებულად არ მსურს, რომ კრიტიკის ობიექტად მოვიაზრო ის ადამიანები, რომელნიც გულწრფელად, ცოდნისმიერი გაუცნობიერებლობით, გულუბრყვილოდ, ალალი ექსპრესიითა და სუფთა სიყვარულით ეხმიანებიან რელიგიური შინაარსის „პოსტებს“, არამედ, **უპირველესად, მინდა მივმართო მათ, ვინც პოპულისტური მატრაკვეცობითა და ფარისევლური კეკლუცობით გამოირჩევიან, ვინც მარაზმის „ნეტარ“ ჭაობშია და დახარბებული ელის სულიერ LIKE-ებსა და SHARE-ებს...** ამ ყველაფერს კი აკეთებს იმისათვის, რათა „სასუფევლის წიაღში“ თანამგზავრული სისტემის მეშვეობით „მაცხოვნებელი ადგილი“ დაიბევოს, რაც, ბუნებრივია, ძალიან პროფანირებული და არამართლზომიერი დამოკიდებულებაა პნევმატური რეალობისადმი.

მიმაჩნია, რომ **მორჩილებით შემსრულებელზე უფრო თავად დამკვეთია ამ ავადმყოფობაზე პასუხისმგებელი** (იგულისხმება ყველა ის სასულიერო პირი თუ ვაი-თეოლოგი, რომლებიც უმეცრების გამო ამბიონისა და აუდიტორიის გარდა ყველგან ქადაგებენ და ძირითადად თამადური გამოსვლებით გამოირჩევიან), **მაგრამ, რასაკვირველია, ყველაფრის მიუხედავად, ღვთის წყალობით, მაინც არსებობენ გამონაკლისები, რომელთაც გააჩნიათ ღირსება და იმის სრული კადნიერება, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებლობა მოითხოვს, მოცემულ არეალშიც კი საჯაროდ იმსჯელონ გარკვეულ საკითხებზე. თუმცა ასეთები ყოველთვის ზომა-წონის ფარგლებში, დაბალანსებულად მოქმედებენ და არასოდეს გამაღიზიანებლად არ იქცევიან.**

კონკრეტულად, ჩემი ადრესატი არც ერთი პიროვნება არ გახლავთ და არც არავის შეურაცხყოფას არ ვაპირებ, უბრალოდ, რამდენიმე საკითხი გულწრფელად მაინტერესებს; ღრმა პატივისცემითა და სარკაზმის გარეშე ვსვამ კითხვებს, რომლებიც შემდეგნაირად ჟღერს: **რა საჭიროა FACEBOOK-ზე ვირტუალური ეკლესიისა და სამლოცველოების მოწყობა? რას ემსახურება ეს, ხშირ შემთხვევაში, მართლაც რომ ქიმერული და პათეტიკური მისიონერობა? ხომ არ ანაცვლებს იგი უფალთან რეალურ, ცოცხალ ურთიერთობას? ხომ არ წაადგავს ღვთისადმი ხიბლისმიერ, რომანტიულ ტრფობას? ხომ არ შეიცავს ეს დეპრესიულ სენტიმენტებსა და უღმერთო მელანქოლიას? ხომ არ გულისხმობს ეს რელიგიურ ფსიქოზს? რამდენად ჯანსაღია ასეთი არასერიოზული, ვითომდა „გულანთებული“ დამოკიდებულება უზენაესისადმი? ასეთი ეგზალტაციით ხომ არ ვაუბრალოებთ მისტიურ და საკრალურ სიწმინდეებს? ან ის რაღა ბედენაა — „გაიზიარე თუ ქრისტიანი ხარ“? ან ყოველდღიურ რეჟიმში აბსოლუტურად არაკონტექსტურად ბიბლიური ციტატებისა და წმინდა მამათა გამონათქვამების სტატუსად გამოყენება რას უნდა ნიშნავდეს? რა საჭიროა პირადი ქავერის გუმბათად ქცევა ან პროფილის კედელზე ტაძრის თაღების აშენება?**


გიორგი ტიგინაშვილი

მომიტევეთ და ლამისაა facebook-ზე დაარეგისტრიროთ მთელი ზეციური სამყარო, რომელიც სინამდვილეში ესოდენ ფაქიზი და სათუთია და მასთან თითოეული ინდივიდის ურთიერთობა იდეაში იმდენად დაფარული და ინტიმურია, რომ განსაჯაროება ზიანის მეტს არაფერს უქადის ღვთისმოსავ ადამიანსა და ჭეშმარიტების მიმდევარ მოშურნეს (და თუ მაინც, მაშინ ზედმეტობა არაა საჭირო)... განა თავად კაცობრიობის მხსნელი, მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, არ გვარიგებს (მათეს სახარების მეექვსე თავი) შემდეგი სიტყვებით: **„ეკრძალეთ სიმართლის ქმნას კაცთა წინაშე, მათ დასანახად; თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს თქვენი ზეციერი მამისგან... ნუ აყვირებ შენს წინაშე ბუკ-ნაღარას, როგორც იქცევიან თვალთმაქცნი სინაგოგებსა თუ ქუჩაბანდებში, რათა განადიდოს ისინი ხალხმა... დაე, ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რას აკეთებს მარჯვენა... და მამამან შენმან, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად... როდესაც ლოცულობ, შედი შენს სენაკში, მოიხურე კარი და ილოცე შენი ფარული მამის მიმართ. და მამა შენი, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგებს შენ ცხადად... და როდესაც მარხულობთ, ნუ იქნებით მწუხარენი, თვალთმაქცთა მსგავსად, თავ-პირი რომ ჩამოსტირით, რათა მმარხველებად ეჩვენონ ხალხს... რათა ხალხს კი არ ეჩვენო მმარხველად, არამედ დაფარულში მყოფ მამას შენსას...“**

ვფიქრობ, რომ მორწმუნე მართლმადიდებელთათვის მაცხოვარზე დიდი ავტორიტეტი არ უნდა არსებობდეს და რაკი ასეა, ჩემ მიერ ზემოთ მოხმობილი მისი ფრაზები ყველასათვის დამაფიქრებელი და საგულისხმო უნდა იყოს.




უმჯობესია, რომ ყოფითი ცხოვრებიდან, რეალურ გარემოში, პირადი, ანუ თვისობრივი მაგალითი მივცეთ ადამიანებს ზნეობრივი, ეკლესიური თუ სულიერი ცხოვრებისა, რომელსაც უეჭველია, რომ ეკლესიის ენითგამოუთქმელი მადლმოსილება ფლობს დედამიწაზე... რადგან იგია სხეული მესიისა და უსათუოდ გადამრჩენელია ბუნება მისი... განა ტყუილად უწოდა პავლე მოციქულმა ეკლესიას „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“?.. დიახ, სწორედ ის არის ანარეკლი ზეციური მოზეიმე ეკლესიისა და წყარო სინათლისა და არა ფუნდამენტალისტური სიბეცისა, რომელიც მხოლოდ გარეგნულზეა ორიენტირებული და „განგოზილი საფლავივით“ მშვინვიერობს.

ამიტომ, **თუკი განსაცდელი კარს მოგადგებათ, ნაღველი გულზე დაგედებათ, სასოწარკვეთილების განცდა დაგეუფლებათ და დარდს მიეცემით, ამ შემთხვევაში სოციალურ ქსელს კი ნუ ჩაებღაუჭებით საშველად, არამედ მიმართეთ გამოცდილ მოძღვარს და დაეკითხეთ საჭირო რჩევა, რამეთუ ტკივილის დასაამებლად და სულის განკურნებისთვის FACEBOOK-ი არ წარმოადგენს მშველელ პანაცეას.**

თუმცა, თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ facebook-ი უამრავ დადებით თვისებას ფლობს, მაგალითად: ხელს უწყობს ინფორმაციულობას, ახერხებს საზღვარგარეთ მცხოვრებ ახლობლებთან და გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო მოუცლელ მეგობრებთან მყისიერ კომუნიკაციას, იძლევა განტვირთვის ერთგვარ საშუალებას, გძენს ახალ სანაცნობო წრეს, გართობს და ა. შ. მაგრამ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მიჯაჭვულობა და ნარკოტიკული დამოკიდებულება კომპიუტერული სივრცისადმი, მაინც აუცილებელია სიფრთხილე და მისი ზომიერი, ჯანსაღი წესით მოხმარება, რათა ზომბირებულ ბიოორგანიზმებად არ ვიქცეთ.

და კიდევ: **სოციალურ ქსელებზე „მოღვაწე“ დაღვრემილსახიანი და სექტანტური ელფერის „ურა-მორწმუნეთა“ გასაგონად: ღმერთი არ არის ჯალათი, არც ბოროტი პროკურორი, არც დესპოტი მამა და იგი არასდროს ძალადობს ადამიანის თავისუფალ ნებასა და არჩევანზე!** არც თქვენ ხართ მისი სასამართლოს ნაფიცი მსაჯულები და არც თქვენი ადვოკატური „საპროცესო გარიგება“ გვჭირდება ყოვლადმოწყალე უფალთან, რომელიც მოძღვართან გულწრფელ აღსარებას ყოველთვის შეგვიწირავს ისე, რომ არ დაგვაყვედრის... **იგი არასოდეს არავის ავალდებულებს და ძალმომრეობის არ ცოდნა, მისი ერთადერთი უცოდინარობაა, რადგან იგი სიყვარულია და მას სხვაგავარად არ შეუძლია. ნუ მივაწერთ ღმერთს ადამიანურ თვისებებს, ეს უდიდესი უგუნურება და მკრეხელობა იქნება იმიტომ, რომ ის ტრანსცენდენტურია და, თუ თქვენ ვინმეს მწარედ გაუსწორდებოდით, ნუ გეგონებათ, რომ ასევე მოიქცევა უფალიც.**

უმორჩილესად გთხოვთ, რადიკალურად ნუ მიუდგებით ჩემს სუბიექტურ მოსაზრებებს. მე დაბეჯითებით არ ვამბობ, რომ საეკლესიო შინაარსის „პოსტები“ არ უნდა დავდოთ-მეთქი, არამედ ვგულისხმობ იმას, რომ ბალანსის დაცვა და ოქროს შუალედური მიდგომა აუცილებელია და სასიკეთო.

**გიორგი ტიგინაშვილი,**
თეოლოგი

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თურქული საქონლის იმპორტის მოცულობა დაახლოებით 16-ჯერ და მეტად აღემატება თურქეთიდან საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მთლიან მოცულობას

# სტატისტიკური შოკი

## ინფლაციური პროცესები და ფულის მსყიდველობითი უნარიანობა თანამედროვე საქართველოში: 2000—2011 წლები

**წერილი მესამე**

### ფასები, ინფლაცია

**ამჟამად ფასების დონე თურქეთში მსოფლიო დონის 72.4 პროცენტია,** ნაცვლად 2000 წლის 51.9 პროცენტისა. საქართველოში 2000-2011 წლებში ფასების დონე მსოფლიო დონის 30.8 პროცენტიდან 57.0 პროცენტამდე გაიზარდა. ამჟამად **ფასების დონე საქართველოში თურქეთის დონის თითქმის 4/5-ია (78.8%), ნაცვლად 2000 წლის 3/5-სა (59.2%).**

2000 წლის შემდეგდროინდელ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ფასები საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარზე გაცილებით ნაკლებად იზრდებოდა, ვიდრე თურქეთში (ზრდა — 2.6-ჯერ უფრო დაბალი ტემპით), მსოფლიო დონესთან შიდა ბაზრის ფასების დაახლოების პროცესი საქართველოში გაცილებით დინამიურად მიმდინარეობდა. ამ დროის მანძილზე სხვაობა ფასების მსოფლიო დონესთან შემცირდა: საქართველოში – 26.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო თურქეთში – მხოლოდ 20.5 პუნქტით. ამის ძირითადი მიზეზი ქვეყნების მონეტარულ და საბანკო პოლიტიკაში და, აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის დინამიკაში უნდა ვეძებოთ: თურქული ლირა აშშ დოლართან 2000 წლის შემდეგ დაეცა 1.9-ჯერ, ხოლო ქართული ლარი, პირიქით, გამყარდა (დაახლოებით 5 პროცენტით).

### ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი

აღნიშნული ინდექსი, როგორც ინფლაციისა და უმუშევრობის დონეთა კრებსითი მაჩვენებელი, თურქეთში 2011 წლისთვის 16.6 პროცენტია, რაც 2000 წლის დონეს (61.5%) მნიშვნელოვნად (3.7–ჯერ) ჩამორჩება.

თურქეთისაგან განსხვავებით, აღნიშნული ინდექსი საქართველოში ზრდის ტენდენციით ხასიათდება – მისი 2011 წლის დონე 2000 წლისას 1.8-ჯერ აღემატებოდა (შესაბამისად, 25.8% და 14.4%). **თუ ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი საქართველოს 2000 წელს თურქეთისაზე 4.3-ჯერ უფრო დაბალი (ანუ, უფრო უკეთესი), 2011 წელს უკვე თითქმის 1.6-ჯერ უფრო მაღალი (ანუ, უფრო უარესი) ჰქონდა.**

### სახელმწიფო ბიუჯეტი

საგადასახადო ტვირთი – გადასახადების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან თურქეთში 1.5-ჯერ უფრო მაღალია საქართველოსთან შედარებით (შესაბამისად, 32.5% და 21.7%). აღნიშნული გარემოება გამოწვეულია თურქეთში საგადასახადო განაკვეთების საქართველოსთან შედარებით უფრო მაღალი დონით (მოგების გადასახადი: საქართველო — 15%, თურქეთი — 20%; საშემოსავლო გადასახადი, შესაბამისად, 20% და 15-40%).

თურქეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მშპ-ის 14 პროცენტიდან 2000 წელს 0.9 პროცენტამდე 2011 წლისთვის.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში დეფიციტის სიდიდე მშპ-ის დაახლოებით 2.3 პროცენტს შეადგენს.

**სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე თურქეთში 3582 აშშ დოლარია, საქართველოში — 873 აშშ დოლარი.** აღნიშნული ინდიკატორით საქართველოს თანაფარდობა თურქეთთან 24.4 პროცენტია, რაც 2000 წლის მაჩვენებელს 15 პროცენტული პუნქტით აღემატება.

რამდენადმე უკეთესია საქართველოს თანაფარდობა თურქეთთან მოსახლეობის ერთ სულზე საბიუჯეტო ხარჯების მიხედვით – 25.6 პროცენტი (შესაბამისად, 942 დოლარი და 3678 დოლარი).

**დღეისათვის მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში თურქეთთან შედარებით საბიუჯეტო შემოსავლები 4.1-ჯერ, ხოლო ხარჯები — 3.9-ჯერ ნაკლებია.**

### სახელმწიფო ვალი

თურქეთის სახელმწიფო ვალი 2000 წლის 136.7 მლრდ აშშ დოლარიდან 2011 წლისათვის 307.8 მლრდ აშშ დოლარამდე, ანუ 2.25-ჯერ გაიზარდა (აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ვალი გაიზარდა 2.1 მლრდ აშშ დოლარიდან 5.1 მლრდ აშშ დოლარამდე, ანუ 2.4-ჯერ). ამჟამად **სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან შეადგენს: თურქეთში – 40.3 პროცენტს, ხოლო საქართველოში – 36.8 პროცენტს.**

**მოსახლეობის ერთ სულზე სახელმწიფო ვალი 2011 წელს საქართველოში შეადგენდა 1140 აშშ დოლარს, თურქეთში – 4266 დოლარს.** ბოლო წლებში საქართველოში შეინიშნება მოსახლეობის ერთ სულზე სახელმწიფო ვალის შედარებითი სწრაფი ზრდა თურქეთის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. შედეგად, თუ ჯერ კიდევ 2005-2007 წლებში საქართველოს აღნიშნული მაჩვენებელი თურქეთის მაჩვენებლის მხოლოდ 13.5 პროცენტს შეადგენდა, 2011 წლისთვის მან უკვე 26.7 პროცენტს მიაღწია.


საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი
GEORGIAN DEVELOPMENT RESEARCH INSTITUTE

იოსებ არჩვაძე

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა:

განვითარების დონისა და მოწყვლადობის ზოგიერთი ასპექტი

ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი



**მიმდინარე ანგარიშის ბალანსი საქართველოსაც და თურქეთსაც «ტრადიციულად» უარყოფითი აქვთ. 2011 წელს მან საქართველოსათვის მშპ-ის –10.7 პროცენტი, ხოლო თურქეთისათვის – 10.2 პროცენტი შეადგინა**

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვალის მოცულობა, როგორც საქართველოში, ისე თურქეთში, აღემატება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, ბოლო წლებში იკვეთება აღნიშნული ვალის ბიუჯეტთან თანაფარდობის შემცირების ტენდენცია. საქართველოში იგი შემცირდა 2000 წლის 457.2 პროცენტიდან 2011 წლის 130.5 პროცენტამდე, თურქეთში კი – 183.9 პროცენტიდან 119.1 პროცენტამდე.

### ინვესტიციები

**2000 წლიდან დღემდე თურქეთმა საქართველოში 1.4 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა** – საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 16 პროცენტი. პიკური წელი ამ მხრივ იყო 2008 წელი, როდესაც თურქეთის ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 164.5 მლნ. აშშ დოლარი. ამასთან, ჯერჯერობით თურქეთის სავაჭრო ექსპანსია წინ უსწრებს კაპიტალის ექსპანსიას, რის გამოც **თურქული საქონლის იმპორტის მოცულობა დაახლოებით 16-ჯერ და მეტად აღემატება თურქეთიდან საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მთლიან მოცულობას.**

გარკვეული პირობითობით, საინვესტიციო დატვირთვა გააჩნია აგრეთვე ფულად ტრანზაქციებს, რომელთა მოცულობამ 2011 წელს თურქეთიდან საქართველოში შეადგინა 27.6 მლნ. აშშ დოლარი (პირიქით, საქართველოდან თურქეთში განხორციელებულმა ტრანზაქციებმა შეადგინა მხოლოდ 3.6 მლნ. აშშ დოლარი).

### საგარეო სავაჭრო ბრუნვა და საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები

ზოგადად, ბოლო წლებში საქართველოში წინმსწრები ტემპით იზრდებოდა იმპორტი, მაშინ, როდესაც თურქეთისათვის დამახასიათებელი იყო საპირისპირო ტენდენცია — ექსპორტის უპირატესი ზრდა იმპორტთან შედარებით. შედეგად, თუ ექსპორტით იმპორტის გადაფარვა საქართველოში დაეცა 2000 წლის 45.7 პროცენტიდან 2011 წლის 31.0 პროცენტამდე, თურქეთში, პირიქით, იგი გაიზარდა 51-დან 56 პროცენტამდე.

**2001-2011 წლებში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მიმდინარე ფასებში) ზრდის ყოველ ერთ პროცენტზე ექსპორტის მოცულობა იზრდებოდა მხოლოდ 0.90 პროცენტით, მაშინ როდესაც – თურქეთში ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 1.96 პროცენტს,** ანუ თითქმის 2.2-ჯერ უკეთესს.

ამჟამად **მოსახლეობის ერთ სულზე ექსპორტის მოცულობა საქართველოში შეადგენს 490 აშშ დოლარს,** რაც 2000 წლის დონეს 6.7-ჯერ აღემატება. იმავე პერიოდში **თურქეთის ექსპორტი ამ ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე** გაიზარდა 4.4-ჯერ და **1853 აშშ დოლარი შეადგინა.**

ამასთან, საქართველოს ჩამორჩენა თურქეთთან საექსპორტო პოტენციალით გაცილებით მეტია ეკონომიკური პოტენციალით ჩამორჩენასთან შედარებით (შესაბამისად, 26.4% და 29.3%).

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი საქართველოსაც და თურქეთსაც „ტრადიციულად" უარყოფითი აქვთ. 2011 წელს მან საქართველოსათვის მშპ-ის —10.7 პროცენტი, ხოლო თურქეთისათვის — 10.2 პროცენტი შეადგინა.

2006 წლიდან, რუსეთის მიერ ქართულ მინერალურ და ალკოჰოლურ სასმელებზე ემბარგოს გამოცხადების შემდეგ, თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია – ამჟამად მასზე მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მეექვსედი, მათ შორის, ექსპორტის 10.4% და იმპორტის 18.0%. საკმარისია ითქვას, რომ **ამჟამინდელი იმპორტი თურქეთიდან (1271.5 მლნ. აშშ დოლარი) მნიშვნელოვნად აღემატება 2003 წლის საქართველოს მთლიან იმპორტს,** რაც ამ ქვეყანასთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრირების მაღალ დონეზე მიუთითებს. თურქეთთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 2011 წელს შეადგენდა საქართველოს მშპ-ის 10.7 პროცენტს, 2000 წლის 6.1 პროცენტის ნაცვლად.

**თურქეთთან საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის ფიზიკური მოცულობა 2000-2011 წლებში 26.0-ჯერ გაიზარდა (-40.1 მლნ. აშშ დოლარიდან -1043.9 მლნ. აშშ დოლარამდე).**

**2011 წელს თურქეთში გატანილ ყოველ დოლარ ქართულ პროდუქციაზე მოდის 5.6 დოლარის იმპორტირებული თურქული პროდუქცია, მაშინ როდესაც 2000 წელს – მხოლოდ 1.5 დოლარისა.** შედეგად, **2000 წელთან შედარებით თურქეთის წილი საქართველოს ექსპორტში შემცირდა 2.2-ჯერ (23.0%-დან 10.4%-მდე), იმპორტის წილი კი საგრძნობლად გაიზარდა (15.7%-დან 18.0%-მდე).**

საქართველოც და თურქეთიც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული არიან ნავთობპროდუქტების იმპორტზე. **2000 წელთან შედარებით საქართველოს ხარჯები ნავთობპროდუქტების იმპორტზე გაეზარდა 7.1-ჯერ, თურქეთს კი — თითქმის 5.6-ჯერ. ორივე ქვეყანაში ნავთობპროდუქტების იმპორტის ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა იმპორტის საერთო ზრდას.** 2001-2011 წლებში საქართველომ განახორციელა 4.8 მლრდ. აშშ დოლარის, ხოლო თურქეთმა — 297.2 მლრდ. აშშ დოლარის ნავთობპროდუქტების იმპორტი. **ნავთობპროდუქტების იმპორტის ღირებულების ზრდის ტემპი 2001-2011 წლებში აღემატებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალურ ზრდას: 3.7-ჯერ – საქართველოში და 3.6-ჯერ – თურქეთში.**

**ქართული საზოგადოება, საქართველოს მოსახლეობა, როგორც თურქული საქონლის მომხმარებელი, სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს თურქეთის სახელმწიფოს ფისკალურ გაძლიერებაში – მარტო 2011 წელს საქართველოში განხორციელებული ექსპორტის წყალობით თურქეთის ეკონომიკაში დასაქმდა 60 ათასზე მეტი ადამიანი. ჩვენი მოსახლეობის მიერ გადახდილი ყოველი მესამე-მეოთხე ლარი თურქეთის ეკონომიკაში „იდება" და მის აღმავლობას ემსახურება.**

ხისტი კორელაცია არ არსებობს, თუმცა, გარკვეული სიმბოლური დატვირთვისაა ის, რომ **საქართველოში განხორციელებული ექსპორტის წყალობით თურქეთში შექმნილი ხსენებული დამატებითი 60 ათასი სამუშაო ადგილი ფაქტობრივად შეესაბამება ჩვენთან 2003 წლიდან უმუშევართა რიცხოვნობის ზრდის მაჩვენებელს...**

მიუხედავად ბოლო წლების ეკონომიკური ზრდისა, საქართველო თავისი განვითარების დონით თურქეთის მხოლოდ 30 პროცენტის დონეზეა. ამასთან, ბოლო **ოთხი წელიწადია, შეჩერდა საქართველოს თურქეთთან ეკონომიკური განვითარების დონის დაახლოების პროცესი, ზოგიერთი ინდიკატორით კი (მშპ მთლიანად და მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით) ხსენებული თანაფარდობა გაუარესდა კიდეც.**

საქართველოს თურქეთთან ეკონომიკური ჩამორჩენის დონის „კონსერვაცია", თურქეთის მზარდი ეკონომიკური პოტენციალი, დისპროპორცია იმპორტ-ექსპორტის მოცულობაში, საზღვრების გახსნილობა სულ უფრო იოლად რეალიზებადს ხდის თურქულ ეკონომიკურ ექსპანსიას საქართველოში, თურქეთის მიერ ქართული სამომხმარებლო ბაზრის (და არა მარტო) არათუ დაჩრდილვის, არამედ აბსორბციის საფრთხეს. ამ კუთხით, ბათუმიდან სტამბულის (და ახლა უკვე ანკარას) მიმართულებით საჰაერო რეისების თურქეთის შიდა რეისების სტატუსით განხორციელება აღნიშნული პროცესის მხოლოდ პირველ ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს.

**იოსებ არჩვაძე**

„სიცოცხლე არც ისე გრძელია, როგორც ახალგაზრდობაში გვეჩვენება და მოცემული გვაქვს იგი კეთილ საქმეთათვის.“

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უნეტარესი ვლადიმირი: პრობლემა ისაა, ცხოვრებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება ეკლესიის გალავანშიც რომ აღწევს

**კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტის, უნეტარეს ვლადიმირის ინტერვიუ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“**



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი, კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი, უნეტარესი ვლადიმირი

**— რა გამოწვევები დგას დღეს მართლმადიდებელი მსოფლიოს წინაშე?**

— მასშტაბურად რომ ვთქვათ, ორი ათასი წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა. უფალს მიჰყავს თავისი ხომალდი, წმინდა ეკლესია, ცხოვრებისეულ ზღვაში გადარჩენის გზით. ხოლო კაცობრიობის მტერი, ეშმაკი, წარუმატებლად ცდილობს ახალი და ახალი საცდუნებლისა და წინააღმდეგობის მოგონებით შეუშალოს მას ხელი. კაცობრიობისთვის ამგვარი გამოწვევები დღეს არის სეკულარიზმი და სწრაფვა უაზრო და დაუოკებელი სეკულარიზმისკენ. **მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რომ ამგვარი კანონებით ცხოვრობენ ურწმუნო ადამიანები, პრობლემა ისაა, ცხოვრებისადმი ამგვარი მომხმარებლური დამოკიდებულება ეკლესიის გალავანშიც რომ აღწევს. ამიტომ აქ, უწინარესად, საჭიროა ბრძოლა საკუთარ თავთან და საკუთარ ვნებებთან.** წამალი კი ჯერ კიდევ სახარებაშია აღწერილი, ანუ განიდევნება იგი მხოლოდ მარხულობითა და ლოცვით.

**— რას უპირისპირებს ეკლესია ამ გამოწვევებს და რა უნდა იღონოს მრევლმა ამ გამოწვევათა წინააღმდეგ?**

— იცხოვროს ქრისტეს რწმენით და უფლის მცნებათა მიხედვით. თუ ღმერთი ჩვენთანაა, ვინაა ჩვენ წინააღმდეგ? ზეციური სამეფო, როგორც ცნობილია, იბრძვის ძლიერებით და მხოლოდ იგი, ვინც ძალას მოიხმარს, შეძლებს მივიდეს მასთან. ამიტომ **საჭიროა, ჩვენ თვითონ განვვითარდეთ სულიერი ცხოვრების ძალაში და აღვუზარდოთ ქრისტიანული სათნოებანი ჩვენს შვილებსა და ნათესავთ. საჭიროა, არა მარტო პატივი მივაგოთ, არამედ ვიკითხოთ სახარება. და არა მხოლოდ ვიკითხოთ, არამედ მის შესაბამისად ვიცხოვროთ.** ასევე საჭიროა, მივბაძოთ წმინდანებს, რომელთაც თავიანთი ცხოვრებით დაამტკიცეს, რომ შესაძლებელია მივაღწიოთ ზეციურ საუფლოს.

**— როგორ აფასებთ მაცხოვრის ტაძრის წაბილწვის მცდელობის ცნობილ მოვლენებს მოსკოვში? რატომ აღსდგა, თქვენი აზრით, მთელი დასავლეთი სამყარო იმ ქალიშვილთა დასაცავად და რამდენად მნიშვნელოვანია, რისი მანიშნებელია ის, რაც მოხდა?**

— ახალი რა დაინახეთ? განა XIX საუკუნის ამგვარი გამოხდომებიდან არ დაიწყო XX საუკუნის ათეისტური დევნა? მაშინ მას ეწოდებოდა „მებრძოლი ათეიზმი“, დღეს მოწმენი ვხდებით მებრძოლი სეკულარიზმისა. ამით არსი არ იცვლება. უფალიც ხომ აფრთხილებდა თავის მოწაფეებს, რომ მათ დაუწყებენ დევნას. **მთავარი სხვაა, ყურადღებით უნდა მივადევნოთ თვალი საკუთარ თავს, რათა ჩვენი რეაქცია იყოს არა მოქალაქეობრივი, არა ადამიანური, არამედ ქრისტიანული. ქრისტე ლოცულობდა მათთვის, ვინც ჯვარს აცვა, დევნა კი ყოველთვის ეკლესიის გამარჯვებით მთავრდებოდა.**

— ოთხი წლის წინათ საშინელი მოვლენა მოხდა — ომი ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ ხალხებს შორის, ქართველ და რუს ხალხებს შორის. როგორ აფასებთ ამ მოვლენას მართლმადიდებლობის, სულიერების თვალსაზრისით? და როგორ არ უნდა დავუშვათ მომავალში ამგვარი ერთმორწმუნე ძმათამკვლელობა?

— გამიძნელდება მოვლენების შეფასება, რადგან არ ვიცი და არ მესმის ყველა პოლიტიკური ნიუანსი. მაგრამ, როგორც ქრისტიანს, მტკივა. ჩემთვის ეს კონფლიქტი მაცხოვრის სიტყვების დამადასტურებელია, რომ **„უკანონობის გამრავლების მიზეზით, ბევრს გაუნელდება სიყვარული“.** ხოლო მომავალში მსგავსი რამის ასაცილებლად, საკმარისი არ არის, მხოლოდ ვიწოდებოდეთ, არამედ უნდა ვიყოთ მართლმადიდებლები. ამას ვამბობ ჩვენი, უკრაინელი ხალხის მისამართითაც. **ქრისტეს მოწაფეებად გვცნობენ იმით, რომ გვიყვარს ერთმანეთი და არა იმით, რომ ვეომებით ერთმანეთს.**

**— რას უსურვებთ ქართველ ხალხს და, კერძოდ, ახალგაზრდობას?**

— ქართველ ხალხს მინდა ვუსურვო, ისევე უყვარდეს ქრისტე და ეკლესია, როგორც თქვენი ღვთისმოყვარე და ღვთისმოსავი ხალხის მრავალ თაობას. **ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ უწმინდეს პატრიარქ ილიას.** ახალგაზრდობას კი გავახსენებ, რომ სიცოცხლე არც ისე გრძელია, როგორც ახალგაზრდობაში გვეჩვენება და მოცემული გვაქვს იგი კეთილ საქმეთათვის.

ესაუბრა **პანო ჩოკორაია**

# მებრძოლი და მეცნიერი

**90 წელი შეუსრულდა ცნობილ მეცნიერს, პოლიტოლოგსა და ისტორიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, სამამულო ომის ვეტერანს, ხანდაზმულ მეცნიერთა საბჭოს წევრს, ღირსების ორდენის კავალერს, პროფესორ სავლე შარიქაძეს.**

ბატონმა სავლემ მართლაც რომ სიცოცხლის ხანგრძლივი და ნაყოფიერი გზა განვლო. იგი დაიბადა 1922 წლის 6 სექტემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ ლეღვანში. 20 წლის ასაკში, ჩიტის საავიაციო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩაება მეორე სამამულო ომში და აქტიურად მონაწილეობდა საჰაერო-საავიაციო ბატალიებში ხარკოვის, გომელის, ბრიანსკისა და კიევის მიმართულებით გამართულ ბრძოლებში. ღირსეულად იბრძოდა, რის გამოც დაჯილდოვდა მრავალი საბრძოლო ორდენითა და მედლით.

**ომის დამთავრების შემდეგ ომგადახდილი მებრძოლი ისევ სასწავლო მერხს მიუბრუნდა, ბეჯითად იშრომა და დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1956 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1969 წელს სადოქტორო დისერტაციები. გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 14 მონოგრაფია.**

პროფესორ სავლე შარიქაძის ინტერესების სფერო უპირატესად არის გარდამავალი პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ტრანსფორმაციის აქტუალური პრობლემები, სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკური პარტიები და



ადგილობრივი თვითმმართველობა, სახელმწიფო ფორმები, მუშათა კლასის ისტორია და ა.შ.

**ბატონი სავლე რამდენიმე ათეული წელი მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჰყავდა მრავალი მოწაფე, ასპირანტი, რომლებმაც წარმატებით დაიცვეს დისერტაციები. ისინი დღესაც თბილად იხსენებენ მის მიერ წაკითხულ ლექციებს.**

**ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად პროფესორი შარიქაძე იყო რამდენიმე სპეციალიზირებული საბჭოს წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.**

ბატონი სავლე მეტად გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანია, შესანიშნავი მამა და ბაბუა. საბედნიეროდ, იგი დღესაც მხნედ არის, აქტიურ ცხოვრებას ეწევა და მის გვერდით მოსეირნე შედარებით ახალგაზრდა ადამიანებს უჭირთ მისთვის ფეხის აწყობა.

**ვულოცავთ ბატონ სავლეს იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს ბედნიერ საქართველოში.**

**მეგობართა ჯგუფი**

# რუსეთი მკრეხელობისთვის სისხლის სამართლის პასუხიმგებლობის დაწესებას გეგმავს

**რუსეთის სახელმწიფო სათათბირო მკრეხელობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ კანონპროექტს განიხილავს. ამის შესახებ სათათბიროს საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და რელიგიური ორგანიზაციების საქმეთა კომიტეტის თავჯდომარემ, იაროსლავ ნილოვმა, განაცხადა.** მისი თქმით, მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების ან სიწმინდეების შეურაცხყოფისთვის მაქსიმალური სასჯელი სამი წლით თავისუფლების აღკვეთას გაითვალისწინებს, თუმცა შესაძლებელი იქნება მკრეხელობაში ბრალდებულის დასჯა დაჯარიმებით, 300 ათასი რუბლით, ან(და) გამოსასწორებელი სამუშაოებით ვადით 200 საათამდე. უფრო მკაცრი სასჯელი დაწესდება საკულტო შენობა-ნაგებობის დანგრევისთვის ან(და) შეურაცხყოფისთვის — 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა



და ჯარიმა 500 ათასი რუბლი. გარდა ამისა, დაწესდება ადმინისტრაციული სასჯელი რელიგიური ლიტერატურის ან ნივთების განადგურებისთვის, რაც 50 ათას რუბლამდე ჯარიმით დაისჯება. მკრეხელობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების იდეა Pussy Riot-ის საქმის შემდეგ გაჩნდა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ კლინტონის ადმინისტრაციისა და ირანის თანხმობით სხვა დაქირავებულებს შორის ბოსნიაში, შემდეგ კი კოსოვოშიც „ალ ქაიდას“ ტერორისტები ჩანერგეს, რათა მათ დახმარება გაეწიათ სამიზნედ არჩეული სერბეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ „ალ ქაიდას“ რიგებში არიან ის „თავისუფლებისათვის მებრძოლნიც“, რომლებიც ლიბიის კამპანიაში მონაწილეობდნენ.**

# არშემდგარ სახელმწიფოთა საამქრო

**ვაშინგტონი სახელგანთქმულია სამიზნეში მოხვედრილ სახელმწიფოებში შიდა ტერორიზმის ხელშეწყობის ნიჭით, შემდეგ კი ამავე სახელმწიფოების დადანაშაულებით იმის გამო, რისი შემკვეთიც თავადაა. ეს მეთოდი მას შესაძლებლობას აძლევს, მოამზადოს საფუძველი სამხედრო შეჭრისათვის და დაუსჯელად განახორციელოს ეს. კარგად დამუშავებული სქემაა, რომელსაც ამ ეტაპზე სირიაში იყენებენ.**




ვიეტნამში ომის პერიოდში აშშ-ის ერთ-ერთი სამხედრო ბაზის შესასვლელში ეკიდა წარწერა: „Killing Is Our Business, and Business Is Good“ („დახოცვა ჩვენი ბიზნესია, ბიზნესი კი კარგი რამაა“). და მართლაც, ვიეტნამში ეს ბიზნესი ყვაოდა (ისევე, როგორც კამბოჯაში, ლაოსში, კორეაში), იქ სამოქალაქო მოსახლეობაში დახოცილებს ათასობით ითვლიდნენ. სხვათა შორის, ყველაფერი თავის ადგილზე დარჩა ვიეტნამში ომის დასრულების შემდეგაც. მასობრივი ხოცვა-ჟლეტა გრძელდებოდა ყველა კონტინენტზე როგორც პირდაპირი გზით, ისე „ნდობით აღჭურვილი პირების“ საშუალებით. ეს ხდებოდა ყველგან, სადაც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვის საჭირო გახდა ბაზებისა თუ გარნიზონების შექმნა, შეჭრის მომზადება, დაბომბვები თუ სისხლისმსმელი რეჟიმების დაფინანსება, ნამდვილი ტერორისტული ქსელების შექმნა და დაფინანსება, ტრანსნაციონალური პროგრამების მხარდაჭერა და ეს ყველაფერი კეთდებოდა ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ეგიდით.

არაჩვეულებრივ წიგნში, რომელიც ბრაზილიის საქმეებში ამერიკის ჩარევას ეხება, **იან კნიპერს ბლეკმა** დიდი ხნის წინ ასახა, თუ როგორ შეიძლება გაფართოვდეს ისედაც სასწაულებრივად გაწელილი მცნება „ნაციონალური უსაფრთხოება“ იმის მიხედვით, თუ რას მოიაზრებს მასში ესა თუ ის სახელმწიფო, სოციალური კლასი ან დაწესებულება. საქმე იმ დონემდე მივიდა, რომ დღეს სწორედ მათ, ვის უსაფრთხოებასაც უნდა უზრუნველყოფდეს მათი სიმდიდრე და ძლევამოსილება, ყველაზე ძლიერი პარანოია უვითარდება. თავიანთი შეუკავებელი მცდელობით, უზრუნველყონ საკუთარი უსაფრთხოება, ისინი მხოლოდ უახლოვდებიან საკუთარ აღსასრულს (წიგნში საუბარია 1960-იან წლებში ბრაზილიაში სოციალური დემოკრატიის წარმოშობის რისკზე და მასთან ბრძოლაზე ამერიკელების მხრიდან კონტრრევოლუციის მხარდაჭერითა და სამხედრო დიქტატურის დამყარების ხელშეწყობით). დაუმატეთ ამას მეწარმეების მოთხოვნა, რომელიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთანაა დაკავშირებული და იმ მისიების ხელშეწყობასთან, რომლებიც თავდაცვაზე ხარჯების ზრდას ამართლებენ, ასევე მასმედიის სრული თანამშრომლობა ამ ყველაფერთან და მიიღებთ კიდეც საზარელ რეალობას.

სინამდვილეში ზემოხსენებული გიგანტი, რომელსაც პარანოიკად მოაქვს თავი, მთელ ძალისხმევას იყენებს იმისათვის, რომ შექმნას ნამდვილთან რაც შეიძლება მიმსგავსებული საფრთხეები მას შემდეგ, რაც დაემხო „ბოროტების იმპერია“, რომლის შეკავებაზეც აცხადებდა პრეტენზიას ეს ქვეყანა. მადლობა ღმერთს, რამდენიმე ერთეული მცდელობის შემდეგ, ყურადღება ნარკოტერორიზმზე ორიენტირებული გაეხადათ, შემდეგ კი სადამ ჰუსეინის მასობრივი განადგურების იარაღზე, ისლამური ტერორიზმი პირდაპირ ციდან ჩამოვარდა, რათა ღირსეულ საფრთხედ ქცეულიყო. მოვლენათა ამგვარი განვითარება აბსოლუტურად ბუნებრივად ჯდება არაბული სამყაროს მტრულ განწყობაში ამერიკული თავისუფლებების მიმართ და მის უართან, მიეცა საშუალება ისრაელისთვის, ეწარმოებინა მშვიდობიანი მოლაპარაკებები და მშვიდობიანად დაერეგულირებინა პალესტინასთან უთანხმოება.

**გარდა მასობრივი ჟლეტის ოპტიმიზაციისა და აქედან გამომდინარე იარაღით ვაჭრობისა, აშშ ამ გზით არშემდგარი სახელმწიფოების მეწარმედ იქცა. ტერმინში „არშემდგარი სახელმწიფო“ იგულისხმება სახელმწიფო, რომელიც გაისრისა სამხედრო ძალის ქვეშ ან უმართავი გახდა ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციის და მისი თანმდევი ქაოსის გამო, რის შედეგადაც პრაქტიკულად დაკარგა შესაძლებლობა, აღდგეს და თავისი მოქალაქეების ლეგიტიმური მოთხოვნები დააკმაყოფილოს.**

**სულ ახლახან საკუთარი თვალით ვიხილეთ არშემდგარი სახელმწიფოების წარმოების განახლება, რაც, მადლობა ღმერთს, მრავალათასიანი მსხვერპლის გარეშე დასრულდა ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებში და აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. შემოსავლების კლება და სიკვდილიანობის ზრდა იქ შოკური თერაპიის და რესურსებისა და ეკონომიკის დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი საყოველთაო ნახევრადლეგალური ძარცვის პირდაპირ შედეგად იქცა**

რა თქმა უნდა, აშშ-ის ეს სამრეწველო სიმძლავრეები გუშინ არ შექმნილა, როგორც ჰაიტის, დომინიკანას რესპუბლიკის, სალვადორის, გვატემალისა და ინდოჩინეთის შტატების პრაქტიკა აჩვენებს, იქ მასობრივი ჟლეტა თავისუფლად მიმდინარეობდა. სხვათა შორის, სულ ახლახან საკუთარი თვალით ვიხილეთ არშემდგარი სახელმწიფოების წარმოების განახლება, რაც, მადლობა ღმერთს, მრავალათასიანი მსხვერპლის გარეშე დასრულდა ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებში და აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. შემოსავლების კლება და სიკვდილიანობის ზრდა იქ შოკური თერაპიის და რესურსებისა და ეკონომიკის დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი საყოველთაო ნახევრადლეგალური ძარცვის პირდაპირ შედეგად იქცა.

**არშემდგარი სახელმწიფოების მეორე კასკადი გახდა „ჰუმანიტარული ინტერვენციების“ და ნატოსა და აშშ-ის ხელმძღვანელობით ხელისუფლებების შეცვლის შედეგი.** ეს უკანასკნელნი ძალზე აგრესიულნი გახდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც აღარ არსებობს ძალიან მძლავრი, თუნდაც ძალზე შეზღუდული „შემაკავებელი ძალა“.

**ამ შემთხვევაში მაგალითად გამოდგება ჰუმანიტარული ინტერვენცია იუგოსლავიაში. ბოსნია, სერბეთი და კოსოვო არშემდგარ სახელმწიფოებად იქცნენ. ამ არეულობიდან ზოგიერთი ფეხზე ძლივს მდგომი გამოვიდა დასავლეთის მორჩილებით ან მისი მოწყალების მოლოდინით.** პრემიის სახით კოსოვომ მიიღო ამერიკის მონუმენტური სამხედრო ბაზა იმის ნანგრევებზე, რაც ერთ დროს დამოუკიდებელი სოციალურ-დემოკრატიული სახელმწიფო იყო. იმპერიული ინტერვენციის ღირსებათა ამ მშვენიერმა დემონსტრირებამ გზა გაუხსნა არშემდგარი სახელმწიფოების წარმოების ახალ სერიას: ავღანეთი, პაკისტანი, სომალი, ერაყი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ლიბია და ახლა უკვე სირიაც. ამ რეგიონში კიდევ ერთი პროგრამა მუშაობს, რომლის სახელწოდება „ირანული საფრთხეა“ და მიმართულია შაჰის პროდასავლური დიქტატურის ბედნიერი ეპოქის დაბრუნებისკენ.

ეს დაპროგრამებული წარუმატებლობები, როგორც წესი, გაერთიანებულია იმპერიული პოლიტიკისა თუ იმპერიის ძლევამოსილების გავრცობის ნიშნებით. ეს არის თუნდაც გაჩენა და ლეგიტიმაცია (ან ოფიციალური აღიარება) იმ შეიარაღებული მეამბოხეებისა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან მსხვერპლად თავის წარმომჩენი ნაციონალური ნიშნით და საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ ახორციელებენ ტერორისტულ მოქმედებებს, ხანდახან გახსნილად ცდილობენ სახელისუფლო ძალების მხრიდან მკაცრი საპასუხო ზომების პროვოცირებას და მუდმივად უხმობენ იმპერიულ ძალებს, დაეხმარონ მათ. როგორც წესი, ქვეყანაში ამბოხებულების დასახმარებლად დაქირავებულ უცხოელებს გზავნიან. ადგილობრივი ამბოხებულები და დაქირავებულები იარაღს იღებენ, სწავლობენ და ლოჯისტიკურ დახმარებას იღებენ იმპერიული ძალებისგან. ეს უკანასკნელები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად წაახალისონ ამბოხებულთა ინიციატივები, რადგან მათ დესტაბილიზაციის გასამართლებელ შესაბამის პირობებად მიიჩნევენ, დესტაბილიზაციისა, რასაც შემდეგ დაბომბვა, საბოლოოდ კი მიზანში ამოღებული რეჟიმის დამხობა მოსდევს.

ეს ილეთი თვალნათლივ ჩანდა იუგოსლავიის დაშლის მთელი პროცესისა და შემდგომ არშემდგარი სახელმწიფოების შექმნის საქმეში. მაშინ ნატოს ქვეყნების მიზანი იყო იუგოსლავიის გაყოფა და მისი ყველაზე მძლავრი შემადგენლის — სერბეთის დათრგუნვა. დასავლეთმა მიზანს მიაღწია.

**საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ კლინტონის ადმინისტრაციისა და ირანის თანხმობით სხვა დაქირავებულებს შორის ბოსნიაში, შემდეგ კი კოსოვოშიც „ალ ქაიდას“ ტერორისტები ჩანერგეს, რათა მათ დახმარება გაეწიათ სამიზნედ არჩეული სერბეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ „ალ ქაიდას“ რიგებში არიან ის „თავისუფლებისათვის მებრძოლნიც“, რომლებიც ლიბიის კამპანიაში მონაწილეობდნენ. ეს ორგანიზაცია მნიშვნელოვანი კომპონენტია სირიაში დაგეგმილი რეჟიმის ცვლის პროცესისაც. ცხადია, „ალ ქაიდამ“ უკვე შეასრულა მნიშვნელოვანი როლი ავღანეთში რეჟიმის შეცვლის საქმეში, შემდეგ კი გადამწყვეტი როლი ეკისრა, რამაც 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ძალთა გადანაწილება განაპირობა.** ბენ ლადენს, საუდელი ამბოხებულების სახელგანთქმულ ლიდერს, ჯერ ამერიკა აფინანსებდა, შემდეგ კი, როდესაც ამერიკელებმა მიატოვეს, ბენლადენმა იარაღი მათკენ შეაბრუნა, შედეგად ამერიკელებმა იგი ჯერ საკუთარ ცოდვებში დაადანაშაულეს, ბოლოს კი საერთოდაც მოკლეს.

**ეს პროგრამები მუდამ ითვალისწინებს აბსოლუტური მხეცობების მოხერხებულ მართვას. ეს მხეცობები საშუალებას იძლევა, დაადანაშაულონ ხელისუფლება, რომელსაც თავს ესხმიან, ამბოხებულების მიმართ ძალადობის გამოყენებაში და ეფექტურად გამოიყენონ ეს მასობრივი შეჭრის გასამართლებლად. სწორედ ამ მეთოდმა შეასრულა გადამწყვეტი როლი იუგოსლავიაში და უფრო მნიშვნელოვანი როლი — ლიბიისა და სირიის კამპანიებში.** სხვათა შორის, დიდწილად ეს ხდება იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წყალობით, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ხელისუფლებების ამგვარ „გაშავებაში“, სამიზნე ლიდერისთვის ათასგვარი მხეცობის მიწერასა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის მოთხოვნაში. იუგოსლავიის შემთხვევაში გაეროს მიერ დაფუძნებული საერთაშორისო ტრიბუნალი ნატოს ქვეყნების მხარდამხარ მუშაობდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ სერბი ხელისუფლების მიმართ წაყენებული ბრალდება ამართლებს ყველაფერს, რაც კი აშშ-მა და ნატომ ჩაიდინეს. ამ მექანიზმს მშვენივრად ასახავს მილოშევიჩის ▶

მოკლედ

## კლინტონმა ლავროვს არ მოუსმინა

**გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა ხისტი განცხადება გააკეთა და რუსეთს უთხრა, რომ მას ლაქად აქვს სირიელი ბავშვების სისხლი.** ამას გარდა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის, სიტყვით გამოსვლას არ მოუსმინა და დარბაზიდან გავიდა. კემერონმა განაცხადა, რომ სირიაში მიმდინარე კონფლიქტის დროს დაღუპული პატარა ბავშვების სისხლი გაეროს რეპუტაციას საზარელ ლაქად დააჩნდა. „და, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ლაქა მათზე, ვინც უარი განაცხადა, წინააღმდეგობა გაეწია ამ დანაშაულებისათვის და ზოგ შემთხვევაში იცავდა კიდეც ასადის ტერორის რეჟიმს და ეხმარებოდა მას“, — განაცხადა კემერონმა. კიდევ ერთი სკანდალი გაეროს გენერალურ ასამბლეაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, ჰილარი კლინტონს, უკავშირდებოდა. ჰილარი კლინტონმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე არ მოუსმინა რუსული დელეგაციის ხელმძღვანელის, სერგეი ლავროვის, სიტყვით გამოსვლას და დარბაზიდან გავიდა მორიგ ორმხრივ შეხვედრაზე. ვინაიდან სხდომის ოქმი ადრევე იყო ცნობილი, კლინტონს შეეძლო ორმხრივი შეხვედრა გადაედო, თუმცა მან ამის გაკეთება და ლავროვის მოსმენა არ ისურვა.



**დღეს ამერიკას მხოლოდ ავღანეთში არ დასცხა. ნამდვილი ომი გამოუცხადა მას მთელმა ისლამურმა მსოფლიომ და ანტიმუსლიმანური ფილმი მხოლოდ საბაბია მათთვის, ვისაც დიდი ხანია ყელში ამოუვიდა მთელ მსოფლიოზე თავსმოხვეული ამერიკული პოლიტიკა. ეს მსოფლიო ბატონობის პოლიტიკაა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ წინააღმდეგ ტრიბუნალის პროკურორის ბრალდება, რომელიც წამოყენებულ იქნა ზუსტად იმ მომენტში, როდესაც ნატომ აბსოლუტურად შეგნებულად მიიღო გადაწყვეტილება, დაებომბა სამოქალაქო ინფრასტრუქტურის სერბული ობიექტები, რათა დაეჩქარებინა სერბეთის ჩაბარება. არადა, თავად ეს დაბომბვები იყო სამხედრო დანაშაული, რომელიც ჩადენილ იქნა გაეროს ყველა წესდების დარღვევით. მიუხედავად ამისა, მილოშევიჩის სასამართლოს წყალობით, მედიამ ნატოსათვის ამ უსიამოვნო საკითხს საზოგადოების ყურადღება აარიდა.

**ანალოგიური წესით ლიბიაზე ნატოს თავდასხმის წინ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა სასწრაფოდ წაუყენა ბრალდებები მუამარ კადაფის ისე, რომ დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების მოთხოვნითაც კი არ გამოსულა. არადა, მშვენივრადაა ცნობილი, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი მანამდე მხოლოდ აფრიკის სახელმწიფოების იმ მეთაურების საქმეებს იძიებდა, რომლებიც დასავლეთის მიმართულებას არ ეთანხმებოდნენ. ეს საინტერესო მეთოდი უძვირფასესი ფანდია იმპერიული სახელმწიფოებისთვის და უკიდურესად სასარგებლოა რეჟიმის დამხობისა და არშემდგარი სახელმწიფოს შექმნის პროცესში.**

ამ ყველაფერშიც მონაწილეობენ ვითომდა დამოუკიდებელი ჰუმანიტარული ორგანიზაციები და დემოკრატიის განმავითარებელი ორგანიზაციები, ისეთები, როგორიცაა „Human Rights Watch“, „International Crisis Group“ ან „Open Society Institute“. ისინი რეგულარულად უერთდებიან იმპერიის კორტეჟს და ადგენენ სავარაუდო დანაშაულებათა სიებს, რომლებიც მიზანში ამოღებულ რეჟიმსა და მის ხელმძღვანელობას უნდა დაბრალდეს. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მასმედიის რადიკალურ პოლარიზებას. ეს ყველაფერი ერთად ქმნის კეთილსასურველ ზნეობრივ გარემოს მსხვერპლთა დაცვის მიზნით აგრესიული შეჭრისთვის.

ზემოთქმულს უნდა დაემატოს ის ფაქტიც, რომ **დასავლეთში მამხილებელი გამოსვლების დიდი რაოდენობა, დასამხობი რეჟიმების მიერ ჩადენილი მხეცობების ჩამონათვალი, რასაც, როგორც წესი, ზურგს უმაგრებს ქვრივებისა თუ ლტოლვილების შემაძრწუნებელი კადრები, როგორც წესი, ანარქისტული წრეებიდან მოდის.**

მრავალი მათგანი მგელივით იწყებს ყმუილს და მიზანში ამოღებული რეჟიმის ქვეყანაში ჰუმანიტარულ ინტერვენციას მოითხოვს. მეორენი, ძირითადად საგონებელში ჩავარდნილნი, დუმნან და ეშინიათ, რომ მათაც დიქტატურის მხარდაჭერაში დაადანაშაულებენ. ინტერვენციის მომხრეებს მოჰყავთ შემდეგი არგუმენტი: თუნდაც არსებობდეს რისკი, რომ საკუთარი ქმედებებით მხარს დავუჭერთ იმპერიულ ექსპანსიონიზმს, აუცილებელია, დაშვებულ იქნას გამონაკლისი, რადგან, როდესაც განსაკუთრებით სერიოზული რამ ხდება, ქვეყნის მთელი საზოგადოება აღშფოთებულია და ჩვენს ჩარევას ითხოვს. თუმცა, იმისათვის, რომ გამოამჟღავნონ თავიანთი ჭეშმარიტი მემარცხენე არსი, უნდა ეცადონ, თავიანთ დონეზე მართონ ინტერვენცია და იმპერიული შეტევის შეკავების მიზნით ითხოვენ, მაგალითად, მხოლოდ არასაფრენი ზონის გამოცხადებას, როგორც ეს ლიბიაში მოხდა.

**თავის მხრივ, თავად ამერიკის შეერთებული შტატებიც ასეთივე არშემდგარი სახელმწიფოების წარმოების პროდუქტად იქცა. ცხადია, არც ერთ ქვეყანას მისთვის დამანგრეველი დარტყმა არ მიუყენებია, მაგრამ თავად ამერიკის მოსახლეობა ძალზე მძიმედ ანაზღაურებს ამ დაუსრულებელი ომების სისტემას. ამით სამხედრო ელიტა, ასევე მისი მოკავშირეები სამრეწველო, პოლიტიკური თუ ფინანსური წრეებიდან, მასმედია და ინტელიგენცია დიდად უწყობდნენ ხელს საყოველთაო სიღარიბესა და სასოწარკვეთას, სახელმწიფო მომსახურებათა სისტემის ნგრევას, ქვეყნის გაღატაკებას უმოქმედო და კომპრომეტირებული მმართველი კლასის მხარდაჭერით.** ეს ისეთივე მმართველობაა, რომელსაც არ შეუძლია უზრუნველყოს თავისი ჩვეულებრივი მოქალაქეების მოთხოვნები, მიუხედავად ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტისა და ერთ სულ მოსახლეზე შრომის წარმადობის მუდმივი ზრდისა. წარმოების ნამატები სრულად შთაინთქმება მუდმივი ომების სისტემის მიერ, ასევე იხარჯება მცირერიცხოვანი მდიდრების კლანის კიდევ უფრო გასამდიდრებლად. **ეს კლანი, გარდა ნამატის უბრალო შეგროვებისა, პირდაპირ ითვისებს სახელმწიფოს შემოსავლებს, ქონებას და საკუთარი მოქალაქეების უდიდესი ნაწილის უფლებებს. არშემდგარი სახელმწიფოების სიაში და კიდევ სხვა მრავალმხრივაც თავად ამერიკის შეერთებული შტატები უდავოდ იშვიათი მაგალითია.**

Voltairenet.org

# მივედი, ვნახე... წამოვედი, ანუ «გამარჯვებულები» ავღანეთიდან მიდიან



**33 ათასმა ამერიკელმა სამხედრომ ავღანეთის ტერიტორია დატოვა. ისინი მონაწილეობდნენ კოალიციური ძალების ოპერაციაში, რომელიც 2009 წელს დაიწყო. მაშინ პრეზიდენტმა ობამამ გადაწყვიტა, დაახლოებით ერთ-ნახევარჯერ გაეზარდა ამერიკული ჯარის შემადგენლობა ამ ცენტრალურაზიურ ქვეყანაში, რათა გაზრდილიყო ოპერაციის ეფექტურობა. ახლა ამ ეფექტურობის შესახებ ოდები დაიწერება. ავღანეთში არა მხოლოდ ამერიკელი სამხედროების, არამედ მთელი კოალიციის ყოფნის უაზრობაზე უკვე მთელ მსოფლიოში ლაპარაკობენ და თვით აშშ-შიც.**

მხოლოდ ვაშინგტონისთვის ცნობილი რაღაც ამოცანების შესასრულებლად დღეისათვის ავღანეთის პროვინციებში დაახლოებით 68 ათასი ამერიკელი სამხედრო რჩება. ისინი შინ 2014 წელს დაბრუნდებიან, მაგრამ დაბრუნდებიან იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი კვლავ ობამა იქნება, თუმცა ეს რომნისაც ხელს აძლევს — იტყვის, რომ ამერიკელი სამხედროების სიცოცხლის გადასარჩენად ზრუნავდა.

სხვათა შორის, წინასაარჩევნო გამოსვლებისას ორივე კანდიდატი გაცილებით ნაკლებს საუბრობს ავღანეთზე, ვიდრე სხვა თემაზე და ამას უამრავი მიზეზი შეიძლება მოეძებნოს.

ეს თემა ქულებს არც ერთ კანდიდატს არ შეჰმატებს. ავღანეთის ოპერაციაში ობამა ისევე გაება, როგორც თავის დროზე მისი წინამორბედი — ჯორჯ ბუში. **ომი იმ სტადიაში გადავიდა, რომლის დროსაც აღარავის ესმის არც ამ დაპირისპირების მიზანშეწონილობა, არც ის, თუ როგორ შეიძლება ამ კონფლიქტის ჩახშობა. ამერიკელი პოლიტიკოსები ავღანეთთან დაკავშირებით სულ უფრო იშვიათად იყენებენ ტერმინს „ტერორიზმთან ბრძოლა“, ყველას მშვენივრად ესმის, რომ ომი გრძელდება, მსოფლიო ტერორიზმი არა მხოლოდ არ მარცხდება, არამედ არნახული ტემპით იზრდება. ამერიკელი ჯარისკაცები სულ უფრო ხშირად უტევენ მშვიდობიან მოსახლეობას და პასუხადაც იმავეს იღებენ.** ამერიკელ ჯარისკაცებს ესვრიან ისინი, ვინც აპრიორი უნდა ეხმარებოდნენ მათ ქვეყანაში ანტიტერორისტული წესრიგის დამყარებაში — ავღანელი პოლიციელები, არმიის წარმომადგენლები, სამხედრო ბაზების თანამშრომლები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ეს არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ომის კლასიკური მაგალითი, ქვეყანაში მანამდე დაპირისპირებული ძალებიც კი გაერთიანდნენ, რათა საოკუპაციო ძალების რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი გაისტუმრონ საიქიოს.**

მეორე მიზეზი ისაა, რომ **დღეს ამერიკას მხოლოდ ავღანეთში არ დასცხა. ნამდვილი ომი გამოუცხადა მას მთელმა ისლამურმა მსოფლიომ და ანტიმუსლიმანური ფილმი მხოლოდ საბაბია მათთვის, ვისაც დიდი ხანია ყელში ამოუვიდა მთელ მსოფლიოზე თავსმოხვეული ამერიკული პოლიტიკა. ეს მსოფლიო ბატონობის პოლიტიკაა.**

მსოფლიოსთვის უკვე გასაგები ხდება, რომ ამერიკა ძალიან ჰგავს თიხის ფეხებზე შემდგარ კოლოსს, რომელიც დიდხანს აშინებდა ყველას, ბოლოს კი საკუთარი მოუხერხებელი მოძრაობების გამო წაბორძიკდა.

რომნიმ რომ ავღანეთში წესრიგის დამყარებაზე დაიწყოს ლაპარაკი, ამერიკელები მას, უბრალოდ, დასცინებენ — ავღანეთში ხომ 11 წელია ვერავინ დაამყარა წესრიგი. კიდევ უფრო დასცინებენ თალიბები, რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ თავად მათივე გამჩენ ამერიკასთან ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ გამარჯვება უკვე სულ ახლოსაა.

**ობამას ავღანეთიდან ჯარების გაყვანა არ შველის. მისი რეიტინგი ამით არ მაღლდება, რადგან ხალხს ეს სახლში გაქცევად ეჩვენება, მთელ მსოფლიოში მუსლიმანების შეტევების გამწვავების ფონზე. ამერიკელებისთვის ავღანეთიდან წასვლა ახლა გაქცევას ნიშნავს, მაგრამ იქ დარჩენა ხაფანგში გაბმის ტოლფასია.**

ამ ყველაფრის გამო ახლა ძველი იარაღი — საინფორმაციო დამუშავება ჩაერთვება საქმეში. ამერიკული დემოკრატიული და, რა თქმა უნდა, ყველაზე მართალი გაზეთები ჩვეულებრივ ამერიკელებს დაარწმუნებენ, რომ ეს გამარჯვებაა. ისინი იტყვიან, რომ ავღანეთში ტერორიზმი განადგურებულია, დარჩა მხოლოდ რამდენიმე დაჯგუფება, რომელთაც ამერიკელების მომზადებული ავღანეთის არმია გაანადგურებს. და ცხადია, ამერიკაში ვერავინ გაიგებს, რომ ეს არმია ამერიკელების წასვლისთანავე შეუერთდება მათ, ვისაც, წესით, უნდა ებრძოლოს. მაინც რად უნდათ ამერიკელებს ამის ცოდნა? უფროსი ძმა საშუალოსტატისტიკური ამერიკელის ფსიქიკას ამით არ შეარყევს და თანაც ამ ქვეყანაში საკუთარი დამარცხებების აღიარება მიღებული არაა. თვით ბრძოლის ველიდან რომ გაიქცეს ამერიკის ჯარი, მსოფლიოს მაინც მოუყვებიან, თუ როგორ გაიმარჯვა ამერიკამ ავღანეთში და რომ მისი ჯარისკაცები ბრძოლის ველიდან ცოლებთან და შვილებთან შესახვედრად გარბოდნენ პლანეტაზე დემოკრატიის სახელით გამარჯვების შემდეგ.

როგორც არ უნდა იყოს, დარჩენილ 68 ათას ჯარისკაცსაც ამერიკა ჩუმად გაიყვანს ავღანეთიდან, რომ არავის მიეცეს საბაბი, ფართოდ გაშალოს თემა ამ ქვეყანაში ამერიკული ოპერაციის სრული ჩავარდნის შესახებ.

topwar.ru

**მსოფლიოსთვის უკვე გასაგები ხდება, რომ ამერიკა ძალიან ჰგავს თიხის ფეხებზე შემდგარ კოლოსს, რომელიც დიდხანს აშინებდა ყველას, ბოლოს კი საკუთარი მოუხერხებელი მოძრაობების გამო წაბორძიკდა**

## ფრანგები დედაზე და მამაზე უარს ამბობენ

**საფრანგეთის ხელისუფლება მუშაობს კანონპროექტზე, რომელიც არა მარტო ერთსქესიანთა ქორწინებას დააკანონებს, არამედ გამორიცხავს ოფიციალურ დოკუმენტებში სიტყვებს „დედა“ და „მამა“. კანონპროექტის თანახმად, სიტყვებს „დედა“ და „მამა“ შეცვლის სიტყვა „მშობელი“, რაც არატრადიციულ ოჯახებს უხერხულობას მოუხსნის.** კანონპროექტი ითვალისწინებს ასევე თანაბარ უფლებებს ერთსქესიანთა და საპირისპირო სქესის წყვილებს შორის. საფრანგეთის იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ამ კანონპროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია ბავშვის ინტერესები. კანონპროექტის წინაღმდეგ გამოვიდა საფრანგეთის კათოლიკური ეკლესია, რომელიც აცხადებს, რომ „ბავშვები არ უნდა ექვემდებარებოდეს მშობლების სურვილებსა და კონფლიქტებს“ და მოითხოვა რეფერენდუმის ჩატარება გეების ქორწინებასთან დაკავშირებით. გეების ქორწინების ლეგალიზაცია ფრანსუა ოლანდის ერთ-ერთი წინასაარჩევნო კამპანიის დაპირება იყო. აღნიშნული კანონპროექტი კაბინეტს 31 ოქტომბერს წარედგინება. 2010 წლის დეკემბერში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემულ დოკუმენტში სიტყვების „დედა“ და „მამა“ ნაცვლად ტერმინები „მშობელი 1“ და „მშობელი 2“ შევიდა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1950-1953 წლების კორეის ომის დროს ამერიკელმა სამხედროებმა ბაქტერიოლოგიური იარაღი გამოიყენეს ჩრდილოეთ კორეელებისა და ჩინელი მოხალისეების წინააღმდეგ. იმავე ვირუსმა მაშინ ამერიკელებსაც შეუტია, მხოლოდ ხანტავირუსმა მაშინ ამერიკის სამი ათასი ჯარისკაცი იმსხვერპლა. ახლა იგივე ვირუსი, რომლის 20-მდე შტამია უკვე დადგენილი, იოსემიტის ტურისტებს უტევს.**

# ბიოტერორიზმი ძია სემის სამსახურში





იოსემიტის ნაციონალურ პარკში გაშლილი სპეციალური კარვები, 2012 წლის 8 სექტემბერი

**იოსემიტის (აშშ, კალიფორნიის შტატი) ეროვნულ პარკში მოულოდნელად აქამდე უცნობმა, სწრაფად გავრცელების უნარის მქონე ხანტავირუსმა იფეთქა. ფილტვის განუკურნელი ინფექციისგან უკვე გარდაიცვალა სამი ტურისტი, კიდევ რვა ადამიანი იმავე დაავადების სიმპტომებით საავადმყოფოში წევს. ყველა გარდაცვლილმა ღამე გაათია პარკის ტერიტორიაზე დადგმულ კარვებში. შიშობენ, რომ სახიფათო ვირუსმა გასულ ზაფხულს იოსემიტში მყოფი კიდევ 22 ათასი ტურისტი დაააავადა. ამასთან, 2,5 ათას ადამიანს შორის არიან მსოფლიოს 40 ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც უკვე დაბრუნდნენ სამშობლოში... დასნებოვნებისთვის საკმარისია საგზაო მტვრის ნაწილაკის ჩასუნთქვა ან უკვე ინფიცირებული ადამიანისთვის თუნდაც ხელის ჩამორთმევა. როგორც ვარაუდობენ, დაავადების გადამტანები შეიძლება იყვნენ თაგვები და სხვა მღრღნელები.**

**ამერიკის ხელისუფლების მონაცემებით, ვირუსის ლეტალურობა 36%-ს აღწევს.** შედარებისათვის: შავი ჭირის ლეტალურობა, დაავადების მკურნალობის გარეშე დატოვების შემთხვევაში, 30-დან 60%-მდეა. **ეს მკვლელი ვირუსი ხანგრძლივი საინკუბაციო პერიოდის გამო პრაქტიკულად არ ექვემდებარება დიაგნოზირებას. ხანტავირუსის სიმპტომები ძალზე წააგავს ჩვეულებრივი გრიპის ნიშნებს, მაგრამ ამ დაავადების მკურნალობისთვის საჭირო ვაქცინებისა და წამლების შესახებ თანამედროვე მედიცინისათვის არაფერია ცნობილი.**

ამასთან დაკავშირებით უცნაურიად ნაციონალური პარკის ადმინისტრაციის რეაქცია მომხდარზე. პირველი სასიკვდილო შედეგების დადგომის შემდეგ, რაც 1 სექტემბერს დაფიქსირდა, პარკი არ დაუკეტავთ, ნაკრძალის ხელისუფლებამ კი საჭიროდ არ ჩათვალა, ახალი დამთვალიერებლები საფრთხის შესახებ გაეფრთხილებინა. პარკში ახლაც ათასობით ტურისტია.

მთავარი საკითხავი მთელ ამ ისტორიაში არის ის, თუ **როგორ გაჩნდნენ პარკში მღრღნელები, რომლებიც ამ დრომდე უცნობი ვირუსით არიან დაავადებულნი, ვირუსით, რომლისგანაც საშველი არ არსებობს**. სტატისტიკის მიხედვით, დასნებოვნების ყველა შემთხვევის მინიმუმ მესამედი ლეტალური შედეგით სრულდება. **შეიძლება თუ არა, რომ ეს რაიმენაირად დაკავშირებული იყოს ბაქტერიოლოგიური იარაღის ერთ-ერთ ფორმასთან, რომელიც ამერიკელმა სამხედროებმა საიდუმლო ლაბორატორიაში შექმნეს?** და ბოლოს, **რატომ გამოჩნდა სასიკვდილო ვირუსი მაინცდამაინც ახლა — აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების წინ?**

როგორც წესი, ვირუსები არ მოდიან კოსმოსიდან და თავისთავად არ ჩნდებიან. ისტორია ადასტურებს, რომ ვირუსებს აბსოლუტურად მიწიერი წარმომავლობა აქვთ და „ხელნაკეთ" მოვლენას წარმოადგენენ. უნებურად გაგახსენდებათ სახელგანთქმული ჰოლივუდური ფილმი „ეპიდემია", რომელშიც მთავარ როლს დასტინ ჰოფმანი ასრულებს. ფილმის სიუჟეტი მარტივია: ამერიკელი სამხედროების ექსპერიმენტმა, შეექმნათ სასიკვდილო განუკურნელი ვირუსი, თავად აშშ-ში ეპიდემია გამოიწვია. ამერიკელებს ყველა სამხილის განადგურება სურდათ და გადაწყვიტეს, დაებომბათ ქალაქი, რომელშიც ეპიდემიამ იფეთქა, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. ფილმში დაავადების გადამტანი იყო მაიმუნი, რომელიც აშშ-ში აფრიკიდან მოხვდა. აფრიკაში კი ამერიკელი სამხედროები ატარებდნენ თავიანთ სასტიკ ექსპერიმენტებს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ეს მხოლოდ ფილმის სიუჟეტია, მაგრამ რა ხდება რეალურ ცხოვრებაში?

**უცნაურიად ნაციონალური პარკის ადმინისტრაციის რეაქცია მომხდარზე. პირველი სასიკვდილო შედეგების დადგომის შემდეგ, რაც 1 სექტემბერს დაფიქსირდა, პარკი არ დაუკეტავთ, ნაკრძალის ხელისუფლებამ კი საჭიროდ არ ჩათვალა, ახალი დამთვალიერებლები საფრთხის შესახებ გაეფრთხილებინა. პარკში ახლაც ათასობით ტურისტია**

**აშშ-ის ისტორიაში პირველად ბაქტერიოლოგიური იარაღი ადგილობრივ მოსახლეობაზე გამოყენებულ იქნა 1763 წელს.** მაშინ ციხესიმაგრე ფორტ ბიტის კომენდანტმა, პოლკოვნიკმა ბუკემ ინდიელთა ბელადებს კეთილი ნების გამოსახატავი ჟესტის სახით აჩუქა კარვები და საბნები, რომლებიც ყვავილით დაავადებულთა საავადმყოფოში გამოიყენებოდა. ამ ძვირფასი „საჩუქრის" შემდეგ ოჰაიოს შტატში ეპიდემიამ იფეთქა და მისი მსხვერპლნი გახდნენ ინდიელები, რომლებსაც ეჭვიც კი არ გასჩენიათ მომხდარზე.

პირველი სერიოზული ცდები ბაქტერიოლოგიურ იარაღთან დაკავშირებით აშშ-ში 1943 წელს დაიწყო დეგუის პოლიგონზე, რომელიც იუტას შტატის უდაბნოში იყო განლაგებული. 1945 წელს კვანტუნგის არმიის დამარცხების შემდეგ ამერიკელმა სამხედროებმა, „გამოცდილების გაზიარების" მიზნით, აშშ-ში წაიყვანეს სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორი და ცნობილი „731-ე რაზმის" მეთაური ისიუ სირო, რომელიც, წესით, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის უნდა გაესამართლებინათ. მასთან და სხვა სამხედრო დამნაშავეებთან ერთად აშშ-ში მოხვდა „731-ე რაზმის" ქვედანაყოფის მასალებიც.

ეს რაზმი „სიკვდილის ფაბრიკაში" მუშაობდა ხარბინთან ახლოს, სადაც ცოცხალ ადამიანებზე, ძირითადად სამხედრო ტყვეებზე ცდიდნენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს. სამხედრო ბაზა ფორტ დეტრიკი, რომელიც მერილენდის შტატის ქალაქ ფრედერიკში იყო განთავსებული, გახდა პენტაგონის მთავარი ცენტრი, რომელშიც იგონებდნენ და ქმნიდნენ ეპიდემიური დაავადებებისა და ვირუსული ინფექციების ათასგვარ გამომწვევს. ამ ყველაფრის სათავეებთან იდგა ისია სირო და მის მიერ ამერიკაში წაღებული „731-ე რაზმის" მასალები.

**1952 წლის მაისში ამერიკის არმიასა და ცსს-ს შორის გაფორმდა საიდუმლო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც პენტაგონი ვალდებული იყო, ცსს-სთვის გადაეცა ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნის შესახებ დაგროვილი გამოცდილება, ცსს კი, თავის მხრივ, საკუთარ თავზე იღებდა ამ გამოცდილების დახვეწისა და ექსპერიმენტების საქმეში აუცილებელი დახმარების გაწევას.**

აშშ-ის არმიის გამოქვეყნებული დოკუმენტების წყალობით ცნობილი გახდა, რომ 1956 წლის თებერვალში ნიუ იორკში ამერიკული სპეცსამსახურები აშშ-ის არმიის სპეციალური ოპერაციების განყოფილებასთან ერთად, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ფორტ-დეტრიკში, ატარებდნენ საიდუმლო ოპერაციას სახელწოდებით „დიდი ქალაქი".

ამ ოპერაციის მიზანი იყო ბაქტერიოლოგიური ომის საშუალებების სპრაქტიკული გამოცდა თანამედროვე დიდი ქალაქის პირობებში. ცდა ტარდებოდა უბრალო ამერიკელებზე, რომლებსაც ეჭვიც კი არ ჰქონდათ, თუ რა ხდებოდა მათ თავს.

**1955 წელს ცსს-ს თანამშრომლებმა ჩაატარეს საიდუმლო ბაქტერიოლოგიური ექსპერიმენტი ფლორიდის შტატში. ჩანთებში შენიღბული პორტატული აპარატურის დახმარებით მათ ჰაერში გამოაფრქვიეს ეპიდემიის გამომწვევი ბაქტერიები, რის შედეგადაც ფლორიდაში ეპიდემიამ იფეთქა.** 1964 და 1965 წლებში მომწამვლელი ნივთიერების — „Bacillus subtilis" ბაქტერიის ბაცილები გამოაფრქვიეს ჩიკაგოში, სანფრანცისკოში და თვით აშშ-ის დედაქალაქშიც კი. ამასთან, ვაშინგტონში ექსპერიმენტისთვის შერჩეულ იქნა ყველაზე ხალხმრავალი ადგილები, კერძოდ, საქალაქთაშორისო ავტოსადგურები და ეროვნული აეროპორტი. მაშინ ამოცანა იყო ინფექციის აშშ-ის ტერიტორიაზე გავრცელების მოდელირება.

მოგვიანებით საბრალო ამერიკელებზე განმეორებითი ექსპერიმენტი ჩაატარეს ყვავილის ვირუსით, რის შედეგადაც ცნობილი გახდა 1975 წელს აშშ-ის სენატის სპეციალური კომისიის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად. 70-იან წლებში ფორტ-დეტრიკის გარდა ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნით დაკავებული იყო აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების ლაბორატორია ოკლენდში, ქიმიური კორპორაცია „ბრიზი", რომლის ლაბორატორიებიც განლაგებული იყო პენსილვანიის შტატში და პენტაგონის ლაბორატორიები ბალტიმორთან.

**ფორტ-დეტრიკის სპეციალისტები ცოცხალ ადამიანებზე უამრავ ექსპერიმენტს ატარებდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და სწორედ იქ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ▶**

## მოკლედ

### ჯორჯ სოროსმა ობამას კამპანიას ერთი მილიონი დოლარი შესწირა

**უნგრელ-ამერიკელმა ფინანსისტმა, ინვესტორმა და „სოროსის ფონდის" დამფუძნებელმა ჯორჯ სოროსმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატის, ბარაკ ობამას, საარჩევნო კამპანიას ერთი მილიონი დოლარი შესწირა.** ასევე, სოროსმა 500 ათასი დოლარი გადაურიცხა ორ პოლიტიკურ კომიტეტს, რომლებიც ოფიციალურად ბარაკ ობამასა და დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერები არიან, თუმცა ოფიციალურად ეს საარჩევნო კამპანიას არ უკავშირდება. ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები 6 ნოემბერს გაიმართება.

### აშშ-მა ასანჟი სახელმწიფოს მტრად გამოაცხადა

**აშშ-მა ჯულიან ასანჟი, რომელიც, უკვე 100 დღეა, ბრიტანეთის დედაქალაქში, ეკვადორის საელჩოში, იმყოფება, სახელმწიფოს მტრად აღიარა, ხოლო მის მიერ დაფუძნებული საიტი „WikiLeaks"-ი — ნაციონალური უსაფრთხოებისთვის საფრთის შემცველად.** ასე რომ, ამიერიდან მისი სტატუსი ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას" და მოძრაობა „თალიბანის" იდენტურია. თავად ასანჟი გაეროს გენერალური ასამბლეის წარმომადგენლების წინაშე ტელეხიდის მეშვეობით სიტყვით გამოვიდა. იგი ეკვადორის საელჩოდან ჩაერთო. მან ბარაკ ობამა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისთვის გააკრიტიკა. ვიდეომიმართვაში მან მოუწოდა აშშ-ის პრეზიდენტს, თავი დაანებოს „WikiLeaks"-ის დევნას.

**იოსემიტის პარკში ხანტავირუსის აფეთქების თემასთან დაბრუნებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არჩევნების წინ ამ თემას რესპუბლიკელი მიტ რომნის გუნდი გაათამაშებს და ბარაკ ობამას ადმინისტრაციას დაადანაშაულებს, რომ ის საკმარის ყურადღებას არ უთმობს ეროვნული უშიშროების საკითხებს, მათ შორის ბაქტერიოლოგიურსაც. რა თქმა უნდა, მიტ რომნი განაცხადებს, რომ ამერიკას „ძლიერი ხელი“ სჭირდება, რათა დაძლიოს კრიზისი და არსებული საფრთხეები. არავინ არაფერს იტყვის იმაზე, რომ სწორედ ეს „ძლიერი ხელი“ დააყენებს ამერიკის შეერთებულ შტატებს დიქტატურისკენ მიმავალ გზაზე.**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ბიოლოგიური ომისთვის მზადება ნიშნავს, რომ არსებობს როგორც ვირუსები, ასევე მათი ვაქცინები, მაგრამ ვაქცინის შესახებ კეიმას არაფერი უთქვამს. როგორც ჩანს, ის რიგითი მოკვდავებისთვის არაა განკუთვნილი

**◀ არმიის ბიოლოგიური კვლევების ცენტრში, იფეთქაა 1980-1982 წლებში ისეთმა სახიფათო დაავადებებმა, როგორიცაა ქოლერა, მუცლის ტიფი, პოლიომელიტი და ჭირი.**

ცდები ტარდებოდა ნამიბიის ჩრდილოეთში განლაგებულ „განსაკუთრებული რეჟიმის“ საკონცენტრაციო ბანაკშიც, სადაც ვირუსებს სამხედრო ტყვეებზე ცდიდნენ. ცნობილია, რომ 1950-1953 წლების კორეის ომის დროს ამერიკელმა სამხედროებმა ბაქტერიოლოგიური იარაღი გამოიყენეს ჩრდილოეთ კორეელებისა და ჩინელი მოხალისეების წინააღმდეგ. იმავე ვირუსმა მაშინ ამერიკელებსაც შეუტია, მხოლოდ ხანტავირუსებმა მაშინ ამერიკის სამი ათასი ჯარისკაცი იმსხვერპლეს. ახლა იგივე ვირუსი, რომლის 20-მდე შტამია უკვე დადგენილი, იოსემიტის ტურისტებს უტევს.

აშშ-ის სამხედრო-ბიოლოგიური პროგრამების მთავარი იდეოლოგი იყო თავდაცვის მინისტრი რობერტ მაკნამარა, რომელიც მოგვიანებით მსოფლიო ბანკს ჩაუდგა სათავეში. იგი ძალზე აქტიურად გამოდიოდა დედამიწაზე „ჭარბი“ მოსახლეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. კალიფორნიის უნივერსიტეტში ეკონომიკის პროფესორი ენტონი სატონი წიგნში **„ვინ მართავს ამერიკას“** წერს, რომ **„შიდსი ხელოვნური დაავადებაა, რომელიც ამერიკის არმიამ შექმნა, როგორც ბიოლოგიური ომის ნაწილი. მისი შექმნა კონგრესმა დააფინანსა და მსოფლიოს მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის გასანადგურებლად ელიტის ფანატიკოსებმა გაუშვეს“. სწორედ რობერტ მაკნამარამ დართო ნება, შეექმნათ შიდსის ხელოვნური ვირუსი.**

1970 წლის ოქტომბერში მაკნამარამ განაცხადა: **„არსებობს ორი შესაძლო მეთოდი, რომელთა საშუალებითაც შეიძლება მოსახლეობის რაოდენობის 10 მილიარდამდე ზრდა თავიდან იქნას აცილებული: ან შობადობის თანამედროვე დონე გაცილებით სწრაფი ტემპებით უნდა შემცირდეს, ან თანამედროვე სიკვდილიანობის მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს. სხვა გზა არ არსებობს...“** ამ ყველაფრის შემდეგ საკვირველი არაა, რომ შიდსით დაავადების პირველი შემთხვევები აფრიკასა და ჰაიტზე დაფიქსირდა — პლანეტის ზედმეტ და უპერსპექტივო მოსახლეობას შორის.

1969 წლის ივლისში აშშ-ის არმიის პერსპექტიული კვლევითი პროგრამების დირექტორი დოქტორი მაკ-არტური გამოვიდა კონგრესის წინაშე და განაცხადა, რომ **„5-10 წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნებოდა სინთეტიკური ბიოლოგიური ვირუსის შექმნა, ვირუსის, რომელიც ბუნებაში არ არსებობს და რომლის წინააღმდეგაც ბუნებრივი იმუნიტეტის გამომუშავებაც შეუძლებელია“.** 80-იანი წლების ბოლოს კონგრესმა გამოაქვეყნა ამ მოსმენების მასალები დოქტორ მაკ-არტურის შოკისმომგვრელი აღიარებებით საიდუმლო ლაბორატორიებში სინთეტიკური ბიოლოგიური ვირუსების შექმნის თაობაზე.

„ზედმეტი“ მოსახლეობის ვირუსების საშუალებით შემცირების იდეა „გლობალურ ელიტებს“ შორის დღესაც აქტუალურია. მისი წარმომადგენლები დროდადრო გულახდილ განცხადებებს აკეთებენ იმის შესახებ, რომ დედამიწაზე მხოლოდ 500 მილიონი ადამიანი უნდა დარჩეს. იმის თაობაზე, თუ სად უნდა წავიდეს დანარჩენი 6,5 მილიარდი ადამიანი, ისინი არაფერს ამბობენ. მაგრამ ეს ისედაც გასაგებია — შემცირება უნდა განხორციელდეს მუდმივი ომების, შიმშილისა და ეპიდემიების ხარჯზე.

**როგორც ჩანს, ახალი ვირუსების შექმნაზე დღესაც მუშაობენ. მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ მკვლევართა ორმა ჯგუფმა ხელოვნურად შექმნა ეგრეთ წოდებული ფრინველის გრიპის ვირუსი, რომელიც ადამიანიდან ადამიანზე აირ-წვეთოვანი გზით გადადის. ორივე ჯგუფმა ამის შესახებ წერილები გაგზავნა მასმედიაში, მაგრამ მათი გამოქვეყნება აშშ-ის ბიოუსაფრთხოების ნაციონალურმა სამეცნიერო საბჭომ აკრძალა. საბჭოს მეთაურმა პოკ კეიმამ აკრძალვის ასახსნელად განაცხადა, რომ ვირუსის პოტენციალი უზომოდ დიდია და მისი შესაძლებლობები ბოლომდე ცნობილიც არაა. მისივე განცხადებით, ამ ეტაპზე ვირუსი მთელი კაცობრიობის მთავარი საფრთხეა, რადგან ის დაავადებულთა ნახევარს კლავს. მაშინ ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა იმითიც აიხსნა, რომ შტამი ბიოტერორისტების ხელში არ მოხვედრილიყო.**

ბიოლოგიური ომისთვის მზადება ნიშნავს, რომ არსებობს როგორც ვირუსები, ასევე მათი ვაქცინები, მაგრამ ვაქცინის შესახებ კეიმას არაფერი უთქვამს. როგორც ჩანს, ის რიგითი მოკვდავებისთვის არაა განკუთვნილი.

2009 წლის თებერვალში ტრანსნაციონალური ფარმაცევტული კორპორაციის — Baxter-ის შტაბ-ბინამ, რომელიც ავსტრიაში მდებარეობს, ოთხი ევროპული ქვეყნის 16 ლაბორატორიაში დააგზავნა 62 კილოგრამი სუბსტანცია „სეზონური გრიპის“ ვაქცინის წარმოებისთვის.

ჩეხეთში განლაგებული ერთ-ერთი ლაბორატორიის ტექნიკოსმა აღმოაჩინა, რომ ეს სუბსტანცია დასნებოვნებულია გრიპის ორი ცოცხალი ვირუსით. ერთი ვირუსი — ჩვეულებრივი სეზონური გრიპისაა, რომელსაც ახასიათებს ძალზე დაბალი სიკვდილიანობა და ძალზე დიდი გავრცელების უნარი, მეორე ვირუსს კი ახასიათებს ძალზე დაბალი გავრცელების უნარი, მაგრამ ძალზე მაღალი სიკვდილიანობა. ცხადია, რომ ამ ორი ვირუსის შერწყმა აჩენდა ახალი ვირუსის გაჩენის მაღალ ალბათობას და ამ ახალ ვირუსს ექნებოდა ორივე შემადგენლის გაერთიანებული თვისებები — გავრცელების მაღალი უნარი და მაღალი სიკვდილიანობა.

ერთ-ერთ თანამშრომელს რომ არ აღმოეჩინა ზემოხსენებული ვირუსები სუბსტანციაში ან დაემალა ინფორმაცია, გაჩნდებოდა ძალზე სახიფათო ეპიდემიის საფრთხე, რადგან 62 კილოგრამი სუბსტანცია რამდენიმე ათასი დოზა ვაქცინაა.

კომპანიას ბიოტერორიზმისა და მასობრივი მკვლელობის მცდელობის ბრალდებით უჩივლეს. სუბსტანციის ვირუსებით დასნებოვნების ფაქტი დაადასტურეს თავად კომპანიაშიც, მაგრამ საქმე ამ დრომდეც არაა გამოძიებული. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სწორედ ზემოხსენებულ კომპანიას დაავალეს ახალი გრიპის ვაქცინის შექმნა.

**კიდევ ერთი მაგალითია მექსიკის ყურე, სადაც უკვე არსებობს ოთხი სახეობის გენეტიკურად მოდიფიცირებული ბაქტერია. ყველა მათგანი ხელოვნური გზითაა შექმნილი. გამონაყარი, ფურუნკულები, წყლულები, სიმსივნეები, პნევმონიები, შინაგანი სისხლისღვრები და სხვა მრავალი „საჩუქარი“, რომელიც ახლახან მიიღეს ამ რეგიონში მცხოვრებმა ამერიკელებმა, პირდაპირ კავშირშია ამ ბაქტერიებთან, რომელთაც ხელოვნურად მოდიფიცირებული დნმ აქვთ.**

სწორედ ეს ბაქტერიები, რომლებიც შეიქმნა ვითომდა ეგრეთ წოდებული ნავთობის ლაქების შთანთქმისთვის, ახლა აჩენენ ახალ, მანამდე უცნობ დაავადებებს, რომელთა წინააღმდეგ არსებული ანტიბიოტიკები უძლურნი არიან.

კიდევ ერთი შემთხვევა. **გასულ წელს ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტასთან ახლოს ამერიკელმა აღმოაჩინა საცავი, რომელშიც აშშ-ის შინაგანი უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საგანგებო შემთხვევათა ფედერალური სააგენტოს (FEMA) მიერ შეძენილი სხვადასხვა ზომის პლასტიკური კუბოები ინახებოდა. სულ იყო 500 ათასიდან ერთ მილიონამდე სხვადასხვა ზომის კუბო, ამასთან ყველაზე დიდში ხუთამდე ადამიანი ჩაეტეოდა.**

FEMA-ს განკარგულებაშია მრავალი ტყვეთა ბანაკი, რომლებიც მთელი აშშ-ის ტერიტორიაზეა მოდებული. უკასკნელ წლებში კომპანია Halliburton-მა 800-მდე ამგვარი ბანაკი ააშენა. მათთან მიყვანილია სარკინიგზო გზები და ავტოტრასები, ისინი აღჭურვილნი არიან აეროდრომებითა და ვერტმფრენების მოედნებით. ბანაკები უკვე არის ტეხასში, ვირჯინიაში, მერილენდში, არიზონაში, ალიასკაზე, კალიფორნიის უდაბნო მოჰავაში. ამ დრომდე ამერიკის ვერც ერთმა ოფიციალურმა პირმა გასაგებად ვერ ახსნა, რად უნდა ქვეყანას ამდენი კუბო და ამდენი ტყვეთა ბანაკი.

სულ უფრო მეტი ცნობები ჩნდება იმის შესახებ, რომ აშშ-ის ჯარში კონსტიტუციის დარღვევით სამხედრო მოსამსახურეების პროფილის ცვლა ხდება და მათ ქვეყნის შიგნით მოქმედებისათვის ამზადებენ. დღიურებიდან, რომლებსაც ინტერნეტში ერაყიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ავრცელებენ, გასაგები ხდება, რომ ერაყში მათ საკუთარ ქვეყანაში შიდა წმენდის ჩატარებას ასწავლიდნენ. აღნიშნულია ისიც, რომ ჯარში სამხედროები აბარებენ ტესტს ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესამოწმებლად — მზად არიან თუ არა იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში საკუთარ თანამოქალაქეებს, მეგობრებსა და ოჯახის წევრებსაც კი ესროლონ.

მოქალაქეთა კეთილდღეობის შემცირების ფონზე აშშ-ის ხელისუფლება ემზადება ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული უკმაყოფილო ამერიკელების ანტისახელისუფლო გამოსვლებისთვის. ამ ადამიანებს არ ესმით, რატომ ხარჯავს მათი ხელისუფლება ტრილიონობით დოლარს ბანკირების გადასარჩენად, იმის ნაცვლად, რომ დაეხმაროს შრომისუნარიანი მოსახლეობის ძირითად მასას.

ამ სიტუაციიდან ყველაზე მეტად მოსალოდნელი გამოსავალი აშშ-ის მმართველი ელიტისთვის იქნება საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. ეს ხელებს გაუხსნიდა ხელისუფლებასაც და FEMA-ს მსგავს სტრუქტურებსაც, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ამუშავებდნენ თავიანთ ქმედებებს საგანგებო მდგომარეობის დროს.

მაშინ ამოქმედდება საგანგებო მოვლენებზე რეაგირების პროგრამა Readiness Exercise 1984-იც, რომელიც მოიცავს საომარი მოქმედების გამოცხადებას, მოსახლეობის გადაადგილებას, ამბოხისკენ მიდრეკილთა დაპატიმრებასა და საპყრობილეებში გამოკეტვას. სცენარის რეალიზებისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ბიოლოგიური შეტევა ვიღაც „ტერორისტების“ მხრიდან.

ითვლება, რომ ქარიშხალმა კატრინამ 2005 წელს FEMA-ს საშუალება მისცა, ევარჯიშა ადამიანთა დიდი მასების გადაადგილებაში, მათ ბანაკებში გადაყვანაში, კერძო სამხედრო კომპანიებიდან დაქირავებულთა ძალებით ერთი ცალკე აღებული რეგიონის მილიტარიზაციაში...

გაურკვეველი რჩება ერთადერთი რამ: როდის გადაწყდება, რომ დადგა დრო და რა გახდება საბაბი აშშ-ში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთვის.

**იოსემიტის პარკში ხანტავირუსის აფეთქების თემასთან დაბრუნებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არჩევნების წინ ამ თემას რესპუბლიკელი მიტ რომნის გუნდი გაათამაშებს და ბარაკ ობამას ადმინისტრაციას დაადანაშაულებს, რომ ის საკმარის ყურადღებას არ უთმობს ეროვნული უშიშროების საკითხებს, მათ შორის ბაქტერიოლოგიურსაც. რა თქმა უნდა, მიტ რომნი განაცხადებს, რომ ამერიკას „ძლიერი ხელი“ სჭირდება, რათა დაძლიოს კრიზისი და არსებული საფრთხეები. არავინ არაფერს იტყვის იმაზე, რომ სწორედ ეს „ძლიერი ხელი“ დააყენებს ამერიკის შეერთებულ შტატებს დიქტატურისკენ მიმავალ გზაზე.**

fondsk.ru

**FEMA-ს განკარგულებაშია მრავალი ტყვეთა ბანაკი, რომლებიც მთელი აშშ-ის ტერიტორიაზეა მოდებული. უკასკნელ წლებში კომპანია Halliburton-მა 800-მდე ამგვარი ბანაკი ააშენა. მათთან მიყვანილია სარკინიგზო გზები და ავტოტრასები, ისინი აღჭურვილნი არიან აეროდრომებითა და ვერტმფრენების მოედნებით**

მოკლედ

## აშშ-ს რუსეთთან მეგობრობას ურჩევენ

**ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების პერსპექტივების სამწლიანი კვლევის შემდეგ ეროვნული კვლევითი ცენტრის (NRC) კომისია მივიდა დასკვნამდე: სისტემა ვერ შეძლებს, საიმედოდ დაიცვას აშშ და მისი მოკავშირეები ირანის მხრიდან მოსალოდნელი დარტყმისგან.** NRC-მ თეთრ სახლს მისცა რეკომენდაცია, უარი განაცხადოს ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საკვანძო ელემენტის — SM-3-ის პოლონეთში განლაგებისგან და ამის სანაცვლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე გამოყოს შესაბამისი ტერიტორია. „ასეთ შემთხვევაში აშშ ათჯერ შეამცირებს მოსალოდნელ ხარჯებს და არ გააფუჭებს ურთიერთობას რუსეთთან“, — წერს კომერსანტი ამერიკელ ექსპერტებზე დაყრდნობით. პენტაგონის წყაროების ინფორმაციით, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ იქნება მიღებული. მოსკოვში აცხადებენ, რომ კომისიის დასკვნა ჯერაც არ ნიშნავს, რომ ეს კონგრესის ან თეთრი სახლის პოზიციაა.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ძირითად მისიად მესახება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებების ურთიერთკონტროლით დაბალანსების საფუძველზე, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკისა და დასავლური სოციალიზმის პრინციპების ჰარმონიული შერწყმით, ჭეშმარიტად დემოკრატიული, სამართლიანი, სოციალურად დაცული საზოგადოებისა და ეკონომიკურად მძლავრი და განვითარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება...**

# რიგითი მოქალაქის პოზიციიდან დანახული ქართული ოცნება

**ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას გულწრფელი ქვეცნობიერებით და დღევანდელი გადასახედიდან აშკარა გულუბრყვილობით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ გაიგივებული ჰქონდა სამართლიან და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს საბაზრო ეკონომიკის მშენებლობასთან, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის წინსვლასთან ერთად ყველა მოქალაქეს მოუტანდა მისი შესაძლებლობებისა და უნარის მიხედვით უზრუნველყოფილ და ღირსეულ ცხოვრებას.**

ქვეყანამ საოცნებო დამოუკიდებლობა კი მოიპოვა, რაც, რა თქმა უნდა, დიდი ისტორიული მიღწევაა, მაგრამ მოსახლეობამ ამ ოცი წლის მანძილზე ვერ მიიღო მთლიანად სახელმწიფოს და მათ შორის ეკონომიკის სამართლიან და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული მმართველობა, რამაც გამოიწვია ქვეყნის ფაქტობრივი გაპარტახება და გაუგონარი მასშტაბის უმუშევრობა, სოციალური დაუცველობა და სიღატაკე და, რაც ყველაზე სავალალოა, ნიჰილიზმი და საბჭოური დროის ნოსტალგია, დასაქმების და ლუკმაპურის საშოვნელად მოსახლეობის დაახლოებით 20 პროცენტზე მეტის მიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში, მისი თანმდევი, პრაქტიკულად გამოუსწორებელი უარყოფითი შედეგებით. **ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვეყნის საუკეთესო პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების შექმნის შემთხვევაშიც კი მიგრანტთა საკმაოდ დიდი ნაწილი, სხვადასხვა ყოფითი მიზეზების გამო, სამშობლოსადმი ნოსტალგიისა და პატრიოტიზმის უსაზღვრო გრძნობების მიუხედავად, ალბათ, ველარ შეძლებს სამშობლოში დაბრუნებას.** სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი რეალობა.

ყოველივე ამის შედეგად, **სახელმწიფოს დამოუკიდებლობასთან ერთად, დამოუკიდებლობა მიიღო მხოლოდ მმართველმა ელიტამ და მისმა გარემოცვამ და არა მთლიანად ქვეყნის მოსახლეობამ.** სტაბილური შემოსავლის გარეშე დარჩენილი ადამიანი, რომელიც იძულებით, მხოლოდ თავისთავისა და ოჯახის ფიზიკური გადარჩენის ყოველდღიური ზრუნვით არის დაკავებული და ამავე დროს საარჩევნო კენჭისყრით პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის საშუალება, ფაქტობრივად, გაყალბებული აქვს, ცხადია, ვერ იქნება თავისუფალი და დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც საკუთარ თავს უნდა აღიქვამდეს ქვეყნის პატრონად და მოჭირნახულედ. **პიროვნული თავისუფლების გარეშე არ არსებობს ეროვნული თავისუფლება.**

**ჩვენდა სამარცხვინოდ, განვლილი ოცი წლის მანძილზე არც ერთ ხელისუფალს ჭეშმარიტი დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მიმართ მიდრეკილება პრაქტიკულად არ გამოუვლენია, უფრო კი პირიქით** — თავდაპირველი, პატრიოტიზმთან გაჯერებული ეიფორიული მმართველობა და პოლიტიკური ეგოცენტრიზმი, რომელსაც დროის სიმცირის გამო არც კი დასცალდა, ბოლომდე გამოევლინა თავისი პოლიტიკური მმართველობის ნამდვილი და ჩამოყალიბებული სახე, მომდევნო წლებში ჭეშმარიტი დემოკრატიის საპირისპიროდ შეცვალა ხელისუფალთა მხრიდან მერკანტილიზმმა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს უსაზღვრო ძალაუფლებით ტკბობამ, რამაც მისი თანმდევი ნეგატიური შედეგებით უკანასკნელი წლების მანძილზე განსაკუთრებით ამორფული სახე მიიღო და მიგვიყვანა დღევანდელ სავალალო შედეგებამდე.

**ჩვენი უბედურების სათავე ზნეობის დეფიციტშია, რომელიც საბჭოთა რეალობიდან გადმოგვყვა და ჯერ კიდევ ბუდობს ჩვენს მენტალობაში. მმართველობის იმ სისტემაში, რომელშიც სამართლიანობისა და წესრიგის დამცავი სტრუქტურები** (სასამართლო, პროკურატურა და პოლიცია) **საზოგადოების თვალში და ცნობიერებაში წარმოადგენენ კორუფციის, თვალთმაქცობის, უსამართლობისა და გაუმართლებელი ძალადობის სიმბოლურ „მონსტრებს“, ხოლო პარლამენტი — უმაღლესი მბრძანებლის ნებისმიერი სწორი თუ არასწორი ინიციატივების მონურ და უსიტყვო ნოტარიატს. ტერმინი „დემოკრატია“ მხოლოდ რიტორიკის საგნად და ანტიდემოკრატიის მახინჯ სხეულზე „ლეღვის ფოთლად“ თუ გამოდგება.**

ეკონომიკური რეფორმები ვერ იქნება შედეგის მომცემი, რეალური დემოკრატიისა და სამართლიანი სასამართლო სისტემის არსებობის გარეშე, რომლის გარანტიც, ცხადია, უნდა იყოს ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი. ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ **სახელმწიფო, რაც უნდა განვითარებული დემოკრატიის საწყისებზე იმართებოდეს, ქვეყნის მდგომარეობის ავკარგიანობაზე პასუხისმგებლობის ლომის წილი მაინც მოდის სახელმწიფოს უმაღლესი პირის პოლიტიკურ ნებაზე, მის კომპეტენტურობაზე და, გნებავთ, მის პირად თვისებებზეც.**

ჩვენს დღევანდელ რეალობაში კი, როდესაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მთელი ოცი წლის განმავლობაში ვერ თუ არ მოვახერხეთ ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია და ჭეშმარიტი დემოკრატიის ფუძემდებლური ღირებულების, რეალური რეგიონული თვითმმართველობის, დამკვიდრება; ვერ მოვახერხეთ ცივილიზებული არჩევნების ჩატარება და შეიარაღებული თუ ფსევდორევოლუციური გადატრიალებების გარეშე დემოკრატიული და ფორმალური გზით ხელისუფლების გადაცემა; **ფაქტობრივად, გავანადგურეთ საბჭოთა ეპოქაში შექმნილი საკმაოდ ღირებული ეკონომიკური და სამეცნიერო პოტენციალი; არაშორსმჭვრეტელური და, რბილად რომ ვთქვათ, მოუქნელი საგარეო პოლიტიკით დავკარგეთ საქართველოს საერთაშორისო სტატუსით აღიარებული ტერიტორიის 20 პროცენტი; დღემდე ვერ შევძელით თუნდაც მეგობრულად განწყობილ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან სრულყოფილად საზღვრების დემარკაცია და დელიმიტაცია.**

**სახელმწიფოს დამოუკიდებლობასთან ერთად დამოუკიდებლობა მიიღო მხოლოდ მმართველმა ელიტამ და მისმა გარემოცვამ და არა მთლიანად ქვეყნის მოსახლეობამ**

**ამ კრიტიკულ და მწვავე საშინაო და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების სიტუაციაში, ყოველგვარი მესიანიზმის გამოვლენის გარეშე, საქართველოს სჭირდება, არც მეტი, არც ნაკლები, ზნეობითა და ქვეყნის სიყვარულით ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის დარი** (არ ვგულისხმობ, მაინცდამაინც მათ დიდ ერუდიციასთან გათანაბრებას) **სახელმწიფოს მეთაური,** რომელიც ყოველგვარი ეგოცენტრიზმის გარეშე თავისი ქვეყნისა და ხალხის ჭეშმარიტი სიყვარულითა და ზნეობით გამსჭვალული პოლიტიკური ნებითა და ქმედებით გამოიყვანს ქვეყანას კრიზისიდან.

**მთავრობის შემადგენლობა უნდა დაკომპლექტდეს საქმის მცოდნე, პროფესიონალი პიროვნებებით. ადამიანი თუ ფლობს უცხო ენებს ან დაჯილდოებულია ორატორობისა და რიტორიკის ნიჭით, რა თქმა უნდა, მისასალმებელი და სასურველია, მაგრამ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოთ ანალიტიკურად მოაზროვნე პროფესიონალებს და საქმის კარგ ორგანიზატორებს. რაც შეეხება პარლამენტს, მთელმა საზოგადოებამ უნდა შევძლოთ, რომ მასში მოხვდეს ერის უმაღლესი ზნეობრივი და ინტელექტუალური ელიტა, რომელმაც კეთილსინდისიერად და მაღალი პროფესიონალიზმით უნდა განსაზღვროს და დააკანონოს ქვეყნის სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის ვექტორები.** წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ აღმოვჩნდებით იმავე პრობლემების წინაშე და ვერ შევქმნით იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს, რომლისთვისაც დღესდღეობით მოწოდებულია პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“.

საქართველოს პოლიტიკური მმართველობის სისტემაში, სადაც დღემდე ვერ შეველიეთ ე.წ. პრეზიდენტის ანტიდემოკრატიულ, რწმუნებლის „ყბადაღებულ“ ინსტიტუტს, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს ისტორიულად ჩამოყალიბებული მხარეების გათვალისწინებით ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა და მათი უფლებამოსილებათა მკაცრი კონსტიტუციური გამიჯვნა. **ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს უკლებლივ ყველა სამხარეო გუბერნატორის, ქალაქის მერის, რაიონისა და სოფლის გამგებლის ფარული და პირდაპირი კენჭისყრით არჩევა. ამასთან, რეალური თვითმმართველობის განხორციელების მიზნით, საგადასახადო სისტემაში საკონსტიტუციო დონეზე მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული სასოფლო, რაიონული, საქალაქო, სამხარეო და ფედერალური ბიუჯეტებისთვის პროცენტული კვოტები.** ასეთი მიდგომით, საბაზრო ეკონომიკის ბუნებრივი და ლოგიკური კანონზომიერებით განვითარდება და გამჭვირვალედ გამოჩნდება რომელი მხარე, რაიონი, სოფელი თუ ქალაქი რა ეკონომიკური პოტენციალის მატარებელია და რა წილი შეაქვს მას ქვეყნის ფედერალურ ბიუჯეტში, რომელშიც უნდა მოხდეს ბიუჯეტის იმ ნაწილის აკუმულირებაც, რომლის საშუალებითაც განხორციელდება ფინანსური დახმარება შედარებით ჩამორჩენილი რეგიონების ეკონომიკური გაჯანსაღებისა და განვითარებისთვის. **დღევანდელ საერთაშორისო და შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების პირობებში, საქართველოს გადარჩენისა და ეკონომიკური წინსვლის უალტერნატივო გზა მხოლოდ ჭეშმარიტი დემოკრატიაა.**

ბუნებრივია, მცირეც და მსხვილი ბიზნესიც დაინტერესებული უნდა იყოს, თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პირობებში მიიღოს მაქსიმალური მოგება, ხოლო სახელმწიფო მოხელე და მთლიანად ხელისუფლება, ქვეყნის მაკროეკონომიკური კლიმატის გაჯანსაღების მიზნით, მოწოდებული უნდა იყოს, ყოველგვარი მერკანტილური ინტერესების გარეშე, საკანონმდებლო და სხვადასხვა რეგულაციით განახორციელოს მთლიანად ქვეყნის სახალხო მეურნეობის წარმოების ოპტიმალური მართვა მთლიანი შიდა პროდუქტისა და ქვეყნის ბიუჯეტის მაქსიმალიზაციის კრიტერიუმით. კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული საერთო სახელმწიფოებრივი და კერძო სამეწარმეო ინტერესთა ამგვარი „ჭიდილი“ შექმნის სწორედ იმ ოპტიმალურ გარემოს, რომელიც მსხვილი, საშუალო და წვრილი ბიზნესების თანაბრად გაძლიერებასთან ერთად წარმოშობს ეკონომიკური და აქედან გამომდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობის თვალსაზრისითაც ძლიერ საშუალო ფენას, ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების საფუძვლებს.

**ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის მოწოდება, რომ „ნაცმოძრაობის“ დროშამ კარგი არაფერი მოუტანა ქართველ ხალხს და იგი, ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემთხვევაში უნდა შეიცვალოს ახალი დროშით.**

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დღევანდელი დროშა, „ნაცმოძრაობის“ და კერძოდ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დროშა კი არ არის, არამედ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო დროშაა. და საერთოდ, ისევე, როგორც კონსტიტუციის „ჭრა-კერვა“ და საკუთარ ინტერესებზე მორგება მიუღებელი და შეურაცხმყოფელია საზოგადოებისა და მთლიანად სახელმწიფოსთვის, ასევე **არადემოკრატიული, მცდარი და მიუღებელი იქნება, კლანურ-ფეოდალური ძალის გამარჯვების მსგავსად, ნებისმიერი ახალი პოლიტიკური ძალის მიერ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, სახელმწიფო გერბის, ჰიმნისა და დროშის შეცვლაც.**

ასეთი ქმედება საერთაშორისო საზოგადოების თვალში გამოიწვევს, დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოს ისედაც შელახული რეპუტაციის კიდევ უფრო მეტად შელახვას.

პოლიტიკური ძალისთვის, რომელიც მოვა ხელისუფლებაში, მთავარი ის კი არ არის, რომ შეცვალოს სიმბოლიკა, არამედ **შინაარსობრივად და ფაქტობრივად უნდა შეცვალოს ფსევდოდემოკრატიული, ანტიხალხური და ანტიეროვნული მმართველობის სისტემა ჭეშმარიტი დემოკრატიითა და მმართველობის იმ სისტემით, რომელიც ქართველ ერს მოუტანს თავისუფლებას, მშვიდობას და ეკონომიკური განვითარების საშუალებას.** ეს იქნება ნამდვილი დროშაც, გერბიც და ჰიმნიც მრავალტანჯული ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის გზაზე, რომელსაც უდავოდ ოქროს ასოებით ჩაწერს მისი მემატიანე.

იმ სახელმწიფოებრივ სისტემაში, რომელშიც კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიგნება და პიროვნების თავისუფალი მოქმედების უნივერსალური საშუალება — ფული, კორუფციითა და სხვა მაქინაციებით აკუმულირდება საზოგადოების იმ ფენაში, რომლისთვისაც იგი წარმოადგენს მხოლოდ საკუთარი ამბიციების, კომფორტისა და სტომაქის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას და ის ვერ აღწევს ლეგიტიმური გზით, საზოგადოების იმ ფენაში, რომელიც მოწოდებულია შექმნას ქვეყნის სასარგებლოდ ესა თუ ის მატერიალური დოვლათი და ინტელექტუალური ღირებულებები, განწირულია ეკონომიკური და პოლიტიკური კრახისთვის.

**პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ძირითად მისიად მესახება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებების ურთიერთკონტროლით დაბალანსების საფუძველზე, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკისა და დასავლური სოციალიზმის პრინციპების ჰარმონიული შერწყმით, ჭეშმარიტად დემოკრატიული, სამართლიანი, სოციალურად დაცული საზოგადოებისა და ეკონომიკურად მძლავრი და განვითარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ურომლისოდაც, თვით საკუთარ და დამოუკიდებელ სახელმწიფოშიც კი, ქართველი ერი ვერ იქნება თავისი ქვეყნის ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი სუბიექტი.**

**ანზორ დავითაშვილი**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ამრიგად, ახლა ქართული დამწერლობის სიძველისა და მისი ფესვების საკვლევად გაცილებით უფრო მეტი მასალა მოიპოვება, ვიდრე ამ ორმოციოდე წლის წინ, როდესაც ივანე ჯავახიშვილი ქართული დამწრლობის უძველეს საფეხურს იკვლევდა. ასეთ ვითარებაში სულ უფრო და უფრო მეტად დამაჯერებელი ჩანს ვარაუდი ქართული დამწერლობის სიძველისა და, შესაბამისად, კარგავს დამაჯერებლობას მტკიცება ქართული მწიგნობრობის მაინც და მაინც V საუკუნეში გამოგონების შესახებ“.

# «საქართველოს ისტორიის» ოთხტომეულში იგნორირებულია წინაქრისტიანული ხანის ქართული დამწერლობის არქეოლოგიური ძეგლები

„საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში შემჩნეულ ხარვეზებთან დაკავშირებით დისკუსიას ვაგრძელებთ. ამჟამად წარმოვადგენთ ბატონ რაულ გვეტაძის წერილს.

**რაულ გვეტაძე გახლავთ კოლხურ-იბერიული ეთნოკულტურის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის „აიაკოლხეთი“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სამსხმელო წარმოების კათედრისა და ლაბორატორიის დამაარსებელი. ამ ლაბორატორიაში ჩამოსხმული ქანდაკებები და სხვადასხვა მხატვრული თუ საიუველირო ნაკეთობები ამშვენებს თბილისისა და ბათუმის ღირსშესანიშნავ ადგილებს.**
**ბატონმა რაულ გვეტაძემ ქართული დამწერლობითი სისტემის კვლევები დაიწყო 30 წლის წინათ.**
**მაშინ მან სამეცნიერო საზოგადოებას შესთავაზა, თანამედროვე ქართულ დამწერლობაში შემოგველო მხედრული პროტოტიპის მთავრული ასოები, რომლებიც საკუთარ სახელებში თავკიდურ ასოებად შეიძლება გამოგვეყენებინა.**
**მაგ.: ნანა, აჭარა, ჭავჭავაძე, ქიქოძე და სხვ.**
**პროფესორ რაულ გვეტაძის სტატიები, რომლებიც ქართული დამწერლობათმცოდნეობისა და ეროვნული წელთაღრიცხვის სისტემის შესახებაა, ქართულ ენაზე გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალში „ქართველოლოგია“, ხოლო ინგლისურენოვანი პუბლიკაციები — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომებში.**

ახალგამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულის მე-II ტომში აკად. მარიამ ლორთქიფანიძე (მთავარი რედაქტორი) წერს: **„ქართული ეროვნული კულტურის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკუთარი ანბანის არსებობას, რომელიც, დაზუსტებით არ ვიცით, როდის შეიქმნა, მაგრამ V საუკუნიდან რომ ნამდვილად არსებობს, ფაქტია“.**

საბედნიეროდ, დღეს გაგვაჩნია მდიდარი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ადასტურებს საისტორიო წყაროებში შემონახულ ინფორმაციას ქართული დამწერლობის წარმართულ ხანაში შექმნის შესახებ. გავიხსენოთ თუგინდ ქართული კულტურის დიდი მოამაგის, სულხან-საბა ორბელიანის, სიტყვები: **„...ენა ქართული, შესრულებული და გავრცელებული ფარნავაზ მეფის მიერ, ბრძენისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა წარმართი“.**

ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ადასტურებს 1940 წელს არმაზის საპატიახშო ნეკროპოლში მოძიებული ე.წ. შარაგასის გამარჯვების სტელა, რომელიც სახელოვანი მეფის, ფარნავაზ დიდის ვაჟიშვილის მეფე მითრიდატე II-ს მემორიალური ძეგლია. ამ ძეგლზე არამეული ტექსტის ზემოთ განთავსებული ყოფილა ხუთი ნიშანი. იბერიის სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლის, მეფის სტელას ფორმა სპეციალურად ყოფილა შერჩეული. მას აქვს მომრგვალებული თავი, მარცხნივ და მარჯვნივ გაზიდული ყურებით, რომლებიც განკუთვნილი იყო სპეციფიკური ინფორმაციის მატარებელ სიმბოლოთა განთავსებისათვის. სამწუხაროდ, სტელამ დაზიანებული სახით მოაღწია ჩვენამდე. მას ჩამოტეხილი აქვს ზედა და მარცხენა გვერდის ნაწილები (იხ. სურათი 1).

შარაგასის სტელასზე და მომრგვალებულ ნაწილში, თვალსაჩინოდ გამორჩეულ ადგილას დახრილად ამოკვეთილია ასო-ნიშანთა გადაბმული სამეული, რომლის ზედა სიმბოლოს ქვედა ბუნი არის შემორჩენილი. გამოჩენილმა ქართველმა მკვლევარებმა: პ. ინგოროყვამ და გ. აბრამიშვილმა დაადგინეს, რომ ამ წარწერაზე ასახულია ასომთავრული „Ⴘ“ („ჭ“) და „ს“ ნიშნები. 2005 წ. გამოქვეყნდა გ. აბრამიშვილის სტატია სათაურით „შარაგასის სტელა და ქართული კულტურის ისტორიის პრობლემები“. მან დაადგინა, რომ არცერთ სხვა ანბანში წყვილად „Ⴘ“ და „ს“ ფორმის გრაფემები არ გამოიყენება. გ. აბრამიშვილის მიხედვით, ძეგლზე წარმოდგენილია ქართული დამწერლობის ნიშნები, რომლებიც თარიღს აღნიშნავს, ვინაიდან იმხანად ასოებს, ბგერის გარდა, რიცხვითი მნიშვნელობებიც ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ **შარაგასის სტელაზე დაფიქსირებულია დამწერლობის ორი სისტემა; არამეული ტექსტი დამშვენებულია განსაკუთრებული წყობით განთავსებული ქართული ასომთავრული სიმბოლოებით.**

ჩვენი კვლევებით დადგინდა, რომ შარაგასის სტელას არამეულენოვანი წარწერის თავს ერთვის იბერიის წელთაღრიცხვის სისტემით ათვლილი მითრიდატე II-ს გარდაცვალების თარიღი, რომელიც არის ახ. წ. 97 წ. საბედნიეროდ, არსებობს პარალელური ძეგლი, მაგალითად, მცხეთაში აღმოჩენილი რომის იმპერატორ ვესპასიანესა და საიმპერატორო ოჯახის დროინდელი წარწერიანი ქვა, რომლითაც დასტურდება შარაგასის სტელაზე ასახული ქრონოლოგია.

**გამოდის, რომ ქართველებს ძველთაგან არამარტო საკუთარი ანბანი ჰქონდა, არამედ — საკუთარი თვითმყოფადი წელთაღრიცხვის სისტემაც. საბედნიეროდ, ქართველებს აღმოაჩნდათ ფარნავაზიანთა დინასტიის, იბერიის სახელოვანი მეფის, მითრიდატე II-ს მემორიალური ძეგლი, რომელიც დათარიღებულია. ამჟამად პარადოქსულ სიტუაციას აქვს ადგილი. ეს ძეგლი იგნორირებულია ახლადგამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში.**

„საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულის თანაავტორად არის მოხსენიებული აკად. ანდრია აფაქიძე. მის მიერ აღმოჩენილი დიდი მნიშვნელობის მქონე წარწერიანი ძეგლი — შარაგასის სტელა, რომელსაც ღირსეული ადგილი ჰქონდა მიჩნეული 1970 წ.-ს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის I ტომში, ამოღებული იქნა ამ ოთხტომეულის საილუსტრაციო მასალიდან. ნახეთ, აკად. ა. აფაქიძემ რა იმედისმომცემი ფრაზით დაამთავრა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომი:

**„ამრიგად, ახლა ქართული დამწერლობის სიძველისა და მისი ფესვების საკვლევად გაცილებით უფრო მეტი მასალა მოიპოვება, ვიდრე ამ ორმოციოდე წლის წინ, როდესაც ივანე ჯავახიშვილი ქართული დამწრლობის უძველეს საფეხურს იკვლევდა. ასეთ ვითარებაში სულ უფრო და უფრო მეტად დამაჯერებელი ჩანს ვარაუდი ქართული დამწერლობის სიძველისა და, შესაბამისად, კარგავს დამაჯერებლობას მტკიცება ქართული მწიგნობრობის მაინც და მაინც V საუკუნეში გამოგონების შესახებ“.**

როცა ქართველმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ შარაგასის სტელაზე ამოკვეთილი სიმბოლოები თარიღის მაჩვენებელი ქართული რიცხვ-ნიშნებია, მაშინ აკად. ა. აფაქიძის პროგნოზი გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ, ეს ფაქტი არ აღინიშნა „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში. მიუხედავად ამისა, ასევე აღმოჩნდა სხვა უცილობო დასტურიც წინაქრისტიანულ ეპოქაში ქართული ანბანის არსებობის თაობაზე.

2004 წ.-ს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გრიფით გამოიცა აკად. ლევან ჭილაშვილის წარმართული ხანის წარწერიანი ძეგლებით ილუსტრირებული მონოგრაფია: **„ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები“.** წიგნში განხილულია ნეკრესისა და რუსთავის ნაქალაქარში მოძიებული არქეოლოგიური ძეგლები. ნეკრესში აღმოჩენილი ათივე წარწერა, ისევე, როგორც რუსთავის ოთხი წარწერა, აკად. ლევან ჭილაშვილმა წინაქრისტიანულ ხანას მიაკუთვნა და დაათარიღა ძვ. წ. III საუკუნიდან ახ.წ. IV საუკუნემდე. უმეტესი მათგანი ეპიტაფიური ხასიათის წარწერებია *(იხ. სურათი 2).*

იბერიის მეფის მითრიდატე II-ს მემორიალური ძეგლი (არმაზიდან), იბერიელთა საფლავის წარწერიანი ქვები (ნეკრესისა და რუსთავის ნაქალაქარიდან) ღაღადებენ იმას, რასაც მემატიანე ლეონტი მროველი გადმოგვცემდა: **„და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.**

საბედნიეროდ, ნეკრესში არამარტო საფლავის ქვები, არამედ მთვარე-მზის წარმართული კალენდარიც აღმოჩნდა (იხ. სურათი 2.1), რომლის უნიკალური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მხოლოდ რვა სიმბოლოს გამოყენებითი ანგარიშება როგორც მთვარისა და ასევე მზის კალენდარული პარამეტრები. თავად კალენდარი თარიღდება ფარნავაზის ზეობიდან 532 წლით.

ამრიგად, **ძველ ქართული წარწერებიანი ძეგლების გავრცელების არეალი მოიცავს მცხეთას, რუსთავსა და ნეკრესს. რაზე მეტყველებს ეს? სულ ცოტა იმაზე, რომ იბერიის სახელმწიფოს გააჩნდა საკუთარი, თვითმყოფადი კულტურა, რომელიც რატომღაც იგნორირებულია ახლადგამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“.** აი, როგორ მოიხსენიებს აკად. მარიამ ლორთქიფანიძე სქოლიოში აკად. ლევან ჭილაშვილის კვლევებს: „უკანასკნელ ხანს ნეკრესის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ასომთავრული წარწერების ფრაგმენტების საფუძველზე, ლ. ჭილაშვილი გამოთქვამს ვარაუდს ასომთავრული დამწერლობის არსებობის შესაძლებლობის შესახებ წინაქრისტიანულ ხანში, რაც სადავო უნდა იყოს“.

სამწუხაროა, რომ ტერმინი „ფრაგმენტები“, ალბათ, ნასესხებია ბატონ ბ. ხურცილავას ტენდენციური მონოგრაფიდან „ქართული ასომთავრული ანბანი და მისი შემქმნელები: **„ბაკურ“** და **„გრიორმიზდ“** (რომელიც 2008 წ.-ს გამოიცა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე). დასახელებულ წიგნიდან მოგვყავს შემდეგი ციტატა: „Исходя из волюнтаристической датировки в найденных в Некреси фрагментальных надписей, Л. Чилашвили пришел к выводу о том, что древнегрузинское письмо асомтаврули было специально введено царем Парнавазом для перевода на грузинский язык священной книги зороастрийцев „Авесты““.

სიტყვამ მოიტანა და მართლაც ვოლუნტარიზმით თუ აიხსნება ის დამოკიდებულება, რომელიც ქართული ანბანის წარმომავლობისა და რაობისადმი, ფუნდამენტური მნიშვნელობის უძველესი ქართული კულტურული მემკვიდრეობის — წარწერიანი ძეგლების მიმართ გამოიჩინა აკად. მ. ლორთქიფანიძემ და სარედაქციო კოლეგიის წევრმა, აკად. დ. მუსხელიშვილმა. უბრალოდ, **მათ მიერ ეს არქეოლოგიური ძეგლები ჩაითვალა ისტორიულ ღირებულებას მოკლებულად და არცერთი არ შეიტანეს „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში.**

სახელოვანი ქართველი მეცნიერების: ივ. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვას, ა. აფაქიძის, ლ. ჭილაშვილის, გ. აბრამიშვილის, რ. პატარიძის, ნ. კანდელაკისა და გ. ცერცვაძის კვლევებს, რომლებითაც მტკიცდება ქართული დამწერლობის წარმართული წარმომავლობა, დაუპირისპირეს ბატონ ბ. ხურცილავას ტენდეციური შრომა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა აკად. კ. კეკელიძის მოძველებული და უსაფუძვლო კონცეფციის გამეორება: **„მეხუთე საუკუნემდე (ახალი წელთაღრიცხვით) ქართულ ენაზე არ მოიპოვება არც ერთი ლიტერატურული გინდა თუ ეპიგრაფიული ძეგლი, ჯერ არ აღმოჩენილა არცერთი ქართული წარწერა არც დედამიწის ზედაპირზე, არც მის წიაღში. მცხეთა-არმაზის გათხრის შედეგთა მიხედვით, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ქართველები თავიანთ საჭიროებას იკმაყოფილებდნენ უმთავრესად არამეული და ბერძნული დამწერლობის საშუალებით“.**

ის, რაც შეიძლება მივუტევოთ აკად. კ. კეკელიძეს, რომელმაც შარაგასის სტელასა და ბერსუმა პიტიახშის ლარნაკზე ვერ ამოიცნო ქართული ასომთავრული ასოები, არ მიეტევებათ ახლადგამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრებს იმის მერე,რაც ნეკრესის არქეოლოგიური მასალა ცნობილია.

მრავალი ქართველი მეცნიერის კვლევები საფუძველს გვაძლევს, განვაცხადოთ მოსაზრება არამარტო იბერიის დაწინაურებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე, არამედ იბერიულ თვითმყოფად ცივილიზაციაზე, რომელზეც საფუძვლიანი მსჯელობა შემდეგ წერილში გვექნება.

**რაულ გვეტაძე,**
**პროფესორი**



შარაგასის სტელას რესტავრირებული წარწერა




მთვარე-მზის წარმართული კალენდრის (1), ნეკრესისა (2) და რუსთავის (3) საფლავის ქვების წარწერათა გრაფიკული ასლები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი საერთაშორისო არენაზე არაერთხელ გამოვიდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებისა და სტატუსკვოს აღდგენით. საჭირო იყო ორი კორეული სახელმწიფოს საზღვრის დაბრუნება 38-ე პარალელზე. სსრკ პოლიტიკას გაეროში მხარი დაუჭირა ინდოეთის დელეგაციამ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო ომის შესაწყვეტად.**



*რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი*

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-35 (139-173)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

დღევანდელ პუბლიკაციას, დაპირებისამებრ, ვიწყებთ ტრუმენის „შეკავების დოქტრინაზე" საუბრით.

როგორც იცით, ეს დოქტრინა აშშ პრეზიდენტმა 1947 წელს გამოაქვეყნა. მისი არსი და მთავარი მიზნები ასეთი იყო:

**პირველი:** შეიკვეცოს მსოფლიო სოციალისტური სისტემის საზღვრები და მოხდეს მისი მაქსიმალური იზოლირება იმ მიზნით, რათა იძულებული გახდეს აღიაროს კაპიტულაცია იმპერიალისტური დასავლეთის წინაშე;

**მეორე:** შეძლებისდაგვარად მოხდეს ჩარევა სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში მათში კაპიტალიზმის რესტავრაციის მიზნით „ხანგრძლივი ევოლუციისა" და „თანდათანობითი ცვლილებების" გზით;

**მესამე:** აწარმოონ ამ ქვეყნებში ანტისოციალისტური და პროამერიკული პროპაგანდა, გადაიბირონ თავიანთი გავლენის აგენტები;

**მეოთხე:** მესამე მსოფლიო ომის დაწყების შესაძლებლობის, ან, ყოველ შემთხვევაში, მუქარის მიზნით გააჩაღონ ლოკალური სამხედრო კონფლიქტები.

ეს ყველაფერი ეფუძნებოდა აშშ ატომურ მონოპოლიას.

სოციალისტური თანამეგობრობის სისტემის შეკვეცა მოახერხეს მის ჩრდილოეთ ფლანგზე: 1946 წელს ფინეთში გამართულ არჩევნებზე კომუნისტები დამარცხდნენ.

**სტალინმა არ ისურვა ამ ქვეყნის საშინაო საქმეში ჩარევა სამხედრო ძალით, მიუხედავად იმისა, რომ ფინეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარები იყო განლაგებული.**

(აქ უპრიანი იქნება პარალელის გავლება ბრეჟნევის დროინდელ პოლიტიკასთან, როცა საბჭოთა ხელმძღვანელობამ 1978 წელს მოაწყო ავღანეთის „რევოლუცია" მას შემდეგ, რაც აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მხარდაჭერით დაამხეს სსრკ-ს მიმართ მეგობრულად განწყობილი მეფე — მუჰამედ ზაჰირ-შაჰი. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების „შეზღუდული კონტინგენტის" (1978 წლის დეკემბერში) შეყვანამ ავღანეთში და მანამდე განვითარებულმა მოვლენებმა უკიდურესად იმოქმედა სსრკ-ზე როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის კუთხით).

სტალინს იარაღი არ აუჟღარუნებია, იგი შეეცადა პრობლემა მოეგვარებინა იმგვარად, რომ ფინეთი დაინტერესებული ყოფილიყო თავის აღმოსავლეთ მეზობელთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებით. ასეთი ურთიერთობა მართლაც ჩამოყალიბდა, რამაც უზრუნველყო ფინეთის მეგობრული ნეიტრალიტეტი საბჭოთა კავშირთან. ამასთანავე, სტალინმა განავრცო სოციალისტური სისტემის საზღვრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით. კაპიტალიზმის ხანგრძლივი რესტავრაციის გზაზე მხოლოდ იუგოსლავიის გადაყვანა მოხერხდა. ამ შემთხვევაში სტალინმა დაუშვა ზედმეტი რადიკალიზმი იუგოსლავიის ხელმძღვანელობის მიმართ. ეს მოხდა კომინფორმის, საგარეო საქმეთა და სამხედრო უწყების მიერ მისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების მიზეზით.

*(კომინფორმი — ერთობლივი ინფორმაციული ბიურო შტაბ-ბინით ბელგრადში, რომლის მიზანი იყო კომპარტიათა საქმიანობის კოორდინირება. შეიქმნა 1947 წლის სექტემბერში აღმოსავლეთ ევროპის შვიდი კომპარტიის, აგრეთვე, საფრანგეთისა და იტალიის კომპარტიების მიერ. კომინფორმი კომინტერნის — კომუნისტური ინტერნაციონალის — ერთგვარი მემკვიდრე იყო. ეს უკანასკნელი სტალინმა 1943 წელს გააუქმა.*

*ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ სტალინის პირადი სტრატეგიული დაზვერვის მიერ ბელადისათვის მიწოდებული პატაკები ზემოთ ნახსენები ინფორმაციის იდენტური იყო. თავის ამ სამსახურს კი სტალინი პრაქტიკულად უპირობოდ ენდობოდა).*

ტრუმენმა წარმატებით შეასრულა „დოქტრინის" მიერ დასახული ლოკალური კონფლიქტების გაჩაღების ამოცანა. ამერიკის ჯარებმა დაამარცხეს ფილიპინელი კომუნისტების არმია; დაეხმარნენ საფრანგეთის მთავრობას, გაეჩაღებინა სამხედრო კონფლიქტი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელსაც მხარს უჭერდა სსრკ და ჩინელი კომუნისტები.

ჩინეთში კომუნისტების გამარჯვებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობამ ნატონე არანაკლებ ძლიერებას მიაღწია. იმავე პერიოდში წარმატებით გამოიცადა პირველი საბჭოთა ატომური ბომბი. ამით დამთავრდა „ზეიარაღის" აშშ მონოპოლია.

**კორეის ნახევარკუნძული ომის ქარცეცხლმა მოიცვა. ვინ დაიწყო ეს ომი, დღემდე საკამათო საგნად რჩება. აშკარაა მხოლოდ ის, რომ ჩრდილოეთიცა და სამხრეთიც ფრიად აგრესიულად იქცეოდა**



კორეის ომი

ტრუმენმა ძლიერი კონტრდარტყმის განხორციელება გადაწყვიტა. საამისოდ შესაფერის ადგილად მიიჩნიეს კორეა, რომელიც სსრკ-ს ესაზღვრებოდა. როგორც ჩანს, ვაშინგტონმა გადაწყვიტა, ამ ოპერაციით ნაწილობრივ მაინც მოეხდინა ჩინეთის დაკარგვით გამოწვეული „ზარალის" კომპენსირება. ამასთან, რეგიონული ომები ამერიკელი ბიზნესმენებისთვის სარფიანი საქმე იყო.

ანტიჰიტლერულ მოკავშირეების მიერ დადებული ხელშეკრულებით, კორეა, რომელიც იაპონიის განადგურებამდე მის მფლობელობაში იყო, კორეა საბჭოთა (38-ე პარალელის ჩრდილოეთით) და ამერიკულ (38-ე პარალელის სამხრეთით) ზონებად გაიყო. 1948 წლის სექტემბერში ჩრდილოეთი ნაწილი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა, შეიქმნა მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კიმ ირ სენი. სამხრეთ ნაწილში კი მრავალპარტიულ საფუძველზე შეიქმნა კორეის რესპუბლიკის მთავრობა. ეს მოხდა მაისის თვეში.

სსრ კავშირმა და აშშ-მ 1948 წლის ივნისიდან 1949 წლის ივნისამდე პერიოდში გამოიყვანეს თავიანთი საოკუპაციო ჯარები, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1950 წლის 25 ივნისს, კორეის ნახევარკუნძული ომის ქარცეცხლმა მოიცვა. ვინ დაიწყო ეს ომი, დღემდე საკამათო საგნად რჩება. აშკარაა მხოლოდ ის, რომ ჩრდილოეთიცა და სამხრეთიც ფრიად აგრესიულად იქცეოდა. სტალინი ცდილობდა დაეცხრო კიმ ირ სენის საომარი ჟინი და უფრო თავშეკა- ▶

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი და სახელმწიფო სისტემის მთავარი და საბედისწერო ნაკლი უმაღლესი ხელისუფლებისგან დამოკიდებულება იყო. სანამ სტალინი ედგა საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში ეს სისტემა აქტიურად და მიზანმიმართულად, გონიერად და ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობდა, მაგრამ სტალინის შემდეგ მოსულმა წვრილფეხობამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.**

◀ ვებული პოზიციისკენ მოუწოდებდა, მაგრამ ამაოდ.

კიმ ირ სენს ამხნევებდა ის გარემოება, რომ სამხრეთ კორეის პროამერიკულმა რეჟიმმა ხალხის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, ხოლო ამერიკელებს იქ მხოლოდ დამხმარე ქვედანაყოფები ჰყავდათ განლაგებული. მას მხნეობას მატებდა მაო ძედუნის მხარდაჭერაც. შედეგად ჩრდილოეთ კორეის ჯარებმა რამდენიმე დღეში ხელთ იგდეს სამხრეთი ნაწილი.

პეკინისა და ფხენიანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამარჯვების ეიფორიამ მოიცვა. საბჭოთა მასმედია ფრიად თავშეკავებულად იქცეოდა და იფარგლებოდა ოფიციალური ინფორმაციებით. ამისთვის მას სერიოზული საფუძველი ჰქონდა.

ტრუმენის განცხადებას იმის თაობაზე, რომ კორეა არ შედის აშშ-ის ინტერესების სფეროში, სტალინი ტრუმენის მხრიდან დეზინფორმაციად მიიჩნევდა. ამის საფუძველი ჰქონდა, რაც დამტკიცდა კიდეც 30 ივნისს, როცა ამერიკის პრეზიდენტმა კორეაში სახმელეთო ჯარები, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და ავიაცია გაგზავნა. შედეგად ომმა ნახევარკუნძულზე ახალი ძალით იფეთქა. ამერიკელებმა ხელთ იგდეს კორეის თითქმის მთელი ტერიტორია და ჩინეთის საზღვარს მიადგნენ: აშშ ავიაციამ ჩინეთს ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქების დაბომბვა დაიწყო.

ამას მოჰყვა საბჭოთა მასმედიის მკვეთრი რეაქცია. მაგრამ ამით საქმე არ დასრულებულა: კორეისა და ჩინეთის ქალაქების დასაცავად რამდენიმე საბჭოთა ავიადივიზია გაიგზავნა. სსრკ წყნარი ოკეანის ფლოტი, რომელიც პორტ-არტურში ბაზირებდა, სრულ საომარ მზადყოფნაში იქნა მოყვანილი.

ამასთან ერთად, **სტალინი საერთაშორისო არენაზე არაერთხელ გამოვიდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებისა და სტატუსკვოს აღდგენით. საჭირო იყო ორი კორეული სახელმწიფოს საზღვრის დაბრუნება 38-ე პარალელზე. სსრკ პოლიტიკას გაეროში მხარი დაუჭირა ინდოეთის დელეგაციამ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო ომის შესაწყვეტად.**

ტრუმენი, რომელიც სამხედრო წარმატებებით ეიფორიაში იყო, უარყოფდა საბჭოთა სამშვიდობო წინადადებებს. მაშინ, ანტიამერიკული განწყობილების ჩინელი მოხალისეების ტალღებმა ბუკვალურად წალეკეს ამერიკელები და 38-ე პარალელს იქით გარაყარეს. ტრუმენი დაიმუქრა, რომ გამოიყენებდა ატომურ იარაღს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამერიკელთა სარდალმა გენერალმა მაკარტურმა მოითხოვა ატომური ბომბების გამოყენება ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის გენერალმა მაკარტურმა მოითხოვა ატომური ბომბების გამოყენება ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის წინააღმდეგ. ასეთი სურვილი და მისწრაფება არც სხვა გენერლებს დაუფარავთ. მაგრამ ტრუმენმა არ გასცა სანქცია ატომური იარაღის გამოყენებაზე — იგი საბჭოთა კავშირის მოსალოდნელმა რეაქციამ დააშინა.

სტალინმა შესაბამისად შეაფასა ტრუმენის პოზიცია და ამერიკელების პრეზიდენტისკენ შემხვედრი ნაბიჯი გადადგა. 1951 წლის 16 თებერვალს სტალინმა „პრავდაში“ გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელიც ამ გაზეთის კორესპონდენტმა ჩამოართვა. საბჭოთა ბელადმა განაცხადა, რომ მსოფლიო ომი მოცემულ მომენტში გარდაუვალი არ არის.

**უაღრესად მკაცრად შეაფასა სტალინმა ინგლისის პრემიერ-მინისტრის, ეტლის, პოზიცია (რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად აძლიერებს თავის შეიარაღებულ ძალებს) და მას ცილისმწამებელი უწოდა. განაცხადა, რომ „პრემიერი ეტლი ძლიერი რომ ყოფილიყო საფინანსო და ეკონომიკურ მეცნიერებაში, არ გაუძნელდებოდა იმის გაგება, რომ საბჭოთა სახელმწიფო ვერ შეძლებს განავითაროს თავისი სამოქალაქო მრეწველობა, დაიწყოს ისეთი დიადი მშენებლობანი, როგორიც ჰიდროელსადგურებია ვოლგაზე, დნეპრზე, ამუდარიაზე, რასაც ათობით მილიარდი საბიუჯეტო სახსრები სჭირდება, ვერ გააგრძელებს მასობრივი მოხმარების საქონელზე ფასების სისტემურ შემცირებას, რასაც, აგრეთვე, სჭირდება ათობით მილიარდი საბიუჯეტო სახსრები, ვერ ჩადებს ასობით მილიარდს გერმანელი ოკუპანტების მიერ განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენაში და, ამასთან, გაამრავლოს თავისი შეიარაღებული ძალები, განავითაროს სამხედრო მრეწველობა“...**

სტალინმა თქვა, თუ უგულებელყვეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამშვიდობო წინადადებები, ომი კორეაში შეიძლება დამთავრდეს ინტერვენტების დამარცხებით არა იმიტომ, რომ ამერიკელი და ინგლისელი სამხედროები არ ვარგანან, არამედ იმიტომ, რომ „ეს ომი უკიდურესად არაპოპულარულია ამერიკელ და ინგლისელ ჯარისკაცთა შორის“.

დაბოლოს, მან მკაცრად გააკრიტიკა „აგრესიული ძალები, რომლებსაც სწყურიათ ახალი ომი... განიხილავენ ომს, როგორც სარფიან საქმეს, რომელიც კოლოსალურ მოგებას იძლევა“. მისი სიტყვით: „მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებული იქნება, თუ მშვიდობის შენარჩუნების საქმეს ხალხები თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას. ომი გარდუვალი შეიძლება გახდეს, თუ ომის გამჩაღებლები შეძლებენ სიცრუე თავს მოახვიონ სახალხო მასებს, მოატყუონ და ჩააბანისინი ახალ ომში“.

ნევის პროსპექტის აღდგენა ომის შემდეგ




**სტალინის სიტყვით, «მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებული იქნება, თუ მშვიდობის შენარჩუნების საქმეს ხალხები თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას»**

ტრუმენმა შემხვედრი ნაბიჯი გადადგა — გადააყენა მაკარტური. 23 ივნისს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ალექსანდრ მალიკი ამერიკული რადიოთი გამოვიდა და აშშ-ს მოუწოდა დაეწყო მშვიდობიანი მოლაპარაკება. ამ გამოსვლას წინ უსწრებდა ამერიკის წარმომადგენლის კენანის არაოფიციალური კონტაქტი მალიკთან, რომელიც ასრულებდა სტალინის ინსტრუქციას კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების თაობაზე, მაგრამ არა საბჭოთა კავშირთან, არამედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

მოლაპარაკება აგვისტოში დაიწყო, მაგრამ მალევე დამთავრდა. ომი კორეაში ცვალებადი წარმატებით გაგრძელდა. სტალინი ამჯობინებდა დაეცვა ფორმალური ჩაურევლობის პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო აშშ-სთვის ძალის გამოცლისა. მაგრამ არა უკიდურესობამდე მიყვანისკენ, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ატომური იარაღის გამოყენება. ასე, მაგალითად, განახლდა სამმხრივი მოლაპარაკება პანმინჩჟონში, რომელიც უაზროდ გაიწელა.

**კორეის ომის მსვლელობამ აშშ და სრულიად დასავლეთი ისეთ სიტუაციაში ჩააყენა, რომელიც მომგებიანი იყო საბჭოთა კავშირისთვის. აშშ ჯარები დიდ დანაკარგს განიცდიდნენ, საბჭოთა კავშირი კი განზე რჩებოდა, მხოლოდ ზოგჯერ ერთვებოდა მიმდინარე მოვლენებში, როგორც არბიტრი.**

სსრკ-ის მოწინააღმდეგეები ორთაბრძოლაში ჩაებნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. სტალინი ხვდებოდა, რომ მაო ძედუნი ისწრაფოდა აზიის კომუნისტური მოძრაობის ლიდერობისკენ (სსრ კავშირის აზიური ნაწილის გამოკლებით, რა თქმა უნდა). **ამით აიხსნება მაოს მცდელობა, შეექმნა კომინფორმის აზიური ანალოგი, რომელიც აზიის უძლიერეს კომპარტიებს — ჩინეთის, ინდოეთის, ინდონეზიის, იაპონიის, ბირმის, კორეის, ვიეტნამის კომუნისტურ პარტიებს გააერთიანებდა.**

სტალინმა ისიც იცოდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს მაო აშშ-ს ეკურკურებოდა. კორეაში საომარი დაპირისპირებით სტალინმა ჩინეთ-აშშ-ის ბლოკის შექმნის შესაძლებლობა საბოლოოდ ჩაშალა.

ვაშინგტონმა პეკინის საწინააღმდეგოდ მხარი დაუჭირა ჩან კაიშის ტაივანში, პროამერიკულ მოძრაობას ბირმასა და კონტინენტურ ჩინეთში, რაც უფრო და უფრო აღიზიანებდა მაოს. გამოვიდა ისე, რომ აშშ პრეზიდენტი სტალინის საქმეს აკეთებდა. გაჭიანურებულ და ხშირად წარუმატებელ ომს კორეაში უდიდესი ზარალი მოჰქონდა ამერიკისთვის — იხოცებოდნენ ჯარისკაცები, უდიდესი მატერიალური რესურსები იხარჯებოდა საომარი თეატრის ფრონტზე. დასასრული კი არ ჩანდა.

ტრუმენს დიპლომატიური წარმატება სჭირდებოდა და მანაც იაპონიასთან სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი 1951 წლის სექტემბერში. მაგრამ წარმატება მხოლოდ ნაწილობრივი აღმოჩნდა: საბჭოთა კავშირმა და მისმა მოკავშირეებმა უარი განაცხადეს დოკუმენტზე ხელის მოწერაზე. მაშინ ტრუმენმა რამდენიმე დღეში გააფორმა იაპონიასთან „უსაფრთხოების ხელშეკრულება“, რომელსაც ანტისაბჭოთა მიმართულება ჰქონდა.

წაიფორხილა ტრუმენის დიპლომატიამ ნატოში თავისი მომხრეებისა და მოკავშირეების მიმართ. ვაშინგტონის ჩაგონება-დარიგების მიუხედავად, ეს ქვეყნები არ ჩქარობდნენ დახმარებოდნენ მას. კორეის ომში მათ ცოცხალი ძალის 10 პროცენტზე ნაკლები ჩართეს. ლაპარაკია აშშ მოკავშირე 17 ქვეყანაზე. აშშ-მ ამ ომში დაკარგა 398 ათასი ჯარისკაცი, მისმა მოკავშირეებმა — 29 ათასი.

## ინფორმაციული ომი

**წიგნის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამ სახის დაპირისპირებას ფსევდოინფორმაციული ომი უნდა ვუწოდოთ, რომელშიც იმარჯვებს უფრო მოხერხებული, ეშმაკი, უპრინციპო და მდიდარი მხარე, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნა სურვილებისა და ინსტიქტების განვითარებას, შესაძლებლობა აქვს დიდი ფული გადაუხადოს მასმედიის მუშაკებს, ხელოვნებისა და ინტელექტუალური სფეროს წარმომადგენლებს, ჩააყეროს ისინი თავის სამსახურში.**

ამ მიმართულების გააქტიურება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა კორეის ომის დროს, რომელიც არაპოპულარული იყო ამერიკის მოსახლეობას შორის, მით უფრო, რომ მას ახლდა ამერიკის არმიის უდიდესი დანაკარგები.

ამ ომმა, აგრეთვე, ამ პერიოდში აშშ-ში ფეხმოკიდებულმა მაკარტიზმმა და სხვა ანტიდემოკრატიულმა გამოვლინებებმა საგრძნობლად შეამცირა ტრუმენის ადმინისტრაციის მხარდამჭერთა რაოდენობა. 1952 წლის არჩევნებში მოქმედი პრეზიდენტის მოწინააღმდეგედ წარმოჩნდა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი დუაიტ ეიზენჰაუერი — მეორე სამამულო ომში მოკავშირე ჯარების მთავარსარდალი და ამერიკაში ფრიად პოპულარული გენერალი. წინასაარჩევნო კამპანიის დროს იგი ელექტორატს ჰპირდებოდა, რომ ამერიკას კორეის ომიდან აუცილებლად გამოიყვანდა.

ტრუმენმა არჩევნები წააგო.

თეთრი სახლიდან წასულ ტრუმენს თავს დაატეხეს უკმაყოფილება და ბრალდებები მისი წარუმატებელი დიპლომატიური პოლიტიკის გამო. „სტრატეგიის თვალსაზრისით, — წერდა ერთ-ერთი მისი კრიტიკოსი, “ შეკავების პოლიტიკა წმინდა წყლის თავდაცვითი პოლიტიკაა... შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული გამოცდილებით არცერთი გაკვეთილი არ ყოფილა ისე დამაჯერებლად დადასტურებული, როგორც ის, რომ წმინდა თავდაცვის სტრატეგიას არ შეუძლია წარმატების მოტანა“.

ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ მიიღო „გათავისუფლების“ დოქტრინა, შეტევის სტრატეგია, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა: „ყოველმხრივი პოლიტიკური ომისა“ და „ცხელი ომის“ მომზადების ნაწილებისგან.

„ყოველმხრივი პოლიტიკური ომი“ ნიშნავდა უსაზღვრო იდეოლოგიურ და დიპლომატიურ ბრძოლას სსრ კავშირის წინააღმდეგ, რომელიც რამდენიმე მიმართულებით უნდა წარმართულიყო.

**პირველი**. ერთმანეთისთვის უნდა დაეპირისპირებინათ სსრკ-ში შემავალი საბჭოთა რესპუბლიკები, გაეძლიერებინათ სოცბანაკის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა „ტოტალური პროპაგანდისტული შეტევის“ გზით; სოციალიზმის ბანაკის გახლეჩა, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის დაშლა და დარღვევა.

ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეიზენჰაუერი სერიოზულად განიხილავდა საბჭოთა კავშირთან შეიარაღებული დაპირისპირების შესაძლებლობას.

დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელების ამ სტრატეგიას რეალიზების შესაძლებლობა მხოლოდ მას შემდეგ მიეცა, როცა ხრუშჩოვი პარტიის ყრილობის წინაშე ანტისტალინური მოხსენებით წარსდგა.

ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა ნაციონალისტური განწყობილებების ზრდა საბჭოთა რესპუბლიკებში. წიგნის ავტორები განსაკუთრებით გამოჰყოფენ 1956 წლის 9 მარტს საქართველოში პროსტალინური გამოსვლების სისხლიან ჩახშობას...

**სტალინის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი და სახელმწიფო სისტემის მთავარი და საბედისწერო ნაკლი უმაღლესი ხელისუფლებისგან დამოკიდებულება იყო. სანამ სტალინი ედგა საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში ეს სისტემა აქტიურად და მიზანმიმართულად, გონიერად და ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობდა, მაგრამ სტალინის შემდეგ მოსულმა წვრილფეხობამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.**

ანტისტალინურმა კამპანიამ დააჩქარა და ბოლო მოუღო საბჭოთა კავშირს.

**სტალინმა ისიც იცოდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს მაო აშშ-ს ეკურკურებოდა. კორეაში საომარი დაპირისპირებით სტალინმა ჩინეთ-აშშ-ის ბლოკის შექმნის შესაძლებლობა საბოლოოდ ჩაშალა**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

# ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გიგანტური ხახვი

**ქალაქ ნიუ-არკში მცხოვრებ 68 წლის პიტერ გლეიზბრუკს გიგანტური ზომის ბოსტნეული მოჰყავს. მისი მოყვანილი ხახვი 8 კილოგრამს იწონის და გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნშიც კი მოხვდა. ხახვი უამრავ შოუში იღებს მონაწილეობას.** ჰაროგეტის შემოდგომის ყვავილის შოუში პიტერმა 37 კილოგრამიანი კომბოსტო მიიტანა. კომბოსტო იმდენად მძიმე იყო, მისი ტრანსპორტირებისთვის ურიკა გამოიყენა. რამდენიმე თვის წინ კი პიტერი კიდევ ერთხელ შევიდა გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში გიგანტური ძირთეთრით, რომლის სიგრძე 5 მეტრს აღემატება.





## ცეცხლოვანი ტორნადო

**ავსტრალიის ქალაქ ალის-სპრინგსში ცეცხლის ტორნადო შენიშნეს. უჩვეულო მოვლენის გადაღება რეჟისორმა კრის ტენგიმ შეძლო.**

კრისი ავსტრალიაში ფილმის გადასაღები ტერიტორიების მოსანახულებლად იმყოფებოდა და შემთხვევით 30-მეტრიან ცეცხლის ტორნადოს გადააწყდა.

ტორნადო ნახევარ საათზე მეტხანს მძვინვარებდა.

მეტეოროლოგების თქმით, მოვლენა, რომელსაც ხშირად „ცეცხლის ეშმაკს“, ან „ცეცხლოვან ბრუნვას“ უწოდებენ, იშვიათობაა და ის ჰაერის მასებისა და ცეცხლის ურთიერთზემოქმედების შედეგია.

**ცეცხლის ტორნადო იშვიათობაა. 1923 წელს იაპონიის რეგიონ კანტოში მომხდარი უძლიერესი მიწისძვრის დროს გაჩენილ ტორნადოს 15 წუთში 38 000 ადამიანი ემსხვერპლა.**



## აკვარიუმი ტელეფონის ჯიხურში

**მას შემდეგ, რაც მობილური სატელეფონო კავშირი შეუცვლელი გახდა, სატელეფონო ჯიხურები მხოლოდ კოლექციონერებს იზიდავს.**

თუმცა, იაპონელებმა მას სხვა ფუნქცია მიანიჭეს. კლუბმა Kingyobu, რაც ქართულად „ოქროს თევზის კლუბს“ ნიშნავს, სატელეფონო ჯიხური აკვარიუმად აქცია. ჯიხურში დარჩა ტელეფონის ძველი აპარატი, თუმცა ის ახლა წყლითა და ოქროსფერი თევზებითაა სავსე. აღსანიშნავია, რომ ზღვის ამ პატარა ოქროსფერ ბინადრებს იაპონიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ითვლება, რომ ოქროს თევზებს ბედნიერების და ბარაქის მოტანა შეუძლიათ.

აკვარიუმი-ჯიხური იაპონიის ქალაქ ოსაკაში დგას და გამვლელების ყურადღებას იქცევს.

## მრეცხავი ენოტი

**8 თვის ენოტი სახელად ელი თავის პატრონს სერგეი პანასენკოს ყოველ დილით გარეცხილ წინდებს ახვედრებს. პატრონის სისუფთავეზე ზრუნვა ენოტმა თავად იტვირთა.**

ელმა სახელი უკვე გაითქვა ჩელიაბინსკში. მისთვის რეცხვა ბუნებრივი ინსტიქტია. ის არავის გაუწვრთნია. ელმა თავად გადაწყვიტა, პატრონისთვის ესიამოვნებინა. შესაბამისად, ახლა სერგეის მუდმივად აქვს სუფთა წინდები.

„ალბათ ყველა მამაკაცს, ვინც ელს ხედავს, სურვილი უჩნდება, რომ ენოტი იყოლიოს. ელი საკმაოდ ჭკვიანია. ძალით ვერაფერს გააკეთებინებ. უნდა მოელაპარაკოთ, მიუალერსოთ და მაშინ ყველაფერზე თანხმაა. თუ დასჯით, აუცილებლად შურს იძიებს“, — განაცხადა სერგეიმ.



## ქალაქში უჩინმაჩინი დადის!

**ვიზაჟისტმა კეროლინ როპერმა საზოგადოებას საინტერესო პროექტი შესთავაზა. მან მოდელი ფონის შესაბამისი ფერებით შეღება და უჩინრად აქცია. უჩინმაჩინი ლონდონის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში — ტაქსის გაჩერებაზე, ავტობუსში, ხილისა და ბოსტნეულის დახლზეც კი შეგხვდებათ.**

მოდელი მხოლოდ რამდენიმე გამვლელმა შეამჩნია. ფოტოგრაფებმა კი გაოცებული ხალხი გადაიღეს. მაგალითად, **ავტობუსში გოგონამ უკანა სავარძელზე მჯდომი მოდელი მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როცა ლამის ზედ დააჯდა. დახლთან მისულ ქალბატონს კი ძალიან შეეშინდა, როცა ხილის შერჩევის დროს „კომბოსტო მას ხელით შეეხო“.**

**კეროლინი პირველი არაა, ვინც საზოგადოების გაოცებას მსგავსი ხერხით ცდილობს. ჩინელ მხატვარს ლიუ ბოლინს ზედმეტსახელად „უჩინარ კაცს“ უწოდებენ. ლიუ მოხალისეებს ფონის შესაბამისი ფერებით ღებავს, თითქმის უჩინრად აქცევს, შემდეგ კი ფოტოებს უღებს.**





## გიგანტური ძაღლი

**მიჩიგანის შტატის მცხოვრები გერმანული დოგი სახელად ზევსი გინესის რეკორდების წიგნში მსოფლიოში ყველაზე დიდი ძაღლის სტატუსით შევიდა. 2 წლის ძაღლი სიმაღლეში იმხელაა, რომ თავისუფლად შეუძლია სამზარეულოს ონკანს მისწვდეს და წყალი დალიოს.**

ზევსის სიმაღლე 1 მეტრი და 10 სანტიმეტრია, რაც წინამორბედი რეკორდსმენი ძაღლის სიმაღლეზე 2 სანტიმეტრით მეტია.

ზევსის პატრონს დენის დორლაგს ხშირად გაოცებული ადამიანები ეკითხებიან, ზევსი ცხენია თუ ძაღლი.

როგორც ბრიტანული გამოცემა The Telegraph-ი წერს, ახალი რეკორდსმენი გინესის რეკორდების წიგნში ოფიციალურად 2013 წლიდან შევა.



## მამაკაცების «შოპინგი»

**პარიზში უჩვეულო მაღაზია გაიხსნა, სადაც ქალბატონებს მამაკაცების დაქირავება შეუძლიათ. სიმპათიური მამაკაცები მაღაზიის ვიტრინებში დგანან და ცდილობენ, ქუჩაში გამვლელი ქალები მოხიბლონ. უჩვეულო მაღაზიის „ასორტიმენტი“ მრავალფეროვანია და გაცნობის ერთ-ერთი საიტის მონაცემთა ბაზიდან არის შერჩეული. ქალები ამ მაღაზიის გახსნამ ძალიან გაახალისა.**

უნდა აღინიშნოს, რომ ქალი თავად წყვეტს, სურს თუ არა მამაკაცთან ურთიერთობის გაგრძელება. აგრეთვე მხოლოდ მანდილოსანს აქვს უფლება პირველად დაუმესიჯოს სასურველ კანდიდატს. ადმინისტრაციის მიზანია, მანდილოსნებმა ყოველდღიური სტრესი მოიხსნან და მამაკაცების „შოპინგით“ გაერთონ.

## ყველაზე დიდკუნთა

**ეგვიპტის მოქალაქე მუსტაფა ისმაილი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა. მას მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნთები აქვს. ბენზინგასამართი სადგურის 24 წლის თანამშრომელი გინესის წიგნის 2013 წლის ვერსიაში მსოფლიო რეკორდსმენის სახელით შევა.** მუსტაფამ ბოდიბილდინგში ვარჯიში 10 წლის წინ დაიწყო. ის დღეში ორჯერ, მინიმუმ 3 საათი ვარჯიშობს. მას ახლა 500 კილოგრამამდე სიმძიმის აწევა შეუძლია. იმისათვის, რომ ფორმა შეინარჩუნოს, ახალგაზრდა სპორტსმენი დღეში 3 კგ-მდე ქათმის ხორცს, ნახევარ კილომდე თევზს ან ძროხის ხორცს ჭამს, სამ ჭიქა პროტეინის კოქტეილს და 7.5 ლიტრამდე წყალს სვამს. მუსტაფას მისი სხეულის გამო „დიდი მოც" შეარქვეს. მას ხელებზე 79 სანტიმეტრიანი კუნთები აქვს.



ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღატაკი მილიარდერები

**ამბობენ, რომ ყველა მდიდარ ადამიანს აქვს მისთვის დამახასიათებული განსაკუთრებული ახირება, რამდენიმე მათგანმა კი ამ ახირების წყალობით უცნაური განაჩენი გამოუტანა საკუთარ შვილს.**



## პრინცი ალ-ვალიდ ბენ თალალი

**საუდის არაბეთის მეფე აბდულას ძმის შვილი, პრინცი ალ-ვალიდ ბენ თალალი, ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია მსოფლიოში. მან TWITTER-ის საკონტროლო პაკეტი იყიდა — საიტში 300-მილიონიანი ინვესტიცია ჩადო. მანამდე მან გაკოტრებისგან იხსნა „CITIBANK"-ი 550-მილიონიანი ინვესტიციით, შემდეგ კი თავისი ქონების ნახევარი სწორედ ამ ბანკის წყალობით იშოვა. ცნობილია, რომ პრინცს უკვე შეძენილი აქვს ისეთი კომპანიების აქციები, როგორიცაა: GENERAL MOTORS CO., კორპორაცია NEWS CORP. და APPLE INC.**

Forbes-ის მონაცემებით, საუდის არაბეთის პრინცი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სიაში მე-14 ადგილზეა. ალ-ვალიდმა გულახდილად უამბო ავტორიტეტულ ეკონომიკურ ბეჭდვით გამოცემას, რომ მისი იდეალი და ცხოვრების თანამგზავრი არის და იქნება მხოლოდ და მხოლოდ პრინცესა ამირა, რომელიც არ ატარებს ძვირფას სამკაულებს და უპირატესობას განათლებას ანიჭებს. მათ ჰყავთ ორი წლის გოგონა, რომელიც ღატაკი მილიარდერობისთვისაა განწირული — პრინცი არ აპირებს, მას ქონება დაუტოვოს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების გამომწვევ მიზეზებს არ ამხელს. შეიძლება ეს მისი სულელური ახირებაც კი იყოს, რომელსაც მყარი საფუძველი არ გააჩნია.



## აარონ სპელინგი

**ცნობილ პროდიუსერს, აარონ სპელლინგს, და მის ქალიშვილს, ტორის, კამათი ჰქონდათ ტელეშოუ „NoTORIous"-ის გამო.** მასში ტორი მონაწილეობდა და ამან მამა ისე გააბრაზა, რომ აარონ სპელინგის ცხოვრების უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. აარონის გარდაცვალების შემდეგ ტორის მხოლოდ 800 ათასი დოლარი ერგო მამის 500-მილიონიანი კაპიტალიდან. ტორისთვის, რომელიც ფუფუნებაში იზრდებოდა, ეს შოკისმომგვრელი დარტყმა იყო.



## ვლადიმერ პოტანინი

**რუსი ოლიგარქი, კომპანია „ინტერროსის" მეთაური ვლადიმერ პოტანინი იზიარებდა ბილ გეითსისა და უორენ ბაფეტის თვალსაზრისს და მთელი თავისი ქონება ქველმოქმედებას გადაულოცა.** მისი თქმით, მემკვიდრეობით მიღებულ ერთ მილიონ დოლარს შეუძლია დაეხმაროს ადამიანს განათლების მიღებაში, სასურველი საქმიანობის პოვნაში, მაგრამ ერთ მილიარდ დოლარს შეუძლია მოკლას კაცი, დააკარგვინოს ცხოვრების აზრი, აღქმა და შეგრძნება.



## ენდრიუ კარნეგი

**მისი კაპიტალი, 298,3 მილიარდი დოლარი, ოდნავ ჩამორჩება ჯონ როკფელერის 318 მილიარდს. „ამერიკული ფოლადის მამამ" თავისი კაპიტალის უდიდესი ნაწილი ფოლადის დამუშავებისა და წარმოების ხარჯზე გამოიმუშავა. 1901 წელს მრეწველმა ენდრიუმ გაყიდა ამერიკული ფოლადი 492 მილიონ დოლარად, რაც, დღევანდელი სტანდარტებით, შეადგენს დაახლოებით 12,4 მილიარდ დოლარს.**

მის საფლავზე აწერია: „აქ განისვენებს ადამიანი, რომელსაც შეეძლო ირგვლივ თავისზე ჭკვიანი ადამიანები შემოეკრიბა".

მართალია, ენდრიუ კარნეგი შვილს ბავშვობიდანვე მემკვიდრედ ამზადებდა, მაგრამ მერე უმიზეზოდ შეცვალა აზრი. მისი ქალიშვილის, მარგარეტის, მემკვიდრეობა შეადგენდა მამის ქონების არანაკლებ 10 პროცენტს. ენდრიუმ ეკლესიებს აჩუქა დიდი თანხები, ასევე 7689 ორღანი (საეკლესიო მუსიკალური საკრავი), მან 2811 საჯარო ბიბლიოთეკა გახსნა, ააშენა „კარნეგი-ჰოლი" ნიუ იორკში, შექმნა კარნეგის ინსტიტუტი ვაშინგტონში, დააარსა კარნეგის ფონდი 125-მილიონიანი საწყისი კაპიტალით და ეს გახლდათ პირველი თანამედროვე საქველმოქმედო ფონდი.

კომპანია „ფოლადის ტრესტის" დამაარსებელი შოტლანდიელი ენდრიუ კარნეგი საკუთარი „სიმდიდრის სახარების" წყალობით, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი და ყველაზე სახელგანთქმული ქველმოქმედი გახდა. ერთხელ „ფოლადის მამამ", ჟურნალისტის დაჟინებული თხოვნით, ინტერვიუზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ ინტერვიუ ორი წინადადებით შემოიფარგლა: „ადამიანი, რომელიც მდიდარი კვდება, კვდება შერცხვენილი! აქლემისათვის უფრო ადვილია ნემსის ყუნწში შეღწევა, ვიდრე მდიდარი ადამიანისათვის სამოთხეში მოხვედრა".

1908 წელს მეფე ედუარდმა მას ბრიტანეთის ლორდის ტიტული შეთავაზა, მაგრამ კარნეგმა ასეთ პატივზე უარი განაცხადა, რადგან სანაცვლოდ ამერიკის მოქალაქეობის დათმობა მოუწევდა. თავის ცნობილ ესსეში The Gospel of Wealth იგი აღნიშნავდა, რომ სიმდიდრე უნდა განაწილდეს სხვა ადამიანების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და ამ გზით მოხდეს საზოგადოების გამდიდრებაც. ენდრიუ კარნეგი საკუთარი სიტყვების ერთგული აღმოჩნდა და ქონების 90 პროცენტი ქველმოქმედებაში დახარჯა.



## პიტერ სელერსი

**წარმატებული სამსახიობო კარიერის მანძილზე პიტერ სელერსიმ საკმაო კაპიტალი დააგროვა. კინოს ისტორიაში პიტერი ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი იყო.** მისი გარდაცვალების შემდეგ დანაზოგის უდიდესი ნაწილი მისი მეუღლის, ლინი ფრედერიკის, ხელში აღმოჩნდა, ხოლო შვილებმა, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე მისგან შორს ცხოვრობდნენ და კავშირიც კი არ ჰქონდათ მამასთან, მხოლოდ 1,3 დოლარი მიიღეს. სანამ კომაში ჩავარდებოდა, სელერსმა დაწერა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ მსახიობი აპირებდა შვილებისთვის მემკვიდრეობის თანხის გაზრდას, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო ანდერძის შეცვლა.



## იუ პენიანი

**2010 წელს იუმ განაცხადა, რომ მთელ ცაპიტალს, დაახლოებით 500 მილიონ დოლლარს, პირადად გადასცემდა საქველმოქმედო ფონდს.** როცა მას შეეკითხნენ, თუ რა რეაქცია ექნებოდათ ამაზე მის შვილებს, მიუგო: **„ისინი ამ იდეის წინააღმდეგნი არ არიან, მათ არ სჭირდებათ ჩემი ფული. თუ სურთ, რომ დავუტოვო ბევრი ფული, ეს იმას ნიშნავს, რომ მე მათ სურვილის ასრულების პარალელურად ზიანსაც მივაყენებ".**



## იუჯინ ლანგი

**იუჯინ ლანგი ფონდის „მე მაქვს ოცნება" მთავარი სპონსორი იყო და მთელი მსოფლიოს ღარიბ ბავშვებს განათლების მიღებაში ეხმარებოდა.** მისი შვილების სწავლა-განათლება ასევე დაფინანსებული იყო ფონდის მიერ. ეს არის ერთადერთი, რაც ლენგმა მისცა თავის შვილებს. კოლეჯის დამთავრების შემდეგ მან მისცა მათ „ნომინალური თანხა" და იმ მომენტიდან მათ თვითონვე უნდა გაეკვლიათ გზა ამ დაუნდობელ ცხოვრებში. ლენგმა, რომელმაც დააგროვა 500 მილიონი დოლარი, საქვეყნოდ განაცხადა, რომ შვილები ვერაფერს მიიღებენ მისი სიკვდილის მერე. მიზეზი? როგორც თვითონ ამბობდა, „მემკვიდრეობა აქარწყლებს ახალგაზრდების მოტივაციას, მოტივაცია ხომ არის ჩვენს ორგანიზმში „ჩადგმული" ახალი ძრავი, ესაა მუხტი, რომელიც არ გვასვენებს, სანამ არ ავმოქმედდებით; მე მინდა მივცე ჩემს შვილებს ეს უზარმაზარი სიამოვნება. იმედია, ერთხელაც დამიფასებენ..."



## დუნკან ბენათაინი

**შოტლანდიელი მაგნატი დუნკან ბენათაინი ტელეშოუს „დრაკონების ბუნაგი" ვარსკვლავია. მან ჩამოართვა ქალიშვილს მემკვიდრეობა, როცა მას სიგარეტის მოწევისას წაასწრო.** მილიონერს აქვს აკრძალვების მთელი სია და მისმა ქალიშვილმა პასუხი უნდა აგოს თავისი ნებისმიერი ქცევისათვის. მხოლოდ ქცევის გაუცნობიერებლობა ათავისუფლებს ადამიანს ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან. „თუ მათ უნდათ სიგარეტის მოწევა, შეუძლიათ მოწიონ, მაგრამ ვერ მიიღებენ მემკვიდრეობის თავიანთ წილს; გაითვალისწინონ, რომ სიგარეტში არის ბუტანი, კადმიუმი, ნიკოტინი, ამონიუმი და თვითმკვლელობის სხვა ნივთიერებები". მაგნატი ბენათაინი ნატრობს ჩინეთში ცხოვრებას, სადაც აკრძალულია მოწევა დახურულ სივრცეებში. ამასთანავე, დუკან ბენათაინი თავისი ქონების დიდ ნაწილს ხარჯავს ქველმოქმედებაში, გასაკვირი არ არის, რომ დააარსა „მოწევაზე უარის თქმის დღე".

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დანომრილი შვილები

**ჩინეთში, შენჩჟენში, მშობლებმა პირველკლასელი 4 ტყუპი ვარცხნილობებით დანომრეს, თორემ მასწავლებლებსა და თანაკლასელებს ბავშვების ცნობა უჭირდათ.** პირველკლასელი ბიჭები გაჭრილი ვაშლივით ჰგავანან ერთმანეთს. პრობლემის თავიდან ასაცილებლად მათ მშობლებმა ციფრებიანი ვარცხნილობა გაუკეთეს. ახლა ბავშვებს თავზე ნომრები: 1, 2 ,3 და 4 აწერიათ. ბავშვებს უკვე არა სახელებით, არამედ ციფრებით მიმართავენ. ფსიქოლოგების აზრით, ეს ბიჭების ფსიქიკაზე ცუდად იმოქმედებს, თუმცა მათი დედა, ტამ შაოიუნი, ფიქრობს, რომ ბავშვებისთვის ასე უკეთესია.



# ლეგენდები პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის შესახებ

**ალბათ, ბევრს წაგიკითხავთ რომანი ამავე სახელწოდებით. არ ვიცი, გქონდათ თუ არა მისი მონახულების ბედნიერება, მაგრამ პარიზის ღვთიშობლის ტაძარი მართლაც არქიტექტურის ნიმუშია და აღაფრთოვანებს მნახველს. არსებობს რამდენიმე ლეგენდა თუ თქმულება მის შესახებ, გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს**

### ნოტრ-დამის ტაძრის ჭიშკარი

**ნოტრ-დამის ტაძრის ჭიშკარი საოცარი სილამაზის ორნამენტებითაა მორთული. მისი გაკეთება დაავალეს ერთ-ერთ მჭედელს, სახელად ბისკორნეს. როცა მან გაიგო, რომ უნდა გაეკეთებინა პარიზის საუკეთესო ტაძრის ჭიშკარი, ის ძალიან შეშინდა.** მან იფიქრა, რომ ის მარტო ვერ გაუმკლავდებოდა ამ საქმეს და გადაწყვიტა, დახმარება სატანისათვის ეთხოვა. მეორე დღეს, როცა ნოტრ-დამის მმართველმა გადაწყვიტა, ენახა მჭედლის ნამუშევარი, მან ის უგონო მდგომარეობაშიიპოვა, მაგრამ სამჭდელოში მის წინაშე წარსდგა ნამდვილი შედევრი, მმართველი ძალიან კმაყოფილი დარჩა მჭედლის გაკეთებული ნამუშევრით. როცა ჭიშკარი საბოლოოდ დამზადდა და ის ჩამოკიდეს, ვერ შეძლეს მისი გაღება. ჭიშკარის გაღება მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას წმინდა წყალი შეასხეს. პარიზის ისტორიკოსი ანრი სოვალი 1724 წელს თავის აზრს გამოთქვამდა ჭიშკრის ორნამენტების საიდუმლოდ დამზადების შესახებ: **„როგორ დამზადდა ის, ეს არავინ იცოდა, ის გამოჭედილი იყო თუ ჩამოსხმული, ბისკორნე ამის შესახებ არაფერს ამბობდა და მისი სიკვდილის შემდეგ ეს საიდუმლო თან წაიღო. მას აწუხებდა სინდისი, გახდა გულჩათხრობილი და სევდიანი და მალე გარდაიცვალა. მან არავის გაუმხილა თავისი საიდუმლო ან იმის შიშით, რომ ამ საიდუმლოს ვინმე მოპარავდა, ან ვინმე დაინახა, თუ როგორ ჭედავდა იგი ნოტრ-დამის ტაძრის ჭიშკარს“.**

### ნოტრ-დამის წმინდა ლურსმანი

**ნოტრ-დამის ტაძარში ინახება ლურსმანი, ზუსტად იმ ჯვრის, რომელზეც გააკრეს იესო ქრისტე. საერთოდ არსებობს ოთხი ჯვრის ლურსმანი, ორი ინახება საფრანგეთში, ორიც — იტალიაშია. საერთოდ ამ თემის ირგვლივ დიდი დავა მიმდინარეობს, ითვლიან ოცდაათამდე მსგავს ლურსმანს. ერთ-ერთია კარპანტრის ლურსმანი, თუმცა ეს, ლურსმანი კი არა, ნალია.** ლეგენდის თანახმად, ერთ-ერთი ლურსმანი, რითაც ქრისტე მიაჯაჭვეს ჯვარზე, იერუსალიმში იპოვა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს დედამ – ელენამ. მისი ბრძანებით, ლურსმნისგან დაამზადეს ნალი კონსტანტინეს ცხენისათვის, რათა მას დაეცვა ბრძოლაში. და აი, რამდენიმე საუკუნის გასვლის შემდეგ ის





მოხვდა კარპანტრის ტაძარში. მათ მოიხსენიებენ, როგორც წმინდა ლურსმნებს, რადგანაც, გადმოცემით, მათ მოახდინეს რამდენიმე სასწაული. ლურსმანთან შეხებამ გამოაჯანმრთელა ბევრი ავადმყოფი, იცავდა მოსახლეობას შავი ჭირის ეპიდემიის დროს, როგორც თილისმა. ვატიკანმა ოფიციალურად ცნო სასწაულებრივი გამოჯანმრთელების ფაქტები და რაც მთავარია, ლურსმანი ამდენი საუკუნის გასვლის შემდეგაც არ დაჟანგულა. Aმბობენ, სცადეს მისი მოოქროვება, მაგრამ ოქრო მას არ მოეკიდა. ნორტ-დამის ლურსმნის სასწაულმოქმედების შესახებ კი არ არსებობს არანაერი ლეგენდა და ისტორია და ამასთან, ის დაჟანგულია.

**თუ დავუჯერებთ ლეგენდას, არქიტექტურის მოწინავე ტექნოლოგიები და ცოდნა, ასე საჭირო შუა საუკუნეებში ამგვარი ნაგებობის ასაშენებლად, პირველად შემოიტანეს აღმოსავლეთიდან მხედრებმა — ტამპლიერებმა. 10 ფრანგი მხედარი გაემგზავრა საიდუმლო განძის საძებნელად, რომლებიც, რწმენის თანახმად, ინახება იერუსალიმში — სოლომონის ტაძრის ნანგრევების ქვეშ. საფრანგეთში მათი დაბრუნების შემდეგ, 1128 წელს, გავრცელდა ხმა, რომ მათ იპოვეს ზარდახშა — ყუთი, რომელშიც ინახებოდა ღვთის კანონთა საიდუმლო, რომელიც განკარგავდა წონას, ციფრებსა და ზომას, შეიცავდა რაღაც „ოქროს ციფრს“ — 1,618. პროპორცია 1:1, 618 – „ოქროს შუალედი“ ან „ოქროს კვეთა“ რენესანსის პერიოდში და მოგვიანებითაც ითვლებოდა იდეალურად არქიტექტურული ქმნილებებისათვის. რაინდების დაბრუნებიდან 6 წლის შემდეგ დაიწყო პირველი ტაძრის მშენებლობა შარტრში.** 30 წელი დასჭირდათ მშენებლებს, ქვისა და შუშის ხელოსნებს, ასტრონომებს, მოქანდაკეებსა და სხვა ხელოსნებს, რათა შეექმნათ ასეთი დიდებული ტაძარი. მეორე და მესამე კოლონებს შორის არის ტაძრის „წმინდა გული“— საკურთხეველი, მისი სიმეტრია. საიდუმლოდ დარჩა, ეს შემთხვევითობაა თუ ეს სიმეტრია ასე იყო ჩაფიქრებული. ტაძარს ადამიანზე სულიერი ზემოქმედების დიდი ძალა გააჩნია.

**არსებობს, აგრეთვე, საინტერესო მოსაზრებები ფრონტონზე არსებულ, ცენტრალური მრგვალი ვიტრაჟის შესახებ. ამ ვიტრაჟის ზოდიაქოს ნიშნები, აგრეთვე, ქვებიდან გათლილი ზოდიაქოს სიმბოლოები ქალწულ მარიამის ფიგურით მიიჩნევა, როგორც წლიური ციკლის სიმბოლო.** თუმცა ზოდიაქოს ციკლი, გამოსახული დიდ მრგვალ ვიტრაჟზე, იწყება არა მერწყულის ნიშნით, როგორც ეს მიღებულია დასავლური ასტროლოგიური ტრადიციით, არამედ თევზების ნიშნით, რომელიც შეესაბამება ინდუისტური ასტროლოგიური ციკლის დასაწყისს. ბერძნული ტრადიციის თანახმად, თევზების ნიშანს შეესაბამება პლანეტა ვენერა. სხვა ასტროლოგიური სიმბოლო – მთვარის ციკლი გამოსახავს ეგრეთწოდებულ მეფეთა გალერეას, 28 სკულპტურული ფიგურა გამოსახავს იუდეველთა მეფეებს, მაგრამ, ბიბლიის თანახმად, ისინი იყვნენ 18 ან 19, მაშინ, როცა მთვარის თვეს აქვს 28 დღე.

ტაძარი განთქმულია, თავისი არაჩვეულებრივი ხმოვანებით, რომელსაც გამოსცემს 13-ტონიანი ზარი ემანუელი და ის ჩამოკიდებულია მარჯვენა კოშკზე. ასეთი სიმძიმის ზარის დარეკვა შეუძლია მხოლოდ ძალიან ძლიერ ადამიანს და, თუ დავუჯერებთ ლეგენდას, ასეთი ადამიანი არსებობდა და მას ერქვა კვაზიმოდო. მეორე ლეგენდის მიხედვით, ზარის ჩამოსხმის დროს გამოყენებული იქნა ოქრო და ვერცხლი. პარიზელი ქალბატონები თავიანთ სამკაულებს ყრიდნენ გამდნარ მასაში.

## უკანონობასთან ბრძოლა ინდონეზიაში

**ინდონეზიის ხელისუფლებამ, დიდი ხანია, გადაწყვიტა, შემოქმედებითად მიდგომოდა იმ მგზავრების მორჯულების საკითხს, რომლებიც უკანანოდ სეირნობდნენ მატარებლების სახურავებზე. ისინი აზიანებდნენ მატარებლის სახურავის წითელ საღებავს და გამვლელებს აშინებდნენ. ამჯერად მათთან საბრძოლველად ახალი ტაქტიკაა შემუშავებული — გზის გასწვრივ არის სპეციალური ბეტონის ბურთები, რომელთაც ესვრიან ნებისმიერს, ვისაც მატარებულის სახურავზე დაინახავენ. 2008 წელს ეს ტაქტიკა უკვე ოფიციალურად დაამტკიცეს და დღემდე ამ ბეტონის ბურთებით 53 მგზავრი დაიღუპა.**







## მინის ტაძარი

**მალაიზიის ქალაქ ჯოჰორბარუში მინის ტაძარი დგას. მას Arulmigu Sri Rajakaliamman ჰქვია.** ტაძარი 300 000 წითელი, ლურჯი, ყვითელი, მწვანე და თეთრი ფერის მინით არის მორთული. მინის არის იატაკი, კედლები და სვეტები. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ბროლის მოელვარე ჭაღია. ტაძრის რეკონსტრუქციაზე მილიონი დოლარი დაიხარჯა. რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხა შემოწირულობებით შეკრიბეს. ტაძარში კარგი კონდიცირებაა და ის 1500 ადამიანს იტევს. ტაძარი 1922 წელს აშენდა და თავდაპირველად თავშესაფრის ფუნქციას ითავსებდა, 1996 წელს კი ხელახლა ააშენეს და ოფიციალურად გახსნეს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სასიკვდილო საჩუქარი

**ჩინეთის ქალაქ ჩუნცინის მკვიდრმა ხუ სენმა შეყვარებულს ფოსტით საკუთარი თავი გაუგზავნა, მაგრამ ლამის ამანათში გაიგუდა. ხუ სენს მეგობარი გოგონას გაოცება უნდოდა.** კურიერს, რომელსაც ამანათი ადგილზე უნდა მიეტანა, მისამართები აერია. შედეგად, რომანტიკულად განწყობილმა ჩინელმა 30 წუთის ნაცვლად ყუთში დაახლოებით 3 საათი დაჰყო და ლამის გაიგუდა. როდესაც ამანათი დანიშნულების ადგილზე მიიტანეს, ხუ სენი უკვე უგონოდ იყო. მის გონზე მოსაყვანად სასწრაფო დახმარების გამოძახება გახდა საჭირო. **„არ მეგონა, თუ ამანათის მიტანას ამდენი დრო დასჭირდებოდა, ვცადე, კოლოფი გამეხვრიტა, რომ მესუნთქა, მაგრამ მუყაო ძალიან სქელი აღმოჩნდა, ხოლო ყვირილი არ მინდოდა, რადგან ამით სურპრიზს გავაფუჭებდი“,** — ამბობს ხუ სენი.







# ოჯახის წევრი დათვი

**კანადაში მცხოვრები მარკ და დუნ დუმასების სახლში დათვი ოჯახის წევრივით ცხოვრობს. ბილი პატრონებს ყველგან დაჰყვება და ოჯახის უფროსთან ერთად სასტუმრო ოთახში ტელევიზორსაც კი უყურებს.**

ისინი ერთად დადიან პარკში, ლუდის ბარში, საბილიარდოში. ბილს ყველაზე მეტად აუზში ცურვა და თამაში უყვარს. **„სულ პაწაწინა ბელი იყო, როდესაც სახლში მოვიყვანე. ბილი ძალიან ჭკვიანი და ერთგულია. ყველაფერს ადვილად ითვისებს. ხშირად დაგვყავს პიკნიკზე. ზღვაზეც ერთად ვისვენებდით. ტალღებში თამაში მოეწონა, მაგრამ წუხდებოდა იმით, რომ მის გარშემო უამრავი ადამიანი იყრიდა თავს და ფოტოებს უღებდა“,** — ამბობს მარკი.





# მოგზაურობა ყველაფრის ფასად

**ქრისტეფორე მაკ-კენდლესი, იგივე ალექსანდრე სუპერმაწანწალა ერთ დროს იყო ჩვეულებრივი ამერიკელი მოსწავლე, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს ყოველგვარი აღჭურვილობისა და საკვების გარეშე გადაწყვიტა ალიასკაზე გამგზავრება, რათა გარკვეული დრო მარტოდმარტოს გაეტარებინა. ალექსანდრეს მამა ნასაში მუშაობდა და მის ოჯახს ფინანსური პრობლემები არ აწუხებდა.**



ალექსანდრე ბავშვობიდან გამოირჩეოდა მიზანდასახულობით. 1990 წელს ატლანტაში დაამთავრა უნივერსიტეტი და იქ დაეუფლა ანთროპოლოგიასა და ისტორიას. ბიჭი ყოველთვის გამსჭვალული იყო პროტესტის გრძნობით ამერიკელების გადაჭარბებული მატერიალიზმის მიმართ.

**ატლანტის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან სრული დანაზოგი, 24 ათასი დოლარი, საქველმოქმედო ორგანიზაციას შესწირა. მან კარგ სამსახურს უფულოდ, ადამიანებთან კონტაქტის გარეშე ცხოვრება არჩია და დაიწყო ხეტიალი „ალექსანდრე სუპერ-მაწანწალას“ სახელით. ჯერ არიზონა, კალიფორნია და სამხრეთი დაკოტა მოიარა.**

მაკ-კენდლესი წლების განმავლობაში ოცნებობდა „ალიასკურ ოდისეაზე“, როცა ის ყოველგვარ ცივილიზაციას მოსწყდებოდა და აწარმოებდა დღიურს, რომელშიც ბუნების წიაღში ცხოვრებით მიღწეულ ინტელექტუალურ და სულიერ პროგრესს აღწერდა.

ბოლო ადამიანი, რომელმაც იგი ცოცხალი ნახა, იყო ჯეიმს გალეინი, მან იგი შტამპედის ბილიკამდე მიიყვანა. გალიენი შეშფოთდა ალექსის გამო, რომელსაც ელემენტალური აღჭურვილობა, მაგალითად, კომპასიც კი არ ჰქონდა თან.

ალიასკაზე მაკ-კენდლესმა იპოვა მიტოვებული ავტობუსი, რომელიც მონადირეთა თავშესაფრის ფუნქციას ასრულებდა. მას ჰქონდა მხოლოდ 10 ფუნტი ბრინჯი, რემინგტონის ნახევრადავტომატური შაშხანა და წიგნი ადგილობრივ მცენარეთა სამყაროზე, ასევე რამდენიმე სხვა წიგნი და კარავი. კრისტოფერი ვარაუდობდა, რომ მცენარეული საკვებითა და ნადირობით გაიტანდა თავს.

**მისი დღიური შეიცავს ჩანაწერებს, რომელთაც მაკ-კენდელსი 189 დღის განმავლობაში აკეთებდა. ივლისში, ავტობუსში რამდენიმეთვიანი ცხოვრების შემდეგ, მან გადაწყვიტა, უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ დასაბრუნებელი გზა ჩაეხერგა მდინარე ტეკლანიკას, რომელიც მნიშვნელოვნად ადიდებულიყო, ვიდრე აპრილში, ანუ მაშინ, როდესაც კრისტოფერი გადავიდა. მან ვერ შეძლო მოკლე გზით მდინარეზე გადასვლა, რადგანაც, სამწუხაროდ, მას თან არ ჰქონდა დეტალური ტოპოგრაფიული რუკა. კრისტოფერს მხოლოდ გაზის სადგურზე ნაპოვნი ნაფლეთებადქცეული საგზაო რუკა გააჩნდა, რომელიც არ შეიცავდა მისთვის საჭირო ინფორმაციას.**

12 აგვისტოს მაკ-კენდლესმა თავის დღიურში, სახელად „მშვენიერი მოცვი“, უკანასკნელი ჩანაწერი გააკეთა: „მე ვიცხოვრე ბედნიერად და ამისთვის მადლობას ვწირავ ღმერთს. მშვიდობით, დაე, ღმერთმა დაგლოცოთ ყველა!“.

**1992 წლის 6 სექტემბერს ორმა მოხეტიალე მოგზაურმა და ხარირმებზე მონადირეთა ჯგუფმა ავტობუსის კარზე იპოვა მინაწერი: „მე თქვენი დახმარება მჭირდება. ცუდად ვგრძნობ თავს, სიკვდილის პირას ვარ და ზედმეტად სუსტად ვგრძნობ თავს იმისთვის, რომ აქედან გავაღწიო. სრულიად მარტო ვარ, ეს არაა ხუმრობა. ღვთის გულისათვის, გთხოვთ, მიშველეთ. გასული ვარ კენკრის შესაგროვებლად და დღეს საღამოს დავბრუნდები. გმადლობთ. პატივისცემით, კრის მაკ-კენდლესი. აგვისტო“.**

მისი გვამი იპოვეს საძილე ტომარაში, ავტობუსში, გარდაცვალების დღიდან ორი კვირის შემდეგ. კრისტოფერი სულ რაღაც 30 კილოგრამს იწონიდა. მისი გარდაცვალების ოფიციალური მიზეზი შიმშილით სიკვდილი იყო.

იმ ადამიანებისაგან განსხვავებით, რომელთაც დიდი სიმპატიები გააჩნიათ მაკ-კენდელსის მიმართ, ალასკას მცხოვრებლებს ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ მათდამი, ვინც მისი ბედის რომანტიზებას ცდილობს. კრისტოფერმა ხომ უარი თქვა მისთვის ისეთი აუცილებელი ნივთების თან წაღებაზე, როგორიცაა კომპასი და რუკა. ოთხასი მეტრის სავალზე იმ ადგილიდან, რომლიდანაც მაკ-კენდლესმა უშედეგოდ სცადა მდინარის გადალახვა, იმდენად ადვილი იყო მეორე ნაპირზე გადასვლა, რომ ეს ახალნაოპერაციებმა ადამიანმაც კი შეძლო. კრისტოფერს რომ დეტალური რუკა ჰქონოდა, უპრობლემოდ გადარჩებოდა. ამასთანავე, მისი ავტობუსიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო წამლებითა და ინსტრუმენტებით აღჭურვილი კაბინა იყო, რომელიც, ერთ-ერთი ცნობით, მანვე დაარბია ვანდალურად.

**2002 წლიდან მიტოვებული ავტობუსი, სადაც კრისტოფერი ცხოვრობდა, გადაიქცა ტურისტებისათვის საყვარელ ადგილად.**

ალექსანდრეს დღიურის მიხედვით, 2007 წელს თვით შონ პენმა გადაიღო ფილმი Into the Wild.

# ყველაზე პატარები

**მსოფლიოში ყველაზე პატარა ტანის ქალი და კაცი გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნისთვის ერთად გადაიღეს. მსოფლიოში ყველაზე დაბალი კაცი 72 წლის ნეპალელი ჩანდრა ბაჰადურ დანგია, ხოლო მსოფლიოში ყველაზე პატარა ქალი 18 წლის ინდოელი ჯიოტი ამგე. ისინი გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში არიან შესულნი. ფოტოსესიაზე მათ საკუთარი ქვეყნის ეროვნული სამოსი ეცვათ და ფოტოგრაფებისთვის ღიმილს არ იშურებდნენ. ერთ-ერთ ფოტოზე კი ისინი საშუალო სიმაღლის მამაკაცთან ერთად პოზირებენ.**



გოგონა ინდოეთის ქალაქ ნაგპურში ცხოვრობს და აქონდროპლაზიითაა დაავადებული, მისი სიმაღლე 60 სანტიმეტრია. მიუხედავად იმისა, რომ ჯიოტი პატარა ტანისაა, უამრავი გეგმა აქვს. ის უკვე გადაიღეს ბოლივუდის რამდენიმე ფილმში.

მსოფლიოში ყველაზე პატარა ტანის მამაკაცი ნეპალის დედაქალაქ კატმანდუსთან მდებარე პატარა სოფელ რჰიმკოლაში ცხოვრობს. მან 72 წლის განმავლობაში პირველად დატოვა მშობლიური სოფელი, რათა გინესის წიგნისთვის ფოტოები გადაეღო. მისი სიმაღლე 54 სანტიმეტრია.



# სააკაშვილი ის პოლიტიკოსი არაა, რომელზეც ფსონი უნდა გააკეთო



**გერმანული „მწვანეთა“ პარტიის დეპუტატმა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექსპერტმა ვიოლა ფონ კრამონმა Frankfurter Rundschau-სთან ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის, საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის, დასავლეთის აუხდენელი მოლოდინისა და ევროკავშირში საქართველოს შესვლის თაობაზე ისაუბრა.**

„როგორც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილის, „ერთ დროს დასავლეთის იმედის“, პერიოდში საქართველო იყო პოსტსაბჭოთა სივრცის ერთადერთი ქვეყანა (თუ ბალტიისპირეთის ქვეყნებს არ ჩავთვლით), რომელმაც მოდერნიზაცია გადაწყვიტა — იქ სამართალდამცავი ორგანოების უდავოდ წარმატებული რეფორმა გატარდა, სრულად შეიცვალა ნაწილობრივ კორუფციაში ჩაფლული ქვეყნის ხელმძღვანელობა, სამშობლოში საკვანძო თანამდებობებზე დაბრუნდნენ კარგი განათლების მქონე და მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ქართველები. ეს უდავო პლუსი იყო დასავლეთისთვის, თუმცა მივიჩნევ, რომ **უკიდურეს შემთხვევაში 2007 წლიდან დასავლეთი ფსონს იმაზე არ აკეთებს, ვისზეც საჭიროა. როდესაც ოპოზიციონერების დაუნდობელი დათრგუნვა დაიწყო, გასაგები გახდა, რომ სააკაშვილი არაა ის დემოკრატიული ალტერნატივა, რომლადაც მივიჩნევდით. მოქმედი პრეზიდენტი ნაწილობრივაც კი არ ახორციელებს იმას, რასაც თავისი ლობისტების საშუალებით დასავლეთს შთააგონებს.**

სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში არა მხოლოდ არ გაუმჯობესდა მდგომარეობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, არამედ მნიშვნელოვნად შეიზღუდა ოპოზიციონერების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობა, ხუთჯერ გაიზარდა პატიმრების რაოდენობა, თუმცა ამ თემას იშვიათად თუ ეხებოდნენ ამერიკისა და ევროპის მხრიდან. ამიტომ **გერმანიას ქართულ მხარესთან ერთად უნდა შეემუშავებინა მკაფიო საკითხები იმის თაობაზე, თუ რა რეფორმები სჭირდება საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გასაფართოებლად. ყველაფრის სათავეში ოფიციალურმა თბილისმა მასმედიის დამოუკიდებლობა უნდა დააყენოს, ამის სანაცვლოდ გერმანიას შეეძლო ქართველებისთვის ვიზების მიღება გაემარტივებინა.**

სააკაშვილის მოწინააღმდეგე ბიძინა ივანიშვილმა შეძლო, „ქართული ოცნების“ დახმარებით უმოკლეს ვადებში შეექმნა ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლების რეალურ ალტერნატივას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ ყალიბდება საარჩევნო ნება.

**სააკაშვილის ხალხის მიერ სრულად კონტროლირებად საქართველოს აუცილებლად სჭირდება ძლიერი ოპოზიცია პარლამენტში ან ხელისუფლების შეცვლა. ეს სასარგებლო იქნება საქართველოს მოსახლეობისთვის.** მაგალითად, ერთხელ ივანიშვილმა განაცხადა, რომ იბრძოლებს სოფლების მოსახლეობის სიღატაკის წინააღმდეგ. **სააკაშვილმა, როგორც ცნობილია, სრულად მიუშვა სოციალური საკითხები, მათ შორის მოსახლეობის ფართო ფენების საყოფაცხოვრებო პირობები,** ახლა კი მთავრობის მიერ წარმოდგენილია მოკლევადიანი პროგრამა, რომელშიც ძალიან ბევრი რამ ემთხვევა ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო პროგრამას.

**გერმანელი „მწვანეები“, უკვე დიდი ხანია, ევროკავშირში საქართველოს შესვლას უჭერენ მხარს. სამწუხაროდ, გერმანიამ ძალიან დიდი ხნის მანძილზე დატოვა ეს საკითხი აშშ-ის იმედად, არადა, ამერიკელებს ხომ აბსოლუტურად განსხვავებული ინტერესები და პოლიტიკური კონცეპტები აქვთ. უდიდესი სტრატეგიული შეცდომაა რუსეთის მიმართ საქართველოს ახლანდელი შეტევითი და აგრესიული დამოკიდებულება. ამ საკითხში გერმანია არ ერევა და შეიძლება შუამავლის როლშიც გამოვიდეს კონფრონტაციის შეწყვეტის მიზნით.**

აქტუალური პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველო ნატოში არ უნდა მივიღოთ. ეს ჯერ კიდევ ძალიან ადრეა და ამას ვაცხადებ ისე, რომ მხედველობაში არ მყავს რუსეთი. საქართველო რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყანა ყოფილიყო, 2008 წლის ომს სულ სხვა განზომილება ექნებოდა“.

Frankfurter Rundschau

# ივანიშვილი სააკაშვილს გადადგომაზე განცხადების გაკეთებას სთავაზობს

**როგორც დღევანდელ პრესკონფერენციაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, დროა სააკაშვილმა პრეზიდენტობიდან გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთოს.**



„რადგან დღეს სააკაშვილმა განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციაში გადადის, ვურჩევ ერთადერთი სწორი სვლა გააკეთოს — იქნებ დაწეროს განცხადება და დანიშნოს საპრეზიდენტო არჩევნები. ვფიქრობ, ის მაინც ველარ შეინარჩუნებს ძალაუფლებას. მის პოსტზე ყოფნას აზრი აღარ აქვს, ამიტომ ვურჩევ განცხადება დაეწერა. თუ ის ამას არ გააკეთებს, არაფერს გამოვრიცხავ. შესაძლოა მისი იმპიჩმენტის საკითხიც დააყენოს პარლამენტმა, თუმცა ჯერჯერობით ეს გეგმაში არ გვაქვს.



# ივანიშვილი მერაბიშვილის პრემიერ–მინისტრად დატოვებას არ აპირებს

**როგორც დღევანდელ პრესკონფერენციაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, თანამდებობაზე პრემიერ–მინისტრ ვანო მერაბიშვილის დატოვებას არ აპირებს.** „არც ვანო მერაბიშვილი და არც სხვა მინისტრები საკუთარ თანამდებობებზე არ დარჩებიან. თუმცა მინისტრის მოადგილეებზე ამას ვერ ვიტყვი. მერაბიშვილსაც და სხვებსაც, პოსტების დატოვება მოუწევთ“,–განაცხადა ივანიშვილმა.



# ფილმის «ისლამის უცოდველობა» პროდიუსერი დააკავეს

**კალიფორნიაში ფილმის „ისლამის უცოდველობა“ პროდიუსერი დააკავეს. ლოს-ანჯელესის პროკურატურის განცხადებით, ბასელი ნაკულა პატიმრობიდან ვადამდე გათავისუფლების პირობის დარღვევის გამო დააკავეს.** სამართალდამცავების თქმით, 55 წლის ნაკულას დაკავება მის ანტიისლამურ ფილმს არ უკავშირდება და ის პატიმრობიდან ვადამდე გათავისუფლების პირობის დარღვევის გამო დააკავეს. დაკავებული კალიფორნიაში ფინანსური მაქინაციების ბრალდებით 2011 წელს გაასამართლეს, რის შემდეგაც ვადამდე გაათავისუფლეს, თუმცა მას სპეციალური ნებართვის გარეშე ინტერნეტითა და ფსევდონიმით არ უნდა ესარგებლა.



# ევროკავშირის იუბილეს ზურაბ წერეთელმა სკულპტურა მიუძღვნა

**ევროკავშირის დაარსების მეოცე წლისთავთან დაკავშირებით საფრანგეთის ჩრდილოეთის ქალაქ მეცში საზეიმოდ გაიხსნება ევროკავშირის დამფუძნებელი მამებისადმი მიძღვნილი სკულპტურული კომპოზიცია, რომლის ავტორიც ქართველი მოქანდაკე ზურაბ წერეთელია.** კომპოზიციაში ასახულია თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ევროკავშირის ფორმირებაში — კონრად ადენაუერი, რობერტ შუმანი, ალჩიდე დე გასპერი და ჟან მონე. ძეგლი დაიდგმება შუმანის სახლ-მუზეუმის სიახლოვეს. კომპოზიცია დამზადებულია ბრინჯაოსგან, მისი სიმაღლე 2.5 მეტრია, ხოლო გრანიტის პოსტამენტის დიამეტრი — 4.5 მეტრი.



# Facebook-ის დამფუძნებელი რუსეთიდან პროგრამისტების გადაბირებას აპირებს

**Facebook-ის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი რუსეთიდან პროგრამისტების გადაბირებას აპირებს.** ცოტა ხნის წინ, წამყვანი რუსული კომპანიების თანამშრომლები, რომლებიც ფლობენ „უნიკალურ და იშვიათ კომპეტენტურობას“, ცუკერბერგის კომპანიაში გასაუბრებაზე მიიწვიეს. როგორც IBS Group-ის პრეზიდენტი ანატოლი კარაჩინსკი აცხადებს, მათ შესთავაზეს სამუშაო და რუსეთის დატოვებისკენ მოუწოდეს. მისივე თქმით, რუსეთის პროგრამისტების გადაბირება 1998 წელსაც მოხდა, რისი ინიციატორიც კორპორაცია Microsoft-ი იყო და არ უარყოფს, რომ მაშინ ბევრმა ნიჭიერმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა.

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009